

ავანე ჯაფახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტი



პროგრამა «ლოგოსი»

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკურ ფილოლოგიას,
ბიზანტინისტიკასა და ნეოგრეციისტიკის სფეროში



2009
თბილისი

Keti Nizharadze

**TROY'S MYTHOPOETIC
AND HISTORIC PERCEPTION
BY HOMER**

Program "Logosi"

ქეთი ნიჟარაძე

**ტრას მითოპოეტური
და ისტორიული აღქმა
კომერსთან**

პროგრამა „ლოგოსი“

რედაქტორი: რისმაგ გორდეზიანი

რეცენზენტები: ქეთევან ნადარეიშვილი
ზაალ ლილუაშვილი

ოპერატორი: ალა ნაჭყებია

დაკაბადონება და გარეკანის დიზაინი: ალექო ჯიქურიძე

ISBN 978-9941-401-77-0

© ქეთი ნიჟარაძე, 2009

© პროგრამა „ლოგოსი“, 2009

შინაარსი

შესავალი	7
ისტორიული და მითოლოგიური ელემენტები ტროას მეფეთა გენეალოგიაში	13
ტროელები და მათი მოკავშირეები	46
უმთავრეს ტროელ ფიგურათა სახეები და მათი ინდივიდუალიზაცია	149
ტროას ჰომეროსისეული აღქმა არქეოლოგიურ და გეოგრაფიულ კონტექსტში	184
ტროას ომი და ისტორია	211
დასკვნა	225
გამოყენებული ლიტერატურა	229
სახელთა საძიებელი	244
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	262

შესავალი

ტროას ომი და მისი ასახვა ჰომეროსის ეპოსში, ანტიკურობიდან მოყოლებული, ყურადღების ცენტრში იყო. ძველ საბერძნეთსა და რომში, არსებითად, ეჭვი არ ეპარებოდათ ტროასა და მასთან გამართული ომის რეალობაში. ამ ომს ისტორიულ ფაქტად თვლიდა ისტორიის მამა – ჰეროდოტოსი და მითების მიმართ ისე სკეპტიკურად განწყობილი ისტორიკოსიც კი, როგორც თუკიდიდესი იყო (77; 327; 323). ბერძნები ტროასთან მოპოვებულ გამარჯვებას თავიანთთვის სანიმუშოდ თვლიდნენ, რადგან იქ ისინი გაერთიანებული ძალებით იბრძოდნენ და მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე მრავალწლიანი ომის შემდეგ მოიპოვეს გამარჯვება. აღარაფერს ვამბობთ რომაელებზე, რომელნიც ტროას და ცნობილ ტროელ გამირს – ენეასს თავიანთ გენეალოგიას უკავშირებდნენ და სწორედ ამ ქალაქის დიდებას მიიჩნევდნენ ცივილიზაციის ისტორიაში ბერძნებთან მათი კონკურენციის ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად (249, 154შმდ.). აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ როგორც მხატვრული ლიტერატურის, ასევე ისტორიოგრაფიის და მწერლობის სხვა ჟანრის წარმომადგენლები ჰომეროსის პოემებს არაერთგზის მიმართავდნენ თხრობისას. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, „ილიადა“ და, გარკვეულწილად, „ოდისეა“ მათთვის ტროას ომის ერთგვარ მატთანედ ითვლებოდა. თუმცა არავინ უარყოფდა იმას, რომ ეს მატთანე, პირველ რიგში, იყო დიდებული პოეტური ქმნილება. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივად მიაჩნდათ, რომ ჰომეროსის ინფორმაციას დიფერენცირებულად უნდა მიდგომა, რადგან აქ ძალზე დიდია პოეტური ფანტაზიის ხვედრითი წილი.

ტროასა და მასთან წარმოებული ომის რეალურობის რწმენას ამყარებდა აგრეთვე ის, რომ გეომეტრიული ეპოქის ბერძნები ჰისარლიკის მაღლობზე ძველი ქალაქის გრანდიოზულ ნანგრევებს ხედავდნენ, ხოლო ძვ. წ. 700 წლიდან მოყოლებული, აქ ჯერ ბერძნული დასახლება ყალიბდება, ხოლო ბევრად უფრო გვიან – რომაული ქალაქი. მაგრამ დროთა მსვლელობამ შთანთქა როგორც ბრინჯაოს ხანის, ასევე ანტიკური ეპოქის ილიონიც და ახალი ევ-

როპული მეცნიერებისთვის აშკარა გახდა, რომ ტროასა და ტროას ომის ისტორიული რეალურობა ვერ დაეფუძნებოდა მხოლოდ ჰომეროსის ავტორიტეტს, ძველ ბერძენთა რწმენას და შუასაუკუნეების თუ რენესანსის ეპოქის ევროპელთა ინტერესს ტროას თქმულების მიმართ.

დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერებაში დომინირებდნენ ის მკვლევარები, რომელთაც ბერძენთა მთელი მითოლოგიური ნარსული, მათ შორის, ტროას ომიც, ბერძენ პოეტთა ფანტაზიის ნაყოფად მიაჩნდათ, რადგან XIX ს-ის მეორე ნახევრამდე, ფაქტობრივად, არაფერი იყო აღმოჩენილი, რაც ბრინჯაოს ხანის ეგვიპტეში მალალი ცივილიზაციის არსებობას დაადასტურებდა. იმას, თუ რამდენად იცვლებოდა თუნდაც XX საუკუნის განმავლობაში დამოკიდებულება ჰომეროსის ეპოსის ისტორიასთან მიმართებასთან დაკავშირებით, საკმაოდ კარგად გვიჩვენებს აგრეთვე ბერძნული ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა დროს გამოცემული სახელმძღვანელოების შედარება: *История греческой литературы, под редакцией С.И.Соболевского, Б.В. Горнунга, З.Г.Гринберга., т. I 1946;* ს. ყაუხჩიშვილი, *ბერძნული ლიტ. ისტორია*, 1950; რ. გორდეზიანი, 2002; 70 შმდ. საკითხის ისტორიისათვის საინტერესოა ასევე: *А. Ф. Лосев, Гомер, 1960*, რომელიც ასახავს გასული საუკუნის 60-იანი წლების ჰომეროლოგიაში არსებულ ვითარებას.

ახალი ეპოქა იწყება ჰ. შლიმანის გათხრებიდან, რომელმაც საფუძველი დაუდო ეგეოსურ არქეოლოგიას. მან ჰისარლიკის მალლობზე აღმოაჩინა უძველესი ქალაქის ნანგრევები. მისი რწმენით, ჰომეროსის ტროა ტროა II უნდა ყოფილიყო. შლიმანის საქმის გამგრძელებელ ვ. დორფელდს თავისი „დილექტანტი მასწავლებლის“ რომანტიკული მიმართულება არქეოლოგიაში მეცნიერულ კალაპოტში გადაჰყავს და პრინციპულად ცვლის შლიმანის მიერ აღმოჩენილი ქალაქის სხვადასხვა შრეების იდენტიფიკაციის და დათარიღების სურათს. დორფელდი საკმაოდ დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ტროა II ვერ იქნებოდა ჰომეროსის ტროა, როგორც ამას შლიმანი თვლიდა და მეცნიერებს აძლევს საფუძველს, კვლევა

განაგრძონ ტროა VI-ის ჰომეროსის ქალაქთან გაიგივების მიმართულებით.

ამ ექსპედიციების შედეგად ყალიბდებოდა გარკვეული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ ჰისარლიკის მალლობზე აღმოჩენილი დასახლების რომელი არქეოლოგიური შრე შეიძლებოდა მისადაგებოდა ჰომეროსის ტროას. ძირითად „პრეტენდენტებად“ მიიჩნევიან ტროა VI და ტროა VII¹.

ახალი ეტაპი ტროას არქეოლოგიურ შესწავლაში იწყება 30-იან წლებში, როდესაც ამერიკელმა არქეოლოგმა კ. ბლეგენმა ტროაში ახალი ექსპედიცია მოაწყო. არქეოლოგიური გათხრების უფრო მაღალ დონეზე წარმართვის გარდა, ის მეცნიერებს სთავაზობს ჰომეროსის ტროასთან გასაიგივებელ ახალ „კანდიდატურას“ – ტროა VII²-ს.

და ბოლოს, დამაგვირგვინებელი ეტაპის დადგომა ტროას არქეოლოგიაში უკავშირდება მანფრედ კორფმანის სახელს, რომლის ექსპედიცია გასული საუკუნის 90-იან წლებში იწყება და, მიუხედავად ექსპედიციის ხელმძღვანელის მოულოდნელი გარდაცვალებისა 2005 წელს, დღემდე გრძელდება. ამ ექსპედიციამ მეცნიერებას ბევრი ახალი არგუმენტი მიანოდა იმისთვის, რომ ჰისარლიკის მალლობზე აღმოჩენილი ქალაქი კიდევ უფრო დამაჯერებლად გაიგივებულიყო ჰომეროსის ტროა/ილიონთან (მიმოხილვისთვის შდრ. 327; 338შმდ.). კორფმანის გარდაცვალების შემდეგ, 2006 წლიდან ტროაში გათხრებს აგრძელებს მისი კოლეგა, ერნსტ პერნიკა (ამის შესახებ იხ: www.uni-tuebingen.de; Universität Tübingen setzt Ausgrabungen in Troia fort; Grabungslizenz von türkischer Antikendirektion enteilt, E. Pernicka).

ამჟამად ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს ამ არქეოლოგიური გათხრების შედეგების დეტალური განხილვა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ახალმა ექსპედიციამ საბოლოოდ მოხსნა ყოველგვარი ეჭვი იმის თაობაზე, რომ ჰისარლიკის მალლობზე აღმოჩენილი ნანგრევები მართლაც მნიშვნელოვან ანატოლიურ ქალაქს ეკუთვნოდა, კერძოდ, გაირკვა, რომ ქალაქი მხოლოდ იმ 16 000 კვადრატულ

მეტრს კი არ მოიცავდა, რაც ტროას წინა ექსპედიციების მიერ აღმოჩენილ ნანგრევებს ეკავა, არამედ ბევრად უფრო მეტს. როგორც გამოვლინდა, შლიმანის, დორპფელდის და ბლეგენის ტროა მხოლოდ აკროპოლისი იყო, რომლის ქვეშაც გაშლილი უნდა ყოფილიყო ე.წ. ქვედა ქალაქი.

არქეოლოგიურ თუ არქიტექტურულ დეტალებზე შემდგომ უფრო დანვრილებით ვიმსჯელებთ. აქ გვინდა, საკითხის მიმოხილვა სხვაგვარად ნარეკმართოთ და კითხვა ამგვარად დავსვათ: რამდენად დამაჯერებელი აღმოჩნდა ჩატარებული გათხრები მკვლევართათვის ჰომეროსის ისტორიის რეალურობაში დასარწმუნებლად.

მიუხედავად არქეოლოგთა ნარმატივებისა, შლიმანიდან მოყოლებული, დღემდე მეცნიერებაში გრძელდება კამათი იმის თაობაზე, არის თუ არა ეს ქალაქი ნამდვილად ჰომეროსის ტროა. რასაკვირველია, მანამდე, ვიდრე ქალაქის ნანგრევებში ვინმე არ აღმოაჩენს რაიმე ტიპის წერილობით წყაროს, რომელიც დაგვიდასტურებს, რომ ბრინჯაოს ხანაში ამ ქალაქს მართლაც ილიონი ან ტროა ერქვა, ამგვარი ეჭვი ყოველთვის იარსებებს. თუმცა, ისიც შეიძლება ითქვას, რომ ჯერჯერობით არქეოლოგიას არ მიუკვლევიან რომელიმე სხვა დასახლებისთვის, რომელიც ჩაანაცვლებდა შლიმანის ტროას. ამიტომ, ასე თუ ისე, მეცნიერთა უმეტესობა იზიარებს იმას, რომ არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი ქალაქი მართლაც შეიძლება იყოს დასახლება, რომელსაც ხეთური წყაროები ვილუსას ან ტარუისას, ხოლო ჰომეროსი ტროას ან ილიონს უწოდებს.

სამაგიეროდ, ბევრად უფრო მწვავედ დგას თავად ტროას ომის საკითხი. დღემდე მეცნიერთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ ომს, რომელსაც ჰომეროსი აგვიწერს, ვერ მივიჩნევთ ისტორიულ რეალობად, მაშინ, როდესაც მეცნიერთა მეორე ნაწილი დარწმუნებულია ამ ომის ისტორიულ რეალობაში. ეს დისკუსია ხშირად საკმაოდ ცხარე ხასიათს იღებს, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ტროას ომის საკითხი დღემდე არ არის ბოლომდე გადაჭრილი. არცთუ იშვიათად, ტროასადმი მიძღვნილ ერთსა და იმავე წიგნში, სადაც

სხვადასხვა მეცნიერის ნაშრომები იბეჭდება, ამ საკითხზე რადიკალურად განსხვავებული სტატიებია გამოქვეყნებული (მდრ. 326; 327). ყურადღებას იმსახურებს ST-ის ერთ-ერთ უახლეს ტომში ცნობილი მეცნიერის – M. L. West-ის სტატიის ფინალური აბზაცი: „ტროას ომი, ბოლოს და ბოლოს, რჩება მითიურ ომად. არ მოგვეპოვება ნყარო, რომელსაც შეუძლია იგი ისტორიის სფეროში მოაქციოს“(302).

ამგვარად, ტროას ომთან დაკავშირებით ერთადერთი რეალობა, რაც მოგვეპოვება, არის ჰომეროსის მიერ პოეტურად აღქმული ტროას ომი. მან ამ ქალაქსა და ამ მოვლენას მისცა იმდენად შთაბეჭდავი ხასიათი, შთაბერა ისეთი სული, რომ, მიუხედავად იმისა, დამტკიცდება თუ არა მის მიერ აღწერილი ფაქტების ისტორიული რეალობა, ტროა და ტროას ომი რჩება ერთ-ერთ ყველაზე ამაღელვებელ და საინტერესო ფენომენად კაცობრიობის ისტორიაში. ამასთან ერთად, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ არსებობს ე.წ. არქეოლოგიური რეალობა – ჰისარლიკის მაღლობზე აღმოჩენილი ქალაქის ნანგრევები, რომელიც ყოველთვის ორგანულად იქნება დაკავშირებული ჰომეროსის მიერ აღქმულ ტროასთან, ვიდრე ვინმე არ შეძლებს, დაამტკიცოს, რომ ეს არ არის ილიონის ნანგრევები.

ამდენად, ანტიკურობიდან მოყოლებული, არსებობს რწმენა, რომ მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროსთან გმირთა ეპოქაში მოხდა ძალზე მნიშვნელოვანი ომი, რომლის ისტორიული რეალობა სადაო იქნება მანამდე, ვიდრე არ აღმოჩნდება მისი დამადასტურებელი ან უარყოფელი პირდაპირი და უცილობელი ნყაროები.

ჩვენი ნაშრომის უმთავრესი მიზანი არის იმის შესწავლა, თუ როგორია ტროასა და ტროას ომის პოეტური აღქმა ჰომეროსთან, თუ რა საშუალებებით შეძლო მან ამ ქალაქისა და მასთან დაკავშირებული მოვლენებისთვის მიეცა ესოდენ დიდი მასშტაბები და მიენიჭებინა უკვდავება. რაც მთავარია, რამ განაპირობა ის, რომ ჰომეროსის მიერ აღწერილ ქალაქსა და ომს, მეცნიერებაში მიმ-

დინარე დისკუსიებისაგან დამოუკიდებლად, კაცობრიობა ანტიკურობიდან მოყოლებული აღიქვამს არა როგორც ზღაპარს, მითოლოგიური აზროვნების ან ფანტაზიის ნაყოფს, არამედ როგორც რეალობას, რომელიც თავისი დამაჯერებლობით ბევრად აღემატება ისტორიული ანალების სარწმუნოებას. ჩვენ შევეცდებით, წარმოვაჩინოთ, თუ როგორ ახერხებს ჰომეროსი მის ხელთ არსებული არცთუ უხვი ინფორმაციის გამოყენებით შექმნას ტროასა და მასთან გამართული ომის სრულყოფილი მითოპოეტური სურათი, „ალადგინოს“ ტროელთა წარსული, ომისდროინდელი ანმყო და მომავალი, წარმოგვიდგინოს დიდებული ქალაქი ერთობ შთამბეჭდავად და მრავალმხრივად და, ამასთანავე, იყოს სავსებით დამაჯერებელი, ეხმიანებოდეს გეოგრაფიულ თუ ისტორიულ რეალობებს.

ისტორიული და მითოლოგიური ელემენტები ტროას მეფეთა გენეალოგიაში

ტროას ჰომეროსისეულ აღქმაზე წარმოდგენის შესაქმნელად ერთ-ერთი საკვანძო ადგილი უჭირავს „ილიადაში“ მოცემულ გენეალოგიურ ნუსხებს, უპირველეს ყოვლისა კი, ტროელ მმართველთა ვრცელ ჩამონათვალს.

ჰომეროსთან, როგორც ცნობილია, არაერთი გენეალოგიური ნუსხაა წარმოდგენილი. მაგალითად, „ილიადის“ VI სიმღერაში გლავკოსი დიომედეს საკმაოდ ვრცლად უამბობს თავისი წინაპრების შესახებ (VI.152-206). ამ სიტყვის მიხედვით გლავკოსის გენეალოგიური ხე ასე გამოიყურება: სიზიფოსი/გლავკოსი/ბელეროფონი/ჰიპოლოქოსი/და თავად გლავკოსი. ანუ, ამ შემთხვევაში პოეტი წინაპართა ოთხი თაობით შემოიფარგლება. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ნუსხაა და მეტ ინფორმაციას მოიცავს, ვიდრე სხვა გენეალოგიური სიები, რომელსაც ჰომეროსი გვაძლევს.

მაგალითად, „ოდისეაში“ ათენა ოდისევსს შემდეგს უამბობს ალკინოოსის წინაპრების შესახებ:

VII.56-66.

ნავსითოოსი მინისმრყეველმა პოსეიდონმა
შვა პერბოასგან, ქალთა შორის საუკეთესოსგან,
[ვინც იყო] უმცროსი ქალიშვილი უდიდესი ევრიმედონტის,
რომელიც სულით ძლიერ გიგანტებზე მეფობდა.
მაგრამ მან დალუპა ის უგუნური ხალხი, თავიც დაილუპა.
მას შეერწყა პოსეიდონი და წარმოშვა ბავშვი,
სულით ძლიერი ნავსითოოსი, ვინც განაგებდა ფეაკებს.
ნავსითოოსმა კი შვა რექსენორი და ალკინოოსი,
ხოლო რექსენორს, დანყველილს აპოლონისგან,
ვერცხლისმშვილდიანისგან, ერთი შვილი დარჩა –
არეტე. ალკინოოსმაც ის მოიყვანა ცოლად.

ამგვარად, ფეაკების მმართველთა ე.წ. პატრილინეარული (ტერმინის განმარტებისთვის იხ: 24, 332) გენეალოგიური ნუსხა „ოდისეის“ მიხედვით ასე გამოიყურება: ნავსითოოსი/ალკინოოსი. ხოლო ალკინოოსის ე.წ. მატრილინეარული (იხ. იქვე, 331) გენეალოგიის ნუსხა ამგვარია: პოსეიდონი – პერიბოა (ევრიმედონტის ასული) → ნავსითოოსი + უცნობი ქალი → (ალკინოოსი+არეტე (რექსენორის ასული, ანუ ალკინოოსის ბიძაშვილი).

როგორც ვხედავთ, ჰომეროსთან წარმოდგენილი გენეალოგიური სიები შემოიფარგლება ყველაზე მეტი, ოთხი თაობით და არ მიდის უფრო შორს. ამ თვალსაზრისით ამკარად გამოირჩევა ტროელ მმართველთა გენეალოგია.¹

„ილიადის“ XX 200-258 სტრიქონებში ენეასი სიტყვით მიმართავს აქილევეს ორთაბრძოლის წინ. ამ სიტყვაში ჩართულია ე.წ. გენეალოგიური პასაჟი, რომელშიც ენეასი ტროელთა სამეფო დინასტიას წარმოადგენს. ენეასის ამ სიტყვას, ისევე, როგორც თავად ენეასის „ილიადაში“ წარმოდგენილ სახეს, ზოგიერთი ჰომეროლოგი ინტერპოლაციის ნაყოფად მიიჩნევს (45, 65 შმდ.).

ზოგნი ფიქრობენ, რომ ამ სიტყვაში ინტერპოლაციად მხოლოდ გარკვეული პასაჟები უნდა ჩავთვალოთ, მათ შორის ენეასის მიერ წარმოდგენილი გენეალოგიური ნუსხაც. თუმცა დ. ლომანი შეეცადა, ეჩვენებინა, რომ მთელი ეს სიტყვა აგებულია კომპოზიციური ორგანიზაციის იმ პრინციპებზე, რომლებიც სწორედ ჰომეროსის ეპოსისთვისაა დამახასიათებელი (200, 91 შმდ.). გარდა ამისა, ლომანი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ თავისი აგებულებით ენეასის სიტყვა გარკვეულად ეხმიანება „ილიადის“ VI.151-211 ეპიზოდს, ანუ გლავკოსის სიტყვას.

როგორც რ. გორდეზიანის მიერ ჩატარებულმა „ილიადის“ სტრუქტურულმა ანალიზმა აჩვენა, ენეასის და აქილევესის ორთაბრძოლის სცენა სტრუქტურულად მიმართებას გვაჩვენებს პანდაროს-ენეასისა და დიომედეს შებრძოლების სცენასთან. ყოველივე

¹ შმდ. 228, 284 შმდ. ვარაუდობს, რომ დიოდოროსის IV.75 1 შმდ. გათვალისწინებით ამ ნუსხის კიდევ სულ ცოტა, ერთი თაობით გავრცობა შეიძლება.

ეს მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ ჩვენთვის საინტერესო მთელი სცენა და მათ შორის ენეასის სიტყვაც „ილიადის“ ორგანული ნაწილია (77, 58 შმდ.).

რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ ენეასის ვრცელი სიტყვის ზოგიერთი მონაკვეთი შეიძლება მართლაც იყოს ინტერპოლაციის ნაყოფი. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ ეხება თავად გენეალოგიის გადმომცემ სტრიქონებს.

მოვიყვანოთ ენეასის სიტყვის ე.წ. „გენეალოგიური მონაკვეთის“ სტრიქონთარგმანი:

XX.215-240

პირველი, დარდანოსი, შვა ღრუბელთმპყრობელმა ზევსმა.

(მან) დააარსა დარდანია, მაშინ წმინდა ილიონი ჯერ არ იყო აშენებული დაბლობზე, მოკვდავთა ქალაქი.

არამედ სახლობდნენ წყაროებით მდიდარი იდას მთის წინ.

დარდანოსმა შვა ძე – მეფე ერიხთონიოსი,

რომელიც უმდიდრესი გახდა მოკვდავთა შორის.

სამი ათასი ცხენი ემწყემსებოდა ტენიან დაბლობზე –

ფაშატები, მკვირცხლ კვიცებს რომ ანონებდნენ თავს.

ბორეასი ვნებით აინთო, საძოვრებზე რომ იყვნენ გაშლილი, მუქფაფრიანი ცხენით გვერდით გაიელვა.

დამაკებულებმა, შვეს თორმეტი კვიცი.

რომ მიქროდნენ ხორბლის ყანებში,

ღვთაებრივი თავთუხების თავებს არ თქერავდნენ,

არამედ, როცა მიქროდნენ ზღვის ფართო ზედაპირზე,

ტალღოვანი, ქაფიანი ზღვის თავზე აპობდნენ სივრცეს.

ერიხთონიოსმა შვა ტროსი – ტროელთ მეუფე.

ტროსმა კი სამი სახელოვანი ძე წარმოშვა.

ილოსი, ასარაკოსი და ღვთისსადარი განიმედეგი

რომელიც მოკვდავ ადამიანებში ულამაზესი იყო.

ის ღმერთებმა აიყვანეს ზევსის მერიქიფედ

ამ სილამაზის გამო, რათა უკვდავთა შორის ეცხოვრა.

ილოსმა კი შვა სახელოვანი ძე – ლაომედონი,

ლაომედონმა შვა: ტითონოსი, პრიამოსი,
ლამპოსი, კლიტიონი და ჰიკეტაონი – არესის შთამომავალი.
ასარაკოსმა – კაპისი, მან – ანქიზესი შვა.

მე მშვა ანქიზესმა, ხოლო პრიამოსმა – ჰექტორი, ღმერთისა-
დარი.

ეს არის წარმოშობა და ჯიში, რასაც ვაცხადებ“.

ჰომეროსის ეპოსში არაერთი მონაცემია, რომელიც ამ ნუსხის
შევსების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, შორს რომ არ წავიდეთ,
პრიამოსი თავის ცნობილ სიტყვაში აქილევსისადმი – XXIV.486-506
– აღნიშნავს, რომ მრავალი ცოლისგან ჰყავდა 50 ძე. მართალია,
„ილიადაში“ არ არის ნახსენები ყველას სახელი, მაგრამ მოქმედე-
ბაში პრიამოსის სხვა შვილებიც არიან ჩართულნი, ჰექტორისა და
პარისის გარდა. XXIV.249-251 – ჰელენოსი, აგათონი, პამონოსი, ან-
ტიფონოსი, პოლიტესი, დიოსი, დეიფობოსი, ჰიპოთოოსი. ზოგი და-
ლუპულა: XXIV.257 – მესტორი XXII.46 – ლიკაონი და პოლიდოროსი.

ასევე, ყურადღებას იქცევს ის, რომ „ილიადაში“ წარმოდგენილი
ინფორმაციის მიხედვით, თუ არ ჩავთვლით ჰეკაბეს და აფროდი-
ტეს, ფაქტობრივად იგნორირებულია „დედების წვლილი“ ტროელ-
თა სამეფო გენეალოგიაში.


თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ჰომე-
როსთან ტროელთა კატალოგში მოხსენიებულია ბატიას საფლავი.
იქვე მინიშნებულია, რომ ის უძველესი დროიდან არსებობდა და
გარკვეული შეუთანხმებლობაც იყო იმაზე, თუ ვისი იყო ეს საფ-
ლავი:

II.811-814.

არის ქალაქის წინ მაღალი ბორცვი,
დაბლობიდან მოშორებით, მომრგვალებული აქედან და იქიდან,
მას ადამიანები ბატიას [საფლავს] უწოდებენ,
ღმერთები კი – ფეხმსუბუქი მირინეას.

ჰომეროსი არ ამბობს, ვინ არის ბატია, უფრო გვიანდელი წყა-
როებიდან კი ვიცით, რომ ის დარდანოსის ცოლია. ფაქტია, რომ

იმ ვერსიით, რომლითაც ამ საფლავს ბატეიას მიაკუთვნებდნენ, იგულისხმებოდა, რომ ეს ქალი მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა ტროელთათვის. შემდგომი დროის წყაროების მიხედვით, ის არის ტროადის უძველესი მეფის, ტევკროსის ასული, რომელიც ამ უკანასკნელმა აქ გადმოსახლებულ დარდანოსს მიათხოვა ცოლად. ამდენად, საფიქრებელია, რომ თუკი ჰომეროსისთვის ცნობილი იყო ტევკროსის ვერსია, იგი შეგნებულად ჩქმალავს მას, რათა დარდანოსის, როგორც აბსოლუტური ეპონიმის როლი უფრო მკაფიოდ წარმოაჩინოს.² ტევკროსის და ტევკრების მოსახლეობის საკითხს ქვემოთ უფრო ვრცლად განვიხილავთ. როგორც ჩანს, ამ ხარვეზის შევსებას საკმაოდ ადრე შეეცადნენ ბერძენი პოეტები, შემდეგ კი – მითოგრაფოსები, რამაც ბერძნულ ტრადიციაში ტროელთა დინასტიის საკმაოდ სრულყოფილი სქემის შექმნამდე მიგვიყვანა. ეს სქემა ასე გამოიყურება:³



² ტევკროსის ადგილისათვის ტროას მმართველთა გენეალოგიურ ნუსხაში შდრ. 228, 294 შმდ.

მთავრული ასოებით ვიძღვევით ჰომეროსთან დადასტურებულ სახელებს, ხოლო მხედრულით – იმ სახელებს, რომლებიც სხვა წყაროებიდანაა ცნობილი.

ადვილი შესამჩნევია, რომ ჰომეროსისგან განსხვავებულ, ანუ დამატებით შეტანილ სახელთა დიდი ნაწილი ე.წ. მეტყველ სახელებს წარმოადგენს და აშკარად ბერძნული წარმომავლობისაა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათი გამოჩენა გენეალოგიურ ნუსხაში უკვე ბერძენი პოეტების ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს. (სრული გენეალოგიური სქემებისთვის შდრ. 212).

რაც შეეხება თავად ჰომეროსთან დადასტურებულ გენეალოგიას, აქ უპირატესობა იმ ხაზს ენიჭება, რომლის წარმომადგენლებიც ტროელთა მმართველებად მოიაზრებოდნენ. და მართლაც, ხომ არ ეყოლებოდათ თითო-თითო შვილი ჯერ დარდანოსს, ხოლო შემდეგ ერისთონიოსს, თითო შვილის ტენდენცია იმ შემთხვევაში იცვლება, როდესაც ტროელთა დინასტიის რომელიღაც მმართველის რამდენიმე შვილი არის საკმაოდ ცნობილი მითოპოეტურ ტრადიციაში, ან თუ მათი მოხსენიება თავად ენეასის სიტყვის მიზანდასახულობიდან გამომდინარეობს. მაგალითად, ტროსის შვილებად მოხსენიებულნი არიან: ილოსი – მმართველი, განიმედესი – მან ბინა თავად ოლიმპოსზე დაიდო, ასარაკოსი – ის, თავის მხრივ, ენეასის შტოსთანაა დაკავშირებული.

ტროელთა ექვსი მმართველიდან ორის სახელი – ერისთონიოსი და ლომედონი აშკარად მეტყველ სახელთა რიგს განეკუთვნება და მათი ბერძნული ეტიმოლოგია ეჭვს არ იწვევს (თუკი ისინი ელინიზებული აღმოსავლური სახელები არ არიან).

ამ გენეალოგიურ ნუსხაში პრიამოსისა და მისი მემკვიდრეების, ასევე, იმ პირების გარდა, რომლებსაც ბერძნული სახელები აქვთ, ყველანი ეპონიმებად გვევლინებიან. მათი სახელები თავად მხარის (ქვეყნის) თუ მისი დასახლებების სახელწოდებებთანაა მიმართებაში.

დავინწყოთ დარდანოსით. ამ ნუსხაში მას ყველაზე საპატიო ადგილი უჭირავს, რაც განმტკიცებულია ჰომეროსის ეპოსის სხვა მონაცემებითაც: დარდანნიდად, ანუ დარდანოსის შთამომავლად ითვლება არა მხოლოდ ყველა ტროელი მეფე, არამედ დარდანელებად ჰომეროსი ტროადის მცხოვრებლებსაც მოიხსენიებს. ხშირია ასე-

თი მიმართვა ჯარისადმი როგორც ჰექტორის, ასევე სხვა ტროელი გმირების მიერ: – ტროელებო, დარდანელებო, მოკავშირეებო (77). რაც შეეხება ამ სახელწოდებების ნიუანსირებას, მათ გამოყენებას განსაზღვრულ კონტექსტში, ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. ამჯერად კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეთნიკური სახელი – დარდანელი უძველეს ეპონიმთან ან მის სახელთან დაკავშირებულ მხარესთან – დარდანიასთან – არის მიმართებაში.

რაც შეეხება მეორე ეთნიკურ სახელს – ტროელები – იგი დაკავშირებულია არა ტროსთან, არამედ ქალაქის სახელწოდებათან – ტროა. თუმცა, სავსებით ნათელია, რომ ტროსს აშკარა მიმართება აქვს თავად ქალაქის სახელწოდებასთან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰომეროსი პირდაპირ არსად არ გვაუწყებს, რომ ქალაქი ტროა ტროსმა დააფუძნა. არ გვიდასტურებს ამას არც ერთი სხვა ბერძნული წყარო(308).

ჰომეროსს არც ილოსის შემთხვევაში არა აქვს პირდაპირი მინიშნება, რომ ის იყო ქალაქის დამფუძნებელი, მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მასზე „ილიადა“ გაცილებით უფრო მეტ ინფორმაციას გვანვდის.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რას ეყრდნობა და რას ასახავს ჰომეროსთან წარმოდგენილი ტროას მმართველთა გენეალოგია, რომელიც, აშკარაა, რომ ყველა შემდგომი წყაროსთვის ამ ქალაქის მეფეთა წინაპრებზე მსჯელობისას ამოსავალი იყო. იმისათვის, რომ ამ საკამათო საკითხთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება ჩამოვყალიბოთ, საჭიროდ მიგვაჩნია ამ ნუსხაში ჩამოთვლილ თითოეულ საკვანძო ფიგურაზე შევჩეროთ ყურადღება.

ტროელთა გენეალოგიაში თავისი მნიშვნელობით გამორჩეული ფიგურა დარდანოსია. არ არის შემთხვევითი, რომ მასზე ყველაზე მრავალფეროვანი და ხშირად ერთმანეთის საპირისპირო ცნობები მოგვეპოვება. დარდანოსის მნიშვნელოვნებას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს:

1. ღვთაებრივი წარმომავლობა (ზევის ძეა).

2. ის არის არა მხოლოდ ქალაქის დამაარსებელი (არ იგულისხმება ტროა), არამედ, არსებითად, მთელი ქვეყნის თუ სახელმწიფო გაერთიანების შემქმნელი.

3. მასთან არის დაკავშირებული მთელი მხარის მოსახლეობის სახელწოდება. მართალია, ეთნონიმის შემთხვევაში დარდანელეების ალტერნატივა შეიძლება იყოს ტროელები, მაგრამ ცნება – დარდანელები აშკარად უფრო მეტს მოიცავს.

რამდენადაც ამ მხარის ისტორია, ბერძნული ტრადიციის მიხედვით, დარდანოსიდან იღებს დასაბამს, ბუნებრივია, მის სახეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მითოლოგიური კონტექსტი აქვს. დავინწყით მისი წარმოშობით – ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დარდანოსი მოიხსენიება ზევსის ძედ და ამაში არც ერთ წყაროს არ შეაქვს ეჭვი. იგულისხმება, რომ ჰომეროსისთვის დარდანოსის დედა არის მოკვდავი ქალი, რადგან ღმერთის ძე სხვაგვარად მოკვდავი ვერ იქნებოდა. გვიანდელი წყაროები ამ ქალს ელექტრად მოიხსენიებენ (2, III, 12).

თუკი მშობლების საკითხში ერთსულოვნება სუფევს და ამაში მთავარი „ბრალი“ ჰომეროსს მიუძღვის, სამაგიეროდ, დიდია აზრთა სხვაობა, თუ საიდან და რა გარემოებაში მოვიდა დარდანოსი ტროადაში. ამის შესახებ არსებობს რამდენიმე ვერსია (შდრ. 258):

1. დარდანოსს ადგილობრივი წარმომავლობა აქვს. ეს დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ჰომეროსის ეპოსიდან: პოეტი არსად არ ამბობს, რომ დარდანოსი საიდანმე გადმოსახლდა ტროადაში. ბუნებრივია, ჰომეროსს რომ ჰქონოდა ცნობა ამის შესახებ, იგი ამ მომენტს არ დატოვებდა უყურადღებოდ. მის ეპოსში დარდანოსის არაადგილობრივ წარმოშობაზე არავითარი მინიშნება არ გვაქვს. ზოგიერთი უფრო გვიანდელი წყარო კი მოგვითხრობს, რომ დარდანოსმა მიიწვია ტრეკროსი ფრიგიაში და ითხოვა მისი ასული (12. 573 და 16, 13. 597-623). ეს წყაროები, აქედან გამომდინარე, ადასტურებენ დარდანოსის ადგილობრივ წარმოშობას.

2. დარდანოსი სხვა რეგიონიდან გადმოსახლდა. ამაზე რამდენიმე ვერსია არსებობს:

ა) დარდანოსი წარმოშობით სამოთრაკედანაა.

აპოლოდოროსის მიხედვით, დარდანოსი სამოთრაკედან წამოვიდა და მოპირდაპირე მატერიკზე, ტევკრებთან დასახლდა (2. III. 12). დიოდორე სიცილიელი გვაუწყებს, რომ სამოთრაკელი ძმები – ისიონი და დარდანოსი კაბირები იყვნენ (3. 16. 25. 28.). დარდანოსის ძმას ეხება სამოთრაკიული ინიციაციური რიტუალი, რომელიც კუნძულ სამოთრაკეზე ანტიკური ხანიდან არსებობდა (216). სხვა გადმოცემის თანახმად, დარდანოსი არკადიის მეფე იყო (16. 8. 3. 19.) და წარღვნის შემდეგ გადაიყვანა მოსახლეობის ნაწილი კუნძულ სამოთრაკეზე. უფრო მეტად კი ის ვერსიაა გავრცელებული, რომ, პირიქით, დარდანოსი სამოთრაკეზე მომხდარი კატაკლიზმების შემდეგ გაბერილი ტიკებით მოვიდა იდას მთამდე თავის ხალხთან ერთად.

ბ) დარდანოსი კრეტიდან წამოვიდა.

ფაქტობრივად, ეს ვერსია ეფუძნება შედარებით გვიანდელ წყაროებს და გარკვეულ ირიბ მონაცემებს. მაგალითად, სერვიუსი „ენეიდის“ III.167-ის კომენტარებში მიგვითითებს: სხვანი კრეტელს ამბობენო („ენეიდის“ ამ მონაკვეთში კი საუბარია დარდანოსის იტალიურ წარმომავლობაზე; იხ. ქვემოთ, აქვე).

როგორც ჩანს, ასეთი ტენდენცია გამოიკვეთა ძირითადად არაბერძნულ წყაროებში. სავსებით გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კრეტული და ტროადული გეოგრაფიული სახელწოდებების მსგავსებას: იდა – პერგამოსი – დიქტე – პიტნა და სხვ. ამის ირიბ დასტურად უნდა ჩავთვალოთ სტრაბონის ცნობა (16. X. 472.), რომ კურეტები და დაქტილები პოეტ ფორონის მიერ ფრიგიელებად ყოფილან გამოცხადებულნი. გ) დარდანოსი წარმომავლობით იტალიიდანაა.

ვერგილიუსი „ენეიდაში“ ამბობს, რომ დარდანოსი ჰესპერიაში, ანუ იტალიაში დაიბადა, სადაც ენოტრელები ცხოვრობდნენ (19. III. 163-169.) ლიკოფრონის კომენტატორი ქალაქ დარდანისა ცი კი ასახელებს იტალიაში (18, 1129.). ცნობილია, რომ დარდანოსის შთამომავალი, ენეასი იტალიის ტერიტორიაზე დასახლდა და საფუძვე-

ლი დაუდო ამ მხარის მმართველთა დინასტიას. მითის იტალიური ვერსია კი, ფაქტობრივად, ამტკიცებდა, რომ ენეასი სამშობლოში დაბრუნდა.

დარდანოსის შემდეგ ტროას მართავს მისი ძე – ერიხთონიოსი. მის შესახებ ნყაროებში ყველაზე მწირია ცნობები. ჰომეროსიც მხოლოდ ორჯერ ახსენებს, ერთსა და იმავე პასაჟში – XX.219 და 230-ში – როგორც დარდანოსის ძეს და ტროსის მამას. ერიხთონიოსი გამორჩეულია თავისი სიმდიდრით:

XX.219-20.

დარდანოსმა შვა ძე – მეფე ერიხთონიოსი,
რომელიც გახდა უმდიდრესი მოკვდავთა შორის.

თუმცა, როგორც ჩანს, ერიხთონიოსი მოიაზრება იმ მეფედ, რომლის დროსაც ტროა ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული. დარდანოსის სახელი ჰომეროსის მიხედვით ტროელთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო, ისინი მასთან გარკვეულწილად საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენდნენ, თვითსახელწოდებაში მის სახელს ინახავდნენ და ტროაშიც კი იყო მისი სახელობის კარიბჭე. ხოლო, მიუხედავად ერიხთონიოსის აუნერელი სიმდიდრისა, ჰომეროსის მიხედვით ტროაში მისი მეფობის ამრეკლავი არავითარი მნიშვნელოვანი კვალი თუ სიმბოლო არ იყო შემორჩენილი.

ეს გარემოება, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ ერიხთონიოსი გენეალოგიურ ნუსხაში შედარებით გვიან გაჩნდა. რეალურად მასთან ტროადისათვის მნიშვნელოვანი არც ერთი „ისტორიული“ მომენტი არ იყო დაკავშირებული. შედარებით ვრცელი თხრობა მის აუნერელ სიმდიდრესა და ცხენებზე, როგორც ჩანს, ამ ინფორმაციული ხარვეზის შევსების ერთგვარი ცდა უნდა იყოს. მისი აურაცხელი სიმდიდრის დასასაბუთებლად ჰომეროსს ერთადერთი არგუმენტი მოჰყავს, რაც ცხენებთანაა დაკავშირებული. ისიც, ყურადღება გადატანილია მითოლოგიური ხასიათის ინფორმაციაზე, რომლის მიხედვითაც ამ ცხენებმა ბორეასთან კავშირის შედეგად არაჩვეულებრივი თვისებების მქონე კვიცები შეეს. ერიხთონიოსის

ნუსხაში გვიან შეტანის ვარაუდს თავად დარდანოსის ძის სახელის საკვებით გამჭვირვალე ეტიმოლოგიაც ადასტურებს.⁴

პირველი ფიგურა გენეალოგიურ ნუსხაში, რომელიც შეიძლება ტროას რეალურ ეპონიმად მივიჩნიოთ, არის ტროსი. თუმცა, არც ერთი წყარო პირდაპირ არ მიგვითითებს, რომ ტროსმა დააარსა ტროა. თავად ტროას დაარსების ფაქტი თითქოს ჰომეროსისთვისაც და სხვა წყაროებისთვისაც შეუმჩნეველი რჩება. მაგრამ უცილობელი ისაა, რომ ქალაქი დარდანოსის ან ერიხთონიოსის შემდეგ უნდა დაარსებულიყო. შეიძლება დავუშვათ, რომ ტროსი თუ ქალაქის დამაარსებელი არა, მხარისათვის სახელის მიმცემი მაინც არის, რამდენადაც ტროა და ტროადა ერიხთონიოსის ძის სახელთან გვიჩვენებს მიმართებას. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ ერთგვარ უხერხულობას ჰომეროსის შემდგომი ბერძენი ავტორები გრძნობდნენ და ცდილობდნენ, ერთგვარი ახსნა მოენახათ ამ მოვლენისთვის.

ტროსის შესახებ გვაქვს აპოლოდოროსის ცნობა, რომ მისი სახელის მიხედვით რეგიონს დაერქვა ტროა, ხოლო ხალხს – ტროელები (2. III. 12). რა თქმა უნდა, ნაკლებ დასაჯერებელია, რომ ტროსს ასეთი პატივი რეგებოდა რაღაც მნიშვნელოვანი წვლილის გარეშე და, გარკვეულწილად, თავად დარდანოსის კონკურენტი გამხდარიყო. უფრო სავარაუდოა, რომ მისი სახელი უკავშირდებოდეს რაღაც საგულისხმო ეტაპს ამ რეგიონის მოსახლეობის ცხოვრებაში.

ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ყველაზე ლოგიკური ჰომეროსის შემდგომი ბერძნული ტრადიციისთვის ამგვარი სქემა აღმოჩნდა: დარდანოსი მთელი ქვეყნის ეპონიმია, ტროსი – ტროადის. ამასთანავე, მისი შვილის – ილოსის მიერ ქალაქის დაარსების შემდეგ მან შვილთან გაიყო ტროას ეპონიმობის პატივი.

ილოსი. ტროას მეფეთა ჩამონათვალის (XX.232-236) გარდა „ილიადაში“ კიდევ ოთხჯერ არის ნახსენები ტროა/ილიონისთვის თვალსაჩინო სიმბოლოდ ქცეული ილოსის საფლავი.

⁴ Ἐριχθίνιος—ἔρι- და χθίν- მინა.

XI. 166-167.

ისინი მოხუცი დარდანიდი ილოსის საფლავისკენ, ლეღვის ხისკენ მიისწრაფოდნენ შუა დაბლობიდან.

X. 415-416.

[დარჩა] ჰექტორი მათთან, სადაც მრჩეველები იყვნენ, გადანყევტილებზე თათბირობდნენ ღვთაებრივი ილოსის საფლავთან.

XI. 371-372.

დაიხია საფლავის ხელნაკეთ ნიშანთან
დარდანიდი ილოსის, ძველი დროის უხუცესის.

XXIV. 349.

ისინი კი ილოსის საფლავის დიდი ნიშნის იქით წავიდნენ.

ჰომეროსის მიერ ილოსის საფლავის ასე გამოყოფა და მისი, როგორც სიმბოლოს ხსენება, შეიძლება, იმაზე მიგვანიშნებდეს, რომ პოეტი ილოსს თვლიდა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ფიგურად ტროასთვის. ბერძნულმა ტრადიციამაც, როგორც ჩანს, ამიტომ აირჩია იგი ქალაქის დამაარსებლად. ამით მოიძებნა გამოსავალი ჰომეროსთან ორი ეპონიმის, ქალაქის ორი სახელწოდების არსებობის შედეგად წარმოქმნილი ერთგვარი ჩიხიდან. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს პრობლემა დღემდე არაა საბოლოოდ გადაჭრილი. (ილიონის დაარსების ამბის მიმართებისათვის მითორიტულურ მოდელებთან შდრ. 25ა, 257შმდ)

აპოლოდოროსთან გვაქვს ტროას ეპონიმის უფრო ადრე გადაწვევის ცდა გენეალოგიურ ნუსხაში. ამისათვის მას ტროელ მმართველთა სიაში შემოჰყავს დარდანოსის უშვილო ძე – ილოსი. თუმცა, ამავე დროს იგივე აპოლოდოროსი ტროას დაარსების ამბავს სწორედ ტროსის შვილთან, ჰომეროსისეულ გენეალოგიაში მოხსენიებულ ილოსთან აკავშირებს: აპოლოდოროსი გვიამბობს, რომ ფრიგიის მეფემ ილოსს აგონში გამარჯვების აღსანიშნავ ჯილდოდ მისცა 50 ჭაბუკი, ამდენივე ქალიშვილი და ჭრელი ძროხა. ორაკულის თანახმად, სადაც ეს ძროხა შეისვენებდა, ილოსს იქ უნდა

დაეარსებინა ქალაქი. ძროხამ ფრიგიაში, ატას მთასთან შეისვენა. მეორე დღეს ზევსმა ილოსს ნიშანი – პალადიონი მოუვლინა, რომ ქალაქი ნამდვილად უნდა აშენებულიყო და ილოსმაც აქ დააფუძნა ტროა (2. IV. 75).

საინტერესოა, რომ უკვე თავად ჰომეროსთან ეს ორი სახელი – ილიონი და ტროა – სინონიმებად გვევლინება. ილიონი 106-ჯერაა ნახსენები „ილიადაში“, ხოლო ტროა – 53-ჯერ. ჰომეროსი არ ამახვილებს ყურადღებას ეტიოლოგიურ აპსექტებზე, სამაგიეროდ, ბუნებრივია, ბერძნული წყაროები ტროას დაარსების ფაქტს ახსნის გარეშე ვერ დატოვებდნენ.

ფაქტობრივად, ილოსზე წყდება ეპონიმთა სია, რადგან მისი ძე – ლაომედონი და ლარმედონის შვილი – პრიამოსი არ არიან დაკავშირებულნი არც ქალაქის, არც მხარის სახელწოდებასთან. თუმცა, ჰომეროსი ტროას ხშირად უწოდებს პრიამოსის ქალაქს. ამის შესახებ ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება საუბარი.

„ილიადის“ მიხედვით, ტროას მეფეთა გენეალოგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ილოსის შვილს – ლაომედონს. შეიძლება ითქვას, რომ თუკი „ილიადაში“ უშუალოდ მოქმედ ტროას მეფეთა დინასტიის შთამომავლებს არ ჩავთვლით, ამ ნუსხიდან ჰომეროსი ყველაზე მეტ ინფორმაციას სწორედ ლაომედონის შესახებ გვანვდის. პოეტი თითქმის ყველა იმ მომენტზე მიგვანიშნებს, რამაც შემდგომ ავტორებთან ლაომედონთან დაკავშირებით ესოდენ შთამბეჭდავი გავრცობა ჰპოვა. შესაბამისად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჰომეროსი მეტწილად ინფორმირებული იყო ტრადიციაში შემონახული იმ მომენტების შესახებ, რომლებიც მასთან ზოგჯერ მხოლოდ მინიშნებითაა წარმოდგენილი.

ის ფაქტი, რომ ლაომედონთან დაკავშირებით ჰომეროსი ზოგან ვრცლად მოგვითხრობს, ზოგან კი მხოლოდ მინიშნებით იფარგლება, პოეტური ჩანაფიქრის გარდა, ალბათ, იმითაც აიხსნება, რომ ზოგჯერ თავად პოეტი გვევლინებოდა ლაომედონის მითის შემქმნელად თუ გარდამქმნელად.

„ილიადაში“ ლაომედონის შესახებ მოცემული ინფორმაცია მრავალფეროვანი და ხშირად წინააღმდეგობრივია, რომ აღარაფერი

ვთქვათ შემდგომი დროის ბერძნულ ნყაროებზე. სრული საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ მისი შეყვანა ტროას მეფეთა დინასტიურ ნუსხაში, შესაძლოა, უკვე ჰომეროსამდე, მაგრამ ბერძნულ ტრადიციაში შედარებით გვიან უნდა მომხდარიყო. უპირველეს ყოვლისა, ამაზე მიგვანიშნებს მისი სახელი – ესოდენ გამჭვირვალე ბერძნული ეტიმოლოგიით.⁵ საეჭვოა, რომ ტროელთა მეფეს, პრიამოსის მამას, ასეთი ტიპიური ბერძნული სახელი რქმეოდა. გარდა ამისა, ყურადღებას ის გარემოებაც იქცევს, რომ როდესაც პრიამოსს წინაპრის სახელით მოიხსენიებენ (“ილიადაში” კი ამ დროს, ჩვეულებრივ, მამის სახელი გვხვდება სხვა გმირების შემთხვევაში), ტროელთა მეფე მხოლოდ ერთხელაა მოხსენიებული ლაომედონის ძედ – Λαομεδονιάδη (9. III. 250), ხოლო ათჯერ – დარდანიდად (9, III,303; VII..366; XXII. 352; XXIV. 629; V. 150; XXI. 34; XIII. 376; XXIV. 171; 354; 631).

საეჭვოა, თუკი იარსებებდა ძველი ტრადიცია იმის თაობაზე, რომ პრიამოსი ლაომედონის ძეა, მისი მოხსენიება მამის სახელით, ანუ ლაომედონტიდად ესოდენ იშვიათი ყოფილიყო. ჰექტორი ხომ პრიამოსის ძედ სისტემატურად იწოდება. ასევე პრიამიდეზად იხსენიებს ჰომეროსი პრიამოსის სხვა ძეებსაც. ჰექტორი „ილიადაში“ 25-ჯერ იხსენიება პრიამიდად. ასევე პრიამიდეზად იწოდებიან: ანტიფოსი – IV.489, ჰელენოსი – XIII.586, დეიფობოსი – XIII.157, დორიკლოსი – XI.490, პოლიდოროსი – XX.408, ლიკაონი – XX.87.

ამის ფონზე ის, რომ პრიამოსი ერთხელაა მოხსენიებული მამის სახელით, როგორც ჩანს, აიხსნება თავად ლაომედონის ფიგურის ტროასთან დაკავშირების სპეციფიკით და იმით, რომ თვით ლაომედონი ტროას ომის შემდგომმა ბერძენმა პოეტებმა აქციეს ტროა/ილიონის ომამდელი ისტორიის ერთგვარ სიმბოლოდ. ლაომედონმა მოიცვა ქალაქის ისტორიის ხანგრძლივი პერიოდი, თავისი აღმავლობებითა და დაქვეითებით. ეს სიმბოლო, როგორც ჩანს, თავად ბერძნულ ტრადიციაში ჩამოყალიბდა, როგორც ტროა/ილიონის დაარსების შემდეგ მოქმედი მეფეების ერთგვარი განმაზოგადე-

⁵ λαός, μέγας – ხალხის მმართველი.

ბელი სახე და ამ ქალაქის უკიდურესად ცვალებადი ბედის მაჩვენებელი. ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ტროელ მეფეთა შორის ყველაზე უფრო ვრცელ მითოლოგიურ კონტექსტში სწორედ ლაომედონია მოქცეული. შეიძლება ითქვას, რომ ჰომეროსი ლაომედონის „მოღვაწეობის“ თითქმის ყველა ასპექტს მოიცავს, ან მიგვანიშნებს მათზე.

ამგვარად, ჰომეროსის ეპოსის მიხედვით, ტროელ მეფეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა ლაომედონი უნდა ყოფილიყო. მასზე პოეტი გვანვდის ცნობებს არა მხოლოდ ენეასის სიტყვაში, არამედ „ილიადის“ სხვადასხვა პასაჟშიც. მკვლევარებს ინფორმაციის ეს სიუხვე ზოგჯერ შესაძლებლობას აძლევს, იმაზეც კი ილაპარაკონ, რომ ჰომეროსთან, ფაქტობრივად, ლაომედონის მთელი თავგადასავალია წარმოდგენილი. ჩვენი აზრით, ჰომეროსი მიგვანიშნებს ამ თავგადასავლის ყველა ძირითად ეპიზოდზე, რასაც შემდეგ ეხმიანება სხვა ანტიკური წყაროები (82).

შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ლაომედონის სახე თავად ჰომეროსის ან ჰომეროსამდელი ბერძნული პოეტური ტრადიციის ფანტაზიის ნაყოფია და იგი უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე კონკრეტული მეფის სახე. თავად სახელი – ლაომედონი, როგორც მეტყველი სახელი, მხარს უჭერს ამგვარ დასკვნას. შევეცადოთ, წარმოვადგინოთ ის, თუ რას გვაუწყებს ჰომეროსი ლაომედონის ე.წ. თავგადასავლის ყველა პრინციპულ პუნქტთან დაკავშირებით და ძალზე მოკლედ შევეხოთ იმას, თუ რა განვითარება ჰპოვა ჰომეროსის ინფორმაციამ ანტიკური ეპოქის სხვა ავტორებთან.

1. მშობლები

ჰომეროსი ლაომედონის მშობელთაგან მხოლოდ მამას – ილოსს ასახელებს. უფრო მოგვიანებითი წყაროები კი ილოსის ცოლად და ლაომედონის დედად ევრიდიკეს წარმოგვიდგენენ (2, III, 12.).

2. და-ძმა

არც ჰომეროსთან და არც სხვა წყაროებში მათ შესახებ არ მოგვეპოვება ცნობები.

3. მეუღლეები

ლაომედონის ცოლები არ მოიხსენიებიან „ილიადაში“, თუ არ ჩავთვლით ცნობას, რომ ვილაც ქალმა ლაომედონისგან უკანონოდ შვა ძე – ბუკოლიონი:

VI. 23-24.

ბუკოლონი კი ძე იყო სახელოვანი ლაომედონის, პირველშობილი, უკანონოდ რომ შვა დედამ.

ჰომეროსთან არ არის ნახსენები ამ ქალის სახელი. ხოლო გვიანდელი წყაროები მას სახელს არქმევენ. აპოლოდოროსის მიხედვით, ის ნიმფა კალიბეა(2, II, 146.). მართალია, ჰომეროსი არ ასახელებს ლაომედონის ე.წ. კანონიერ ცოლებს, მაგრამ ის ცნობა, რომ მან უქორწინოდ შვა ბუკოლიონი, იმაზე მიუთითებს, რომ მისი სხვა შვილები, კერძოდ, პრიამოსი, გაჩენილი უნდა ყოფილიყო კანონიერი ცოლისაგან. პრიამოსის დედად სხვადასხვა ქალი სახელდება: პორფირიოსი, ჰელანიკოსზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ პრიამოსის დედა სტრიმოა (7, 137a.). ალკმანი მას უწოდებს ძევექსიპეს (1, წგ. 113). ფერედიკესი კი – ლევეკიპეს (12. წგ. 29). ტითონოსის დედად ლიკოფრონის სქოლიოები ასახელებენ სტრიმოს, ან როიოს – სკამანდროსის ასულს (Schol. Lycophr. 18.) აპოლოდოროსი ამატებს პლაკიას, ოტრევსის ასულს. სკამონთან ტითონოსის დედად სახელდება ტევეკროსის ასული თოოსა (14. წგ. 4).

თუ ტითონოსის და პრიამოსის დედა სტრიმო ან სკამანდროსის ასული როიოა, გამოდის, რომ აქ ლაომედონის ადგილობრივ ღმერთებთან დაკავშირების ცდა გვაქვს.

4. ვაჟები

თავისი წინაპრებისაგან განსხვავებით, ლაომედონი გამოირჩევა უხვშვილიანობით.

ჰომეროსის მიერ „ილიადაში“ დასახელებულია ლაომედონის ვაჟიშვილები. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მისი უფროსი ძის, ბუკოლიონის ამბავი ცალკეა მოთხრობილი VI.23-26 ეპიზოდში. ბუკოლიონი, როგორც ჰომეროსი ამბობს, მწყემსი იყო. მისი სახე-

ლიც პასტორალურია და იმაზე მიგვანიშნებს, რომ ლაომედონის სიმდიდრე (ტროას სხვა მეფეთა მსგავსად), სწორედ ამ საქმიანობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამასვე მიუთითებენ, ალბათ, ის ეპიზოდებიც, სადაც ლაომედონის საოცარ ცხენებზეა საუბარი.

„ილიადაში“ მოხსენიებულნი არიან ლაომედონის სხვა შვილებიც: ტითონოსი, კლიტიოსი, ლამპოსი, ჰიკეტაონი, და, რა თქმა უნდა, პრიამოსი.

ზოგიერთი მკვლევარი ლამპოსსა და ჰიკეტაონში ხედავს ლესბოსთან კავშირს, რაზეც შეიძლება მიგვითითებდეს ლესბოსური კოლონიის – ლამპონიას სახელი.

აღსანიშნავია, რომ „ილიადაში“ პრიამოსი, ლაომედონის ძე, გენეალოგიურ ნუსხაში ტროას მეფეთა შორის დარდანოსიდან მეხუთე თაობაა. ლიკოფრონის სქოლიოები (18, 1341). კასანდრას პაპად ლაომედონის მაგიერ ილოსს მიიჩნევს, რითაც პრიამოსი ერთი თაობით უკან იწევს, ლაომედონი კი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამოვარდნილია დინასტიიდან. ამის მსგავსი ურთიერთშენაცვლებები სხვაგანაც გვხვდება დარდანიდების გენეალოგიაში – განიმედესი არის ტროსის ძე და ასარაკოსის და ილოსის ძმა – ჰომეროსის, აპოლოდოროსის, დიოდოროსის (9, VI. 265; XX. 232; 2, III. 146; 3, IV. 75) და ლიკოფრონის სქოლიოების მიხედვით (Schol. Lycophr., 1232). ხოლო „მცირე ილიადის“, ევრიპიდეს („ტროელები“ – 822, „ორესტე“ – 1377, 1391), ვატიკანის მითოგრაფის (I. 204) და სხვათა მიხედვით, ანტიხესი, ანტენორი და განიმედესი ლაომედონის შვილები არიან. ჰიგინუსი კი განიმედესის მამად ასახელებს ერთგან ასარაკოსს (fab. 224), მეორეგან – ერიხთონიოსს (fab.271).

6. ასულები

„ილიადაში“ არაფერია მოთხრობილი ლაომედონის ქალიშვილებზე, თუმცა უფრო მოგვიანებითი ავტორები გვანვდიან მათ სახელებს და ხშირად მათ ამბებსაც. მაგ: ჰესიონე, რომელთანაც არის დაკავშირებული ცნობილი მითი ურჩხულსა, ჰერაკლესა და ტროას დანგრევაზე. „ილიადის“ XX. 145 ეპიზოდიც შეიძლება გარკვეულ მინიშნებად ჩავთვალოთ იმაზე, რომ ჰომეროსი იცნობს ჰე-

რაკლესთან დაკავშირებულ მითს და მის ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირს – ჰესიონეს. ლაომედონის ქალიშვილები არიან ასევე კილა, ასტიოქე(217, I 499. II 390.), პროკლეია, აიტილა, მედესიკასტე (2. III. 146; VI. 15).

ასტიოქე ცოლად გაჰყვა ტელეფოსს. თუკი ასტიოქეს სახელის წარმომავლობაზე შეიძლება იყოს აზრთა სხვადასხვაობა, ის ბერძნული, თუ ანატოლიური წარმოშობის სახელია, ელინიზებული ტელეფოსი აშკარად ანატოლური წარმომავლობის სახელი უნდა იყოს.⁶ ზოგ წყაროში ვხვდებით ცნობებს, რა დაემართათ ტროას ომის შემდეგ ასტიოქეს, მედესიკასტეს და აიტილას(2, VI. 15, 3.).

ზემოთჩამოთვლილი ასულების გარდა, სხვადასხვა წყაროებში მოხსენიებულნი არიან ლაომედონის სხვა ქალიშვილებიც, თუმცა თითო-თითოჯერ – ანტიგონე ოვიდიუსთან (11. VI.), ანთეია პოლიანოსთან (13, 45, VII. 47.), ასევე დიონისიოს ჰალიკარნასელთან (4. I 62.).

როგორც ვხედავთ, ცნობები ლაომედონის შესახებ ყველაზე მრავალრიცხოვანია ჰომეროსთანაც და სხვა წყაროებშიც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ინფორმაციაში არ ჩანს, რომ ლაომედონის პრიამოსის მამად მიჩნევა ჰომეროსამდელ ტრადიციაში პოპულარული იყო.

ლაომედონის მოღვაწეობა.

შეიძლება ითქვას, რომ, ჰომეროსის მიხედვით, სწორედ ლაომედონის დროს უნდა მისცემოდა ტროას თავისი მნიშვნელობა და მასშტაბები. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა პოსეიდონისა და აპოლონის ეპიზოდები და იმის ჩვენება, რომ სწორედ ლაომედონის დროს ააგო კედლები თვით ისეთმა ღმერთმა, როგორც პოსეიდონია. ბუნებრივია, კედლის აშენება მეტყველებს როგორც თავად პიროვნების, ასევე ქალაქის მნიშვნელოვნებაზე. უნდა ვიფიქროთ,

⁶ მართალია, სახელი ასტიოქე ბერძნულ სტრუქტურას გვიჩვენებს, მაგრამ არ არის გამორიცხული თავად ძმთა ფუძე წინაბერძნულ-ანატოლიური წარმომავლობისა იყოს. შდრ. 62ა, 46შმდ. რაც შეეხება ტელეფოსს, როგორც ფიქრობენ, მის ანატოლიურ ეტიმოლოგიაზე შეიძლება მიუთითებდეს ხეთური მითოლოგიიდან ცნობილი Telepinu. შდრ. 24.

რომ ბევრი ეპითეტი, რომლითაც ტროა მოიხსენიება ჰომეროსთან, სწორედ ლაომედონისეულ ტროას უნდა ეკუთვნოდეს.

ვნახოთ, რა ინფორმაციას გვანდის ჰომეროსი იმ პასაჟებში, სადაც ლაომედონის „აღმშენებლობით“ მოღვაწეობაზეა საუბარი.

ლაომედონი „ილიადაში“ გენეალოგიური ნუსხის გარდა (XX. 236-237.), რამდენჯერმე გვხვდება, მის შესახებ საკმაოდ ვრცელი ამბები და მითოლოგიური ინფორმაციაა გადმოცემული.

„ილიადაში“ პოსეიდონი შეახსენებს აპოლონს, თუ როგორ გატეხა პირი ლაომედონმა. აქ ჰომეროსი გვიამბობს, რომ ზევსის ნებით აპოლონი და პოსეიდონი (მოკვდავთა სახით მოვლენილები), მთელი წელი ემსახურებოდნენ ლაომედონს. პოსეიდონი ტროას უძლეველ კედლებს აგებდა, ხოლო აპოლონი იდას ფერდობზე ლაომედონის ხარებს მწყემსავდა:

XXI. 446-449:

მე ტროელებს ავუგე გალავანი

ფართოდ და განსაკუთრებულად ლამაზად, რათა დაუნგრევე-
ლი ქალაქი

ფოიბოს, შენ კი ზოზინა, რქაგრეხილ ხარებს მწყემსავდი

ტყიანი იდას ოღროჩოღრო კალთებზე.

მაგრამ ლაომედონს დაპირებული გასამრჯელო აღარ გადაუხ-
დია და ღმერთები სასტიკად განურისხებია.⁷

XXI. 451-457

მაშინ ძალით მიითვისა მთელი ჩვენი შრომის დამსახურებული
საზღაური

მრისხანე ლაომედონმა, გაგვაძევა და დაგვემუქრა

შენ დაგემუქრა ხელ-ფეხის ზემოთ

შეკვრით, და მონად გაყიდვით შორეულ კუნძულებზე.

გვარწმუნებდა, რომ ორივეს იარაღით დაგვაჭრიდა ყურებს.

⁷ ოვიდიუსს „მეტამორფოზებშიც“ აქვს აღწერილი ტროას კედლის აშენების შესახებ: 11, XI. 200-220.

ჩვენც უკან დავბრუნდით, განრისხებულნი სულით.

სიტყვაზე აღშფოთებულები, რომ არ შეასრულა დანაპირები.

ამ ამბავს პოსეიდონი „ილიადის“ სხვა ეპიზოდებშიც იხსენებს:

VII. 452-553.

დაივინყებენ, რომ მე და აპოლონ ფოიბოსმა

ბელად ლაომედონს მძიმე შრომით ავეუგეთ გალავანი.

ჰომეროსი ასევე დანვრილებით არ გვიამბობს ლაომედონის მიერ პირის გატეხვაზე, როდესაც მან ჰერაკლესთვის მიცემული პირობა დაარღვია, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ მითსაც იცნობს:

XX. 145-148.

ღვთისდარი ჰერაკლეს გალავნის მაღალი მინაყრილისკენ,

რომელიც ტროელებმა და ათენა პალასმა

შექმნეს, რათა ურჩხულისგან ჩუმად გაქცეულიყო და თავი
ეხსნა,

როცა გამოსდია მან, ხმელეთამდე მისულს.

ამ პატარა ეპიზოდიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰომეროსს უნდა სცოდნოდა მითი ურჩხულის, ჰერაკლესა და ჰესიონეს შესახებ. თუკი სხვა ნყაროებს გავითვალისწინებთ, ეს ამბავი ასე შეიძლება გადმოვცეთ:

ლაომედონის საცქიელით განრისხებულმა პოსეიდონმა ტროას ურჩხული მიუგზავნა. მისნის რჩევით, ურჩხულისთვის ლაომედონის მშვენიერი ასული, ჰესიონე უნდა შეენიერთ. კლდეზე მიჯაჭვული ჰესიონე იხსნა ჰერაკლემ იმ პირობით, რომ ლაომედონი მას მისცემდა იმ ღვთაებრივ ბედაურებს, რომლებიც ზევსმა განიმედესის საფასურად აჩუქა მამამისს, ტროსს. ლაომედონმა მიცემული პირობა არ შეასრულა. განრისხებულმა ჰერაკლემ კი მოგვიანებით ილაშქრა ტროაზე და დახოცა ლაომედონი და მისი ყველა შვილი, ჰესიონეს და პრიამოსის გარდა. ჰესიონემ თავისი მანდილით გამოისყიდა ძმა (2-2, 5, 9. 2, 6, 4. 3, 14, 3-6.).

ლაომედონის თვისებაზე – დაარღვიოს პირობა, ჰომეროსი სხვაგანაც მიგვითითებს, – სარპედონისა და ტლეპოლემოსის დიალოგში. სარპედონი ამბობს, რომ ლაომედონის გამო დალენა წმინდა ილიონი ტლეპოლემოსის მამამ – პერაკლემ:

V. 648-651.

ტლეპოლემოსო, სწორედ მაგან დალუპა წმინდა ილიონი,
სახელოვანი კაცის, ლაომედონის უგუნურებამ,
რომელმაც კეთილად მოსული გააკიცხა ცუდი სიტყვით,
არ მისცა ცხენები, რისთვისაც შორიდან მოვიდა.

პერაკლეს არცთუ მრავალრიცხოვანი ჯარით მოუხერხებია ილიონის/ტროას დანგრევა:

V. 640-642.

რომელსაც აქ მოსვლა განზრახული ჰქონდა ლაომედონის
ცხენებისთვის

მხოლოდ ექვსი ნავით და ცოტა ხალხით.

ილიონი დააცარიელა, ხალხისგან დაცალა.

„ილიადის“ ამ ეპიზოდებიდან კიდევ ერთხელ ხდება ნათელი ისიც, რომ ლაომედონს რაღაც განსაკუთრებული ცხენები ჰყავდა, რის გამოც ტროაში შორიდანაც კი მოდიოდნენ. როგორც ჩანს, ტროას მეფეთა სიმდიდრის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი სწორედ ცხენები იყო.⁸ ლაომედონის ცხენებს ჰომეროსი სხვაგანაც ახსენებს („ილიადა“, X.269; XXIII.348.).

მითის იმ მონაკვეთებში, რომლებსაც ჰომეროსი და სხვა ავტორები გადმოგვცემენ, კარგად ჩანს, რომ ლაომედონი ღმერთებთან და ნახევრადღმერთებთან მიმართებაში სულმდაბლად იქცევა. იგი ერთადერთი მეფეა ტროელ მმართველთა შორის, რომელმაც, ჰომეროსისა თუ სხვათა ცნობების მიხედვით, ნათქვამი სიტყვა გატეხა, და თან არაერთხელ. სწორედ მისი უგუნურობის გამო

⁸ ერისთონიოსს განსაკუთრებული ცხენები ჰყავდა, თვით ბორეასისგან რომ შეეს კვიციები. ტროსს ზევსმა აჩუქა ღვთაებრივი ცხენები განიშედესის საფასურად.

ლმერთების შურისძიებამ დაანგრია ტროა⁹ ("ილიადა", V.640-648). მართალია, ჰომეროსი არაფერს გვეუბნება მისი დაღუპვის გარემოებებზე, მაგრამ "ილიადის" V 640 შმდ. მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლაომედონი განრისხებული ჰერაკლეს შურისგებას შეენირა, რასაც სხვა წყაროები ადასტურებენ (2-II. 5, 9. III. 12, 3. ეპიტომა(აპოლოდორეს ბიბლიოთეკა, დამატება) III.24, VI.18.).

ლაომედონი, რომელმაც ტროას აუღებელი გალავანი შემოართყა ლმერთების დახმარებით, არის ერთი მხრივ, ტროას აღმშენებელი, ხოლო მეორე მხრივ – დამაქცეველი. ის ტროას სიმდიდრესა და კეთილდღეობასთან იგივედება და ამასთანავე სწორედ მასთანაა დაკავშირებული ქალაქის დაქვეითებაც.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჰომეროსის მონაცემთა დეტალური ანალიზის შემდეგ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლაომედონის სახე და სახელი სიმბოლური ხასიათისაა. გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ბერძნულ ტრადიციაში ლაომედონი იყო ტროას მმართველთა მთელი თაობების აღმნიშვნელი; ანუ იმათი, ვინც ქალაქის დაარსებიდან პრიამოსამდე მართავდნენ ტროას. აქ დაახლოებით იგივე ვითარება გვაქვს, რაც კრეტის მეფის – მინოსის შემთხვევაში. მინოსის სახელი, ფაქტობრივად, კრეტელთა ენაზე მეფის აღმნიშვნელი ტერმინია (დანვრილებით შდრ. 323, 8, 234.).

თავისთავად, მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ჰომეროსი და სხვა ბერძნული წყაროები ლაომედონთან და მის დროინდელ ტროასთან დაკავშირებით მოვლენათა მთელ ჯაჭვს წარმოგვიდგენენ: ბევრი ცოლი – კიდევ უფრო მეტი შვილი, ძე თუ ასული – ღვთაებრივი ცხენები, რომლებიც ბევრისთვისაა საოცნებო – მის მიერ აგებული ტროას კედელი, რომელიც ლმერთების მეშვეობითაა უძლეველი – ლმერთებისთვის მიცემული პირობის გატეხვა –

⁹ ბერძნულ მითში სიტყვის გამტეხი, მით უმეტეს, ლმერთათვის დადებული აღთქმის არშემსრულებელი ისჯება არა მხოლოდ სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის მერეც. ამ შემთხვევაში ლაომედონი დაისაჯა მის მიერ განმტკიცებული ქალაქის ნგრევით და შვილების ამონყვევით.

ჰერაკლესთან დაკავშირებული ეპიზოდი, ჰესიონესა და ურჩხულ-
თან მიმართებაში – დაბოლოს, ტროას დანგრევა ჰერაკლეს მიერ.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმული იძლევა საფუძველს, დავას-
კენათ, რომ ჰომეროსის მიხედვით დარდანოსის ჩამომავალთა შო-
რის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა ლაომედონი ყოფილა. მას-
თან დაკავშირებით, ისე, როგორც სხვა შემთხვევებში, მხოლოდ
რაღაც ერთი ეპიზოდი კი არ არის წინ წამოწეული, არამედ ამბების
მთელი ჯგუფი, რამაც შეიძლება გვაფიქრებინოს შემდეგი: ლაო-
მედონი თავის თავში ტროას ისტორიის საკმაოდ დიდ მონაკვეთს
აერთიანებს.

„ილიადის“ მიხედვით, თითქოს ლოგიკური იქნებოდა, რომ ტრო-
ელთა სამეფო დინასტია პრიამოსსა და მის შვილებზე შეწყვეტი-
ლიყო, რადგან ტროას ომის შედეგი არის ქალაქის აღგვა პირისაგან
მინისა. მაგრამ საინტერესოა, რომ „ილიადა“ წინასწარმეტყველებს
არა მხოლოდ ტროას უკიდურესად შემზარავ ალსასრულზე, არა-
მედ გარკვეულნილად, ტროადის „ოპტიმისტურ“ მომავალზეც.
მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციას ამის შესახებ, ისევე, როგორც
ტროელთა სამეფო დინასტიაზე, ძირითადად, ენეასის ეპიზოდიდან
ვიღებთ – „ილიადაში“ წარმოდგენილია იმის მოტივაცია, რატომ
არ განირავენ ღმერთები ენეასს. პოსეიდონი ასე მიმართავს ღმერ-
თებს:

XX.302-308.

„...არადა, ბედმა არგუნა მათგან გაქცევა.

რომ უშთამომავლოდ და უკვალოდ არ გადაეგოს

დარდანოსის მოდგმა, რომელიც კრონიდს უყვარს ყველა სხვა

შვილს შორის,

ვინც მოკვდავმა ქალებმა უშვეს.

ხოლო პრიამოსის მოდგმა სძულს კრონიდს.

ახლა კი ენეასის ძალა იმეფებს ტროელებზე

და შვილების შვილები მისნი, შემდეგ ნაშობნი“.

აღსანიშნავია, რომ პოსეიდონი, რომელიც ტროელთა მიმართ მტრულადაა განწყობილი, გადაარჩენს ენეასს, რათა ამ უკანასკნელმა შეასრულოს ღმერთთაგან დაკისრებული მისია – დარდანიდთა სამეფო გვარის შენარჩუნება და გაგრძელება. როგორც ცნობილია, ბერძნული წყაროების ერთმა ნაწილმა განავრცო ჰომეროსის ეს ცნობა და მოგვანოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გადარჩა ენეასი და გამოაღწია ტროადან, რათა მას და მის შთამომავლებს ემეფათ ტროელებზე. სხვა წყაროების მიხედვით კი, და ეს ვერსია, ალბათ, სტესიქოროსიდან იღებს სათავეს, ენეასი იტალიაში გადასახლდება და იქ დაუდებს საფუძველს ახალ დინასტიას.

XX სიმღერის კიდევ ერთი ეპიზოდი ენეასის მიერ პრიამიდთა მმართველობის გაგრძელებას არეკლავს. თუმცა აქ აქილევესი სკეპტიკურად უყურებს ენეასის მეფობას ტროელებზე:

XX.180-183.

იმედი გაქვს, რომ ცხენოსან ტროელებზე იმეფებ,
როგორც დაფასებული პრიამოსი. თუმცა, მე რომც განმგმირო,
მოხუცი პრიამოსი იმიტომ არ გადმოგვცემს (ძალაუფლებას),
რომ ყავს შვილები, ვიზეც ზრუნავს და უჭკუოც არ არის.

ენეასის სახელს ჰომეროსი ყველაზე მამაც ტროელთა შორის მოიხსენიებს:

XI. 57-58.

დიდი ჰექტორის და სახელოვანი პულიდამასის ირგვლივ,
და ენეასის, რომელსაც ხალხი ღმერთის დარად მიიჩნევდა.

სავსებით ბუნებრივია, რომ როცა ენეასი აქილევესს აუნწყებს ტროელთა დინასტიის შესახებ, იგი ასახავს არა მარტო წინაპართა თანმიმდევრობის რეალურ ვითარებას, არამედ ამ ნუსხაში თავის ადგილზეც მიუთითებს. შესაბამისად, თუკი ტროსამდე ტროას მმართველთა მემკვიდრეობის ხაზში არავითარი გაორება არ იგრძნობოდა, ტროსის შემდგომ, ენეასის სიტყვის მიხედვით, ხდება ტროსის შთამომავალთა შორის ორი მნიშვნელოვანი შტოს

გამოყოფა: ერთი – ილოსის და მეორე – ასარაკოსის. წარმოდგენილი სქემის მიხედვით, რეალური მმართველობა, სულ ცოტა, სამი თაობის განმავლობაში ილოსისა და მის უშუალო შთამომავალთა ხელში იყო. თუმცა, ამის გვერდით იკვეთება ხაზი, რომელსაც ასარაკოსის შთამომავლები შეადგენენ (იხ. სქემა).

ამაზე ქვემოთ უფრო დეტალურად გვექნება მსჯელობა, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ თავად ტროელებისა და მათი მომხრეების კატალოგში ენეასი, ანქიზესის ძე, მოხსენიებულია დარდანელთა ხელმძღვანელად: ის, რომ ფაქტობრივად, დარდანელებსა და ტროელებს შორის არავითარი არსებითი განსხვავება არ არის, საკმაოდ კარგად ჩანს XX სიმღერის 302-308 სტრიქონებში, რომელთა მიხედვითაც ენეასის შტო იმეფებს ტროელებზე. ამ შემთხვევაში ცნება ტროელები დარდანოსის ყველა შთამომავალს მოიცავს.

ამგვარად, „ილიადის“ მიხედვით, დარდანოსიდან მომდინარე დინასტიური ხაზი, თავისი განტოტებების მიუხედავად, ტროას ომის დროისათვის გვიჩვენებს ამგვარ სურათს: დარდანოსის შთამომავალთა შორის ტროას დაფუძნების შემდგომ უმთავრესი მმართველობითი პოზიცია უჭირავთ მათ, რომელთა რეზიდენცია და ძირითადი საცხოვრებელი ადგილი არის ქალაქი ტროა. ყოველი შემთხვევისათვის, პრიამოსი და მისი შვილები „ილიადის“ მიხედვით ქვეყანას ტროადან განაგებენ. პრიამოსის მრავალრიცხოვან შვილებს შორის უმთავრესი ფიგურა ჰექტორია. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ამ სახის ინტენსიფიკაცია თავად ჰომეროსის დამსახურებაა. ის ხომ სწორედ ამ გმირს წარმოგვიდგენს ტროას ომზე თხრობისას ქალაქის სიმბოლოდ (77, 35 შმდ.).

მეცნიერებაში იმასაც ფიქრობენ, რომ ჰომეროსამდელ ტრადიციაში პრიამოსის მემკვიდრეთა შორის ძირითადი ფიგურა იყო ალექსანდრე/პარისი, ტროას ომის მიზეზი.

ასევე, „ილიადის“ მიხედვით, უცილობლად იკვეთება პოტენციური მმართველთა მეორე ხაზი, რომელსაც ენეასი ქმნის. შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისი წარმომავლობითი სტატუსით პრიამოსის ყველა ვაჟზე, მათ შორის, ჰექტორზე წინ დგას. რადგან ეს უკა-

ნასკნელნი მოკვდავთა შვილები არიან, ხოლო ენეასის დედაა ისეთი მძლავრი ქალმერთი, როგორც აფროდიტეა, რაც „ილიადაში“ განსაკუთრებითაა აღნიშნული. მაგ: აპოლონი აქილევსთან დაკავშირებით ასე მიმართავს ენეასს:

XX.105-107.

...შენ კი, ამბობენ, ზევსის ასულმა, აფროდიტემ გშვა, ის კი ნაკლებად მნიშვნელოვანმა ღმერთმა, შენი მშობელი ზევსის, ხოლო მისი – ზღვის მოხუცის [ასულია]

ყოველივე ამის შემდეგ იმაზე მინიშნება, რომ ტროაში დარდანიდების სამეფო დინასტია გაგრძელდება და ამ ხაზს ენეასი წაიყვანს, ფაქტობრივად, იმაზე მიგვითითებს, რომ ტროადაში მთავარი ქალაქის დაცემასთან ერთად მთავრდება ილოსის შთამომავალთა მეფობის პერიოდი და მმართველობა ანქიზესის შთამომავალთა ხელში გადადის. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ისევე, როგორც ტროელთა უმთავრესი წინაპრის – დარდანოსის – წარმოშობა ნახევრად ღვთაებრივი იყო, ტროადის მმართველთა ახალ ხაზსაც სათავეში მოკვდავი მამისა და ქალმერთის ძე უნდა ჩაუდგეს. მისი ავტორიტეტი ხომ შემდგომ თავად რომის იმპერიისთვისაც კი სიამაყის ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტი ხდება.

როგორც ვხედავთ, ტროელთა სამეფო დინასტია და, განსაკუთრებით, ის ფიგურები, რომლებიც რეალურად მოქმედ გმირებს წარმოადგენენ, ჰომეროსმა სახეთა ინდივიდუალიზაციის საკმაოდ საინტერესო პრინციპის ოსტატურად გამოყენების გზით აქცია შთამბეჭდავ, დასამახსოვრებელ პერსონაჟებად. ამის წყალობით, ბერძნულ პოეტურ ტრადიციაში სხვა სამეფო დინასტიათა შორის აშკარად გამორჩეული ადგილი უჭირავს დარდანოსსა და მის შთამომავლებს, განსაკუთრებით კი მოქმედებაში ჩართულ პრიამოსს, პეტორს და ე.წ. პრიამიდებს, ამასთანავე ენეასს, როგორც ანქიზესის ერთადერთ ძეს.

რა თქმა უნდა, ტროელთა სამეფო დინასტიის მნიშვნელოვნებას ამაღლებს ე.წ. მითოლოგიური კონტექსტი. ჩვენთვის ამჟამად

ძნელია იმის თქმა, დარდანოსის გამოცხადება ზევსის ძედ უკვე ჰომეროსამდელ ტრადიციაში მოხდა, თუ ეს ჰომეროსის „ინიციატივის“ შედეგია, მაგრამ „ილიადიდან“ მოყოლებული, ტროელ მმართველთა ყველა თაობაში მითოლოგიური კონტექსტი მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. დარდანოსი თვით ზევსის ძე და ქალაქ დარდანის დამაარსებელია, ერიხთონოსი უმდიდრესია (XX. 220), ტროსის სახელს მთელი ტროადა ატარებს (2, III. 12.). ილოსი აარსებს ქალაქს (იქვე), ლაომედონზე კი, როგორც ვნახეთ, მართლაც დიდძალი მითოლოგიური ინფორმაცია მოგვეპოვება, პრიამოსის ძესთან – პარისტან თვით ქალღმერთები მიდიან და უმნიშვნელოვანეს გადანყვეტილებებს სწორედ მას მიაღებინებენ. ანქიზესთან აფროდიტე იჭერს კავშირს, ანუ ენეასის დედა თვით მძლავრი ქალღმერთია. ამით ენეასი ისეთ გმირსაც კი აღემატება, როგორიც აქილეესია. რადგან აქილეესის დედა, ნელეესის ასული თეტისი, მართალია, ქალღმერთია, მაგრამ მნიშვნელოვნებით და რანგით ბევრად ჩამოუვარდება აფროდიტეს, რომელიც (ჰომეროსის მიხედვით) ზევსის შვილია.

გარდა ამისა, ღმერთები არეგულირებენ ტროას ომის მიმდინარეობას, თვითონვე ერთეებიან ამ პროცესში და ყოველივე ამას იმიტომ აკეთებენ, რომ აქვთ „საკუთარი ინტერესები“ ტროაში მიმდინარე მოვლენების მიმართ; მაგ., ჰერას და ათენას ტროას დანგრევა სურთ, რადგან პარისმა მათ აფროდიტე ამჯობინა. პოსეიდონიც ტროელთა მტერია და ამის მიზეზიც აქვს – ის ხომ ლაომედონმა გამოიყენა ტროას კედლების აგებისას და მერე შეპირებული გასამრჯელო აღარ გადაუხადა.

საინტერესოა, რომ აპოლონი, რომელიც პოსეიდონს ეხმარებოდა ამ საქმეში და ლაომედონი მასაც უსინდისოდ მოექცა, მაინც ტროელთა მხარესაა. ეს კი შეიძლება იმით ავხსნათ, რომ ტროას მფარველი ღმერთი აპოლონი იყო, რაც ჰომეროსმა ეპიკური ტრადიციიდან იცოდა. ამიტომაც, არალოგიკური იქნებოდა, რომ ის „ილიადაში“ ტროას არაკეთილმოსურნეთა რიგში აღმოჩენილიყო.

თვით ზევსიც კი ტროელებს თანაუგრძნობს. ჰომეროსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ტროას მეფეთა დამსახურებაა – რომ არავინ ჰყვარებია ზევსს მოკვდავთა შორის დარდანოსის დარად (XX.303-305). თუმცა, პოეტი იმასაც ამბობს, რომ უზუნაეს ღმერთს პრიამოსის მოდგმა სძულს და ამიტომ დარდანიდთა დინასტიას ანქიზესის ძე – ენეასი გააგრძელებს(იხ. იქვე). სწორედ პრიამოსისადმი სიძულვილით შეიძლება აიხსნას ის, რომ საბოლოოდ ტროა აღიგვება პირისაგან მიწისა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ: ღმერთთა ინტერესები ძირითადად ეფუძნება იმას, რომ ისინი არიან ან ტროელთა მოკეთებები, ან მათი მტრები. ანუ, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ღმერთების დამოკიდებულებას ტრელების და არა აქაველების მიმართ. „ილიადიდან“ გამომდინარე, სწორედ ამ ქალაქის მცხოვრებნი არიან განმსაზღვრელნი, ვის მიემხრობიან ღმერთები. აქაველების მხარეს ისინი ძირითადად იმიტომ კი არ იჭერენ, რომ უყვართ ბერძნები, არამედ იმიტომ, რომ სძულთ ტროელები და მათი დამარცხება სურთ.

თუკი ჰომეროსის მიერ წარმოდგენილი გენეალოგიური ნუსხის მითოპოეტური რეალობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, რასაკვირველია, საქმე გაცილებით უფრო რთულადაა მისი ისტორიული ღირებულების შეფასებისას. რას ეყრდნობა ეს ნუსხა? რამდენად სანდოა იგი ისტორიული თვალსაზრისით?

როგორც ვთქვით, ზემოთ მოტანილი ტროას მეფეთა დინასტიური სქემა გადმოსცემს ტროელ მმართველთა სიას დროის სამ განზომილებაში – რაც იყო „ილიადაში“ აღწერილ მოვლენებამდე, რაც არის პოემის მოქმედების მსვლელობისას და რაც იქნება შემდგომ. შესაბამისად, ამ გენეალოგიურ ნუსხას აქვს არა მარტო ის თავისებურება, რომ იგი პრიამოსამდელი მმართველების ჰომეროსისთვის უპრეცედენტოდ გრძელ სიას წარმოგვიდგენს, არამედ, ისიც, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, ტროას მმართველთა ისტორიას პერსპექტივაშიც აღიქვამს.

თუკი ამ ყველაფრის ინტერპრეტაციას მოვინდომებთ ისტორიული თვალსაზრისით, შეიძლება ვთქვათ, რომ ჰომეროსის ნუსხა ერთგვარ სიმეტრიულობას ამჟღავნებს. იგი იწყება თავად ზევსის მიერ ხელდასხმული დარდანოსით, რომლის დროსაც ტროა ჯერ კიდევ არ არსებობს და ამ დროს ტროელ მმართველთა რეზიდენცია, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა ტროა თუ ილიონი. ამას მოსდევს გარდამავალი ეტაპი, რომლის დროსაც დარდანია – დარდანოსის მხარე – ეკონომიკურად ძლიერდება, რამაც გამოხატულება ერისთონიოსის სიმდიდრეში ჰპოვა. ამას მოყვება მნიშვნელოვანი ურბანული ცენტრის დაფუძნება, რომელიც ძველი სამყაროს ერთ-ერთ თვალსაჩინო ქალაქად იქცევა. ეს უნდა მომხდარიყო ტროსის ან ილოსის დროს, რაზეც ჰომეროსი უშუალოდ არ მიუთითებს. შემდეგი ფაზა ლაომედონს უკავშირდება. ამ პერიოდში უნდა მომხდარიყო ტროას უდიდესი აღმავლობა, ამავე პერიოდში ეს ქალაქი, როგორც ჩანს, ღვთიური სასჯელის ობიექტი ხდება. ხოლო საბედისწერო ფაზა არის პრიამოსის ტროას დანგრევა. ამის შემდეგ ტროადაში დინასტია გრძელდება, ოღონდ იმის მითითების გარეშე, ამ მმართველთა რეზიდენცია ისევ ტროაა, თუ სხვა ქალაქი.

ეს დინასტიური კვაზიისტორია უპირველეს ყოვლისა, თავად მითის ლოგიკას ეფუძნება: ჩნდება პიროვნება, რომელიც ღვთიური ნებითაა მოვლენილი მხარის ასაღორძინებლად და ის აარსებს თავის დასახლებას. მისი შთამომავლები მრავლდებიან და ამ მემკვიდრეებს მივყავართ მითოპოეტური სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქის დაფუძნებამდე. ამ ქალაქის სიმდიდრე და ძლიერება მის მმართველებს ზვიადებლად აქცევს, რაც ხდება ტროაზე მოვლენილი სასჯელების საფუძველი. მაგრამ ტროადის მმართველთა კვაზიისტორია ქალაქის დანგრევით არ მთავრდება: მას გაგრძელება უწერია ისევდაისევ ღვთაებრივი ნებით, ოღონდ, როგორც ჩანს, ტროას გარეშე.

რას გადმოგვცემს ჰომეროსთან წარმოდგენილი ტროელ მმართველთა გენეალოგია? ეს არის უშუალოდ პოეტის ან მისი წინამორბედების მიერ შექმნილი კონსტრუქცია, თუ მას საფუძვლად

უდევს რალაც რეალური ისტორია ქალაქ ტროას თუ ილიოსის მმართველთა გვარისა. არ არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში ორი ტრადიცია ერთმანეთთან იყოს შეზავებული, თუმცა დომინანტური პოზიცია პირველს, ანუ ჰომეროსის კონსტრუქციას ეჭიროს.

რა გვაძლევს უფლებას, ვილაპარაკოთ ისტორიული ტრადიციის არსებობაზე? მხოლოდდამხოლოდ იმ ტროელ მეფეთა სახელები, რომელთაც არ აქვთ ბერძნული ეტიმოლოგია, ანუ რომლებიც არ წარმოვგიდგებიან მეტყველ სახელებად. ესენია: დარდანოსი, ტროსი, ილოსი, პრიამოსი.

ჰომეროსის მიერ ისტორიული ტრადიციის გამოყენების მომხრეთა აზრით, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დარდანოსის სახელი არეკლავს ეგეიდისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში გვიანბრინჯაოს ხანაში არსებულ რეალურ ეთნიკურ ვითარებას.

ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ე.წ. ზღვის ხალხთა შორის ქადემის ბრძოლაში იბრძვის Drdny ტომი: სამხრეთ ეგვიპტეში, რამზეს II-ის (1301-1285) მიერ აგებული ძეგლის კედლის ერთ-ერთმა იეროგლიფურმა წარწერამ შემოგვინახა ცნობები ქადემის ბრძოლის (≈1280 წ.) შესახებ; ეს ბრძოლა ეგვიპტელებსა და ხეთებს შორის მოხდა. ხეთთა მეფემ, მუვათალიმ შეკრიბა ჯარი მრავალი მეზობელი ქვეყნიდან. ჩამოთვლილ მოკავშირეთა შორის Drdny ტომიც არის შეტანილი(31, 3 შმდ; 84, 117 შმდ.). აღნიშნულ სიაში მცირეაზიულნი ტომები ფიგურირებენ.

თუმცა, უცხო ქვეყანა – დარდანია პირველად რამზეს II-ის დროს არ გვხვდება. ის ეგვიპტელთა მხედველობის არეში ექცევა გაცილებით ადრე, ჰარემჰაბის (1332-1305) დროს (84, 117 შმდ.).

ძნელია იმაში დაეჭვება, რომ სახელ დარდანოსსა და ამ ტომის სახელწოდებას შორის არის აშკარა მიმართება არა მხოლოდ უღერადობისა არამედ ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისითაც. Drdny ტომი აშკარად ეგეიდის მკვიდრს უნდა წარმოადგენდეს.

არ შეიძლება, ყურადღება არ მიექცეს ხეთურ წყაროებში მოხსენიებულ ორ სახელს – ტარუისა და ვილუსა, რომლებიც წარმოგვიდგებიან, როგორც ქვეყნები თუ ქალაქ-სახელმწიფოები. ისინი ერთ-ერთ ხეთურ დოკუმენტში რომელიღაც გაერთიანების თუ კავშირის – Aššuwa-s წევრები არიან. ხოლო სხვა შემთხვევებში შეიძლება ნახსენებნი იყვნენ დამოუკიდებლად. ამაზე უფრო დეტალურად ქვემოთ გვექნება მსჯელობა, როდესაც ტროა – ილიონის საკითხს განვიხილავთ. ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ ჰომეროსთან დასახელებული ტროაც და ილიონიც აშკარა მიმართებას გვიჩვენებენ ხეთურ დოკუმენტებში მოხსენიებულ სახელწოდებებთან და კიდევ უფრო ამყარებენ იმ აზრს, რომ ისინი შეიძლება შეესაბამებოდნენ ჰომეროსთან დასახელებულ ტროას/ილიონს და იმ ეპონიმებს, რომლებთანაც ეს სახელწოდებები უნდა იყოს დაკავშირებული.

რაც შეეხება პრიამოსს, მისი სახელი, როგორც არაერთგზის აღუნიშნავთ, აშკარად ანატოლიური წარმომავლობისა უნდა იყოს და არ არის გამორიცხული, რომ ამ სახელის ანატოლიურობას ადასტურებდნენ ისევ და ისევ ხეთური დოკუმენტები.

ცნობილ „ტავაგალავას ტექსტში“ (ხეთთა მეფის – მუვათალის მიერ ვილუსას მმართველის – ალაქსანდუსისათვის გაგზავნილი წერილი, რომელიც XIII საუკუნის I ნახევრით თარიღდება), ფიგურირებს ვინმე პიამარადუსი, რომელიც, როგორ ჩანს, დაკავშირებული ყოფილა დასავლეთ ანატოლიასთან და გარკვეული გაუგებრობის საფუძველი გამხდარა ხეთთა მეფისა და აქიავას მმართველს შორის (21, 129-144). მისი სახელის პრიამოსთან შეპირისპირება არაერთხელ უცდიათ მეცნიერებაში.

მართალია, ჩვენ არ წარმოვადგინეთ ტროელ მეფეთა გენეალოგიური ნუსხის საყრდენ ფიგურად ალექსანდროსი/პარისი, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ჰომეროსამდელ მითოლოგიურ ტრადიციაში წამყვანი ადგილი ეჭირა: მის გამო იწყება ტროას ომი, მისი და აპოლონის ერთობლივი მოქმედების შედეგია აქილევსის სიკვდილი, მისი წყალობით იღუპება ტროა და ა.შ.

თითქოს, ეჭვს არ იწვევს ის, რომ სახელი – ალექსანდროსი მეტყველ სახელთა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს და გამჭვირვალე ეტიმოლოგია უნდა ჰქონდეს. თუმცა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ სწორედ ტარუისასა და ვილუსასთან არის დაკავშირებული მმართველი ალექსანდუსი ხეთურ დოკუმენტებში. ძნელი სათქმელია, ბერძნული სახელი არეკლავს ანატოლიურს, თუ ანატოლიური – მიკენურ ბერძნულს (დანვრილებით იხ: 193, 146 შმდ.).

ყოველივე ეს აჩვენებს, რომ ტროელ მეფეთა სახელებს საკმაოდ საინტერესო პარალელები დაეძებნებათ დასავლეთ მცირე აზიის იმ რეგიონში, რომელიც დაკავშირებულია ტროასა და ტროადასთან. არ არის გამორიცხული, რომ ჰომეროსის წყაროებში გარკვეულწილად აირეკლა ის ე.წ. დინასტიური სიტუაცია, რაც ტროადის რეგიონში არსებობდა გვიანბრინჯაოს ხანაში. ალბათ, უფრო დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტროას ომის შემდეგ ამ რეგიონში ადგილობრივი დინასტიების მმართველობა ფაქტი იყო და ჰომეროსი ასახავდა იმას, რაც მისთვის გახდა ცნობილი. ეს დინასტიები, შესაძლოა, მაშინაც მმართველობდნენ, როდესაც ჰომეროსი მოღვაწეობდა.

თუმცა, საინტერესოა, რომ ენეასის შემდეგ არც ჰომეროსთან და არც სხვა წყაროებში ტროელი მმართველები არ არიან კონკრეტიზებული. როგორც ჩანს, ბოლო პერიოდისათვის თავად ტროაც და მისი მმართველების მნიშვნელობაც ერთობ შეუმჩნეველი დარჩა ბერძნული ტრადიციისთვის.

ტროელები და მათი მოკავშირეები

მეცნიერებაში უკვე კარგა ხანია შენიშნულია, რომ ჰომეროსის ეპოსს ახასიათებს როგორც მთლიანად მოვლენასთან (ტროას ომი, დაბრუნებები), ისე ამ მოვლენის ცალკეულ მომენტებთან დაკავშირებით ინფორმაციული სისრულისაკენ ლტოლვა. ა.მ. ტროას ომში ერთმანეთს უპირისპირდებიან აქაველები/ბერძნები და ტროელები და მათი მოკავშირეები. ჰომეროსი გვანვდის სრულ ინფორმაციას იმაზე, თუ ვინ წარმოადგენს ამ ომში აქაველებს. ის ასევე სრულად გვანვდის ინფორმაციას, ვინ შეადგენს ომში ტროელებს და მათ მოკავშირეებს.

ეს ინფორმაცია გაფანტულია მთელ პოემაში, მაგრამ, ამასთანავე, „ილიადაში“ არის სპეციალური მონაკვეთი, რომელიც ომში მონაწილეთა სისტემატიზირებულ სურათს გვთავაზობს. იგულისხმება II სიმღერის ბოლოს მოთავსებული აქაველთა და ტროელთა კატალოგები. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ჰომეროსის ეპოსში, იმ სახით, როგორითაც ჩვენამდე მოაღწია, ომში მონაწილეთა შესახებ საკმაოდ ამომწურავი ცნობებია მოცემული (21, 158 შმდ., 196, II. 2G. 140 შმდ.). უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, თავად ხომალდთა კატალოგი და ტროელთა სია, როგორც ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის ძირითადი წყარო, წარმოადგენს თუ არა პოემის ორგანულ ნაწილს. ჩვენ ამჟამად არ ვაპირებთ ჰომეროლოგიაში მიმდინარე დისკუსიაში ჩართვას. ძალზე მოკლედ წარმოვადგენთ იმ მოსაზრებებს, რომლებიც არსებობს „ილიადის“ ამ ნაწილთან დაკავშირებით: ა) ხომალდთა კატალოგი და ტროელთა სია პოემაში მოგვიანებით არის ჩამატებული. ბ) აქაველთა კატალოგი წარმოადგენს პოემის ორგანულ ნაწილს გარკვეული ინტერპოლაციებით, ხოლო ტროელთა კატალოგი მოგვიანებითაა შეტანილი პოემაში. გ) ომში მონაწილეთა კატალოგი „ილიადის“ ორგანული ნაწილია და იგი გვიჩვენებს მთელ პოემასთან როგორც აზრობრივ, ასევე სტრუქტურულ კავშირებს (მიმოხილვისათვის იხ: 21, 10 შმდ.).

როგორც ცნობილია, ხომალდთა კატალოგი და ტროელთა და მათ მოკავშირეთა სია, რომელიც „ილიადის“ II სიმღერაშია მოცე-

მული, ანალიტიკოსებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო პოემის მრავალავტორიანობის დასამტკიცებლად. თუმცა, რისმაც გორდეზიანის მიერ „ილიადისა“ და „კატალოგის“ შედარება-შეპირისპირებამ გვიჩვენა, რომ მათი მონაცემები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან (უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ: 77, 25 შმდ; 70 შმდ.). პოემაში ყოველთვის მეორდება გმირთა ეპითეტები, რომლებიც გამოყენებულია კატალოგში. ასევე, „ილიადაში“ ხშირად ექცევა ყურადღება კატალოგში დამონმებულ მითოლოგიურ დეტალებს, ხოლო რიგ შემთხვევებში კატალოგში ღანყებული ინფორმაციის გადმოცემა გრძელდება პოემაში. კატალოგის გარეშე გაუგებარი იქნებოდა „ილიადაში“ მოცემული არაერთი ცნობა. მაგრამ ყველაზე დამაჯერებელი მტკიცებულება კატალოგის ორიგინალურობისა ის ფაქტია, რომ კატალოგის გმირების ერთი ნაწილი „ილიადაში“ შემდგომი ხსენებისას აღარ არის ექსპონირებული. პოემის ანალიზმა აჩვენა, რომ გმირის პირველი ხსენებისას ჰომეროსი ხშირ შემთხვევაში გვაძლევს მასზე გარკვეულ ინფორმაციას. თუ „ილიადიდან“ გამოვყოფთ კატალოგს, მაშინ პოემაში პირველი ხსენებისას არ იქნება ექსპონირებული ბევრი ტროელთა წინამძღოლი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კატალოგი და ტროელთა სია იკავებს განსაზღვრულ ადგილს პოემის სტრუქტურულ სიმეტრიაში. ის ეხმიანება XXIII სიმღერის იმ ბლოკს, სადაც აქაველთა პანორამაა წარმოდგენილი (იქვე, 38-39)

რამდენადაც ჩვენ ვემხრობით მათ, რომელნიც მონაწილეთა სიას პოემის ორგანულ ნაწილად მიიჩნევენ, ჩვენი ამოცანიდან გამომდინარე, ყურადღებას მივაპყრობთ ტროელთა სიას. რა ვითარებას ასახავს ეს სია და ჰომეროსის ეპოსში მოცემული სხვა ცნობები ტროელებისა და მათი მოკავშირეების შესახებ? ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, გვაინტერესებს ტროასა და მის მოკავშირეებზე ამ ნუსხის და ზოგადად ჰომეროსის მონაცემების წყაროების საკითხი – არის ეს პოეტურ ტრადიციაში, თუ თავად ჰომეროსის ეპოსში აღმოცენებული ნუსხა, რომელსაც მეტწილად პოეტური ფანტაზია უდევს საფუძვლად, თუ იგი ასახავს მცირე

აზიის ჩრდილო-დასავლეთ, ასევე, შავი ზღვის სამხრეთ სანაპირო-ზე გარკვეულ ეპოქაში არსებულ ვითარებას.

ტროელთა და მათი მოკავშირეების საკმაოდ კონკრეტული სახელდება და ამ სახელწოდებების რეალურობა ანტიკური თუ ძველალმოსავლური წყაროების შუქზე გვაფიქრებინებს, რომ ეს ნუსხა ვერ იქნებოდა აღმოცენებული მთლიანად პოეტური ფანტაზიის ნიაღში. კერძოდ, ძნელი დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ჰომეროსის მიერ მინიშნებულ რეგიონებში არასოდეს არ არსებობდა რალაც კავშირი თუ ხალხების ფედერაცია და ეპიკოსმა პოეტებმა მოიგონეს ასეთი კავშირის ფაქტი. ამ საკითხში მეცნიერთა აზრი ერთიანია, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ როდის არსებულ კავშირს უნდა ასახავდეს „ილიადა“. ვიდრე ამ საკითხს შევხებოდეთ, ვნახოთ, თუ როგორ გამოიყურებიან ტროელები და მათი მოკავშირეები და მათი საბრძოლო ერთიანობა თავად ჰომეროსის მონაცემების მიხედვით. უეჭველია, რომ ტროელთა კავშირი საეცებით რეალურია ჰომეროსის ეპოსის კონტექსტში.

თუკი ტროელთა კატალოგს დავუკვირდებით და ზოგადად „ილიადის“ მონაცემებსაც გავითვალისწინებთ, ტროელებსა და მათ მოკავშირეებს შორის შეგვიძლია ხალხთა თუ ტომთა გარკვეული კატეგორიები გამოვყოთ:

ა) თავად ტროელები და არსებითად მათთან გათანაბრებულები.
ბ) ტომები, რომლებიც ტროადის არეალში მოიაზრებიან და, როგორც ჩანს, ტროელებთან გაცილებით მეტი სიახლოვე აქვთ, ვიდრე ეს რალაც საბრძოლო კავშირისთვისაა აუცილებელი.

გ) ტომები, რომელთა მოკავშირეობა ტროელთათვის ტრადიციული და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. იგულისხმება ის ხალხები, რომლებზეც „ილიადიდან“ ვიგებთ, რომ ტროას ომამდე ტროელთა მოკავშირეები ყოფილან (მაგალითად ფრიგიელები).

დ) ტომები, რომელნიც ძირითადად საბრძოლო მოკავშირეობას უწევენ ტროელებს. იგულისხმება ხალხები, რომელთა ტროას ომამდელი მოკავშირეობა ტროელებთან „ილიადაში“ არ დასტურდება.

ტროელთა კატალოგზე თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ ნათელი გახდეს – ტროელები და მათთან გათანაბრებულები მოქცეულნი არიან ნუსხის თავში. მათი დაყოფა, როგორც ჩანს, ეფუძნება არა ტომობრივ, არამედ ე.წ. რაიონულ პრინციპს და მათ არც ერთ შემთხვევაში არ მოიხსენიებს კატალოგი გამორჩეული ეთნიკური ტერმინით. იგულისხმება, რომ ყველა აქ ჩამოთვლილი არის ტროელი, ანუ დარდანელი. კატალოგი იწყება ძალზე მოკლე ინფორმაციით საკუთრივ ტროელების ხელმძღვანელებზე – ჰექტორზე:

II,816-818.

ტროელებს ხელმძღვანელობდა დიდი ჰექტორი, მბრწყინავ
ჩაფხუტიანი,
პრიამოსის ძე. მასთან ერთად ყველაზე მრავალრიცხოვანი და
საუკეთესო
ჯარი იყო ამხედრებული, მზად მყოფი, შუბებით დაეწყო ომი.

როგორ ჩანს, ჰექტორი თავად ქალაქის მოსახლეობას მიუძღვის.

დარდანელები, ფაქტობრივად, არ წარმოადგენენ ტროელთაგან განსხვავებულ ტომობრივ ჯგუფს და ცნებები – ტროელები და დარდანელები ერთმანეთის სინონიმებია, როგორც მთელი „ილიადა“ გვიჩვენებს. დარდანელებს წინამძღოლობს ენეასი ანტიენორის ძეებთან – არქელოქოსთან და აკამასთან ერთად (819-823).

ამის შემდეგ დასახელებულია ე.წ. ძელიას კონტიგენტი, რომელსაც პანდაროსი ხელმძღვანელობს. როგორც ჩანს, მათი ტროელებთან იდენტურობის ხაზგასასმელად აქ ნახსენებია, რომ ისინი არიან ტროელები (824-827).

ამას მოჰყვება კონტიგენტი, რომელიც წარმოადგენს ადრესტიას, აპაისოსის, პიტიეიას და ტერეიეს მთების მიდამოებში მცხოვრებლებს. მათ მიუძღვით პერკოსიელი მეროპის ძეები – ადრესტოსი და ამფიოსი (828-834).

შემდეგი კონტიგენტი არის პერკოტედან, პრაქტიოსიდან, სესტოსისა და აბილოსიდან, ასევე ნმინდა არისბედან. მათ ასიოს ჰირტაკიდი მიუძღვის (835-839).

შეიძლება ითქვას, რომ ამით ამოიწურება დარდანელთა, ანუ ტროელთა კონტიგენტი. თუკი დავუკვირდებით, აშკარაა, რომ ჰომეროსი ამ შემთხვევაში ჩამოგვითვლის იმ რაიონებს თუ ქალაქებს, რომლებიც განლაგებულნი არიან ტროას ჩრდილოეთით, ჰელესპონტოსთან.

როგორც ჩანს, ტროას კონტროლს ექვემდებარებოდნენ სხვა, მის სამხრეთით განლაგებული ქალაქებიც. მათ პოემის დასაწყისში ახსენებს ქურუმი ქრისესი, როგორც აპოლონის საკულტო ადგილებს. ეს ქალაქები ამ კატალოგში არ არიან წარმოდგენილნი. იგულისხმება, რომ „ილიადაში“ აღწერილი მოვლენების დროისთვის ისინი აქაველებს უკვე დანგრეული ჰქონდათ – ქრისესი, კილა, ტენედოსი და, შესაძლოა, სხვა ქალაქებიც. შეიძლება ითქვას, რომ კატალოგის ამ ნაწილში აშკარად ჩანს ავტორის ანალიტიკური მიდგომა საკითხისადმი. ტროა ჯერ არ არის აღებული და აქაველები, ბუნებრივია, ვერ შეაღწევდნენ მის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონებში. სამაგიეროდ, ტროას სამხრეთით საკუთრივ ტროელებთან დაკავშირებული არც ერთი ქალაქი აღარ არის დასახელებული კატალოგში, რაც ასევე სავსებით ლოგიკურია, რადგან აქაველები, როგორც ჩანს, სწორედ სამხრეთ რეგიონებში თარეშობდნენ თავისუფლად.

რასაკვირველია, ყურადღებას იპყრობს საკუთრივ ტროელთა/დარდანელთა შემადგენლობის შეგნებული გავრცობის პრინციპი ჰომეროსთან. ამ შემთხვევაში არსებითად იგივეობრივი სინონიმური ეთნიკური სახელები – ტროელები და დარდანელები მოიცავენ მებრძოლთა ხუთ რაზმს. თუკი გავითვალისწინებთ, რომ კატალოგის მიხედვით ტროელთა და მოკავშირეთა შორის თექვსმეტი ამგვარი რაზმი იბრძოდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ლაშქრის თითქმის მესამედს საკუთრივ ტროელები/დარდანელები შეადგენდნენ. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში უნდა ვიმსჯელოთ არა იმდენად

რალაც რეალური ისტორიული თუ კვაზისტორიული წყაროს ასახვის სურვილზე, რამდენადაც პოეტის სავსებით მიზანმიმართულ ცდაზე – განსაკუთრებით გამოიკვეთოს ამ ეთნოსის როლი ომში. სხვათა შორის, ყურადღებას იქცევს ისიც, რომ პირველ 5 ლაშქარზე ინფორმაცია კატალოგში გაშლილია 23 სტრიქონში, ხოლო დანარჩენი 11-ის ჩამოთვლას მხოლოდ 37 სტრიქონი უჭირავს.

საკუთრივ ტროელთა კონტიგენტი არა მარტო კატალოგში, არამედ საერთოდ, „ილიადაშიც“ გარკვეული პრიორიტეტით სარგებლობს. ამის დამადასტურებელია ჰექტორის და სხვა გმირთა მიმართვა ტროელებისა და მათი მოკავშირეებისადმი. ჩვეულებრივ, ეს ფორმულა ამგვარად უღერს: ტროელებო, დარდანელებო, მოკავშირენო (III. 456, VII. 348, VII. 368, VIII. 497 და სხვ.) ერთადერთი ხალხი, რომელიც ამ მიმართვაში შეიძლება ტროელთა და დარდანელთა გვერდით გაჩნდეს და ზოგადად მოკავშირეთა გამაერთიანებელ სახელად წარმოგვიდგეს, არის ლიკიელები (VIII. 173, XV. 425, 486, VII. 184 და ა.შ.).

მაგრამ ჰომეროსი არ ქმნის ილუზიას, რომ ძირითადი ძალა ომში ტროელთა მხრიდან საკუთრივ ტროადის მოსახლეობაა. აგამემნონი II სიმღერაში შეახსენებს თანამებრძოლებს, რომ ტროელები ათჯერ და მეტჯერ ნაკლებნი არიან მათზე, მაგრამ იქვე დასძენს, რომ მტრის ძლიერებას განაპირობებს სხვა ქვეყნებიდან დასახმარებლად მოსული დიდძალი ჯარი (II. 123-131).

ვინ არიან ტროელთა მოკავშირეები? მათი ჩამოთვლა იწყება უკვე ეთნიკური სახელით და ამ პრინციპით გრძელდება შემდეგ ყველა მოკავშირის დასახელება. მოკავშირეთა სიას იწყებენ პელასგები. ისინი მოჰყავს ორ წინამძღოლს – ჰიპოთოსს და პილაიოსს, ტევტამიდი ლეოთოსის ძეებს და მათთან დაკავშირებით მოხსენიებულია მხოლოდდამხოლოდ დასახლება ლარისა. შეიძლება ითქვას, რომ ტროელთა მოკავშირეებს შორის ეს არის ერთადერთი ხალხი, რომელიც ჰომეროსის ეპოსის მიხედვით, მთელს ელადაში, ეგეიდასა და გარკვეულწილად მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში ჩანს განფენილი (21, 164 შმდ; 323, 9, 490 შმდ.). კერ-

ძოდ, პელასგიკური არგოსი მჭიდროდ არის დაკავშირებული კონტინენტურ საბერძნეთთან და აქილევსის სამეუფოსთან. „ოდისეის“ მიხედვით, ღვთიური პელასგები კუნძულ კრეტის ერთ-ერთ ტომს წარმოადგენენ. ტროელ მოკავშირეთა ქალაქის სახელი – ლარისა საბერძნეთისა და მცირე აზიის არაერთ რეგიონში დასტურდება და იგი მიჩნეულია წმინდა პელასგურ სახელწოდებად (ამის შესახებ იხ: 323, 9, 1151შმდ.). მართალია, ჰომეროსთან დასახელებული ქალაქის სავარაუდო მდებარეობა დადგენილი არ არის, მაგრამ იგი სადღაც ტროადის სამხრეთით იგულისხმება.

თავად კატალოგში დადასტურებული გამოთქმა „პელასგური ტომები“ საკმაოდ ტივადია და, როგორც ჩანს, მიგვანიშნებს იმაზე, რომ პელასგები, როგორც ძირითადი წინაბერძნული ტომი, ან ტომთა განმაზოგადებელი სახელი, უკვე ჰომეროსისთვისაც რეალობას წარმოადგენს. არ ინვეს დიდ გაცეზებს ის, რომ პელასგები ჰომეროსის მთელ ეპოსში აქტიურ მოქმედ ძალად სწორედ ტროელთა მოკავშირეებს შორის წარმოგვიდგებიან, რადგან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მათი განფენა ეგეიდა-ანატოლიაში უკვე მიკენურ ეპოქაში უნდა დაწყებულიყო.

ძალზე მოკლედ არის წარმოდგენილი კატალოგის შემდეგი კონტიგენტი – თრაკიელები (844-845) მათ აკამასი და პეიროოსი მოუძღვიან. ისინი ჰელესპონტოსის ევროპული ნაწილიდან მოსულ ერთ-ერთ მოკავშირეს წარმოადგენენ. თუკი „ილიადის“ მკვლევართა უმეტესობის აზრით, პოემაში ჩამატებულ X სიმღერას არ მივიღებთ მხედველობაში, თრაკიელები „ილიადაში“ არავითარ მნიშვნელოვან როლს არ ასრულებენ, თუმცა, მათ შესახებ პოემაში გაფანტული ინფორმაცია მაინც იძლევა საკმაოდ საინტერესო დასკვნის შესაძლებლობას იმაზე, თუ რა გზით შეიძლება აღმოჩენილიყო ეს ხალხი ტროელთა კატალოგში.

შემდეგი ტომი არის კიკონები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ეთნიკური სახელით ისე, რომ მათი სამკვიდრებელი არ არის მითითებული (846-847). თუმცა, თუ ვიმსჯელებთ „ოდისეის“ IX.39-61 მონაკვეთით, კიკონთა დედაქალაქი – ისმაროსი სანაპირო

ზოლში უნდა ყოფილიყო, სადღაც თრაკიის მახლობლად, კუნძულ თასოსის პირდაპირ. კიკონთა წინამძღოლი ტროიძენოსის ძე, ეეფემოსია.

კატალოგის მიხედვით, შემდეგი პოზიცია მოკავშირეებში უჭირავთ პეონებს, რომლებიც ერთ წინამძღოლს, პირაიქმესს მოჰყავს (848-850). მათი განსახლების ტერიტორიაზე წარმოდგენის შესაქმნელად დასახელებულია მდინარე აქსიოსი და დასახლება ამიდონი. როგორც ჩანს, ეს ტომიც სადღაც ეგეიდის ჩრდილოეთით მოიაზრება, თუმცა მისი ლოკალიზაციის საკითხი მეცნიერებაში დღემდე დაეას ინვეეს.

ამის შემდეგ იწყება ანატოლიაში, კერძოდ, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მოსახლე ტომები.

შედარებით ვრცლად არიან წარმოდგენილი პაფლაგონიელები (851-855). მათ პილაიმენესი ხელმძღვანელობს. პაფლაგონიელთა ადგილსამყოფელი საკმაოდ გამოკვეთილად არის მითითებული შემდეგი ტოპონიმებით: ენეტეს მხარე, კიტოროსის და სესამოსის მიდამოები, პართენოსის ნაპირები, აგრეთვე კრომნა, აიგილაოსი და Erythiroi ალბათ, მთიანეთი.

შავი ზღვისპირეთში, უფრო აღმოსავლეთით ბინადრობენ ჰალიძონები შორეული ალიბედან. ისინი ორ წინამძღოლს მოჰყავს ჰოდოსს და ეპისტროფოსს (856-857).

შემდეგ კატალოგი ასახელებს მიზიელებს, რომლებსაც ასევე ორი ხელმძღვანელი ჰყავთ – ქრომისი და ენომოსი. ჰომეროსი აქვე გვიამბობს ერთ-ერთის – ენომოსის ვინაობის შესახებ და გვატყობინებს მის მომავალ ბედსაც (858-861). მიზიელთა სამკვიდრებელის ლოკალიზაციისთვის არავითარი კონკრეტული მინიშნებები არ გვაქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ ჰომეროსი მათ ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში მოიაზრებს (21, 169 შმდ; 196, II. 2G. 281 შმდ.).

ტროელთა შემდეგ მოკავშირედ დასახელებულნი არიან ფრიგიელები (862-863). ისინი შორეული ასკანიიდან არიან მოსულები ფორკისის და ასკანიოსის მეთაურობით. ეს მხარე ასევე მცირე აზიაში უნდა ვივარაუდოთ, სადღაც ასკანიეს ტბასთან.

მეონიელების ტომი მოჰყავს ორ ხელმძღვანელს ანტიფოსს და მესთლეს, ტალაიმენეს ძეებს (864-866). ამ ტომის ლოკალიზაციისათვის მნიშვნელოვანია კატალოგის მინიშნება გიგაიეს ტბასა და ტმოლოსის მთიანეთზე. შესაბამისად, ეს ტომიც მცირე აზიაში, სადღაც ისტორიული ლიდის ტერიტორიაზე მოიაზრება.

კატალოგის პირობაზე საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას გვანვდის ჰომეროსი ტროელთა შემდეგი მოკავშირის – კარიელების ხელმძღვანელების, ამფიმაქოსისა და ნასტეს და მათი საცხოვრებელი ადგილების შესახებ (867-875). მილეტოსის დასახელება მათ ერთ-ერთ ქალაქად აშკარად მიგვანიშნებს, რომ აქ აღნიშნული კარიელები მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთით ცხოვრობდნენ, ისტორიული კარიის ტერიტორიაზე.

მხოლოდ ორი სტრიქონი ეთმობა ტროელთა ბოლო მოკავშირეს – ლიკიელებს (867-877). მათ პოემის მთავარი გმირები – სარპედონი და გლავკოსი მიუძღვიან. მათთან დაკავშირებით მდინარე ქსანთოსის დასახელება ეჭვს არ იწვევს, რომ ამ შემთხვევაში ისტორიული ლიკია იგულისხმება.

გარდა ამისა, „ილიადაში“, მაგრამ არა კატალოგში ტროელების მოკავშირეებად დასახელებულნი არიან კავკონები (X. 429) და ლელეგები (XXI, 85 შმდ. XX, 96). რამდენადაც X სიმღერის ავთენტურობა ეჭვს იწვევს, არ შეიძლება იმის თქმა, მოიაზრებოდნენ თუ არა კავკონები ტროელთა მოკავშირეებად. რაც შეეხება ლელეგებს, აშკარაა, რომ ისინი ტროელებთან საკმაოდ ახლოს ყოფილან, ხოლო სტრაბონის სიტყვით რომ ვთქვათ „ჰომეროსმა „კატალოგში“ ისინი (ლელეგები) გამოტოვა ან იმიტომ, რომ მათი რაზმი არ ჩათვალა იმდენად მნიშვნელოვნად, რომ შიგ შეეტანა, ან კიდევ იმიტომ, რომ ისინი მან ჰექტორის ქვეშევრდომთა შორის ჩამოთვალა, ითვალისწინებდა რა მათ ასეთ ახლო ნათესაობას“ (16, XIII. 3, 1.).

XXI სიმღერაში ლიკაონისგან ვიგებთ, რომ პრიამოსის ერთ-ერთი ცოლი ლელეგთა მეფის ასულია.

ლაოთოემ მშობა, მოხუცი ალტოსის ასულმა.

ალტოსის, რომელიც ბრძოლისმოყვარე ლელეგებზე მეფობს, განაგებს მაღალ პედასს სატნიონის პირას

მისი ქალიშვილი ცოლად ჰყავს პრიამოსს, ერთი მრავალთა შორის.

დასახელებული ლელეგები სადღაც ტროასთან ახლოს სახლობდნენ (XXI, 84). როგორც „ილიადაში“ აღნიშნული, მათ განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებდათ პრიამოსთან. რამდენადაც „ილიადაში“ ლელეგები არაერთხელ გვხვდებიან, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ კატალოგში მათი გამოტოვება უბრალოდ იმით იყო განპირობებული, რომ ლელეგთა ლაშქარი ინტეგრირებული იყო საკუთრივ ტროელთა ლაშქარში.

ლელეგები XX სიმღერაშიც არიან ნახსენებნი ტროელთა გვერდით (XX, 96).

ტროას მოკავშირეთა შორის „ოდისეაში“ გვხვდება ვინმე კეტელი ევრიპილოსი. მას აქილევის ძე, ნეოპტოლემოსი გამოასალმებს სიცოცხლეს („ოდ“. XI, 521).

ჰომეროლოგიაში შენიშნულია, რომ კატალოგში ტროელები და მოკავშირეები ჩამოთვლილნი არიან გარკვეული გეოგრაფიული პრინციპით. აქ შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე პირობითი ბლოკი, ან მიმართულება:

საკუთრივ ტროადა. ამ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, რამდენიმე ჯგუფია წარმოდგენილი. ერთი – საკუთრივ ჰექტორისა და პრიამიდების ხელმძღვანელობით. იგულისხმება ქალაქის მკვიდრნი. როგორც ჩანს, მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, ჩამოთვლისას მათ დარდანელები მოსდევნენ.

ამის შემდეგ ავტორს მზერა ტროადის ჩრდილო-აღმოსავლეთით გადააქვს და აქ უკიდურესი პუნქტი არის ძელეია.

შემდეგ ხდება ძელეიასგან უფრო დასავლეთით მდებარე ტროადის რეგიონის სახელდება, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუნოდოთ ადრესტია.

შემდეგ ჩამოთვლის მიმართულება ინაცვლებს სამხრეთ-დასავლეთისკენ, გადავდივართ პერკოტე/არისბეს რეგიონში. ტროადის მოლაშქრეთა ჩამოთვლა სრულდება სამხრეთით ბინადარი პელასგებით, რომლებიც, როგორც ვთქვით, ფაქტობრივად, ტროელებთან გათანაბრებულ ტომად წარმოგვიდგებიან.

მოგვიანებით ჩრდილო-დასავლეთით გადავდივართ, ჰელესპონტოსის საპირისპირო მხარეზე. აქ დასახელებულნი არიან თრაკიელები, კიკონები, პეონები. თითქოს, როგორც მინიშნება იმაზე, რომ ამ მიმართულებით ჩამოთვლა დასრულდა, პეონების დასახლებას – ამიდონეს კატალოგი შორეულად მოიხსენიებს: II. 849. Τηλόθειν ἔξ Ἀμιδῶνιος.

მომდევნო მიმართულება ინაცვლებს ჩრდილო-აღმოსავლეთით. აქ ჩამოთვლილნი არიან პაფლაგონიელები და ჰალიძონები. ისევ, იმის მინიშნებისათვის, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთით ხალხის ჩამოთვლა დასრულდა, ალიბეს მიმართ აქაც ნახსენებია ეპითეტი – შორეული: II. 856. Τηλόθειν ἔξ Ἀλύβης.

ამას მოსდევს უკვე აღმოსავლეთის მიმართულება – მისიელები და ფრიგიელები. ამ მიმართულებას ფრიგიელები კეტავენ და მათი სამკვიდრებელი – ასკანიაც შორეულადაა მოხსენიებული: II. 863. Τῆλ ἔξ Ἀσκανίης.

ბოლოს ხდება სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით განლაგებული ხალხებისკენ გადასვლა. აქ სახელდებიან მეონიელები და კარიელები. ამ მიმართულებას ასრულებენ ლიკიელები. მათთან დაკავშირებული მდინარე – ქსანთოსი – მოხსენიებულია შორეულად: II. 877. Ξάνθου ἀπὸ διστήντος.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კატალოგის ავტორისთვის ტროადა აღიქმება რაღაც მთლიან რეგიონად, სადაც არც ერთი პუნქტი არ არის მიჩნეული შორეულად, ხოლო დანარჩენი მიმართულებების ჩამოთვლისას ათვლის წერტილი არის ტროა და ჩამოთვლის მიმართულება ყოველთვის სრულდება შორეული პუნქტის მითითებით (შდრ. 196, II. 2G. 266 შმდ.).

როგორც ვხედავთ, ტროელთა კატალოგი გვანდის ინფორმაციას იმ ადგილებზე თუ ტომებზე, საიდანაც მათ მოიყვანეს მებრძოლები ტროასთან. იმისათვის, რომ ნათელეყოთ, თუ რამდენად ღრმად უნდა ყოფილიყვნენ ეს გმირები, ხალხები თუ ადგილები ინტეგრირებულნი ჰომეროსამდელ მითოპოეტურ ტრადიციაში, საინტერესოა, თვალი გავადევნოთ, როგორ წარმოგვიდგებიან ისინი ჰომეროსის ეპოსის ტექსტში (ბუნებრივია, კატალოგის გარდა); რამდენად იძლევა მათზე მოცემული ინფორმაცია იმის დადგენის შესაძლებლობას, თუ რომელი მათგანი იყო დაკავშირებული რაღაც ჰომეროსამდელ მითოპოეტურ ტრადიციასთან თუ წყაროსთან; რომელი მათგანი წარმოგვიდგება ერთობ მშრალად, მხოლოდ პოემაში „რეგისტრაციის“ ინტერესებიდან გამომდინარე.

იმისათვის, რომ ჩვენს მსჯელობას უფრო დიფერენცირებული ხასიათი მიეცეს, შევეცადოთ, ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ხალხები, დასახლებები, სხვადასხვა ხასიათის გეოგრაფიული ოდენობები და წინამძღოლები, რომლებიც ჩამოთვლილი ჰყავს ჰომეროსს. რასაკვირველია, ზოგჯერ ამ დიფერენცირებულად მსჯელობის პროცესში თავიდან ვერ ავიცილებთ ერთგვარ გამეორებას. როგორც ვთქვით, ტროელთა და მოკავშირეთა ლაშქრის ერთი ნაწილი არის საკუთრივ ტროადიდან. მათი ეთნიკური „ვინაობა“ თავისთავად ცხადია – ისინი არიან ტროელები, იგივე დარდანელები. ამიტომ, ამ შემთხვევაში, ჩვენი ყურადღება მიპყრობილი იქნება გეოგრაფიული პუნქტებისაკენ:

1. იდას მთა და მისი მიდამოები – ძელეია, მდ. აისეპოსის ნაპირები. ჰომეროსის ეპოსში თავად იდას მთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გეოგრაფიული პუნქტია. „ილიადაში“ იდა ხშირად გვხვდება სხვადასხვა კონტექსტში, შემკულია ეპითეტებითაც, მაგრამ ყველაზე ხშირად იდა ღმერთებთან მიმართებაშია ნახსენები.

ჰომეროსი ასახელებს იდას მთის ტყიან კალთებს: XXI. 559, XI. 105, XXI. 449, Ἰδης ἐν κρημαῖσι. იდას მთა მდიდარია წყაროებით, რაც არაერთხელაა აღნიშნული: XIV. 307, 157, XX. 59, 218, XXIII. 117. – πομπίδακος Ἰδης XIV. 283. Ἰδης... πομπίδακα.

იდას მთის წვერი ის ადგილია, საიდანაც ღმერთები ადევნებენ თვალყურს, რა ხდება ტროადაში. ის ღმერთთა სამყოფელია: XI. 183, XIV. 232, XV. 5, XXII. 171. "Ἰδὼς ἔν κορυφῆσι. ზევსი ხშირად არის იდას მთაზე: III. 276, 320. VII. 202, VIII. 397, XIV. 308.

წყალუხვი იდა ცხოველთა დედად იწოდება: XV. 151, VIII. 47. "Ἰδὴ δ' ἵκασυε πολυπίνδακα, μητέρα θηρῶν. იდას მთის ძირას, სიმოეისის ნაპირზე იშვა სიმოეისიოსი: IV. 475. ეს მთა ერთხელაა ნახსენები ეპითეტიტ „მალალი“: XIV. 293. "Ἰδὼς ἰψηλῆς.

იდა ნახსენებია ასევე: XI. 112, 337. VIII. 207. XIII. 13. XIV. 162. XV. 146, 255. XX. 91.

ძელია ტროელთა კატალოგის გარდა, კიდევ ორგან გვხვდება „ილიადაში“, ერთსა და იმავე ეპიზოდში, ერთი ფორმულის სახით: ἱερῆς εἰς ἄστν Ζελαίης – IV, 103, 121.

მდინარე აისეპოსიც ორგან გვხვდება: IV. 91. სადაც აღნიშნულია, რომ პანდაროსის ჯარი აისეპოსიდანაა მოსული. XII სიმღერაში კი იდას მთიდან წამოსული მდინარეების ნუსხაში ნახსენებია აისეპოსიც – ჰეპტაპოროსის, კარესოსის, რესოსის, როდიოსის, გრენიკოსის, სკამანდროსის და სიმოეისის გვერდით.

2. შემდეგი კონტიგენტით დასახლებულ ადგილებს მხოლოდ ტროელთა კატალოგში ვხვდებით – ადრესტიას, აპაისოსს, პიტინიას, ტერეიეს მთებს.

3. მომდევნო კონტიგენტის კუთვნილი გეოგრაფიული პუნქტები – პერკოტე და არისბე „ილიადაში“ სხვაგანაც გვხვდება:

XI სიმღერაში მოთხრობილია თრაკიელი იფიდამასის ამბავი, რომელმაც, სამშობლოდან წამოსულმა, პერკოტეში დატოვა ხომალდები და ფეხით გაემართა ილიონისკენ (XI. 299. ე.ი. პერკოტე ილიონთან ახლოს მოიაზრება).

XV სიმღერაში მოხსენიებულია მებრძოლი მელანიპოსი, ჰიკეტაონის ძე, რომელიც ომამდე ხარებს მწყემსავდა პერკოტეში (XV. 548). გარდა ამისა, ამ ადგილის დასახლება გმირთა წარმომავლობის მისათითებლად გვხვდება: VI. 30. Πιδίτην Περκασίου. XI. 329. Μέροπος Περκασίου.

„ილიადაში“ არისბე ნახსენებია, როგორც კარგად ნაგები, კეთილმონყობილი ქალაქი: VI. 13. ἔκτισμένῃ ἔν 'Αρισβῆ. არისბე გვხვდება XXI სიმღერაშიც, სადაც ნაამბობია პრიამოსის ერთ-ერთი ძის, ლიკაონის ამბავი – როგორ გამოისყიდა ტყვედ ჩავარდნილი ლიკაონი იმბროსის მეფემ და გაგზავნა არისბეში – XXI. 43. δῖα 'Αρισβῆν.

XII სიმღერიდან ჩანს, რომ ამ კონტიგენტის ხელმძღვანელი – ასიოს ჰირტაკიდი არისბედან ყოფილა, სელეეისის სანაპიროდან: XII. 96-97.

ასიოს ჰირტაკიდი, რომელიც არისბედან მოიყვანეს ცეცხლოვანმა დიდებულმა ცხენებმა, სელეეისიდან.

მდინარე სელეეისი სხვაგანაც გვხვდება „ილიადაში“: როდოსელთა წინამძღოლი, ტლეპოლემოსი ასტიოქეას უშვია ჰერაკლესაგან, როდესაც ეფიროსიდან მდინარე სელეეისის გავლით მოსულა (II. 659). მდინარე სელეეისი XV სიმღერაშიცაა ნახსენები – ფილევის ძეს იცავს მამის მიერ ნაჩუქარი ფარი, რომელიც მამამ შვილს ამ მდინარის ნაპირას მდებარე ქალაქ ეფიროსში აჩუქა (XV. 530).

4. პელასგები და მათი ქალაქი – ლარისა XVII სიმღერაში გვხვდება, სადაც ლეთოსის ძის, ჰიპოთოოსის აღსასრულია აღწერილი: XVII. 288 შმდ. ეს ქალაქი ეპითეტიტაც გვხვდება: 301. Ἄριστος ἔριβλάκος – ბორცვზე აგებული ლარისა. X სიმღერაში დოლონი ზღვასთან დაბანაკებულ ტროას მოკავშირე ტომებს ჩამოთვლის და პელასგებს ღვთიურს უწოდებს: X. 429 ...δῖοί τε Πελασγοί.

5. შემდეგი კონტიგენტი – თრაკიელები ხშირად გვხვდებიან პოემაში: II. 595, სადაც თრაკიელი მგოსნის, თამირისის ამბავია მოთხრობილი. თრაკიელები გრძელთმიანებად იწოდებიან: IV. 533. Θρήκες ἄκροκομοί. იმავე სიმღერაში ნახსენებია თრაკიელთა წინამძღოლი, პეიროოსი (519). იქვე აღნიშნულია, რომ პეიროოსი აინოსიდან მოსულა ტროაში (ანუ აინოსი თრაკიული ქალაქია); ასევე, ერთადაა ნახსენები თრაკიელები და სპილენძისაბჯრიანი ეპეილები (IV. .537).

თრაკიელები აქტიურად ფიგურირებენ „ილიადის“ X სიმღერაში, რომელიც არ უნდა იყოს პოემის ორგანული ნაწილი. ეს სიმღერა, არსებითად, ეძღვნება ოდისევსისა და დიომედესის მიერ თრაკიელების მეფის – რესოსის მოკვლისა და მისი ცხენების მოტაცების ამბის გადმოცემას. ამიტომ აქ თრაკიელები სხვადასხვა კონტექსტში არიან მოცემულნი:

X სიმღერის იმ ეპიზოდში, სადაც დოლონი ტროელთა მოკავშირეებს ჩამოთვლის, თრაკიელებს ახალმოსულებს უწოდებს: 434. Θρηῖκες οἶδ' ἀπ'ἀνθε νεῖλιδες. ოდნავ ქვემოთ ტროელთა ცხენები და ბანაკია ნახსენები (X. 464) და აღნიშნულია, რომ თრაკიელები შორიდან მოსულან (X. 470). ტიდიდს თორმეტი თრაკიელი განუგმირავს (X. 487). იმავე სიმღერაში დიომედე ჭოჭმანობს, მტრის ეტლებს დახარბდეს, თუ რაც შეიძლება, ბევრი თრაკიელი გამოასალმოს სიცოცხლეს (X. 506) იქვე ნახსენებია თრაკიელი ჰიპოკოონი, მეფე რესოსის ნათესავი (X. 518).

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში უკვე სხვა ტრადიციას ასახული. ამის საფუძველს იძლევა შემდეგი გარემოებები:

ა) მეცნიერთა თითქმის ერთსულოვანი აღიარებით X სიმღერა არის ინტერპოლაციის ნაყოფი.

ბ) თრაკიელთა მეფე-რესოსი, რომელიც ამ სიმღერაში აქტიურად ფიგურირებს, სხვაგან არსად არ არის ნახსენები.

გ) როგორც აღვნიშნეთ, X სიმღერაში ჰომეროსი თრაკიელებს ახალმოსულებს უწოდებს, თუმცა, კატალოგის მიხედვით, ისინი თავდაპირველად მოსულ ტროელთა მოკავშირეებთან ერთად იხსენიებიან.

საინტერესოა ისიც, რომ აქ არაფერი არ არის ნათქვამი იმ წინამძღოლებზე, რომლებიც კატალოგის მიხედვით მიუძღოდნენ თრაკიელებს. (შდრ. 77. 81.).

თრაკიელები ცხენოსნებად იწოდებიან: XIII. 4. XIV. 227. ἰπποπύλασ Θρηκῶσ. ოდისევსი თრაკიელთა ცხენებს ახსენებს (X. 559). „ილიადაში“ გვხვდება აგრეთვე: თრაკიის ზღვა (XXIII. 230). XIII სიმღერაში ჰელენოსი დეიპიროსს თრაკიულ მახვილს წაართმევს (XIII. 577),

ხოლო აქილევსი განგებ მოწყობილ პაექრობაში გამარჯვებულს ასტეროპეოსის ნაქონ თრაკიულ სატევარს ჰპირდება (XXIII. 807).

6. კიკონები კატალოგის გარდა მხოლოდ ერთხელ არიან მოხსენიებულინი „ილიადაში“ – აპოლონი კიკონთა მეფის, მენტესის სახეს იღებს და ჰექტორს მიმართავს (XVII. 73).

7. პეონიელები და მათთან დაკავშირებული ტოპონიმები „ილიადაში“ რამდენჯერმე გვხვდება. (XVI. 287). პეონებთან დაკავშირებით ამიდონი და მდინარე აქსიოსია ნახსენები:

XVI. 287-288.

ეტლებით მებრძოლი პეონები

მოჰყვნენ ამიდონიდან, აქსიოსი რომ დის.

ამავე ეპიზოდში ნაამბობია, როგორ გაექცნენ პატროკლეს პეონები (XVI. 291).

X სიმღერაში, როდესაც დოლონი ზღვასთან დაბანაკებულ ტროელთა მოკავშირეებს ჩამოთვლის, პეონებს მოლუნულმშვილდიანებად მოიხსენიებს: 428 Παίονες ἀγκυλῶτιξοι. პეონიელები გრძელმუბიანებად იწოდებიან: XXI. 155. Παίονας... διλιχεγγάς.

პელიდი მისდევს პეონიელებს, რომლებსაც საბრძოლო ეტლები ჰყავთ: XXI, 205. Παίονας ἵπποκῶρυστας. იქვე კიდევ არიან ნახსენები პეონიელები, რომლებსაც აქილევსი განგმირავდა, მდინარე სკამანდროსს რომ არ შეეჩერებინა (XX. 211).

პეონიელთა მდინარე – აქსიოსი კატალოგის გარდა, კიდევ ორჯერ გვხვდება „ილიადაში“ – XXI. 141 და 157.

8. პაფლაგონიელებს ავტორი ამკობს ეპითეტებით – სულდიდი და ფაროსანი: V. 577. ...Παφλαγόνων μεγαθύμων ἀπαιστάνων.

XIII სიმღერაში მოთხრობილია ჰარპალიონის – მეფე პილაიმე-ნევსის ძის ამბავი, რომელსაც ატრიდი გამოასალმებს სიცოცხლეს. აქ მოხსენიებულინი არიან პაფლაგონიელები და მათი ქალაქი: XIII. 656. ...Παφλαγόνες μεγαλήτορες – მამაცი პაფლაგონიელები XIII. 661. ...πολέσιον Παφλαγόνεσσιν.

9. ჰალიძონები, აღნიშნული კატალოგის გარდა, „ილიადაში“ ნახსენებნი არიან მხოლოდ ერთხელ, V სიმღერაში, როდესაც აგამემნონი განგმირავს ოდიოსს – ჰალიძონთა მეფეს (V. 39).

10. მისიელები გვხვდებიან დოლონის მიერ ზღვის პირას დაბანაკებულ ტროელ მოკავშირეთა ჩამონათვალში – X. 430 – Μισοί τ' ἀγέρῃχοι – დაუმარცხებელი მისიელები. XIV სიმღერაში ნაამბობია, როგორ განგმირა აიას ტელამონიდმა მიზიელთა ბელადი, ჰირტიოსი (XIV. 512). ასევე ნახსენებია საკურტანე ჯორები, რომლებიც მიზიელებმა აჩუქეს პრიამოსს (XXIV. 278).

11. „ილიადაში“ საკმაოდ ხშირად არიან მოხსენიებულნი ფრიგიელები. X სიმღერაში მათ დოლონი ცხენებით მებრძოლებს უწოდებს: X. 431. Φρύγες ἰππόμεχοι. პრიამოსი კი იხსენებს იმ დროს, როდესაც ვაზით მდიდარ ფრიგიაში იყო და ფრიგიელებს სწრაფი ცხენების მქონეებს უწოდებს:

III. 184.

როცა ვაზით მდიდარ ფრიგიაში ვიყავი,
იქ ვნახე მრავალი ფრიგიელი, სწრაფცხენიანი.

XVI სიმღერაში აპოლონი ჰეკაბეს ძმის – ასიოსის სახეს იღებს, რომელსაც ფრიგიაში სანგარიოსის ნაპირებთან აქვს სახლი.

ფრიგია და მეონია რამდენჯერმე გვხვდება ერთად: III. 401. Φρυγίης ἢ Μησιγίης ἑρατεινῆς – მშვენიერი მეონია და ფრიგია. ჰექტორი კი აღნიშნავს, რომ ტროელებს ბევრი განძი გაუტანიათ ფრიგიასა და მეონიაში ომის დანყების შემდეგ (XVIII. 29).

XXIV სიმღერაში აქილევსი ტროადის ადგილებს ჩამოთვლის, მათ შორის ზემო, ანუ ჩრდილოეთ ფრიგიასაც:

XXIV. 545.

ჩრდილო ფრიგია და უკიდევანო ჰელესპონტოსი.

ერთადერთხელ ვხვდებით ფრიგიელებით დასახლებულ ბორცვიან ასკანიას: XIII. 793. – Ἀσκανίης ἐριβλάκος.

12. მეონია, როგორ აღვნიშნეთ, ფრიგიასთან ერთად გვხვდება: III. 401, XVIII. 292. – Μησιγίης ἑρατεινῆς. მეონიელებს დოლონი X

სიმღერაში ცხენით მებრძოლებს უწოდებს: Μηδρες ἵπποκορυσταί.
„ილიადაში“ ნახსენებნი არიან მეონიელი ქალები, რომლებიც ფი-
ნიკიურ სპილოს ძვალს ძონით რთავენ და ცხენის მოსართავეებს
აკეთებენ (IV. 141).

V სიმღერაში იდომენევსი განგმირავს მეონიელ ფაისტოსს (V.
43).

მეონიელების სამშობლოში, გიგაიეს ტბასთან არის თოვლიანი
ტმოლოსი: XX. 385. Τμάλα νιφότευτι. იქვე დის ორი მდინარე – ჰი-
ლოსი და ჰერმოსი (XX. 390-392).

13. კარიელებს, კატალოგის გარდა, მხოლოდ დოლონის მიერ
ჩამოთვლილ მოკავშირეთა შორის ვხვდებით (X. 428).

14. „ილიადის“ მეორე სიმღერაში მოცემულ ტროას მოკავში-
რეებს შორის ბოლოს სახელდებიან ლიკიელები. მართალია, ისინი
კატალოგში მხოლოდ ორი სტრიქონით არიან წარმოდგენილნი (II.
876-877), მაგრამ „ილიადაში“ დიდი ადგილი უჭირავთ. ეს არის ტო-
მი, რომელზეც ჰომეროსი მრავალრიცხოვან ცნობებს გვანვდის.
მათზე მთელ პოემაშია გაფანტული ინფორმაცია.

კატალოგი სავსებით არაორაზროვნად მიგვანიშნებს ლიკიელ-
თა დასახლების ადგილზე, რადგან მოიხსენიებს მდინარე ქსანთო-
სს. ეს მდინარე, როგორც ცნობილია, ჩაედინება ანატოლიის სამ-
ხრეთ სანაპიროზე, ხმელთაშუა ზღვაში. აშკარაა, რომ ჰომეროსი
ლიკიელებს ტროელთა მოკავშირეებს შორის ყველაზე უფრო მნიშ-
ვნელოვნად თვლის. მიუხედავად ამისა, ერთობ ღარიბია ის ეპითე-
ტები, რომლითაც ლიკია და ლიკიელები არიან წარმოდგენილნი:

XII. 317. Λυκίαν θαρηκτάων.

XII. 330. Λυκίαν μέγα ἔθνος.

XVII. 140, XVI. 490, 541. Λυκίαν ἄσπιστάων.

XVI. 421. ἀντιθέοισι... Λυκίοισι.

ჰომეროსი გვთავაზობს „ისტორიულ წიაღსვლასაც“, როდესაც
გადმოგვცემს, თუ რა ბრძოლაში დაამარცხეს ლიკიელებმა ამადო-
ნები (VI. 185-186).

რასაკვირველია, ყურადღებას იქცევს ის, რომ „ილიადაში“ ჰექტორისა და სხვა ტროადელი წინამძღოლების მიმართვისას თავისიანებისადმი გამოიყენება ფორმულა – ტროელებო, ლიკიელებო და ხელჩართული ბრძოლის მოყვარე დარდანელებო – Τρῶες, καὶ Ἀσκιοὶ καὶ Δάρδανοὶ ἀγχιμαχῆται (VIII. 173, XI. 286, XIII. 150, XV. 425, 486, XVI. 424, XVII. 184.). ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, თავად მიმართვის ამ ფორმულაში იგულისხმება არა იმდენად შორეულ ქსანთოსთან მცხოვრები ლიკიელები, რამდენადაც ტროელები, რომლებიც „ილიადის“ მიხედვით, პანდაროსმა მიიყვანა ტროაში (II. 824-827). (მიმოხილვისთვის შდრ. 77, II, 2G, 263შმდ.). რასაკვირველია, არ არის გამორიცხული, რომ ზოგ შემთხვევაში მიმართვა უშუალოდ ქსანთოსთან მცხოვრებ ლიკიელებს ეკუთვნოდეთ.

ტროელები და ლიკიელები ერთად არიან მოხსენებულნი შემდეგ სტრიქონებში: IV. 197, 207. VI. 78, XI. 285. XV. 485. XVI. 564, 584, 685.

ლიკიელებს ასევე ვხვდებით: V. 482, 673, 676, 679. VI. 194. XVI. 422. XVI. 525. XVII. 146, 154, X. 430. XII. 346, 359.

ჰომეროსის მონაცემების მიხედვით, ქსანთოსზე მდებარე ლიკიას არ უჭირავს დიდი ტერიტორია, რადგან, პრაქტიკულად, გარდა ამ მდინარისა, არ არის ნახსენები არავითარი სხვა გეოგრაფიული პუნქტი. XII სიმღერაში აღნიშნულია, რომ ლიკიელთა სამფლობელო ქსანთოსის პირასაა გაშლლი და ხორბლითა და ვაზით გაუთქვამს სახელი.

ამავე სიმღერაში კიდევ რამდენჯერმე ვხვდებით ლიკიელებს, ძირითადად სარპედონისა და გლავკოსის კონტექსტში. „ილიადაში“ დიდი ადგილი ეთმობა ლიკიელთა სარდლების საბრძოლო გმირობის თხრობას (V. XII. XVI. XVII. სიმღერები). ტროელთა მხრიდან ისინი მნიშვნელოვან ძალად მოიაზრებიან ტროას ომში. თუმცა, სარპედონსა და გლავკოსზე ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება საუბარი, როდესაც ტროას მოკავშირეთა წინამძღოლებზე ვიმსჯელებთ.

ისტორიული თვალსაზრისით ჰომეროსი ასახავს იმ ვითარებას, როდესაც ლიკიის, როგორც რაღაც მნიშვნელოვანი სახელმწიფო

ან კვაზისახელმწიფო ერთეულის ადგილი ანატოლიურ სივრცეში კატალოგის ავტორისთვის მთლად გამოკვეთილი არ არის.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კატალოგში ჩამოთვლილ ტროელთა და მათ მოკავშირეთა შესახებ „ილიადაში“ სხვადასხვა მოცულობისა და ღირებულების ინფორმაციაა მოწოდებული. ყველაზე სრული ინფორმაცია, რომელიც შეიცავს როგორც კონკრეტულ გეოგრაფიულ ორიენტირებს, ასევე ცნობებსაც ე.წ. მითოლოგიური ისტორიის შესახებ, რასაკვირველია, საკუთრივ ტროელებისა და ტროადის კონტიგენტთან დაკავშირებით გვხვდება. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, შედარებით დიდია ინფორმაცია საკუთრივ ტროელებზე და პრიამიდებზე, ასევე, საერთოდ, დარდანოსის შთამომავლებზე. ხოლო ტროადის სხვა დასახლებათა მცხოვრებლების შესახებ ცნობები ნაკლებია.

ინფორმაციის მოცულობით გამოირჩევიან აგრეთვე ლიკიელეზიცი, თუმცა, ძირითადად, მითოლოგიური ისტორიის ხარჯზე. როგორც აღვნიშნეთ, აქ საკმაოდ შეზღუდული გეოგრაფიული ცნობებია მოცემული.

გეოგრაფიული და მითოლოგიური ინფორმაციის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობენ თრაკიელებიც, თუმცა არ ჩანს, რომ ჰომეროსი მათი მითოლოგიური ისტორიის სიღრმეებში იჭრებოდეს.

ყურადღებას იქცევს შედარებით ნაკლები მოცულობის, მაგრამ მნიშვნელოვანი ცნობები ფრიგიელებზე. როგორც აღვნიშნეთ, „ილიადა“ მიგვანიშნებს მათ მითოისტორიულ კავშირზე ტროელებთან ტროას ომამდე (ამაძონების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის დროს III. 184-190).

მოკავშირეთა ერთ ნაწილზე „ილიადა“ გვანვდის ცნობებს, თუმცა იგრძნობა, რომ მათ არ ჰქონდათ მყარად გადგმული ფესვები ეპიკურ ტრადიციაში. ზოგიერთ მოკავშირეზე „ილიადა“ იფარგლება მხოლოდ მისი იშვიათი ან სულაც ერთგზისი მოხსენიებით ყოველგვარი დამატებითი ინფორმაციის გარეშე. მაგ: ჰალიძონები. ამ გარემოების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ტროელთა

მოკავშირეების სიას ვერ განვიხილავთ მხოლოდ როგორც ეპიკოს პოეტთა ფანტაზიის ნაყოფს, რადგან ამ შემთხვევაში მოსალოდნელი იქნებოდა, კატალოგის გარდა, საკუთრივ „ილიადაში“ მოცემული ყოფილიყო რაღაც დამატებითი, უპირველეს ყოვლისა, მითო-ისტორიული ხასიათის ინფორმაცია ყველა ხალხის შესახებ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნებოდა ფუნქციონალური გამართლება ამ ხალხის კატალოგში შეტანას.

როგორც ვნახეთ, ტროელთა და მათ მოკავშირეთა კატალოგში ჩამოთვლილია საკუთრივ ტროას მცხოვრებთა და სხვადასხვა მხრიდან მოსულთა თექვსმეტი ლაშქარი. მათ ოცდაშვიდი სარდალი მოუძღვის. ტროას ომში მათი მონაწილეობა სრულიად სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი პოემაში. ტროელთა და მათ ნინამძლოლთა დაჯგუფება „ილიადაში“ მათზე დაკისრებული როლის მიხედვით პირობითად ასე შეიძლება:

1. ნინამძლოლები, რომელთა სახელები მხოლოდ კატალოგში გვხვდება.

2. ნინამძლოლები, რომლებიც ორჯერ ან მეტჯერ არიან ნახსენებნი პოემაში. ზოგჯერ მათ ეპითეტიც ამაკობს ავტორი, მაგრამ ისინი ომის მსვლელობაში არ თამაშობენ მნიშვნელოვან როლს.

3. ტროელთა ან მათ მოკავშირეთა ის ნინამძლოლები, რომლებიც რამდენჯერმე არიან მოხსენიებული „ილიადაში“. ისინი ხშირად არ გვხვდებიან, მაგრამ მათი სახით ჰომეროსი გვიხატავს მეორეხარისხოვან გმირებს, რომელთაც გარკვეული ფუნქცია ენიჭებათ ომის მსვლელობისას. ამ პერსონაჟების სახეები რჩება მკითხველის მეხსიერებაში.

4. და ბოლოს, ნინამძლოლები, რომლებიც „ილიადის“ და იქ აღწერილი მოვლენების ცენტრალურ ფიგურებად წარმოგვიდგებიან. ისინი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ პოემაში.

ამ პირობითი დაჯგუფების მიხედვით განვიხილოთ, როგორაა წარმოდგენილი კატალოგსა თუ „ილიადის“ სხვა ეპიზოდებში თითოეული მათგანი.

1. დასახელებული წინამძღოლებიდან შვიდის სახელი მხოლოდ კატალოგში გვხვდება. მართალია, ისინი „ილიადის“ სხვა ეპიზოდებში აღარ მონაწილეობენ, მაგრამ ზოგიერთ მათგანზე ინფორმაციას საკუთრივ კატალოგიდან ვიღებთ.

ა) ერთ-ერთი მათგანია პილაიოსი, რომელიც ჰიპოთოოსთან ერთად მიუძღვის პელასგთა ლაშქარს. კატალოგის მიხედვით პილაიოსი და ჰიპოთოოსი ძმები, არესის შთამომავალნი არიან. ისინი ტევტამიდმა ლეთომ შვა.

ბ) შუბოსანი კიკონების მეთაური, ევფემოსი ტროიძენოსისა და ზევსის საყვარელი კეასის ძეა.

გ) შემდეგი წინამძღოლი, რომელსაც მხოლოდ კატალოგში ვხვდებით, ეპისტროფოსია. ის ოდიოსთან ერთად სარდლობს ჰალიძონებს.

დ) ფრიგიელთა ერთ-ერთი წინამძღოლი, ასკანიოსი კატალოგში ღვთისდარადაა მოხსენიებული. კატალოგი ამით შემოიფარგლება.

ე) ანტიფოსი, რომელიც ძმასთან – მესთელესთან ერთად ხელმძღვანელობს მეონიელებს, ტალიმენესა და ტბის ნიმფის – გიგაის ძეა.

ვ) ნასტესი და ამფიმაქოსი, კარიელების წინამძღოლები, მხოლოდ კატალოგში გვხვდებიან, მაგრამ შედარებით კარგად არიან ექსპონირებულნი (ნასტესი სამჯერ სახელდება, ხოლო ამფიმაქოსი – ორჯერ). ისინი ნომიონის ვაჟები არიან. იქვე მოთხრობილია ამბავიც – რომ ერთ-ერთი მათგანი ბრძოლის დროს ოქროს ატარებდა, რათა კეთილშობილ ლითონს დაღუპვისაგან ეხსნა. თუმცა, ამ ხერხმა ის ვერ გადაარჩინა. ნომიონის ამ ძეს აიაკიდესმა მოუსწრაფა სიცოცხლე, ხოლო ოქრო მამაც აქილევესს წაუღია თან.

ნასტესსა და ამფიმაქოსთან დაკავშირებული ტექსტის ინტერპრეტაცია გარკვეულ აზრთა სხვაობას იწვევს. კერძოდ, გაუგებარია, რომელს ეხება ამ ორი წინამძღოლიდან დამოკიდებული წინადადების პირველი ფორმატივი – ონ-ის, ან რომელიც. აღნიშნული პასაჟის მიხედვით, ამ მონაკვეთში უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა ნასტესია, მაგრამ ბერძნული სინტაქსის თავისებურებათა გათ-

ვალისწინებით, ბუნდა ეხებოდეს უკანასკნელად დასახელებულ გმირს – ამფიმაქოსს. ასეა თუ ისე, ამკარაა, რომ ზემოთ მოტანილი ინფორმაცია ერთ-ერთ მათგანთანაა მიმართებაში. რამდენადაც „ილიადაში“ ეს ეპიზოდი აღარ არის აღწერილი, ძნელია მასზე დამატებით რაიმეს თქმა (196, II. 2G. 284 შპდ.)

2. დანარჩენი 20 წინამძღოლიდან თოთხმეტი პირობითად მეორე ჯგუფს, ანუ ე.წ. ეპიზოდურ პერსონაჟებს უნდა მივაკუთვნოთ. ესენი არიან:

ა) არქელოქოსი, რომელიც ენეასთან და აკამასთან ერთად მოუძღვის დარდანელებს. კატალოგის მიხედვით, ის ანტენორის ძე და აკამასის ძმაა. არქელოქოსი და აკამასი იქვე იწოდებიან გამოცდილ მებრძოლებად – μάχης εἰς εἰδότε πάσης. არქელოქოსი გვხვდება XII სიმღერაში, სადაც ნაამბობია, როგორ გაიყო ტროელთა ჯარი ხუთ ნაწილად, მეოთხე ლაშქარს კი ენეასი, არქელოქოსი და აკამასი მიუძღოდნენ. (XII. 100). ისინი აქაც იგივე, ფორმულის სახით წარმოდგენილი ეპითეტით არიან მოხსენიებულნი. მოგვიანებით არქელოქოსი იღუპება. მას აიასი განგმირავს (XIV. 463).

მართალია, აკამასი ხუთჯერაა მოხსენიებული „ილიადაში“, მაგრამ არქელოქოსზე უფრო მნიშვნელოვან როლს ვერც ის ასრულებს პოემის მსვლელობაში: აკამასი ნახსენებია, როგორც აღვნიშნეთ, არქელოქოსთან ერთად (XII. 100); ასევე, XII სიმღერაში, ტროელთა წინამძღოლების ჩამონათვალში (XI. 60). მას ჰომეროსი უკვდავთა მსგავსს უწოდებს: Ἀκάμαντ ἐπίεικλον ἀθανάτοισιν. აკამასი XIV სიმღერაში რამდენჯერმე გვხვდება (XIV. 476, 478, 488). ოდნავ მოგვიანებით აღწერილია, თუ როგორ მოუსწრაფებს მას სიცოცხლეს მერიონესი (XVI. 342).

ბ) ადრესტოსი და ამფიოსი, ადრასტეას კონტიგენტის წინამძღოლები, კატალოგის გარდა, მართალია, არსად არ გვხვდებიან სახელით, მაგრამ ისინი ერთგან არიან ნახსენებნი „ილიადაში“, როგორც პერკოსიელი მეროპსის ძეები (XI. 328) კატალოგშიც და შემდგომ ეპიზოდშიც ერთი ამბავია გადმოცემული, ერთი და იგივე სიტყვებით – როგორ არ დაუჯერეს მოხუც მამას, რომელიც მისანი

იყო და იცოდა, რომ შეილები ამ ომში უნდა დალუპულიყვნენ. ამ-
ფიოსსა და ადრესტოსს დიომედე განგმირავს (XI. 333-334).

გ) ჰიპოთოოსს, პელასგთა სარდალს, რამდენჯერმე ვხვდებით
XVII სიმღერაში. ერთხელ – ტროელთა წინამძღოლების ნუსხაში
(217), ხოლო მეორე ეპიზოდში – როდესაც პატროკლეს ცხედარს
მიათრევს და ტელამონის ძე გამოასალმებს სიცოცხლეს (XVII. 289
შმდ.). მისი სახელი შემდეგაცაა ნახსენები (XVII. 313, 318).

დ) აკამასი, რომელიც თრაკიელებს სარდლობდა პეიროოსთან
ერთად, კატალოგში მხოლოდ სახელითაა წარმოდგენილი. ის კი-
დევე ორჯერ გვხვდება ეპოსში. პირველად თვით არესი მიიღებს მის
სახეს და ისე მიმართავს ტროელთა ლაშქარს (V, 462 შმდ.), ხოლო
მეორე ეპიზოდში აღწერილია, თუ როგორ გამოასალმებს სიცოცხ-
ლეს აიასი აკამასს, ევსოროსის ძეს. ავტორი აღნიშნავს, რომ ის
უმაჰაცესი იყო თრაკიელთა შორის (VI. 8).

თრაკიელთა მეორე სარდალი, პეიროოსი „ილიადის“ სხვა ეპი-
ზოდშიც გვხვდება, როდესაც საუბარია მის საბრძოლო გმირობაზე.
პეიროოსი დიორესს, ამარინკევსის ძეს განგმირავს (IV. 520-525). ამ
ეპიზოდიდან ვიგებთ, რომ ის იმბრასოსის ძეა და აინოსიდან მოსუ-
ლა ტროაში. მოგვიანებით პეიროოსის ძის, რიგმოსის აღსასრულია
აღწერილი, რომელსაც აქილევსი გამოასალმებს სიცოცხლეს (XX.
484).

ე) პეონთა წინამძღოლზე, პირაიქმესზე არანაირი დამატებითი
ინფორმაცია არ გვაქვს კატალოგში. ის „ილიადაში“ მხოლოდ ერ-
თადერთხელ, და ისიც მაშინ შემოდის, როდესაც პატროკლეს ხე-
ლით იღუპება (XVI. 287). მას ავტორი საუკეთესო მებრძოლს უწო-
დებს.

ვ) პირაიქმესის მსგავსად, პილაიმენესი, პაფლაგონიელთა ერთ-
ერთი სარდალი, ორჯერ გვხვდება „ილიადაში“. ერთ-ერთ ეპიზოდ-
ში პილაიმენესს იმიტომ ახსენებს ავტორი, რომ მისი აღსასრულის
შესახებ გვიამბოს.

პილაიმენესის ფიგურა, როგორც ცნობილია, ჰომეროლოგიაში
დიდ დისკუსიას იწვევს, რადგან ეს არის ძალზე მკაფიო მაგალითი

იმისა, თუ როგორი შეუსაბამობაა „ილიადის“ ორ პასაჟს შორის: V. 576 ეპიზოდში პილაიმენესი ილუპება მენელაოსის ხელით, ხოლო XIII, 658. აღნიშნულია, რომ ის საკუთარ ძეს, ჰარპალიონს დაიტირებს. თუმცა, მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ ეს არის დიდი ნაწარმოებისთვის ჩვეულებრივი შეცდომა.(77, 70 შმდ.). პილაიმენესს ჰომეროსი არესის მსგავს ვაჟკაცს უწოდებს (V. 576).

ზ) ოდიოსი, ჰალიძონებს რომ წინამძღოლობდა ეპისტროპოსთან ერთად, კატალოგში დამატებითი ცნობების გარეშეა დასახელებული. „ილიადის“ ერთადერთ ეპიზოდში, სადაც გვხვდება, მას აგამემნონი განგმირავს (V. 39).

თ) მისიელთა სარდალთაგან ქრომისი, ტროელთა კატალოგის გარდა, რამდენჯერმეა ნახსენები XII სიმღერაში. თუმცა, ამ ეპიზოდებიდან მის შესახებ საგულისხმოს ვერაფერს ვიგებთ: ქრომისი გვხვდება ტროელთა წინამძღოლების სიაში (XVII. 218). როდესაც ქრომისი და არეტოსი ერთად მიდიან ბრძოლის ველზე, მათ ჰომეროსი ღმერთის სადარს უწოდებს (XVII. 495). ქრომისი ნახსენებია სხვაგანაც (XVII. 534).

მისიელთა მეორე წინამძღოლი – ენომოსი მხოლოდ XVII სიმღერაში, ტროელთა სარდლების ჩამონათვალში გვხვდება, თუმცა ქრომისზე მეტ ინფორმაციას მასზე გვანდის ავტორი – იქვე, ტროელთა კატალოგში აღნიშნულია, რომ ენომოსი ჩიტებზე მკითხავი ყოფილა, მაგრამ მისნობას ვერ გადაურჩენია შავი ბედისწერისაგან. ის ფეხმარდმა აიაკიდმა გამოასალმა სიცოცხლეს (II. 858-861).

ი) ფრიგიელთა ერთ-ერთი წინამძღოლი, ფორკისი, კატალოგის გარდა, კიდევ სამჯერაა მოხსენებული XVII სიმღერაში (218, 312, 318). თუმცა, ამ ეპიზოდებიდან მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ ფორკისი ფაინოპსის ძეა და აიასის ხელით ილუპება (XVII. 312).

კ) მესთელესი, რომელიც მეონიელებს ხელმძღვანელობს ანტიფოსთან ერთად, კატალოგის გარდა, მხოლოდ ტროელთა წინამძღოლების ჩამონათვალში გვხვდება (XVII. 216), თუმცა მასზე ინ-

ფორმაცია კატალოგშივეა მოცემული:მესთლესი ანტიფოსის ძმაა, ისინი ტალაიმენესა და ტბის ნიმფის – გიგაიეს შვილები არიან.

3. ტროელების წინამძღოლთა მესამე ჯგუფი, რომელსაც ე.წ. მეორეხარისხოვანი, მაგრამ დასამახსოვრებელი გმირები შეადგენენ, „ილიადაში“ ორი პერსონაჟითაა წარმოდგენილი. ესენი არიან პანდაროსი და ასიოს ჰირტაკიდი.

ა) პანდაროსი, რომელიც ძელიას კონტიგენტის ტროელებს მიუძღვის, ხშირად არ გვხვდება „ილიადაში“, მაგრამ ის ყოველთვის მნიშვნელოვან პასაჟებში შემოდის და მის ხსენებას მუდამ ვრცელი მოქმედება მოჰყვება ხოლმე. პანდაროსის წარდგენაც ტროელთა კატალოგში განსაკუთრებულია – ჰომეროსი აღნიშნავს, რომ ის ლიკაონის ბრწყინვალე ძეა, რომელსაც მშვილდი თვით აპოლონ-მა უსახსოვრა. პანდაროსის შემდგომი ხსენება „ილიადაში“ უკვე ერთ-ერთ საკვანძო ეპიზოდში ხდება, როდესაც მას ათენა მოეწვლინება, მაგრამ სიკვდილს გადაურჩება (IV. 88). დაახლოებით იგივე მეორდება იმ პასაჟშიც, სადაც პანდაროსი აქაველთა ერთ-ერთ ცენტრალურ გმირს – დიომედესს დაჭრის, მაგრამ მას ათენა გადაარჩენს და სიცოცხლეს შეუნარჩუნებს (V. 95 შმდ.). იმავე სიმღერაში პანდაროსი ისევ ამაოდ ცდილობს დიომედეს განგმირვას (V. 276-283).

ჰომეროსი პანდაროსს ამკობს ეპითეტით – ღვთისდარი: Πάνδαρον ἀντίειον (IV. 88. V, 168). ის შესანიშნავი მსროლელია მშვილდიდან (V. 245). პანდაროსს ჰომეროსი სახელის გარეშე, ლიკაონის ძედაც მოიხსენიებს: Λυκάονος υἱὲν δαίφρον – ლიკაონის მამაცი ძე (IV. 93) Λυκάονος ἀγλαῶς υἱὸς – ლიკაონის ბრწყინვალე ძე (V. 95, 101, 229, 276, 283). ენეასი ეუბნება პანდაროსს, რომ მისდარი ლიკიელთა შორის არავინაა (V. 171) პანდაროსი ნახსენებია ასევე ეპითეტის გარეშეც (IV. 735).

ბ) ამ ჯგუფის მეორე გმირი არის ასიოს ჰირტაკიდი. ლაშქარი, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, ბევრი დასახელების ადგილიდანაა შეკრებილი (ე.წ. პერკოტეს კონტიგენტი). ასიოს ჰირტაკიდი

კატალოგშივეა დასახელებული ვაჟკაცთა შორის საუკეთესოდ და მითითებულია, რომ ის არისბეს, სელეეისის სანაპიროს მკვიდრია.

ასიოსი რამდენჯერმე გვხვდება XII სიმღერაში. როდესაც ტროელთა ლაშქარი ხუთ ნაწილად იყოფა, ერთ-ერთს პელენოსთან და დეიფობოსთან ერთად ის მიუძღვის. აქაც აღნიშნულია, რომ ასიოსს ჰირტაკიდი არისბედან, სელეეისის სანაპიროდაა (XII. 96). იმავე სიმღერაში მის საგმირო საქმეებზეა მოთხრობილი და შემდეგი ეპითეტებითაა შემკული: XII. 110. "Ασιος, ὄρχαμος ἀνδρῶν – საუკეთესო კაცთა შორის. XII. 136. μέγαν "Ασιον – დიდი ასიოსი. ის გვხვდება ტროელ გმირთა ჩამონათვალში (XII. 139) და სხვაგანაც (XII. 163).

XIII სიმღერაში მძაფრადაა აღწერილი ასიოსის აღსასრული. მას იდომენევსი გამოასალმებს სიცოცხლეს (XIII. 384-393). როცა ასიოსის სიკვდილის გამო დეიფობოსი იძიებს შურს, აქაც ნახსენებია ეს გმირი (XIII. 403, 414).

„ილიადაში“ რამდენჯერმე ვხვდებით ასიოსის ძეს, ადამასს (XII. 140, XIII. 561, 759, 771). ჰომეროსი მის აღსასრულსაც ვრცლად გადმოგვცემს (XIII. 566. 575).

სანამ ასიოსს ჰირტაკიდის სიკვდილს შეიტყობდეს, ჰექტორი მას ცოცხალთა შორის ეძებს (XIII. 759, 771).

4. მეოთხე ჯგუფის გმირთაგან, რომლებიც „ილიადის“ ცენტრალურ ფიგურებად გვევლინებიან, ამჯერად აღარ შევჩერდებით ჰექტორსა და ენეასზე, რადგან „ილიადა“ მათზე ამომწურავ ინფორმაციას ვეძღვეს.

რა თქმა უნდა, ამ ორ გმირს თავისი მნიშვნელობით ჩამოუვარდებიან სარპედონი და გლავკოსი, ლიკიელთა წინამძღოლები, მაგრამ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჰექტორისა და ენეასის შემდეგ სწორედ ეს ლიკიელი გმირები ასრულებენ ერთ-ერთ მთავარ როლს პოემაში. სარპედონისა და გლავკოსის შესახებ „ილიადაში“ დიდძალი ინფორმაცია გვაქვს მოცემული, რაზეც თუნდაც მათი პოემაში მოხსენიების სიხშირეც მიგვითითებს – სარპედონი, კა-

ტალოგის გარდა, დაახლოებით ორმოცჯერ გვხვდება „ილიადაში“, ხოლო გლავკოსი – დაახლოებით ოცჯერ.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სარპედონისა და გლავკოსის წინაპრების შესახებ ჰომეროსი დანვრილებით მოგვითხრობს. მათ საერთო წარმოშობა აქვთ. VI სიმღერის 145-211 ეპიზოდში გლავკოსი დიომედესს უამბობს თავისი წინაპრების შესახებ:

VI. 152-156.

ცხენებით მდიდარ ეფიროსს ნახავთ მშვენიერ არგოსში.
იქ სიზიფოსი ცხოვრობდა, ყველაზე ბრძენი მოკვდავი.
სიზიფოსმა შვა გლავკოსი, ხოლო მამაცი გლავკოსის
სახელოვანი პირმშოა ბელეროფონი, რომელსაც
დიდმა ღმერთებმა ზრდილობა და სილამაზე უბოძეს.

შემდეგ მოთხრობილია, როგორ მოხვდა ბელეროფონი ლიკიაში და ღმერთთაგან სასწაულმონიჭებულმა, როგორ ჩაიდინა მრავალი საგმირო საქმე.

VI. 191-199.

ლიკიის მეფე მაშინ კი მიხვდა, რომ გმირი ღმერთების
შთამომავალი ყოფილა და ცოლად შერთო ასული,
გაუყო მეფის ქონება და ყოველგვარი პატივი.
ლიკიელებმაც არგუნეს ღვთითკურთხეული მინები,
საუკეთესო ბალი და ნაყოფიერი სახნავი.
დიდ ბელეროფონს გაუჩნდა სახელოვანი შვილები:
ვაჟები – ისანდროსი და ჰიპოლოქოსი. ასულმა,
ლამაზმა ლაოდამიამ ღრუბელთმპყრობელი ზევსისგან
შვა სარპედონი ღვთისდარი, სპილენძისაბჯაროსანი.

ისანდროსი და ლაოდამია დაიღუპნენ, ჰიპოლოქოსმა კი გლავკოსი შვა.

სარპედონი პოემაში პირველად V სიმღერაში შემოდის, სადაც ჰექტორს მიმართავს. ამ სიტყვაში სარპედონი რჩევას აძლევს გმირს და თავის წარმომავლობასაც შეახსენებს:

V. 478-485.

მეც მოკავშირედ შორიდან მოვედი,
შორი ლიკიიდან, მღელვარე ქსანთოსიდან.
იქ დავტოვე საყვარელი ცოლი და ჩვილი ბავშვი
და უამრავი განძეული, უქონელი რომ ელტვის.
მაგრამ ლიკიელებს წამოვყევი და მსურს, თავად
შევება ვაჟკაცს. თუმცა, აქ არ მაქვს რამე,
რასაც აქაველები ნაიღებენ და წამართმევენ.

სარპედონი პოემაში შემდეგი ეპითეტების კონტექსტში გვხვდება:

ἀντιθέψ Σαρπηδόνι – V. 629, 663, 692.
ἀντίθειον Σαρπηδόνα – XII. 307, VI. 199.
Σαρπηδόν, Λυκίαν Βουληφόρε – V. 633.
Σαρπηδὸν Λυκίαν ἀγὸς – V. 647.
Σαρπηδόνα χαλκοκορυστήν – VI. 199.
Σαρπηδὸν τ' ἀρχὸς Λυκίαν – XIV. 426.
Σαρπηδὸν, Λυκίαν ἀγὸς ἀσπιστάων – XVI. 541.

სარპედონი ზევსის ძედ იწოდება: V. 683. Σαρπηδὸν Διὸς υἱός.
იგი ზევსის ძედ სხვაგანაც სახელდება: XII. 292. თავად უზენაესი
ღმერთი მის შესახებ ამბობს: XV. 67. υἱὸν ἔμὸν Σαρπηδόνα δῖον. ზევ-
სი კაცთა შორის უსაყვარლესს უწოდებს მას: XVI. 433. Σαρπηδόνα
– φίλτατον ἀνδρῶν.

სარპედონი ასევე ნახსენებია: V. 493, 655, 658. XII. 101, 379, 392,
397. XVI. 419, 445, 464, 466, 327.

სარპედონის აღსასრული ვრცლად და მძაფრადაა გადმოცემუ-
ლი XVI სიმღერაში, როდესაც ის პატროკლეს ხელით იღუპება: XVI.
477-507. იგი სიკვდილის შემდეგაც არაერთხელ იხსენიება: XVI. 522
(როგორც ზევსის ძე), 533 (გლავკოსი მოუწოდებს გამირებს, იბრძო-
ლონ სარპედონის სახელზე), 541 (პექტორი განრისხებულია მისი
სიკვდილის გამო), 550-551 (მებრძოლები გლოვობენ სარპედონს,
რომელმაც უთვალავი ლაშქარი მიაშველა ტროას).

XVI სიმღერის 638, 649, 663, 668, 678 სტრიქონებში ნახსენებია სარპედონის გვამი. მას აქაველები შეურაცხყოფენ. ბოლოს, ზევსის ბრძანებით, სარპედონის ცხედარს თავად აპოლონი განზანს, გააპატიოსნებს და ლიკიაში ნაალებინებს ძილსა და სიკვდილს (677-683).

სარპედონი სიკვდილის შემდეგ სხვაგანაცაა ნახსენები – XVII. 150. ხოლო XVII. 162 და XXIII. 800. საუბარია მის საჭურველზე.

პოემაში გლავკოსი ხშირად გვხვდება სარპედონთან ერთად, თუმცა პირველად შემოდის VI სიმღერაში, დიომედესთან შეხვედრისას ბრძოლის ველზე, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, გვიამბობს თავისი წარმომავლობის შესახებ (იხ. ზემოთ).

გლავკოსი ხშირად იწოდება ჰიპოლოქოსის ძედ: Γλαῦκος δ' Ἴππολόχοιο παῖς – VI. 119, 144. VII. 13. XVII. 140. Γλαῦκος παῖδ' Ἴππολόχοιο – XII. 309, 387.

გლავკოსი, როგორც ლიკიელთა წინამძღოლი, იხსენიება: Γλαῦκος Λυκίαν ἀγὸς ἀνδρῶν – VII. 13. XVII. 140. Γλαῦκος Λυκίαν ἀγὸς ἀσπιστῶν – XVI. 593. ერთხელ ვხვდებით გლავკოსს ეპითეტით – სახელოვანი: Γλαῦκος ἀμύμας – XIV. 426. სიკვდილის წინ სარპედონი ასე მიმართავს გლავკოსს:

XVI. 492.

Γλαῦκε πέποι, παλεμιστὰ μετ' ἀνδράσι.

ძვირფასო გლავკოს, კაცთა შორის საუკეთესო მებრძოლო.

გლავკოსი არ ილუპება პოემაში.

ამგვარად, წინამძღოლების შესახებ კატალოგის ცნობების მიმოხილვის შემდეგ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: მოხსენიებული ოცდაშვიდი წინამძღოლიდან შვიდი დასახელებულია მხოლოდ კატალოგში და ისინი „ილიადაში“ აღარ გვხვდებიან. დარჩენილი ოცი წინამძღოლიდან თოთხმეტი, ფაქტობრივად, იფარგლება მხოლოდ სტატისტიკის როლით და პოემაში ჩნდება იმისთვის, რომ მოკლულ იქნას. დარჩენილი ექვსი გმირიდან ორზე „ილიადა“ გვანვდის ინფორმაციას, იმდენს, რომ ისინი შეიძლება წინარმოებში რეალუ-

რად მოქმედ პერსონაჟებად ჩავთვალოთ. კატალოგში მხოლოდ ოთხი ისეთი გმირია დასახელებული, რომელიც პოემის სრულფასოვანი მოქმედი პირია. მათგან ჰექტორი პოემის ცენტრალურ პერსონაჟად წარმოგვიდგება, ენეასი – რანგით მეორე პერსონაჟად, ხოლო გლავკოსი და სარპედონი უახლოვდებიან მთავარი გმირების რანგს.

შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კატალოგში ჩამოთვლილი წინამძღოლებიდან მხოლოდ ექვსია გმირი, რომელიც ინტენსიურად მონაწილეობს მოქმედებაში, ან შესამჩნევია მოქმედების განვითარებისას.

გავიხსენოთ II სიმღერის ის პასაჟი, სადაც ჰომეროსი აქაველთა ლაშქარს უთვალავს, ხოლო ტროელთა ჯარს მცირერიცხოვანს უწოდებს (II. 120-121). აგამემნონი თანამებრძოლებს შეახსენებს, რომ ტროელები ათჯერ და მეტჯერ ნაკლებნი არიან მათზე (II. 123-128), მაგრამ იქვე დასძენს, რომ მტრის ძლიერებას სხვა ქვეყნებიდან დასახმარებლად მოსული დიდძალი ლაშქარი განაპირობებს (II. 130).

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტროელთა კატალოგი, თავისი ოცდაშვიდი წინამძღოლით, გარდა იმისა, რომ ერთგვარ ბალანსს უქმნის აქაველების ხიმალდთა კატალოგს, გარკვეულწილად წარმოადგენს იმის დემონსტრირებასაც, რომ ტროელებს ბევრი და მნიშვნელოვანი მოკავშირე ჰყავდათ. თუმცა, თავად ის ფაქტი, რომ ამ მოკავშირეების წინამძღოლთაგან ესოდენ დაბალია „ილიადის“ მოქმედებაში ჩართულ პერსონაჟთა რაოდენობა, გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში ჰომეროსმა ან მისმა უშუალო წყარომ არსებითად თავად გაზარდა ამ წინამძღოლთა რიცხვი. ხოლო რამდენადაც მათი უმეტესობა აღარ მონაწილეობს ჰომეროსის ეპოსში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათი კვალი საერთოდ არ იყო ჰომეროსამდელ ტრადიციაში, ან, თუ იყო, ერთობ ფერმკრთალად გამოიყურებოდა (196, II. 2G, 263 შმდ.).

ჰომეროსი, როგორც ჩანს, კარგად აცნობიერებს, რომ კატალოგში ჩამოთვლილი მრავალი წინამძღოლი მისი წინამორბედი

ეპიკოსების, ან თავად მის მიერ მაღალი სტატუსითაა წარმოდგენილი. მათი პრესტიჟის ასანუკად იგი საკმაოდ საინტერესო ხერხსაც მიმართავს: ამ წინამძღოლთაგან ყველა, რომელიც „ილიადაში“ იღუპება და, ფაქტობრივად, სტატისტიად წარმოგვიდგება, ერთობ მნიშვნელოვანი აქაცელი გმირის მსხვერპლი ხდება.

ასე მაგალითად, არქელოქოსი, ჰიპოთოოსი, აკამასი (თრაკიელების წინამძღოლი) და ფორკისი აიასის ხელით იღუპებიან. პერიროსს თვით აქილევის განგმირავს. ადრესტოსს და ამფიოსს – დიომედესი. პილაიმენესს მენელაოსი მოუსწრაფებს სიცოცხლეს, ოდიოსი აგამემნონის ხელით კვდება. ასიოს ჰირტაკიდს დეიფობოსი მოუღებს ბოლოს, ხილო ენომისს – აიაკიდი. პირაიქმეს პატროკლე კლავს, აკამასს (დარდანელების წინამძღოლს) კი – მერიონესი.

საინტერესო დასკვნის შესაძლებლობას იძლევა ტროელთა წინამძღოლების სახელებზე დაკვირვება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოცდაშვიდი წინამძღოლის ოცდაექვსი სახელიდან აშკარად ბერძნული წარმოშობის მეტყველი სახელი უნდა იყოს ცხრამეტი(შდრ: 284; 140):

Ἔκτωρ	Ἐπίστροφος
Ἀιτήσαρ	Χρόμις
Ἀρχέλοχος	Ἐννομος
Ἀκάμας	Μέσθλης
Ἄδρηστος	Ἄντιφος
Ἄμφιος	Νάστης
Ἰππόθοος	Ἀμφίμαχος
Ἐὔφημος	Γλαῦκος
Πυραίχμης	
Πυλαιμέτης	
Ὀδῖος	

სამი სახელი – Πάινδαρος, Ἄσιος Ἰρτακίδης და Ἀσκάσιος დაკავშირებულია გარკვეულ ტოპონიმთან. ამ შემთხვევაში, რამდენადაც ეს სახელები იწარმოება ბერძნული სიტყვათწარმოების წესების შესაბამისად, ძნელი სათქმელია, ბერძნულ ტრადიციაში წარმო-

იშვნენ ისინი, თუ ბერძნებმა გადმოიღეს მცირეაზიაში რეალურად არსებული სახელები. მაგალითად:

პანდაროსი, როგორ ფიქრობენ, შეიძლება იყოს ადგილობრივ Panda ტოპონიმთან დაკავშირებული.

ასიოსი – ეს სახელი შეიცავს as+ხმოვან კომპლექსს, რომელიც გვხვდება 'Ασίη ფორმატივში, კრეტის დასახლების სახელწოდებაში 'Ασος და, როგორც ჩანს, ხეთურ დოკუმენტებში მოხსენიებული კავშირის სახელწოდებაში Aššawa (196, II. 2G. 263 შმდ.).

ამდენად, მართალია, ეს სახელი გეოგრაფიულ ტერმინთან კავშირში უნდა განვიხილოთ, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ იგი მართლაც გამოიყენებოდა პიროვნების სახელად მცირე აზიაში.

ასკანიოსიც ასევე აშკარად დაკავშირებულია ჰომეროსთან მოხსენიებულ ასკანიუს ტბასთან და აქაც იგივე შეგვიძლია ვთქვათ, რაც ალვნიშნეთ ასიოსის შემთხვევაში – სახელი ან ბერძნულ ტრადიციაში უნდა წარმოქმნილიყო, ტბის ან ადგილის სახელის გათვალისწინებით, ან მართლაც არსებულიყო ჰომეროსამდელ ანატოლიაში (196, II. 2G, 282 შმდ.).

რაც შეეხება დარჩენილ ოთხ სახელს, მათგან ენეასი მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ადრე ფიქრობდნენ, რომ ის დაკავშირებულია ზმნასთან αἶψα (შექება, უფლების მიცემა) და მეტყველი სახელია, თუმცა უკანასკნელ ხანებში გამოითქვა დამაჯერებელი მოსაზრება მისი თრაკიული წარმომობის შესახებ (323, 1, 329.).

ბუნდოვანია სახელ პეიროსის წარმომავლობა და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არის ადგილობრივი სახელი.

ფორკისტან დაკავშირებით მიიჩნევენ, რომ ეს სახელი ფრიგიული უნდა იყოს და არ გამორიცხავენ, რომ ის რალაციით უკავშირდებოდეს ჰესიხიოსის მიერ დასახელებულ φόρκოს-ს (თეთრი) ფორმატივს.

რაც შეეხება სარპედონს, მისი ლიკიური წარმომავლობა არ იწვევს ეჭვს თანამედროვე მეცნიერებაში.(ამ სახელებთან დაკავშირებით შდრ: 196, II, 2G.).

ამგვარად, სავსებით აშკარაა, რომ ჰომეროსის კატალოგი, თუკი მას წინამძღოლთა სახელების წარმომავლობის თვალსაზრისით დავაკვირდებით, ეტიმოლოგიურად ბერძნულენოვან გარემოსთანაა დაკავშირებული. ამან კი, შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ტროელ წინამძღოლთა სახელების აშკარად ელინური წარმომავლობა მიგვანიშნებს პოეტის შეგნებულ მიზანზე – რაც შეიძლება მეტი მნიშვნელობა მიენიჭებინა ტროელთა მხარის სამხედრო ძალის მასშტაბებისათვის.

ყოველივე ამის შემდეგ, რასაკვირველია, ბუნებრივად ისმის კითხვა: რა დასკვნის საფუძველს იძლევა თავად ტროელ მოკავშირეთა ჩამონათვალი, თუკი მას განვიხილავთ აქ დასახელებული ხალხებისა და ტომების გათვალისწინებით.

ტროელთა კატალოგი, როგორც არაერთხელ აღუნიშნავთ მეცნიერებაში, მართალია, ერთგვარად ანონასნორებს აქაველთა ხომალდთა კატალოგს, მაგრამ იგი აშკარად განსხვავდება მისგან რამდენიმე პრინციპული მომენტით:

ა) ტროელთა კატალოგი ბევრად უფრო მცირე რაოდენობის ლაშქრებს და მის წინამძღოლებს ჩამოთვლის.

ბ) იგი არ ასახელებს მოლაშქრეთა რაოდენობას.

რა თქმა უნდა, ისმის კითხვა: რით უნდა აიხსნას განსხვავება, მით უმეტეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავად აგამემნონი უსვამს ხაზს ტროელთა მოკავშირეების სიმრავლეს.

თუკი ჩვენ დავუშვებთ, რომ ტროელთა კატალოგი წმინდად პოეტური კონსტრუქციაა, მაშინ ბუნებრივად ისმის კითხვა, რა უშლიდა მის ავტორს ხელს, მნიშვნელოვნად განეევრო იგი და შეეტანა ბევრად მეტი მონაცემი ლაშქართა რაოდენობის შესახებ. მაგრამ, როგორც ჩანს, ავტორი ამ შემთხვევაში გარკვეულწილად შეიზღუდა, რაც, ალბათ გარკვეულ ინფორმაციასთან შესაბამისობის დამყარების სურვილით შეიძლება აიხსნას, ხოლო ეს ინფორმაცია ვერ იქნებოდა ისეთი სრული, როგორც ეს აქაველთა შემთხვევაში იყო. ამის შემდეგ, ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა ვითარებას ასახავს ტროელთა კატალოგი? რომელი პერიოდის ისტორიულ რე-

ალობებს უწევს ანგარიშს ამ შემთხვევაში კატალოგის ავტორი? იმისგან დამოუკიდებლად, არის თუ არა ტროას ომი ისტორიული ფაქტი, ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა, კატალოგში წარმოდგენილი ხალხთა სამხედრო გაერთიანება შეიძლება თუ არა არსებულყოფიერად აღიქვამდეს ან ჰომეროსის თანამედროვე ეპოქაში. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ კატალოგში ყურადღებას იქცევს მონაწილეთა შორის იმ ხალხების ჩამოთვლა, რომლებიც ტროას სავარაუდო ომის შემდეგ უნდა გამოჩენილიყვნენ ისტორიულ ასპარეზზე, ყოველი შემთხვევისათვის, უნდა მოქცეულიყვნენ ზეპირი თუ წერილობითი წყაროების თვალსაწიერში. ესენი არიან: თრაკიელები, პეონები, კიკონები და, შესაძლოა, ზოგიერთი სხვა ხალხი. (21, 158 შმდ.).

ამდენად, თუკი კატალოგს ავიღებთ მთლიანობაში, იმ სახით, როგორითაც მან ჩვენამდე მოაღწია, ძნელია, იგი ჩავთვალოთ გვიანბრინჯაოს ეპოქის დასავლეთ ანატოლიაში არსებული პოლიტიკურ-ისტორიული სიტუაციის ამრეკლავად. სწორედ ამას ითვალისწინებენ ის მეცნიერები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ჰომეროსის კატალოგი ასახავს იმ ვითარებას, რაც თავად პოეტის დროს, ან ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში უნდა არსებულყოფიყო. თუმცა, რასაკვირველია, ჰომეროსი ითვალისწინებს იმას, რომ ის მოგვითხრობს გარდასულ დროთა მოვლენებზე და გარკვეულწილად ახდენს მონაცემთა არქაიზაციას. ეს კი გამოიხატება იმით, რომ პოეტი არ მოიხსენიებს ზოგიერთ იმ გეოგრაფიულ თუ ეთნიკურ სახელწოდებას, რომლებიც პოეტის ეპოქაში აშკარად უნდა ყოფილიყო დადასტურებული ანატოლიაში; ასევე, თავად ამ რეგიონში ბერძენთა განსახლების ფაქტის იგნორირებას ახდენს. უკანასკნელ ხანებში მთელი ეს არგუმენტაცია კიდევ ერთხელ და საფუძვლიანად წარმოადგინა ვოლფგანგ კულმანმა. მისი აზრით, თავად „ილიადა“ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჰომეროსის მონაცემები ითვალისწინებს ვითარებას, როდესაც ანატოლიის ჩვენთვის საინტერესო ნაწილში ფრიგიელთა და ლიდიელთა დომინანტურობა იყო საგრძნობი. იგი

ყურადღებას აქცევს „ილიადის“ VIII სიმღერის 285-292 სტრიქონებს, სადაც ჰექტორი მიმართავს თავის ძმას – პულიდამასს.

XVIII, 285-292.

„პულიდამასო, არ არის სასიამოვნო, რასაც შენ ამბობ, რომ გვირჩევ ქალაქიდან გაქცევას და აქ დამალვას.

თუ არ მოგბეზრდათ ამ კოშკში შემოყუჟვა?

ადრე პრიამოსის ქალაქს მოკვდავი ადამიანები

ყველანი ასახელებდნენ ოქრომრავლად და სპილენძმრავლად.

ახლა კი განადგურდა, რაც სახლში სათუთად ინახებოდა;

ფრიგიაში და მეონიაში მრავალი მშვენიერი

განძი გაგვიყიდა, მას შემდეგ, რაც დიდი ზევსი გაგვირისხდა“.

მეონია, როგორც ცნობილია, არის ლიდის ძველი სახელწოდება (დეტალური არგუმენტაციისათვის შდრ. 188.).

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა იმის დაშვებაც, რომ ჰომეროსი ითვალისწინებს იმ მონაცემებს, რომლებიც არეკლავენ მცირე აზიასა და ეგეიდაში შექმნილ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ სიტუაციას ძვ.წ. XII საუკუნის შემდეგ, როდესაც თრაკიულ-ფრიგიული ტომები დაიძრნენ მცირე აზიისკენ და იქ დამკვიდრდნენ. თავის მხრივ, ამ შემთხვევაში მისთვის წყარო იყო ეპიკური ტრადიცია და, შესაძლოა, მცირეაზიური ქალაქების ე.წ. დინასტიური ტრადიციებიც, რომლებშიც გვიანბრინჯაოს ხანისა და ბნელი წლების მონაცემები ერთმანეთს შეერწყა.

რასაკვირველია, ყოველივე ამასთან ერთად აშკარად ანგარიშგასანეგია შემდეგი გარემოებაც: ჰომეროსის ეპოქაში ტროა, ალბათ, უკვე ბერძნული ქალაქი იყო და გამორიცხულია, ის რაღაც ანატოლიურ სამხედრო კავშირთან ყოფილიყო მიმართებაში. ასევე, ძნელია იმის დაშვება, რომ „ბნელი წლების“, ან გეომეტრიულ ეპოქაში ამ რეგიონში ბერძნებს ესოდენ მასშტაბური საბრძოლო ოპერაციები შეეძლოთ განეხორციელებინათ და მათ ამდენად ძლევამოსილი გაერთიანება დაპირისპირებოდა. ამიტომ მეცნიერთა ერთი ნაწილი ცდილობს, კატალოგში წარმოდგენილ ტროელ-

თა გაერთიანებას საფუძველი გვიანბრინჯაოს ხანის ანატოლიაში შექმნილ პოლიტიკურ, ისტორიულ, თუ გეოგრაფიულ რეალობაში დაინახოს. ეს მკვლევარნი სავსებით ლოგიკურად ხსნიან იმ გარემოებას, რომ ჰომეროსის „ილიადაში“ და კატალოგში აღმოჩნდნენ თრაკიულ-ფრიგიული წარმოშობის ტომები. ფაქტია, რომ ჰომეროსის ეპოქისათვის ისინი უკვე რამდენიმე საუკუნის მანძილზე კატალოგში მითითებულ ტერიტორიებზე ბინადრობდნენ. როდესაც კატალოგი მათ ჩამოთვლის, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასახელებს იმ ხალხებს და ქვეყნებს, რომლებიც აქ გამოჩენილმა თრაკიულ-ფრიგიულმა ტომებმა შეცვალეს. ძვ.წ. XII საუკუნის შემდეგ სავსებით ბუნებრივია, რომ კატალოგის ავტორს არ სცოდნოდა მათი სახელები, ვინც ანატოლიაში ფრიგიელების გამოჩენამდე ბინადრობდნენ ასკანიასთან, ან რომც სცოდნოდა, ამ პერიოდში ეს ეთნონიმი (თუ ეთნონიმები) იმდენად გამოდევნილი იქნებოდა თავად ფრიგიელთა სახელწოდების მიერ, რომ მკითხველს ეს უცნობი სახელი არაფერს ეტყოდა (მიმოხილვისთვის შდრ, 21, 158 შმდ; 196, II, 2G. 263 შმდ; 194.).

თუკი დავუშვებთ, რომ კატალოგში რიგ შემთხვევაში გვიანბრინჯაოს ხანის რეალობები ჩანაცვლებულია იმ ვითარებით, რაც უნდა შექმნილიყო ძვ.წ. XII საუკუნის შემდეგ, მაშინ არც ფრიგიელთა, არც თრაკიელთა დასახელებამ არ უნდა გამოიწვიოს დიდი გაუგებრობა, მითუმეტეს თუ გვიანბრინჯაოს ხანაში ამ რეგიონში ტროელთა გაერთიანების მსგავსი სამხედრო-პოლიტიკური კავშირის არსებობა გამოვლინდება.

აქვე უნდა მივაქციოთ ყურადღება შემდეგ გარემოებას: ყველა ეთნიკური თუ ქვეყნის სახელწოდება, რომელიც მოხსენიებულია კატალოგში, საკმაოდ ხშირად დასტურდება ჰომეროსის ეპოქისა და უფრო გვიანდელ ბერძნულ წყაროებში, როგორც ისტორიულად არსებული ოდენობები.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, განვიხილოთ ის მონაცემები, რომლებსაც კონკრეტულ რეგიონთან დაკავშირებით გვიდასტურებს ხეთური წყაროები. მიგვითითებენ თუ არა ისინი ამ

რეგიონში რალაც ისეთი გაერთიანების არსებობაზე, რომელიც ეხმიანება კატალოგში დასახელებულ გეოგრაფიულ თუ ეთნიკურ სახელწოდებებს.

ამ თვალსაზრისით, როგორც მეცნიერებაში არაერთგზის აღუნიშნავთ, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თუთხალიას ე.წ. ქრონიკებში დასახელებული Añawá-ს კავშირის ქვეყნების ჩამონათვალი (დეტალურად შდრ. ქვემოთ).

1990 წლამდე ეგონათ, რომ ქრონიკა ეკუთვნოდა თუთხალია IV-ს, რომლის ლაშქრობაც უნდა მომხდარიყო დაახლ. 1250 წლისთვის. ამგვარი ინტერპრეტაცია საკმაოდ კარგად ეხმიანებოდა ტროას ომის ეპოქის მოვლენებსა და „ილიადაში“ წარმოდგენილ ტროელთა და მათ მოკავშირეთა კატალოგს (შდრ. 21, 158 შმდ; 20, 40 შმდ.). მაგრამ 1990 წელს აღმოჩნდა წარწერა ბრინჯაოს მიძღვნილ ხანჯალზე, რომელიც შემდეგი შინაარსის იყო: „როდესაც თუთხალიამ – დიდმა მეფემ აშუვას ქვეყანა დაიპყრო, ეს ხანჯალი შესწირა ამინდის ღმერთს, თავის მეუფეს“. როგორც ფიქრობენ, ეს ხანჯალი დაახლოებით ძვ.წ. XV საუკუნით უნდა თარიღდებოდეს და ზოგიერთი მეცნიერის აზრით, თუთხალიას I-ის (254, 455.), ხოლო ზოგის აზრით კი თუთხალიას II-ის (84, 109.) ძღვენს წარმოადგენს ღმერთისადმი. 1997 წელს ანკარაში გამოქვეყნდა იეროგლიფურ – ლუვიურით შესრულებული წარწერა ვერცხლის თასზე: “ვილუსას დანგრევის შემდეგ თუთხალიამ მადლიერების ნიშნად შესწირა”. ლატაჩის აზრით, ეს უკანასკნელი წარწერა მხოლოდ თუთხალია II შეიძლება ეკუთვნოდეს და გვაჩვენებს, რომ მის დროს ვილუსა ალბათ კიდევ ერთხელ დაინგრა. ამდენად, აშშუვას ქრონიკის ახალი დათარიღება ანატოლიის აღნიშნულ რეგიონებში გარკვეულ ტომთა კავშირს ყველაზე გვიან ძვ. წ. XV საუკუნიდან გვიდასტურებს. არ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს კოალიცია ძვ. წ. XIV – XIII საუკუნეებში აღარ ფუნქციონირებდა. პირიქით, იგი იმდენად ეხმიანება “ილიადის” ტროელთა კატალოგსა და “ზღვის ხალხების” კონფიგურაციას ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, რომ აშშუვას ქვეყნების აქტივობა ტროას ომის პერიოდისათვის სავსებით

შესაძლებელი ჩანს. ხალხთა გაერთიანების ქრონიკაში წარმოდგენილი სურათი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იმ ვითარებასაც ასახავს, რომელიც ძვ.წ.აღ. XIV-XIII საუკუნეების მიჯნისა და მისი შემდგომი პერიოდისთვის იყო შექმნილი დასავლეთ ანატოლიაში.

იმისათვის, რომ ამ საკითხზე უფრო საფუძვლიანად ვიმსჯელოთ, თავდაპირველად განვიხილოთ ის, თუ რა შესაბამისობები შეიძლება დავუშვათ აშუვას სიასა და ტროელთა კატალოგს შორის.

ჩვენთვის ამჟამად მთავარია ერთი: მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ხეთური დოკუმენტები გვიდასტურებენ იმ გაერთიანების არსებობას, რომლის შემადგენელ ქალაქთა, ქვეყანათა თუ ხალხთა ჩამონათვალს ბევრი საერთო აქვს „ილიადის“ ტროელთა კატალოგთან. ძნელია იმის უარყოფა, რომ ამ სიას, თუკი ზღვის ხალხების ფაქტორსაც გავითვალისწინებთ (რომელზეც ოდნავ ქვემოთ შევაჩერებთ ყურადღებას), ამ რეგიონში რაღაც მეტნაკლებად სტაბილური გაერთიანების არსებობის იერი დაჰკრავს.

აშუვას ქვეყნების სია 22 ნევრისგან შედგებოდა:

- | | |
|----------------|---------------------------|
| 1. [...]ugga | 12. [...] |
| 2. Kisšpuwa | 13. [...]waa |
| 3. Unalia | 14. Waršiya |
| 4. [...] | 15. Kuruppia |
| 5. Dura/Tura | 16. [...]luissa ან [Lūsa] |
| 6. Halluwa | 17. Altra |
| 7. Huwallusiya | 18. Pahurina |
| 8. Dunda/Tunda | 19. Pasuhalta |
| 9. Karakisa | 20. [...] |
| 10. Adadura | 21. Wilusiya |
| 11. Parista | 22. Taruisa |

აქედან პირველი იკითხება მხოლოდ ნაწილობრივ, IV. XII და XXI საერთოდ არ იკითხება. I-ის, XIII-ის და XVI-ის მხოლოდ დაბოლოება იკითხება: თუმცა, ზოგნი ფიქრობენ, რომ XVI-ში დასახელებულია Luša.

თუკი აღნიშნულ სიას კატალოგთან მიმართებაში განვიხილავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ თანხვედრა გვაქვს შემდეგ შემთხვევებში:

1) სუგა დაბოლოება, მეცნიერთა უმეტესობის აზრით, ეკუთვნის ხეთურ დოკუმენტებში არაერთგზის მოხსენიებულ Lukka-ს. ეს ქვეყანა ხეთურ დოკუმენტებში აქტიურად ფიგურირებს და, ჩვეულებრივ, მას ცნობილ Λυκία-სთან აიგივებენ. თუმცა, ხეთოლოგიაში საკმაოდ დიდია კამათი იმის თაობაზე, თუ სად მოიაზრება Lukka – ისტორიული ლიკიის მიდამოებში, ანუ სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიაში, თუ სადღაც ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში. ჩვენ ამჟამად არ გვინდა, ჩავერთოთ ამ საკითხზე მიმდინარე კამათში. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს – „ილიადაშიც“ ივარაუდება ორი ლიკიის არსებობა, რომელთაგან ერთს პოეტი აშკარად ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში გულისხმობს, ხოლო მეორეს – სამხრეთ-დასავლეთით (Lukka-ს მდებარეობის შესახებ შდრ. 209, 249 შმდ.; 84, 98შმდ.).

2) სიაში მეექვსე პოზიცია უჭირავს Halluwa-ს. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ეს შეიძლება იყოს ჰომეროსის 'Αλσύη-ს შესაბამისი. თუმცა, ადრე ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა, რომ Αλσύη უნდა შეესაბამებოდეს ხეთურ ტექსტებში მოხსენიებულ Haliwa-ს (135, 35; 21, 143; Haliwa-ს მოხსენიებისათვის ხეთურ დოკუმენტებში შდრ. 209, 182 შმდ.).

3) მეცხრე პოზიცია Karakisa-ს უჭირავს. მეცნიერთა ერთი ნაწილი ამ სახელწოდებაში ხედავს ისტორიულად ცნობილი და კატალოგში დადასტურებული კარიის შესატყვისს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხეთური დოკუმენტები ასახელებენ აგრეთვე Milawa(n) ta-ს, რომელიც, შესაძლოა, კარიის მთავარი ქალაქის – მილეტის შესატყვისი იყოს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, კარიელებთან კავშირში მოიხსენიება კატალოგში.

უნდა აღინიშნოს, რომ ხეთურ დოკუმენტებში Karakisa გვხვდება Karakiša ფორმით. ხოლო ამ უკანასკნელის ლოკალიზაცია კამათს იწვევს. ზოგნი მას ისტორიული ტროა/ილიოსის სამხრეთ-აღმოს-

სავლეთით ათავსებენ, ზოგნი კიდევ უფრო სამხრეთით, ზოგნი კი სულაც კარიის ტერიტორიაზე (მიმოხილვისათვის შდრ. 209, 182 შმდ; 84, 108 შმდ.).

4) მეთერთმეტე პოზიცია უჭირავს Parista-ს. რ. გორდეზიანი არ გამორიცხავს, რომ ამ შემთხვევაში იგულისხმებოდნენ პელაზგები (21, 164 შმდ.). როგორც ქვემოთ ვნახავთ, ისინი აქტიურად ფიგურირებენ ასევე ზღვის ხალხებს შორისაც.

5) ოცდამეერთე პოზიცია უჭირავს Wilusiya-ს, რომელიც მეცნიერთა უმეტესობის აზრით, ილიონის შესაბამისი უნდა იყოს (195, 3 შმდ.).

6) ოცდამეორე პოზიცია უჭირავს Taruisa-ს, რომელიც, ასევე მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ტროას შესაბამისი უნდა იყოს (იქვე, 3 შმდ.).

ჩვენთვის ძნელი სათქმელია, თუ კოალიციის რომელი წევრები იყვნენ ჩამოთვლილნი ე.წ. „გამოტოვებულ“ პოზიციებში. არ არის გამორიცხული, რომ მათგან ზოგიერთი შეიძლება შესაბამისობაში ყოფილიყო ტროელთა კატალოგში ჩამოთვლილ რომელსაღმე ტომთან.

ბუნებრივია, თუთხალიას დოკუმენტში ყურადღებას იქცევს ორი სახელწოდება – Wilusiya და Taruisa. მათ შორის ამ დოკუმენტის მიხედვით აშკარად რაღაც განსხვავება უნდა იყოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, რატომ არის დასახელებული ორი ქვეყანა, თუ ორი პუნქტი. უნდა აღინიშნოს, რომ თუკი Wilusiya სხვა ხეთურ დოკუმენტებშიც საკმაოდ აქტიურად ფიგურირებს, Taruisa მხოლოდ ამ დოკუმენტში გვხვდება. თუკი ამ ფაქტს ჰომეროსის ეპოსის მონაცემებს შევუპირისპირებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალაქის სახელის აღსანიშნავად ჰომეროსთან ბევრად უფრო ხშირადაა გამოყენებული ილიონი (106-ჯერ), ვიდრე ტროა (53-ჯერ). (იხ. იქვე, 6.). თუმცა, როგორც ჩანს, ჰომეროსის წყაროსათვის ეს უკანასკნელი ფორმატივი დერივატების წარმოებისას გაცილებით უფრო პროდუქტიული იყო. ასე მაგალითად, ჰომეროსთან ხშირად გვხვდება ტროელები ქალაქის, თუ რეგიონის

მცხოვრებთა აღსანიშნავად. გარდა ამისა, ამ ფუძიდანაა ნაწარმოები ამ კვაზიეთნიკური სახელის როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის ფორმები.

გარდა ამისა, მთელი რეგიონი მოხსენიებულია სახელწოდებით „ტროადა“. ამის პარალელურად, ილიოსიდან თითქმის არ გვხვდება დერივატები. კერძოდ, ეს ფუძე არ გვაქვს იმ მნიშვნელობების მქონე ფორმატივებში, რომლებიც გამოყენებულნი იქნებოდნენ წარმომავლობის, ეთნიკურობის და ა.შ. ფუნქციებით.

შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ჰომეროსის წყარო პრიამოსის ქალაქის ორი სახელწოდებით მოხსენიების შესაძლებლობას იძლეოდა. ძნელი სათქმელია, რომელი მათგანი იყო უფრო ძველი – თუკი ლინგვისტისტიკური მონაცემებიდან ამოვალთ, ჰომეროსის ეპოსის ტექსტის ანალიზი იძლევა შესაძლებლობას, დავასკვნათ, რომ საკუთრივ ქალაქის აღსანიშნავად უფრო ბუნებრივი იყო ეპიკურ ტრადიციაში ილიოსის გამოყენება, ხოლო წარმომავლობის, რეგიონის და ა.შ. აღსანიშნავად – ტროასი. ყველა შემთხვევაში, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ჰომეროსის ეპოქისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო ეპიკურ ტრადიციაში ქალაქის ორი სახელწოდებით აღნიშვნა. ასეთ დროს ამ მოვლენას სხვადასხვა მიზეზი შეიძლებოდა ჰქონოდა: ტრადიციაში არსებობდა ძველი და ახალი სახელწოდება, ან ძირითადი და ეპითეტიდან განვითარებული სახელწოდება. შესაძლოა ორი სინონიმური სახელწოდების არსებობაც. ყურადღებას ის გარემოება იქცევს, რომ თავად „ილიადის“ მიხედვით, ზოგიერთ ტროელ პერსონაჟსაც ორი სახელი ჰქონდა. მაგ.: პარისი და ალექსანდროსი, ასტიანაქსი და სკამანდრიოსი.

რასაკვირველია, ჰომეროსის ეპოსიდან ძნელია პირდაპირ გავაკეთოთ დასკვნა, თუ რომელი სახელწოდება იყო უფრო ძველი. თუკი მასთან წარმოდგენილ ტროელ მმართველთა გენეალოგიურ ნუსხას გავითვალისწინებთ, უფრო ადრეული უნდა ყოფილიყო ტროსთან დაკავშირებული სახელი, ხოლო უფრო გვიანდელი – ილოსთან. რა დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს ხეთური დოკუმენტები ამ საკითხთან მიმართებაში?

როგორც ვთქვით, დომინანტურად გვევლინება სახელი Wilusiya. საყურადღებოა, რომ XIII საუკუნის I ნახევარში მუვათალი – ხეთთა მეფე წერილს უგზავნის ალაქსანდუს – ვილუსას მმართველს. წერილი მიმართვისათვის ჩვეული ფრაზა-ფორმულირების შემდეგ ამგვარად იწყება: „ადრე, ერთხელ, ლაბარნამ, ჩემმა წინაპარმა, მთელი ქვეყანა, არცაჲა და მთელი ქვეყანა, ვილუსა დაამარცხა. ამის მერე არცაჲა ამ მიზეზით ანარმოებდა ომს. მე არ ვიცი ხათუსის არც ერთი მეფის შესახებ [ამ მოვლენას ხომ შორეულ წარსულში ჰქონდა ადგილი], რომელსაც ქვეყანა ვილუსა ჩამოშორდა. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ვილუსა ხათუსას ქვეყანას ჩამოშორდებოდა, ის შორიდან ხეთების ქვეყნის მეფეებთან დამეგობრებული რჩებოდა და მუდმივად უგზავნიდა მათ წარმომადგენლებს“ (შდრ. 194, 3 შმდ.; 254, 454 შმდ.). საინტერესოა, რომ ამ დოკუმენტის მიხედვით Wilusiya-სა და ხეთების იმპერიის ურთიერთობებს XIII საუკუნის დასაწყისისთვის სულ ცოტა, საუკუნენახევრის ტრადიცია მაინც ჰქონდათ. შესაბამისად, Wilusiya-ს არსებობა, როგორც ძვ.წ. XV საუკუნეში, ასევე ძვ.წ. XIII საუკუნეში, სრულიად უცილობელი ფაქტი იყო. ¹⁰

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ Wilusiya-ს მმართველის მიმართ ხეთების მეფე არ ავლენს ქედმაღლობას და მას აშკარა პატივისცემით მიმართავს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავუშვათ, რომ ამ წერილის დაწერის მომენტისათვის Wilusiya არ იყო მტრულ დამოკიდებულებაში ხეთთა იმპერიასთან, მაგრამ ამ უკანასკნელს მისი პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის შიში მაინც ჰქონდა. ამ შიშს, ალბათ, აძლიერებდა Wilusiya-ს შესაძლებლობები, შეექმნა ქვეყნების გარკვეული კავშირი თავის რეგიონში. ეს ვითარება, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეხმიანება ეგვიპტური წყაროების მონაცემებს. ამდენად, ხეთებისთვის Wilusiya აშკარად იყო ანგარიშგასაწევი ძალა. ამჟამად ჩვენ არ შევუდგებით იმაზე მსჯელობას, თუ რა ლოგიკას ეფუძნება მეცნიერთა არგუმენტები, როდესაც ისინი ამ ქვეყანას სწორედ ბერძნული ტრადიციით

¹⁰ უფრო დანერილებით ე.წ. „ტავაგალავას ტექსტის შესახებ“ იხ: 77, 187 შმდ.

ცნობილი ტროადის ფარგლებში ათავსებენ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მკვლევართა აბსოლუტური უმეტესობა სწორედ ამგვარ ლოკალიზაციას უჭერს მხარს (მიმოხილვისთვის შდრ. 194.).

ერთობ ძნელია იმის თქმა, თუ რომელ ქვეყანას თუ ქალაქს აღვნიშნავდა ჩვენს მიერ განხილული სახელწოდება – Taruisa. რა თქმა უნდა, ძალაუნებურად იქცევეს ყურადღებას ამ სახელის მსგავსება ბერძნულ ტრადიციაში ცნობილ ტროასთან (21, 143; 209, 408; 194, 15 შმდ.).

მიუხედავად გარკვეული ლინგვისტური დაბრკოლებებისა, Taruisa და ტროა შეიძლება დავაკავშიროთ ერთმანეთთან. და მაინც, სავსებით აშკარაა, რომ ეს სახელწოდება ხეთებისათვის არ უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც პოპულარული. როგორც ჩანს, ხეთების დროს ჩრდილო-დასავლეთ მცირე აზიაში მართლაც არსებობდა ორი, ალბათ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული რეგიონი, რომელთაგან ერთის სახელი იყო Wilusiya, მეორესი – Taruisa. აქედან პირველი თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით აღემატებოდა მეორეს და არ არის გამორიცხული, რომ ორივე მათგანისათვის უმთავრესი ურბანული ცენტრი იყო ის დასახლება, რომელიც შლიმანის შემდეგ რამდენიმე არქეოლოგიური ექსპედიციის შესწავლის ობიექტი გახდა.¹¹

სავსებით დასაშვებია, რომ ტარუსელებისათვის ამ პუნქტის მოხსენიებისას უპირატესობა ეძლეოდა მათი აღმნიშვნელი ტერმინის ფუძეს, ხოლო ვილუსელებისთვის – მათ სახელწოდებაში დადასტურებულ ფუძეს. ბერძნულ ეპიკურ ტრადიციაში ეს ორი ხაზი ერთგვარად გაერთიანდა და ამით უნდა იყოს გამოწვეული ქალაქის აღსანიშნავად ორი სახელის გამოყენება.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ხეთური დოკუმენტების მიხედვით, მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გარკვეული სამხედრო გაერთიანებების წარმოქმნა თუ არსებობა ძვ.წ. XV-დან

¹¹ ტროას უკანასკნელი ექსპედიციის შესახებ სრულ წარმოდგენას გვიქმნის მანფრედ კორფმანის მარვალრიცხოვანი ნაშრომები. აგრეთვე მისი ხელმძღვანელობით გამოცემული Studia Troica. გამოსულია 14 ტომი; შდრ. აგრეთვე Troia 2001.

XIII საუკუნის ჩათვლით სავსებით დასაშვებია. ის, რომ ამგვარი გაერთიანებები XIII საუკუნეშიც შეიძლებოდა არსებულებით, ცხადი ხდება ეგვიპტური წყაროებიდანაც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ეგვიპტური წყაროების ცნობები „ზღვის ხალხების“ შესახებ.

„ზღვის ხალხები“ ეგვიპტურ წყაროებში ჩნდებიან XIV საუკუნეში, ე.წ. „ამარნას წერილებში“ და ფიგურირებენ მანამდე, ვიდრე მათ გამანადგურებელ შემოსევებს XII საუკუნეში არ ემსხვერპლება ხეთების იმპერია, კილიკია, ჩრდილოეთ სირია, არძავა და ალასია, ანუ კვიპროსი. ამ პერიოდის განმავლობაში „ზღვის ხალხების“ შემადგენლობა მუდმივად იცვლება. უცვლელი რჩება მათი სახელწოდება. „ზღვის ხალხების“ ფინალური შემოსევების შედეგად ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფო გაერთიანებათა შორის მხოლოდ ეგვიპტემ მოახერხა, თავი გადაერჩინა ნგრევისგან. თუმცა, ამის შემდეგ ეგვიპტე ვეღარ გასწორდა წელში („ზღვის ხალხების“ შესახებ შდრ. 323, 11, 333 შმდ; 197; 31..).

ვინ იყვნენ ეს „ზღვის ხალხები“?

როგორც ფიქრობენ, ეს იყო ძირითადად დასავლეთ ანატოლიასა და მიმდებარე კუნძულებზე განფენილი ტომებისაგან პერიოდულად შემდგარი კავშირები, რომელთაც XIII-XII საუკუნეთა მიჯნისათვის შემოუერთდნენ აგრეთვე ჩრდილოეთიდან და, ალბათ, ცენტრალური ბალკანეთიდან აყრილი ხალხები. მართალია, „ზღვის ხალხები“ XIV საუკუნიდან ფიგურირებენ ეგვიპტურ წყაროებში, მაგრამ მათი აგრესია საბედისწერო ხდება XII საუკუნეში. ისმის კითხვა: რამ განაპირობა ამ ხალხების ესოდენ სასტიკი შემოსევები და არსებითად, ბრინჯაოს ხანის ძველადმოსავლური ცივილიზაციების ნგრევა? ფიქრობენ, რომ ეს იყო გარკვეული ეკოლოგიური ფაქტორი, რომლის შედეგად მცირე აზია-ეგეიდის რეგიონი შიმშილობამ მოიცვა და მოხდა ე.წ. „ზღვის ხალხების“ სასტიკი გადაადგილება ძველი სამყაროს სხვადასხვა რეგიონში. ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა, როგორ გამოიყურება „ზღვის

ხალხთა“ შემადგენლობა XIII საუკუნის პირველ ნახევარში ეგვიპტური წყაროების მიხედვით.

ძვ.წ. 1274 წლის 12 მაისს მოხდა ცნობილი ბრძოლა რამზეს II-სა და მუვათალის, ანუ ეგვიპტელებსა და ხეთებს შორის ქადემთან. ხეთების მხარეზე იბრძოდნენ: artw (როგორც ფიქრობენ, უნდა იყოს ხეთთა დოკუმენტების Arzawa-ს შესაბამისი), pdš (ხეთური Pitašša-ს შესაბამისი) Drdny (ბერძნული ტრადიციით ცნობილი Dardanoi-ს შესაბამისი), Ms (Maša-ს შესაბამისი), krkš (ხეთური Karkiša-ს შესაბამისი), Lk (ხეთური Lukka-ს შესაბამისი).

თუკი მივიჩნევთ, რომ Drdny არის მართლაც დარდანელების შესაბამისი, რაც სხვა ეგვიპტური წყაროებიდანაც დასტურდება, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს სახელწოდება ამ შემთხვევაში აღნიშნავს ტროადის მოსახლეობის ერთობლიობას, რომელსაც ემატება ტროელთა კატალოგიდან და აშუვას ნუსხიდან ცნობილი კიდევ ორი მნიშვნელოვანი ქვეყანა. ეს არის კარია (Karakiša) და ლიკია (Lukka).

ვფიქრობთ, რომ ეგვიპტური წყაროების მონაცემები მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთიდან მოსული ხეთთა მოკავშირეების შესახებ გარკვეულწილად ეხმიანება მუვათალის ალაქსანდუსადმი მიწერილ იმ წერილს, რომელზედაც ზემოთ გვექონდა მსჯელობა. მართლაც, მუვათალის მმართველობის გარკვეული პერიოდისათვის არცავე, პიტაშაც და ის ხალხებიც, რომლებიც აშუვას სიასა და ჰომეროსის ტროელთა კატალოგში არიან ჩამოთვლილნი, ქადემის ბრძოლის დროს ხეთთა მოკავშირეებად გვევლინებიან.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეგვიპტურ წყაროებში XV საუკუნიდან მოყოლებული, ჩნდება მცირეაზიული ქვეყნის J-s-jj (Asija) სახელწოდება, რომელიც გვხვდება აგრეთვე რამზეს III-ის დროინდელ (1182-1151) ტოპოგრაფიულ სიებში. როგორც ფიქრობენ, ეს უნდა იყოს ხეთური დოკუმენტების Aššawa-ს შესაბამისი ქვეყანა (84, 114 შმდ.).

რასაკვირველია, ეს წარმოქმნის გარკვეულ საფუძველს, სახელწოდებები Aššawa, J-s-jj (Asija) და Ἄσῑα დავაკავშიროთ ერთმანეთ-

თან. თუკი ეგვიპტური და ხეთური სახელწოდებების ერთმანეთთან დაკავშირების თვალსაზრისს მივიღებთ, მაშინ აშკარა გახდება, რომ აშუვას არსებობა უნდა ვივარაუდოთ არა მხოლოდ ძვ.წ. XV საუკუნეში, არამედ XIII საუკუნეში და თავად XII საუკუნის დასაწყისშიც. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ რამზეს III-ის დროს მოხდა „ზღვის ხალხების“ საშინელი თავდასხმა, რამაც იმსხვერპლა აღმოსავლეთის მრავალი სახელმწიფო. ამაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. „ზღვის ხალხების“ გაერთიანებაში ეგვიპტური წყაროები ჩამოგვითვლიან ფაქტობრივად ახალ შემადგენელ ნაწილებს და მათ შორის ყურადღებას იქცევს Palaštu (ბიბლიური ფილისტიმელების შესაბამისი, რომელთა სახელშიც ზოგიერთი მკვლევარი ხედავს პელაზგთა სახელწოდების ვარიაციას). შეიძლებოდა გამოგვეთქვა ვარაუდი, რომ Palaštu აშუვას სიის Parista-სთან უნდა იყოს მიმართებაში.

მთელი ჩვენი მსჯელობა იქითკენ იყო მიმართული, რომ გვეჩვენებინა: აშუვას გაერთიანება არ დაშლილა საბოლოოდ ძვ.წ. XV საუკუნეში; იგი გარკვეული ვარიაციებით ჩნდებოდა ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში მომდევნო საუკუნეებშიც; XIII საუკუნეში ჰომეროსის ტროელთა და მოკავშირეთა კატალოგის, თუ ხეთთა Aššawa-ს გაერთიანების მსგავსი კავშირი მართლაც შეიძლებოდა არსებებულიყო.

ამგვარად, თუკი ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, შეიძლება აღინიშნოს, რომ ჰომეროსის ცნობები ტროელებისა და მათი მოკავშირეების შესახებ პოეტური ფანტაზიის, ეპიკური ტრადიციის ნიაღში ჩამოყალიბებული წარმოდგენების და ისტორიული რეალობის ამსახველი მონაცემების საინტერესო სინთეზს წარმოადგენს. სავსებით აშკარაა, რომ ზუსტად ამგვარი სია ვერ იარსებებდა ტროას ომის სავარაუდო ეპოქაში (ძვ.წ. XIII ს.), რადგან მასში წინამძღოლთა დონეზე ძალზე აშკარაა სახელთა ელინიზაციის მნიშვნელოვანი კვალი, ხოლო ეთნიკურ და გეოგრაფიულ დონეზე – იმ ფაქტებისა, რომელთაც მხოლოდ XIII საუკუნის შემდგომ შეიძლება ეჩინათ თავი. ამასთანავე, აშკარაა,

რომ ტროელებისა და მათი მოკავშირეების წარმოდგენისას პოეტი ცდილობს, მიუახლოვდეს იმ ისტორიულ რეალობას, რაც გვიანბრინჯაოს ხანაში უნდა არსებულიყო დასავლეთ ანატოლიაში. ჰომეროსისათვის ამ შემთხვევაში მთავარია ორი გარემოება: ა) ტროას ომის სავარაუდო დროისათვის მცირე აზიაში მართლაც არსებობდა მნიშვნელოვანი ძალა, რომელსაც აქაველებისათვის ღირსეული წინააღმდეგობის განევა შეეძლო. ბ) ამ ძალის შესახებ არსებული წინააღმდეგობრივი ინფორმაციიდან საჭირო იყო გარკვეული სისტემის შექმნა, რომელიც დამაჯერებელი იქნებოდა მისი ეპოქის აუდიტორიისათვის.

ეპიკურ ტრადიციაში არსებული მითოპოეტური ინფორმაციის, როგორც ჩანს, VIII საუკუნემდე შემონახული ნანგრევების, სხვადასხვა ხასიათის დინასტიური ტრადიციებისა და, სავსებით შესაძლებელია, გარკვეული წერილობითი წყაროების გამოყენებით ჰომეროსმა ჩინებულად შეძლო, მოეხდინა აქაველთა ყველაზე უფრო ძლიერი მონინააღმდეგის მასშტაბური წარმოდგენა და, ჩვენ ვიტყვით, უკვდავყოფა.

ტროელთა საზოგადოება

მეცნიერებაში არაერთგზის აღნიშნულა, რომ „ილიადაში“ უამრავი ფიგურაა წარმოდგენილი, იქნება ეს ღმერთი, თუ გმირი, რომლებიც ქმნიან პოემის პერსონაჟთა ერთობ ფართო საზოგადოებას. „ილიადაში“ მოხსენიებულია ათასამდე პერსონაჟის სახელი. მათგან ნაწილი უშუალოდაა ჩართული მოქმედებაში, ნაწილი კი მოქმედებას უკავშირდება, მხოლოდ როგორც მებრძოლთა წინაპარი, მშობელი, ან პირი, რომლის დასახელების გარკვეულ საფუძველს ესა თუ ის ფაქტი ქმნის (ფიგურათა სრული ნუსხა იხ: 140. საკუთრივ ტროელთა 284.).

რასაკვირველია, პერსონაჟთა ესოდენ დიდი ოდენობის ექსპონირება პოეტისთვის საკმაოდ ეფექტური ხერხია, რათა ომისდროინდელ ტროადასთან დაკავშირებული საზოგადოების მასშტაბები წარმოადგინოს. ისევე, როგორც ბევრ სხვა საკითხში, ჰომეროსი აქაც იცავს პარიტეტს და აქაველთა და ტროელთა მხარეებს თითქმის თანაბარი ოდენობის პერსონაჟებით წარმოგვიდგენს. რა თქმა უნდა, აქაველები რამდენადმე სჭარბობენ ტროელებს, მაგრამ თავად ტროელ პერსონაჟთა რაოდენობაც ერთობ შთამბეჭდავია. „ილიადაში“ ნახსენებია სამასზე მეტი ტროელი და მათი მოკავშირე. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ როგორც მოქმედებაში რეალურად ჩართულთ, ისევე სხვადასხვა გარემოებასთან დაკავშირებით ნახსენებ ფიგურებს.¹²

ის, თუ როგორ ახერხებს ჰომეროსი მონინააღმდეგის ესოდენ მრავალრიცხოვან პერსონაჟთა ექსპონირებას, მათთვის ფუნქციის მინიჭებას და მათ განაწილებას პოემაში, საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ავტორის პოეტურ ტექნიკაზე და ოსტატობაზე – რაც შეიძლება სრულად წარმოადგინოს ტროელთა სამყარო.

ვიდრე კონკრეტულად განვიხილავდეთ იმას, თუ როგორ ახერხებს ჰომეროსი მონინააღმდეგის მხარის ესოდენ სრულფასოვნად წარმოჩენას, შევეცადოთ, დავაჯგუფოთ ტროელი პერსონაჟები

¹² 284 დეტალურად განიხილავს ყველა 350-ივე ტროელთან დაკავშირებულ მთელ ინფორმაციას ანტიკურ წყაროებში.

გარკვეული პრინციპით. ბუნებრივია, ამ დაჯგუფების უმთავრესი საფუძველი იქნება პერსონაჟთა განაწილება იმის მიხედვით, არიან თუ არა ისინი დაკავშირებულნი რეალურ მოქმედებასთან. ამის შემდეგ ყურადღებას მივაპყრობთ იმას, თუ რა ქვეჯგუფების გამოყოფა შეიძლება თითოეულ ამ ჯგუფში პერსონაჟთა ფუნქციის, პოემაში მონაწილეობის, მოქმედების ინტენსივობის და ა.შ. მიხედვით.

მოქმედებაში ჩართული პერსონაჟები

1. ინტენსიურად მოქმედი უმნიშვნელოვანესი პერსონაჟები

ამ კატეგორიაში ვაქცევთ იმ გმირებს, რომელთა როლი თვალსაჩინოა მოქმედების განვითარებაში, რომელნიც განსაკუთრებით ხშირად მონაწილეობენ მოვლენებში და რომელთაც პოემის არაერთი ვრცელი პასაჟი უკავშირდება. ჩვენი აზრით, ამ კატეგორიაში უნდა მოვაქციოთ ის პერსონაჟები, რომელთა სამოქმედო პარტიები პოემაში 100 სტრიქონზე მეტს მოიცავს. უმთავრესი პერსონაჟების ინდივიდუალიზაციის ჰომეროსისეულ პრინციპებზე მომდევნო თავში გვექნება მსჯელობა.

1. **ჰექტორი** – Ἕκτωρ – ტროას მეფის, პრიამოსისა და დედოფლის, ჰეკაბეს უფროსი ძე, ანდრომაქეს მეუღლე, ასტიანაქსის მამა. ტროელთა წინამძღოლი, ტროას ომის ცენტრალური ფიგურა. ისეთივე მნიშვნელობის გმირია ტროელთათვის, როგორც აქაველთათვის – აქილევსი. ჰომეროსი მისი სახის ინტენსიფიკაციას ახდენს და ამ გზით გვაცნობებს ტროას შემდგომი ბედის შესახებ. სახელს ბერძნული ეტიმოლოგია აქვს: *segh- და -τῶρ (იხ. DT1, 466 შმდ. ასევე HP, 10a1, 64, 71b1; RE, VII.2 2806-2818).

2. პრიამოსი – Πρίαμος – ტროას მეფე, ლაომედონის ძე, ჰეკაბეს მეუღლე. ორმოცდაათი ძე და თორმეტი ასული ჰყავს. უკვე ის ფაქტი, რომ ტროას მეფეა, მას ეპოსის უმნიშვნელოვანეს ფიგურად აქცევს. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ უშუალოდ არ ერთეება საბრძოლო სცენებში, „ილიადაში“ მისი მოქმედების ინტენსივობა საკმაოდ მაღალია. სახელი არ არის ბერძნული წარმოშობის (იხ. DTI, 906 შმდ., ასევე HP, 15a2, 49c, 82; RE, XXII,2 1841-1906).
3. ენეასი – Ἠνείας – ტროადელ დარდანელთა ერთ-ერთი წინამძღოლი, ანქიზისა და ქალმერთ აფროდიტეს ძე. მონაწილეობს „ილიადის“ თითქმის ყველა მოქმედებაში. სახელის წარმოშობა სადავოა; მას უკავშირებენ თრაკიულ და ილირიულ გარემოს (იხ. DTI, 179 შმდ., ასევე HP, 39g1, 80a; RE, I, 1 1010-1019, SI).
4. პარისი – Πάρις
5. ალექსანდროსი – Ἄλεξανδρος – ტროას მეფის ძე, ელენეს მეუღლე, ომის დანაშაულის მიზეზი. ინტენსიურად ერთეება მოქმედებაში, თუმცა ომის მსვლელობისას გადამწყვეტ როლს არ თამაშობს. პარისი არაბერძნული სახელია, ხოლო ალექსანდროსს ბერძნული ეტიმოლოგია აქვს (ἀλέξ–ἀλέξω და -ανδρος–άνθρωπος) (იხ. DTI, 814 შმდ., ასევე HP, 10f13, 38a4, 82; RE, XVII,4 1448-1536).
6. ანდრომაქე – Ἀνδρομάχη – თებელი ეეტიონის ასული, ჰექტორის მეუღლე, ასტიანაქსის, ანუ სკამანდროსის დედა. სახელს ბერძნული ეტიმოლოგია აქვს: (ἀνδρo–άνθρωπος და μαχος) (იხ. DTI, 274 შმდ., ასევე HP, 22a2, 34a6b, 37a1, 66; RE, I,2 2150).

7. სარპედონი –
Σαρπηδών –
ბელეროფონის ასულის, ლაოდამიას და ზევსის ძე. ლიკიელთა წინამძღოლი. მისი სიკვდილი შთამბეჭდავდაა გადმოცემული. ჰომეროსი დანვრილებით ინფორმაციას გვაძლევს მისი წინაპრების შესახებ. სახელის ეტიმოლოგია არაბერძნულია. (იხ. DTI, 973 შმდ., ასევე HP, 59b; 63b1; 80b; 82; RE, II A. 1. 35-47).
8. პულიდამასი –
Πουλυδάμας –
პანთოსის ძე. ძალიან ხშირად გვხვდება საბრძოლო სცენებში. უმთავრესად იძლევა რჩევებს და უმრავლეს შემთხვევაში ითვალისწინებენ კიდევ მის აზრს. ერთგან ამბობს ავტორი, რომ მან კარგად იცის წარსულიც და მომავალიც (18.249); ის ისევე ბრწყინავს სიტყვით, როგორც ჰექტორი – საქმით (18. 252) მას ჰექტორის რანგშიც მოიხსენიებს ჰომეროსი (მაგ: ის და ჰექტორი ერთად მიუძღვიან რაზმს – 12. 88). ეს გმირი ჰექტორის მეგობარია, ისინი ერთ ღამეს იშვნენ. სახელი ბერძნული წარმოშობისაა: (Πουλυ-παιλυ- და δαμας-δάμιουα) (იხ. DTI, 901 შმდ., ასევე HP, 28a1, 63b2, 66; RE, XXI.2 1599-1601).
9. გლავკოსი –
Γλαυκος –
ბელეროფონის შვილიშვილი, ჰიპოლოქოსის ძე, ლიკიელთა წინამძღოლი. ის აქტიურადაა ჩართული ბრძოლებში, თუმცა მოქმედების ინტენსივობით ოდნავ ჩამოუვარდება სარპედონს. სახელი ბერძნული წარმოშობისაა (γλαυκος) (იხ. DTI, 385 შმდ., ასევე HP, 11d6; 51a1; 67a4; RE, VII.1 1413).

2. ინტენსიურად მოქმედი მნიშვნელოვანი პერსონაჟები

ამ ჯგუფს მივაკუთვნეთ პერსონაჟები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ომის მსვლელობაში. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი მოქმედებაში, დასამახსოვრებელ სახეებსაც ქმნიან და განსაკუთრებული ფუნქციაც ენიჭებათ პოემაში. მაგრამ მაინც, ისინი პირველ კატეგორიაში ჩამოთვლილ გმირებს ჩამორჩებიან თავიანთი მნიშვნელობითაც და მოქმედების ინტენსივობითაც.

1. ანტენორი – ოხუცესთა საბჭოს წევრი, აისიეტესის ძე. ქურუმი 'Αντήνορας – ქალის, კისეს ასულ თეანოს ქმარი. აგენორის, დემოლეოსის, იფიდამასის, კოოსის, პედაიოსის და პოლიბიოსის მამა. ხშირად მოიხსენიება სწორედ მათთან მიმართებაში. ის მონაწილეობას იღებს მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობაში. სწორედ მას გაიყოლებს პრიამოსი, როდესაც ბრძოლის ველზე გადის აქაველებთან მოსალაპარაკებლად. სახელი ბერძნული წარმოშობისაა (ἀντι- და -νορας(-νόρας)) (იხ. DTI, 284 შმდ., ასევე HP, 11d1; 16c; 33b1; 35a3a; 66).
2. დეიფობოსი – Διφωβος – პრიამოსის ძე. აქტიურადაა ჩართული საბრძოლო სცენებში. ძირითადად წამყვანი გმირების გვერდით იბრძვის და თავადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოემაში. სახელი ბერძნულია (Δι- და φωβος) (იხ. DTI, 415 შმდ., ასევე HP, 11d1; 22b2; 29a2; 35d; 66; RE, IV.2 2404-2406).
3. პანდაროსი – Πάνδαρος – ლიკაონის ძე. ძელეიას კონტიგენტის წინამძღოლი. მას თვით აპოლონმა უბოძა მშვილდ-ისარი. სახელის ეტიმოლოგია სადავოა: შესაძლოა, ეს იყოს ბერძნული სახელი (παν- და δῆρος) თუმცა, ზოგი მოსაზრებით, ეს სახელი არაბერძნულია. (იხ. DTI, 797 შმდ., ასევე 45d; 83; RE, XVIII.3 504-507).

4. აგენორი – ანტენორისა და თეანოს ძე. ტროელთა წინამძღო-
'Αγέρης – ლი. აქტიურადაა ჩართული საბრძოლო სცენებში. სახელის წარმომავლობა ბერძნულია. (ἀγρ- და διήρ) (იხ. DTI, 153 შმდ., ასევე HP, 11d1; 18a1b; 33b2; 3,4; 35a1a, 8,2; 66).
5. ჰელენოსი – პრიამოსის ძე. ჩიტებზე მჩხიბავი. ტროელებს აძ-
Ἑλεως – ლევს რჩევებს და თვით ისეთი გმირიც კი, როგო- რიც ჰექტორია, ითვალისწინებს მის წინასწარ- მეთყვევლებებს. ეს კი უმრავლეს შემთხვევებში ხელსაყრელია ტროელთათვის. ის აქტიურად მო- ნაწილეობს ბრძოლებშიც.
სახელი, მეცნიერთა უმეტესობის აზრით, ელენეს მამრობითი ვარიანტია. თუმცა, ამ სახელის ეტი- მოლოგიაც სადავოა. (იხ. DTI, 508 შმდ., ასევე HP, 48b2; 84; RE, VI.2 2844-2847).
6. ლიკაონი – მისი ამბავი ვრცელადაა გადმოცემული პოემაში; მი-
პრიამოსის ძე – Λυκάων სი სახელი ხშირად იხსენიება, თუმცა იგი არ ქმნის გმირის ისეთი სახეს, როგორსაც ამ ჯგუფის სხვა სახელები.
სახელის ეტიმოლოგია სადავოა. შესაძლოა, უკავ- შირდებოდეს ბერძნულ λῆκος-ს. შეიძლება, იყოს მცირეაზიულ ეთნოსთან დაკავშირებული ანთრო- პონიმი. (იხ. DTI, 721 შმდ., ასევე HP, 60c2; 81; RE, XIII.2 2247).
7. ასიოსი – ჰირტაკოსის ძე. პერკოტეს, პრაქტიონის, სესტო-
Ἄσιος – სის, აბილოსისა და არისბეს კონტიგენტის წინამ- ძღოლი. სულ რამდენიმე სიმღერაში შემოდის, მაგ- რამ ქმნის გმირის დასამახსოვრებელ სახეს.
სახელის ეტიმოლოგიის საკითხი პრობლემატუ- რია: მეცნიერთა უმეტესობა მას აკავშირებს Ἄσιος- სთან, რომელიც უნდა ირეკლებოდეს მიკენურ a-si- wi-jo-სა და ხეთურ Aššawa-ში. (იხ. DTI, 324 შმდ., ასევე HP, 13a3; 39b2; 58b1; 80a; RE, II.2 1605).

8. კებრიონე – პრიამოსის უკანონო ძე. ტროელთა წინამძღოლი, Κεβριονης – პექტორის მეეტლე / მებაჯრე. ის თავადაც აქტიურადაა ჩართული ბრძოლებში. სახელი შემოსულია ბერძნულში. (იხ. DTI, 677 შმდ., ასევე HP, 37b3; 80a; RE, XI.1 106-107).
9. ჰეკაბე – პრიამოსის მეუღლე, ტროელთა დედოფალი, დიმა- Eκαβη – სის ასული. პოემის ცენტრალური გმირების – ჰექტორისა და პარისის დედა. სახელი ბერძნული წარმოშობისაა (*'Eκα-βίλος) (იხ. DTI, 451 შმდ., ასევე HP, 22a1; 50c1; 2; 66; RE, VII.2 2652-2662).
10. ბრისეისი – ბრისევის ასული, აქაველთა ტყვე. Βρισηϊς – სახელი შემოსულია ბერძნულში. (იხ. DTI, 367 შმდ., ასევე HP, 56a2; 58b1; 89a; RE, III.1 856-857).

3. ინტენსიურად მოქმედი ნაკლებად მნიშვნელოვანი პერსონაჟები

ეს პერსონაჟები საკმაოდ ხშირად იხსენიებიან პოემაში, მათი სახელები არაერთ ცალკეულ საბრძოლო სცენასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ვერ უტოლდებიან წინა კატეგორიის გმირებს; არ ასრულებენ გადამწყვეტ როლს ბრძოლების მსვლელობისას და არ ქმნიან დასამახსოვრებელ სახეებს.

1. ჰიპოთოსი – პელაზგთა წინამძღოლი ლარისადან. 'Ιπποθους – სახელი ბერძნული წარმოშობისაა ('Ιππο- და -θους) (იხ. DTI, 619 შმდ., ასევე HP, 22c1; 66; RE, VIII.2 1925).
2. აკამასი – 'Ακάμας – ანტენორისა და თეანოს ძე. ტროადელ დარდანელთა წინამძღოლი. სახელი ბერძნული წარმოშობისაა (ααμα-ααμια) (იხ. DTI, 242 შმდ., ასევე HP, 28a1; 63a1; 66; RE, I.1 1143).

3. ასტეროპეოსი – Ἄσπεροπαῖος –
 პელეგონის ძე, პეონიელი. მდინარე აქ-
 სიოსის შვილიშვილი.
 სახელი ბერძნული წარმოშობისაა
თუმცა ზოგიერთი მეცნიერი უკავშირებს
ბერძნულ αιετος-ს. (იხ. DTI, 563 შმდ., ასევე
HP, 47d; 84; RE, V.2, 1977).

25. იფიტოსი – Ἴφιτος – არქეპტოლემოსის, ჰექტორის მეეტლის მამა. სახელი ბერძნულია. (იფი და -τος) (იხ. DTI, 642 შმდ., ასევე HP, 54c; 66; RE, IX.2, 2029).
26. იმბრასოსი – Ἰμβρασος – სახელი შემოსულია ბერძნულში. (იხ. DTI, 611 შმდ.; ასევე HP, 56b2; 58b1,2; 80b RE, IX.1, 1105).
27. ითაიმენესი – Ἰθαίμενης – სთენელაოსის მამა. სახელი ბერძნულია (ἰθαίμενης-დან, ἰθαί- და -მენეს) (იხ. DTI, 601 შმდ., ასევე HP, 23b; 31a2; 34a5a; 66).
28. კალეტორი – Καλήτωρ – აფარევის მამა. სახელი ბერძნულია (καλη-καλέα და -τωρ) (იხ. DTI, 644 შმდ., ასევე HP, 64; 71b2; RE, X.2, 1603).
29. კეასი – Κέας – ტროიძენოსის მამა, ევფემოსის ბაბუა. სახელის ეტიმოლოგია უცნობია. (იხ. DTI, 676 შმდ., ასევე HP, 39g1; 80a)
30. ლეთოსი – Λήθος – პილაიოსის და ჰიპოთოოსის მამა. სახელის ეტიმოლოგია გაურკვეველია. ალბათ, დაკავშირებულია წინაბერძნულ ეროვნულ სამყაროსთან. (იხ. DTI, 720 შმდ., ასევე HP, 13a2; 36g; 80c).
31. მეგასი – Μέγας – პერიმოსის მამა. სახელი ბერძნულია (μέγας) (იხ. DTI, 740 შმდ., ასევე HP, 66; 67a1).
32. მენტორი – Μέντωρ – იმბროსის მამა. სახელი ბერძნულია (μειν- და -τωρ) (იხ. DTI, 750 შმდ., ასევე HP, 10a2; 64; 70b1; RE, XV.1, 964).
33. მეროპსი – Μέροψ – ადრესტოსის და ამფიოსის მამა. სახელის ეტიმოლოგია არ არის ცნობილი. ალბათ, წინაბერძნულია. (იხ. DTI, 753 შმდ., ასევე HP, 15a2; 50a3; 81).

34. ნომიონი – Νομίω – ამფიმაქოსის და ნასტეს მამა. სახელი ბერძნულია (νομός და -ωσ) (იხ. DTI, 770 შმდ., ასევე HP, 10a1; 47c1,3; 66; 70b4).
35. ონეტორი – Ὀνητωρ – ლაოგონოსის მამა. სახელი ბერძნულია. (ὄνα- და -τωρ). (იხ. DTI, 782 შმდ., ასევე HP, 64; 70b2).
36. ოტრინტევსი – Ὀτρυντεύς – იფიტონის მამა. სახელი ბერძნულია (*οτρυντεύς, -εύς) (იხ. DTI, 787 შმდ., ასევე HP, 10a1; 42a2; 71b1; RE, XVIII.2, 1888).
37. პაიონი – Παίω – აგასტროფოსის მამა. სახელი შემოსულია ბერძნულში, პეონიელთა ეპონიმი. (იხ. DTI, 797 შმდ. ასევე HP 47d;81).
38. პეისენორი – Πεισηνωρ – კლეისტოსის მამა. სახელი ბერძნულია (πεισι-πειθω და -νωρ) (იხ. DTI, 875 შმდ., ასევე HP, 19; 33b1; 35a3b; 66).
39. პერგასოსი – Πέργασος – დეიკონის მამა. სახელი შემოსულია. (იხ. DTI, 877; ასევე HP, 15a3; 49c; 58b1,2;82; RE, XIX.1, 693-694).
40. პერიბოია – Περιβοία – ასტეროპეოსის ბებია. სახელი ბერძნულია (περι-βοίς) (იხ. DTI, 877 შმდ., ასევე HP, 16g; 31b2; 41a1,66).
41. პოლიაიმონი – Πολυαίμων – სახელი ბერძნულია (πολυ- და αίμων) (იხ. DTI, 891 შმდ., ასევე HP, 26c; 66).
42. პროტიონი – Προτιών – ასტინოოსის მამა. ალბათ, სახელი ბერძნულია (προτι- და -ων) (იხ. DTI, 947 შმდ.; ასევე HP, 47b2; 60b; 66). RE, XXIII.1, 979).
43. პილაიმენესი – Πυλαίμενης – ჰარპალიონის მამა. სახელი ბერძნულია (πυλαι და -μεινης). (იხ. DTI, 949 შმდ., ასევე HP, 23b; 34a5a; 66).

44. სელაგოსი – Σέλαγος – ამფიოსის მამა.
სახელის ეტიმოლოგია ბუნდოვანია. (იხ. DTI, 991 ასევე HP, 51d; 67a3).
45. სელეპიოსი – Σεληπιος –
– მინესის და ეპისტროფოსის ბაბუა.
სახელი შემოსულია ბერძნულში. (იხ. DTI, 991; ასევე HP, 39c; 50b,84. RE, IIA.1, 1145).
46. სტროფიოსი –
Στρόφιος – სკამანდრიოსის მამა.
სახელი ბერძნულია (στρέφω). (იხ. DTI, 1000, ასევე HP, 39a2,c2; 66; 68c2; RE, IVA.1, 378).
47. ტალიამენესი –
Ταλαιμένης – ანტიფოსისა და მესთლეს მამა.
სახელი ბერძნულია (ταλαι- და -μενης). (იხ. DTI, 1005 შმდ., ასევე HP, 18b; 23b; 31a2; 34a5a; 66).
48. ტექტონი – Τέκτων – ფერეკლოსის მამა.
სახელი ბერძნულია (τέκτων). (იხ. DTI, 1006 შმდ., ასევე HP, 4b1; 7b4; 10a1; 47a; 71a2; RE, V.A.1, 171).
49. ტევორასი – Τεύρατας – აქსილოსის მამა.
სახელი შემოსულია ბერძნულში. (იხ. DTI, 1006 შმდ., ასევე HP, 63b1,d; 81).
50. ტევტამოსი –
Τεύταμος – ლეთოსის მამა.
სახელი შემოსულია ბერძნულში (იხ. DTI, 1007 შმდ. ასევე HP, 15a2; 49c; 82).
51. ტროიძენოსი –
Τροιδηνος – ევფემოსის მამა, კეასის ძე.
სახელის წარმოება ბერძნულია. ნანარმო-
ებია ტოპონიმ Τροιξήν-იდან. (იხ. DTI, 1015 შმდ., ასევე HP, 48d; 80b; RE, VII A.1, 655).
52. თალისიოსი –
Θαλίστιος – ექეპოლოსის მამა.
ალბათ, ბერძნული სახელია (Θαλίστια-იდეს).
(იხ. DTI, 577).
53. თებაიოსი – Θεβαΐος – ენიოპევსის, პექტორის მეეტლის მამა.
ეთნიკური სახელი ტოპონიმ Θήβη-დან. მი-
უხედავად იმისა, რომ ფუძის ეტიმოლოგია
გარკვეული არ არის, უნდა იყოს ბერძნული
სახელი. (იხ. DTI, 585, ასევე HP, 13a1,2; 14b1;
39f2; 80a; RE, vA.2, 1594).

54. **ჰარმონი** – Ἄρμων – ფერეკლოსის ბაბუა.
სახელი ბერძნულია (ἄρμων-დან) (იხ. DTI, 315 შმდ.; ასევე HP, 10a1; 61a1; 71b5. RE, VII.2, 2379).
55. **პიპასოსი** – Ἰππασος – აპისაონის მამა.
სახელი ბერძნულია (ἵππασος). (იხ. DTI, 631 შმდ., ასევე HP, 58a2; 709).
56. **პიპოტიონი** – Ἰπποτίων – მორინის და ასკანიოსის მამა.
სახელი ბერძნული უნდა იყოს (ἵππασος → ἵπποτίης და -ίων). (იხ. DTI, 631 შმდ; ასევე HP, 47c1, 3; 53b1; 70a9).
57. **ფრონტისი** – Φρόντις – პანთოოსის მეუღლე.
სახელი ბერძნულია. (იხ. DTI, 1555 შმდ., ასევე HP, 65c; 78b; RE, XX.1, 772).
58. **ფორბასი** – Φόρβας – დიომედეს მამა.
სახელი ბერძნულია (φόρβ-აფ-ίσιος). (იხ. DTI, 1552 შმდ., ასევე HP, 63c m.A. 92; 66: 69b; RE, XX.1, 529).
59. **ფორბასი** – Φόρβας – ილიონევის მამა.
სახელი ბერძნულია (φόρβ-აფ-ίσιος). (იხ. DTI, 1552 შმდ., ასევე HP, 63cm. A. 92; 66: 69b; RE, XX.1. 532
60. **ფაინოპსი** – Φαίνοψ – ფორკისის მამა.
სახელი ბერძნულია (φαίνοψ). (იხ. DTI, 1548 შმდ., ასევე HP, 18a1; 35a2; 50a1; 66).
61. **ფაინოპსი** – Φαίνοψ – ქსანთოსის და თოონის მამა.
სახელი ბერძნულია (φαίνοψ). (იხ. DTI, 1548 შმდ., ასევე HP, 18a1; 35a2; 50a1; 66).
62. **ფავსიოსი** – Φάυστος – აპისაონის მამა.
სახელი შემოსული უნდა იყოს. (იხ. DTI, 1550 შმდ. ასევე HP, 39c3; 66).
63. **ფილეტორი** – Φιλήτωρ – დემუქოსის მამა.
სახელი ბერძნულია (φίλος და ἥτωρ). (იხ. DTI, 1552 შმდ.; ასევე HP, 20a1; 31a3; 35a; 66). RE, XIX.2, 2171).

64. ფრადმონი –
Φραδμων –

აგელაოსის მამა.
სახელი ბერძნულია (იხ. DTI, 1554 შმდ.; HP,
61a1; 68c1; RE, XIX.2, 1594).

ტროელ პერსონაჟებზე და მათ პოემაში წარმოდგენაზე დაკვირვება ზოგიერთ საინტერესო ასპექტს წარმოაჩენს, რომელიც უფრო თვალსაჩინოს ხდის ჰომეროსის პოეტურ თავისებურებებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ 350 ტროელი ფიგურებიდან ერთი სახელით ორი ან მეტი გმირის მოხსენიების მხოლოდ 72 შემთხვევა გვაქვს. ჩვენი აზრით, ეს გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ ჰომეროსი სახელდების დონეზე ცდილობს, განასხვავოს ერთმანეთისგან პერსონაჟები და მათ ამით ე.წ. ონომასტიკური ინდივიდუალობა მიანიჭოს.

რა თქმა უნდა, პოეტი ამ მხრივ უფრო მეტად იქნებოდა შეზღუდული აქაველი პერსონაჟების დასახელებისას, რადგან აქ მას მოუხდებოდა, მეტი ანგარიში გაენია ტრადიციისთვის.

ტროელი პერსონაჟების აღმნიშვნელი შემდეგი სახელები მეორდება პოემაში:

ორჯერ:

1. აკამასი
2. ალასტორი
3. ამფიოსი
4. ანტიფოსი
5. აპისაონი
6. ასკანიოსი
7. ასტინოოსი
8. დარდანოსი
9. ენომოსი
10. ეპისტროფოსი
11. ერიმასი
12. ეხეკლოსი
13. ენოპსი

14. იდაიოსი
15. ჰიპასოსი
16. ჰიპოლოქოსი
17. ლაოგონოსი
18. ლიკაონი
19. მულიოსი
20. მიდონი
21. ორმენოსი
22. ოფელესტესი
23. პეისანდროსი
24. პილარტესი
25. ტროსი

სამჯერ:

1. ადრესტოსი
2. ასიოსი
3. ეეტიონი
4. თოონი
5. მელანიპოსი
6. ფაინოპსი

ოთხჯერ:

1. ხრომიოსი

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ელინიზებული, ან სულაც ელინური სახელი – ალექსანდროსი არ ჰქვია არც ერთ აქაველ გმირს, აღარაფერს ვამბობთ ტროელებზე. ის მხოლოდ პარისის მეორე სახელია. უნდა ვიფიქროთ, რომ ჰომეროსი ტროელთა სახელდების შემთხვევაში მეტწილად თავად გვევლინება სახელების შემრქმევად; ამას, ჩვენი აზრით, ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ტროელ პერსონაჟთა აბსოლუტური უმრავლესობა ბერძნული ე.წ. „მეტყველი“ სახელებით წარმოგვიდგება.

რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, რომ ანატოლიური ენებზე მოლაპარაკე მცირეაზიელ ტროელებსა და მათ მოკავშირეებში ესოდენი პოპულარობით ესარგებლა მიკენურ სახელებს გვიანბრინჯაოს ხანაში. ამას არც ამ ეპოქის ანატოლიური წერილობითი წყაროების შესწავლა გვიდასტურებს.

„ილიადაში“ ტროადა, უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენილია, როგორც ბრძოლის ასპარეზი და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მოქმედი გმირების აბსოლუტური უმეტესობა ბრძოლაშია ჩართული. გამონაკლისს შეადგენენ ქალები და ხანდაზმულები, რომლებიც შემოიფარგლებიან თვალყურის დევნებით, ან პრიაამოსის მსგავსად, მნიშვნელოვან დრამატულ ფუნქციას ასრულებენ.

ამ ვითარებაში ბუნებრივად ისმის კითხვა: აინტერესებს ჰომეროსს ტროა მხოლოდ როგორც ბრძოლის ასპარეზი და დასალუჰად განწირული ქალაქი, თუ აქვს სურვილი, გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნას ტროელთა საზოგადოების ყოფაზე და მისი განვითარების დონეზე. რაც შეეხება საკითხის ე.წ. ურბანულ მხარეს, ამაზე ცალკე თავში გვექნება მსჯელობა. აქ კი ყურადღებას ძირითადად პერსონაჟებზე და მათ ფუნქციაზე ვამახვილებთ.

ამკარაა, რომ ტროელებთან მისული ყველა მოკავშირის მთავარი ფუნქცია ბრძოლაა და ამდენად, ისინი სწორედ ამ კუთხით წარმოგვიდგებიან. საკუთრივ ტროელთა შემთხვევებში კი ჰომეროსს აინტერესებს ქალაქის ე.წ. არამებრძოლი პერსონაჟებიც, რომლებიც ბატალურ სცენებში არ მონაწილეობენ.

ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა, როგორი თანაფარდობაა „ილიადაში“ უშუალოდ ბრძოლების აღმწერ და ე.წ. მშვიდობიან, ანუ ბრძოლის ველს რამდენადმე მოშორებულ სცენებს შორის. რა თქმა უნდა, თავად ცნებები – მშვიდობიანი და საბრძოლო „ილიადაში“ ერთობ პირობითია, რადგან მთელი მოქმედება ტროას ომის კონტექსტში მიმდინარეობს. მშვიდობიან სცენებში ვგულისხმობთ „ილიადის“ იმ პარტიებს, რომლებიც არ აღწერენ უშუალოდ ბრძოლის ეპიზოდებს, ბატალურ სცენებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პოემაში, რომელიც

მთლიანად ტროასთან გამართულ ცხარე ბრძოლებს ეძღვნება, დაახლ. 7.600 სტრიქონი ეთმობა მშვიდობიან სცენებს, ხოლო 9.000-მდე სტრიქონს იკავებს ბრძოლის ამსახველი სცენები. ბუნებრივია, ამ ვითარებაში ჰომეროსი ცდილობს, წარმოგვიდგინოს ე.წ. მშვიდობიანი პარტიები ყველაზე უფრო დამახასიათებელი სცენებით. მეცნიერებაში არაერთგზის აღუნიშნავთ ის გარემოება, რომ ჰომეროსის შედარებებში წარმოდგენილ სურათთა აბსოლუტური უმრავლესობა მშვიდობიან ცხოვრებას ასახავს (დეტალურად იხ: 226, 139 შმდ. ჰომეროსის შედარებების მშვიდობიანი თემატიკისთვის იხ: აგრეთვე 229, 130 შმდ.). ამ ფაქტში შეიძლება დავინახოთ იმის კიდევ ერთი დადასტურება, რომ ჰომეროსი მშვიდობაზეა ორიენტირებული.

ჰომეროსის პოეტური ტექნიკის ერთ-ერთი არსებითი დამახასიათებელი ნიშანია პოემაში განვითარებული მოქმედების ე.წ. დრამატული აგება. როგორც ზემოთ ვნახეთ, მისი პერსონაჟები თავიანთი როლის მიხედვით საკმაოდ საინტერესოდ არიან რანჟირებულნი. მაგრამ ჰომეროსი უფრო შორს მიდის და იმ პიროვნებების მნიშვნელობას, რომლებიც მთავარ გმირებად შეიძლება წარმოვადგინოთ, ხაზს უსვამს არა მხოლოდ მათი ფუნქციის დეკლარირებითა და მათი სახელის ინტენსიური ხსენებით, არამედ მათთვის განკუთვნილი ე.წ. სამოქმედო პარტიების მოცულობითაც. ჩვენ შევისწავლეთ, თუ რა მოცულობისაა მოქმედებაში ჩართულ გმირთა პირველი ორი კატეგორიის წარმომადგენელთა პარტიები. წარმოვადგინეთ გმირებს მათი პარტიების მოცულობის მიხედვით.¹³

რასაკვირველია, სავსებით ბუნებრივია, რომ „ილიადაში“ ტროელთა შორის პარტიების მოცულობით გამოირჩევა ჰექტორი. იგი ამ მხრივ მნიშვნელოვნად აღემატება ყველა სხვა ტროელ გმირს, რადგან პარტიები ჰექტორის მონაწილეობით მოიცავს 1264 სტრიქონს. მათგან 1034 წარმოგვიდგენს ჰექტორს ბრძოლის ველზე, 161

¹³ მთლიანად „ილიადაში“ გმირთა ე.წ. სამეტყველო პარტიების მოცულობის ანალიზმა (აქილევსის, ჰექტორისა და აგამემნონის შემთხვევაში) რ. გორდეზიანი მიიყვანა დასკვნამდე, რომ გმირთა პარტიების მოცულობა შეესაბამება ამ პერსონაჟთა მნიშვნელობას პოემაში. 76. 115 შმდ; 22, 81 შმდ.

კი - ე.წ. არასაბრძოლო კონტექსტში. 69 სტრიქონი ეთმობა ჰექტორს დალუპვის შემდეგ.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: „ილიადაში“ დრამატული თვალსაზრისით ტროელთაგან ვინ უნდა ყოფილიყო ჰექტორის შემდეგ ყველაზე უფრო გამორჩეული ფიგურა? უდავოა, რომ ეს უნდა იყოს ტროელთა მეფე - პრიამოსი. თავად ტროა პოემაში არაერთგზის მოიხსენიება, როგორც პრიამოსის ქალაქი. ამასთანავე, აშკარაა, რომ პრიამოსი უშუალოდ არ მონაწილეობს ბრძოლებში და თითქოს, მოსალოდნელი იყო, რომ მისი პარტიები მოცულობით ბრძოლაში უშუალოდ ჩართულ სხვა უმნიშვნელოვანეს პერსონაჟთა პარტიებზე ნაკლები ყოფილიყო. თუმცა, ტექსტის შესწავლამ დაგვანახა, რომ ჰომეროსი მეფის სტატუსის ადეკვატურად ასახავს პრიამოსის მოქმედებას, რადგან მასთან დაკავშირებულ პარტიებს ჰექტორის შემდეგ ყველაზე მეტი ადგილი ეთმობა (393 სტრიქონი).

ყურადღებას იქცევს ის, რომ ჰომეროსი ამის შემდეგ საკმაოდ თანმიმდევრულად მიჰყვება გმირთა რანჟირების პრინციპს, მათი მნიშვნელოვნების სრული გათვალისწინებით. და მართლაც „ილიადაში“ ხაზგასმულია, რომ ჰექტორის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი გმირია ენეასი. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ენეასი არ უნდა იყოს აქტიურად მოქმედ გმირთა შორის განსაკუთრებით გამორჩეული, პოემის ტექსტში მის მოქმედებას მოცულობით მესამე ადგილი უჭირავს ტროელთა შორის (253 სტრიქონი).

მართალია, მითში ერთობ დიდია პარისის ფუნქცია, მაგრამ მოქმედების მოცულობით იგი ენეასს მოჰყვება და მას პარტიების სტრიქონთა ოდენობით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება (უჭირავს 187 სტრიქონი).

მთავარ გმირთა შორისაა სარპედონიც, რომელიც ოდნავ ჩამორჩება პარისს (181 სტრიქონი). დასამახსოვრებელია „ილიადაში“ სარპედონის მონაწილეობაც.

მოქმედებაში ინტენსიურად არის ჩართული ქალი - პერსონაჟი, ჰექტორის მეუღლე - ანდრომაქე (161 სტრიქონი). ეს სავსებით შეესაბამება პოეტის დრამატული ხედვის პრინციპებს, რადგან ან-

დრომაქეს პოემის პირველსა და მეორე ნაწილში მნიშვნელოვანი პარტიების წაყვანა აქვს დაკისრებული.

„ილიადაში“ ერთ-ერთი დასამახსოვრებელი სახე ტროელ პერსონაჟთა შორის პულიდამასია, რომელიც გადამწყვეტ მომენტებში ერთვება საქმეში და მის რჩევას შეუძლია, თავად ჰექტორსაც კი ააცილოს დალუპვა. ამას სავსებით შეესაბამება პოემაში მისთვის განკუთვნილი 130 სტრიქონი.

გამორჩეული პერსონაჟია, ასევე, გლავკოსი, რომლის სიტყვაც VI სიმღერაში აშკარად პოემის ერთ-ერთ ყველაზე უფრო შთამბეჭდავ პარტიად შეიძლება ჩაითვალოს. მის მოქმედებას პოემაში 122 სტრიქონი უჭირავს.

რაც შეეხება ჩვენს მიერ ზემოთ, მეორე კატეგორიაში მოქცეულ გმირებს, მათი მოქმედების მოცულობა დაახლოებით ასე გამოიყურება:

პანდაროსი – 88 სტრიქონი

ლიკაონი (პრიაშიდი) – 83

აგენორი – 65

ჰელენოსი – 60

ანტენორი – 50

ასიოს ჰირტაკიდი – 47

დეიფობოსი – 44

კებრიონე – 43

ამ კატეგორიის პერსონაჟებს შორის თავიანთი მოქმედების მოცულობით ექცევიან ჰეკაბე (55 სტრიქონი) და ბრისეისი (41 სტრიქონი).¹⁴

როგორც ვხედავთ, ჰომეროსმა საინტერესოდ შეუსაბამა ერთმანეთს გმირთა ფუნქციონალური მნიშვნელობა პოემაში და მათი მოქმედებაში ჩართულობის ინტენსივობა. ეს პოეტის ერთიან დრამატულ ხედვაზე მიგვითითებს და გვიჩვენებს, რომ მისთვის

¹⁴ ჩვენ საგანგებოდ არ გავამახვილეთ ყურადღება დოლონზე, რადგან მისი მოქმედება მხოლოდ X სიმღერით შემოიფარგლება, რომელიც, ჰომეროლოგთა უმეტესობის აზრით, პოემაში მოგვიანებით უნდა იყოს ჩართული, იხ. 77.

დამახასიათებელია გმირის მნიშვნელოვნების არა მხოლოდ დეკლარირება, არამედ მისი მოქმედებაში ჩართვის ინტენსივობით განმტკიცებაც.

ჰომეროსს არსად არ ლალატობს მხარეთა შორის ბალანსის დაცვის გრძნობა. ეს არაერთგზის აღნიშნულა. აქაველები და ტროელები მასთან თითქმის თანაბარი ინტენსივობით არიან ჩართულნი მოქმედებაში და ეს თავად პერსონაჟთა რაოდენობრივ მაჩვენებლებშიც იჩენს თავს. „ილიადაში“ სახელდებით მოხსენიებული 946 ფიგურიდან 350 ტროელი პერსონაჟია. აქედან 255 მოქმედებაშია ჩართული, 95 კი პოემაში არ მონაწილეობს.

რა თქმა უნდა, ეს რაოდენობა სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ პოეტმა ტროელთა საზოგადოების ერთობ მასშტაბური სურათი წარმოგვიდგინოს. როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს საზოგადოება, მართალია, „ილიადის“ მოქმედებაში მთლიანად ომის კონტექსტშია მოქცეული, მაგრამ მაინც დიფერენცირებულადაა წარმოდგენილი ფუნქციონალური თვალსაზრისით. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება პოეტის ცდაში, გვიჩვენოს ტროას საზოგადოების დიფერენცირებულობა სოციალური, პროფესიული, თუ სხვა ნიშნით (284; 201; 226; 229; 150 შმდ.).

პოეტი „ილიადაში“ ახერხებს, ამ საზოგადოებაში ადამიანთა საქმიანობის უამრავი სფერო, ანუ ე.წ. პროფესია ჩამოგვითვალოს. აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ მებრძოლებზე, რადგან ეს საქმიანობა ისევ და ისევ ომთანაა დაკავშირებული. აშკარაა, რომ ბევრად უფრო მრავალფეროვანია მამაკაცთა საქმიანობის სფეროები. პოემაში უპირატესად მამაკაცები შეიძლება იყვნენ:

მეფეები

პრიამოსი და სხვადასხვა ტომის
მებრძოლთა მეთაურების უმრავლესობა
Βασίλειος, ὁ. ἀναξ, ὁ.

უხუცესები

Γερουσία, ἡ – III. 146 შმდ., ტროელი
უხუცესები. XVIII. 503 – ფარზე
გამოსახული ქალაქის უხუცესთა საბჭო.

პროფესიონალი მისნები	<p>Μάϊτες ο, ἡ – XIII. 663. წინასწარმეტყველი პოლიიდოსი. Οἰασιπóλος, ó – ჩიტებზე მჩხიბავი, VI. 76. პელენოსი. II, 859, ენომოსი. Ὅσιροπóλος, ó – სიზმრის ამხსნელი, V. 148. ევრიდამასი. Νομεύς, ó, XVIII. 525. Ἄροτηρ, ó – XVIII. 542. შმდ., ფარზე ასახული მინათმოქმედები, რომლებიც ხარებით ხნავენ. Ἐριθος, ó – XVIII. 551. მომკელები. Ἄμακλιδετήρ, ó – ძნების შემკრავები XXIV. 720.</p>
მწყემსები მინათმოქმედები	<p>Κῆραξ, ó ან ἡ, VI. 384, ტროელთა მაცნე. XVIII. 503 – ფარზე ასახულ ქალაქში მოედანზე შეკრებილ ხალხს რომ ამშვიდებენ. XVIII. 558, შიკრიკები სუფრას შლიან (აქ მსახურები). XXIV. 178. 577, პრიამოსის მოხუცი შიკრიკი. Ἑπίοχος, ó – VIII. 120. ენიოპეესი, ჰექტორის მეეტლე. VIII. 312. არქეპტოლემოსი, ჰექტორის II მეეტლე. XIII. 386. ასიოსის მეეტლე, უსახელო. XIII. 537. პოლიტესის და დეიფობოსის ასევე უსახელო მეეტლე. Θερπῶναυ, ó. XIII. 600. აგენორი, პელენოსის მეაბჯრე. XVI. 463. თრასიდემოსი, სარპედონის მეაბჯრე.</p>
შიკრიკები, ანუ მაცნეები	
მეეტლები	
მეაბჯრეები, ანუ მსახურები ომში	

ქალები ძირითადად წარმოგვიდგებიან, როგორც:	
დიასახლისები	მაგ: ანდრომაქე, ელენე ისინი ძირითადად ხელსაქმით არიან დაკავებულნი – VI. 329. (ელენე); XXII. 440. (ანდრომაქე).
მეკუჭნავეები	Ταμίς, ὁ VI. 381, ჰექტორის მეკუჭნავე.
ძიძები	ἀμφίπλοος, ὁ ან ἦ.
მოახლეები	III. 143. აითრე და კლიმენე, ელენეს მოახლეები. VI. 375. ჰექტორის და ანდრომაქეს მოახლეები. XXII. 442. 449. ანდრომაქეს მოახლეები. XXIV. 302. შმდ. პრიამოსის მოახლე.

არიან ასევე ქურუმი ქალებიც:

Ιερύς, ἰρύς, VI. 300, თეანო, ათენას ტაძრის ქურუმი.

რა თქმა უნდა, საზოგადოების დიფერენცირებულობის სურათი ბევრად უფრო სრულად არის აღწერილი „ოდისეაში“.

სწორედ ეს მრავალფეროვნება აცილებს პოემას თავიდან მონოტონურობას, რაც ამ მოცულობის ომის აღმწერ ეპოსს შეიძლება ახასიათებდეს და მოქმედების რიტმი პოეტისთვის სასურველ კალაპოტში გადაჰყავს.

ვფიქრობთ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ თავში წარმოდგენილი მონაცემები ტროელ გმირთა სახელების წარმომავლობის შესახებ. როგორც ვთქვით, სულ მოქმედებს 350 ტროელი პერსონაჟი. იმის გათვალისწინებით, რომ 25 სახელი გამოიყენება ორ-ორი, 6 სახელი – სამ-სამი, ხოლო ერთი – ქრომიოსი ოთხი პერსონაჟის აღსანიშნავად, შეიძლება ვთქვათ, რომ ჰომეროსის ეპოსში ტროელთა ექსპონირებისათვის გამოყენებულია სულ 310 სახელი. საინტერესოა, რომ მათ შორის 216 არის აშკარად ბერძნული წარმომავლობის, როგორც ეტიმოლოგიური, ისე წარმოების თვალსაზრისით. 14 სახელი წარმოებით ბერძნულია, თუმცა მათი ფუძეები დაკავშირებულია რომელსამე გეოგრაფიულ სახელწოდებასთან, რომელიც მეტწილად არ გვიჩვენებს ბერძნულ ეტიმოლოგიას. მთლიანად არაბერძნული წარმომავლობისად მხოლოდ

53 სახელია აღიარებული. 27 სახელი შეიძლება მივაკუთვნოთ ე.წ. ბუნდოვან ფორმატივთა კატეგორიას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ სახელთა წარმომავლობა სადავოა.

როგორც ვხედავთ, ჰომეროსთან წარმოდგენილი ტროელი პერსონაჟების სახელთა დიდი ნაწილი ბერძნულია. რა თქმა უნდა, ძნელია იმის დაშვება, რომ ტროას ომის სავარაუდო ეპოქის ანატოლიაში ამდენად ფართო გავრცელება ჰქონოდა ბერძნულ სახელებს. ამას არ გვიდასტურებს არც ხეთური წყაროები და არც ისტორიულ ფაქტთა შესწავლის ლოგიკა. ამ შემთხვევაში შეიძლება ერთადერთი დასკვნა გავაკეთოთ – ჰომეროსმა, ან იმ ბერძნულმა პოეტურმა ტრადიციამ, რომლითაც ჰომეროსი საზრდოობს, თავად შექმნა ტროელ პერსონაჟთა საზოგადოება, რათა „ილიადაში“ რაც შეიძლება სრულად მომხდარიყო ტროელთა და მათ მოკავშირეთა ექსპონირება, ანუ იმ ძალის ჩვენება, რომლის დამარცხებაც საამაყო იყო აქაველებისათვის.

ამდენად, ჰომეროსის ტროელი პერსონაჟების ძირითადი ნაწილი, ფაქტობრივად, ჰომეროსის შემოქმედების (ან ბერძნული ტრადიციის) ფანტაზიის ნაყოფად წარმოგვიდგება. ამით, როგორც აღინიშნა, ჰომეროსი, ერთის მხრივ, ინარჩუნებს ორ მხარეს შორის წონასწორობას პერსონაჟთა ოდენობის დონეზე, მეორე მხრივ კი თავად იქმნის შესაძლებლობას – შემოგვთავაზოს მონინააღმდეგე მხარის რაც შეიძლება მასშტაბური სურათი. ბუნებრივია, ამ ვითარებაში ისმის კითხვა: რამდენად უკიდევანოა ამ მხრივ პოეტის ფანტაზია, იზღუდება თუ არა იგი ამ შემთხვევაში რაღაც ისტორიული ფაქტებით, უწევს თუ არა ანგარიშს ტროადაში არსებულ ტრადიციას.

ვფიქრობთ, რომ საკუთარ (როგორც პირთა, ასევე გეოგრაფიულ) სახელთა გადმოცემის შემთხვევაში ჰომეროსთან ისტორიული რეალობის მიმართ ორგვარი დამოკიდებულება ვლინდება: პერსონაჟების დონეზე პოეტი არ იზღუდავს თავს და თავისუფლად ზრდის ფიგურათა რაოდენობას თავისი ჩანაფიქრისა და გეგმის მიხედვით. აქ რაღაც ლოკალურ ანატოლიურ ტრადიციას, ვფიქ-

რობთ, მინიმალურად ეწევა ანგარიში. სამაგიეროდ, პოეტი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შეზღუდულია მაშინ, როდესაც აღწერს გეოგრაფიულ გარემოს და გვთავაზობს ტოპონიმებს. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ტროელებსა და მათ მოკავშირეებთან დაკავშირებულ გეოგრაფიული და ეთნიკური სახელწოდებების შემთხვევაში ერთობ მცირეა სახელთა ელინიზაციის ხვედრითი წილი, აქ წამყვანია ეგეოსურ-ანატოლიური კომპონენტი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საკმარისია, ჰომეროსს ამ სფეროში თავისი ფანტაზიისათვის მიეცა გასაქანი, რომ იგი მაშინვე დაგვაშორებდა რეალურ გეოგრაფიულ გარემოს და გადაგვიყვანდა ირეალურის სფეროში. „ილიადაში“ წარმოდგენილი ტროადის გეოგრაფიის საკითხს ქვემოთ უფრო დანვრილებით შევეხებით.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დიდია ბერძნული ეტიმოლოგიის სახელთა ხვედრითი წილი თავად უმთავრეს ტროელ პერსონაჟთა შემთხვევაშიც. ეს კი, შესაძლოა, არგუმენტად გამოდგეს მათთვის, ვინც ვარაუდობს, რომ ზოგიერთი ამ პერსონაჟგან თავად ჰომეროსის მიერაა შექმნილი. და მართლაც, პირველი კატეგორიის 8 პერსონაჟს შორის ოთხს აშკარად ბერძნული წარმოშობის სახელი აქვს. საყურადღებოა, რომ თავად ტროელთა ბურჯი – ჰექტორი, როგორც ჩანს, ბერძნულ სახელს ატარებს. მეცნიერთა უმეტესობა მას ე.წ. მეტყველ სახელთა რიგს მიაკუთვნებს, რადგან აკავშირებს ἔχθω ზმნასთან. შესაბამისად, სახელი ჰექტორი – Ἑκτωρ – შეიძლება გავიაზროთ, როგორც „მქონე“, „მპყრობელი“. მეცნიერებაში არაერთგზის გამოთქმულა ვარაუდი, რომ ჰექტორის სახე შეიძლება თავად ჰომეროსის მიერ იყოს შემოყვანილი პოემაში. ამაზე ქვემოთ უფრო დეტალურად ვიმსჯელებთ. ბერძნულია ჰექტორის ცოლის – ანდრომაქეს და მისი მცირეწლოვანი ძის – ასტიანაქსის სახელიც – Ἀστύνοχος (ἄστυ – *Fánaξ*). ბავშვის მეორე სახელი, რომელიც მცირეაზიული ჰიდრონიმიდან არის ნაწარმოები, ბერძნულ წარმოებას გვიჩვენებს – Σκαμάνδιος.

პირველი ჯგუფის გამირთავან პარის / ალექსანდროსს ერთი სახელი არაბერძნული ეტიმოლოგიის აქვს, ხოლო მეორე – ბერძნუ-

ლი. მიუხედავად იმისა, თუ როგორ გადანყდება ხეთურ წყაროებში მოხსენიებული ალაქსანდუსისა და ბერძნული ალექსანდროსის ურთიერთმიმართების საკითხი, აშკარაა, რომ ჰომეროსთან ეს სახელი ელინიზებული სახითაა წარმოდგენილი და მეტყველ სახელთა რიგს განეკუთვნება. როგორც ვარაუდობენ, ტროას ომის ჰომეროსამდელ ტრადიციაში უმთავრესი გმირი სწორედ პარისი უნდა ყოფილიყო, რომლის სახის შტრიხებისა და ფუნქციების ერთგვარი „გადანაწილება“ ჰექტორის ინტენსიფიცირებულ ფიგურაში მოხდა.

კვაზიმეტყველ სახელად შეიძლება მივიჩნიოთ გლავკოსიც. ეს პერსონაჟი თავად უსვამს „ილიადაში“ ხაზს თავის გენეალოგიურ კავშირს საბერძნეთთან. ჰომეროსთან ლიკია წარმოდგენილია ორი წინამძღოლით. მათგან ერთს, სარპედონს, როგორც ჩანს, ანატოლიური სახელი აქვს, მეორეს კი – ბერძნული.

ის გარემოება, რომ პირველი კატეგორიის ოთხი პერსონაჟი – პარისი, ენეასი, პრიამოსი და სარპედონი არაბერძნულ სახელს ატარებს, შეიძლება მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ჰომეროსი ამ შემთხვევაში გარკვეულ ადგილობრივ ტრადიციას ითვალისწინებს. დაახლოებით ასეთივე სურათია პერსონაჟთა მეორე კატეგორიაშიც. აქ ათი სახელიდან ოთხი ბერძნულია, ორი – არაბერძნული, ხოლო ოთხი – სადავო ეტიმოლოგიის.

ყურადღებას იმსახურებს ის, რომ ბერძნული წარმომავლობის სახელთა ოდენობა ტროელ პერსონაჟებში მკვეთრად მატულობს მნიშვნელობის მიხედვით უფრო „დაბალ“ კატეგორიებში.

ამგვარად, როგორც ზემოთჩატარებულმა ანალიზმა გვაჩვენა, „ილიადაში“ წარმოდგენილი ტროელთა საზოგადოება ყველა თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ უპირატესად პოეტური ფანტაზიის ნაყოფად. როგორც ვთქვით, ამაზე მეტყველებს, ერთის მხრივ, ტროელ გმირთა სახელებში ბერძნული კომპონენტის ერთობ მაღალი ხვედრითი წილი, მეორეს მხრივ, საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის ჰომეროსისეული სურათი, რომელიც წარმოადგენს უფრო გეომეტრიული ეპოქის პოეტის წარ-

მოსახვაში არსებული ქალაქის სურათს, ვიდრე ბრინჯაოს ხანის მნიშვნელოვანი ანატოლიური ქალაქის საზოგადოების სტრუქტურის არეკლვას. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ამ სფეროშიც „ილიადაში“ შემორჩენილი იყოს ისტორიული, ან კვაზიისტორიული ინფორმაციის კვალი. იმაზე, თუ ჰომეროსთან დადასტურებული ინფორმაციის რომელი ელემენტები შეიძლება მივიჩნიოთ მიკენური ეპოქის შესაბამისად და რომელი – პოსტმიკენური, ან სულაც გეომეტრიული ეპოქისა, მეცნიერებაში დღემდე დავა მიმდინარეობს. განსაკუთრებით ეს ეხება აქეურ საბერძნეთს, რომლის შემთხვევაშიც, ტერმინოლოგიიდან დაწყებული, ე. წ. ანტიკვარული თუ მატერიალური კულტურის ამსახველი ინფორმაციით დამთავრებული, არცთუ ადვილი დასადგენია, რა რეალობას ასახავს ჰომეროსი.

ტროას შემთხვევაში, ვფიქრობთ, საკითხი უფრო ნათელია. გეოგრაფიული და ისტორიული თვალსაზრისით, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჰომეროსი აშკარად ცდილობს, ერთგვარად „აღადგინოს“ გმირთა ეპოქის სურათი. სოციალური და მატერიალური კულტურის დონეზე კი ბუნებრივია, მისთვის ეს შეუძლებელი იქნებოდა. ჰომეროსი არც ერთ შემთხვევაში არ გვთავაზობს ანატოლიური ენებისთვის დამახასიათებელ ამ ტიპის ტერმინებს (დეტალურად შდრ. 194).

უმთავრეს ტროელ ფიგურათა სახეები და მათი ინდივიდუალიზაცია

გმირთა ინდივიდუალიზაციის ჰომეროსისეული პრინციპები უკვე დიდი ხანია იპყრობს ჰომეროლოგთა ყურადღებას. ჩვენ ამჟამად არ ვაპირებთ ზეპირი და წერილობითი თეორიების მომხრეთა არგუმენტების განხილვას. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ეს საკითხი საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი რისმაგ გორდეზიანის ნიგნებში: „Проблемы Гомеровского эпоса“ და „ბერძნული ლიტერატურა“ (მიმოხილვისთვის შდრ:77; ასევე 22; ზოგადად ჰომეროსის პერსონაჟების შინაგან სამყაროსთან დაკავშირებით შდრ: 138, 46; ასევე 137.). ამჟამად ჩვენი მიზანია რამდენიმე მნიშვნელოვანი ტროელი პერსონაჟის სახის განხილვა და იმის ჩვენება, რომ ჰომეროსი ახერხებს გმირთა ინდივიდუალობის გამოკვეთას მაშინაც, თუკი ამ გმირის შესახებ ინფორმაცია არ არის იმდენად ვრცელი, რომ მოგვეცეს შესაძლებლობა გამოვყოთ ე.წ. მაკორდინირებული შტრიხი, რომელიც როგორც ჰომეროლოგიაშია შენიშნული, გმირთა ინდივიდუალიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს ხერხს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, იმ პერსონაჟთა შემთხვევაში, რომლებიც რ. გორდეზიანის მოხსენიებულ ნაშრომებში შედარებით დეტალურად არიან წარმოდგენილნი, შემოვიფარგლებით ძირითადად მეცნიერის მოსაზრებების მოკლე რეზიუმირებით და შევეცდებით თითოეულ შემთხვევაში მხოლოდ ისეთი დამატებითი მახასიათებლების გამოვლენას, რომლებიც გმირთა სახეების უფრო სრულად წარმოდგენას ემსახურება. ძირითად ყურადღებას კი მივაპყრობთ იმ პერსონაჟებს, რომლებიც რ. გორდეზიანის ყურადღების მიღმა დარჩნენ.

ჰექტორი. ტროელთა შორის ყველაზე უფრო სრულყოფილია ჰექტორის სახე. როგორც უკვე აღინიშნა, არ არის გამორიცხული, რომ ეს სახე თავად ჰომეროსის მიერ იყოს შექმნილი. მასში პოეტს, შესაძლოა, მოეხდინა ტროაში მებრძოლი მრავალი გმირის თვისე-

ბების განზოგადება და ამით ჰექტორი საერთოდ ტროას ერთგვარ სიმბოლოდ ექცია. როგორც მეცნიერებაში უკვე შენიშნულია, ჰექტორი წარმოადგენს "ილიადის" ერთ-ერთ ყველაზე უფრო ინდივიდუალიზებულ სახეს (ჰექტორის სახესთან დაკავშირებით იხ. 284, 455 შმდ., 140, 10a1, 64, 71b1; ასევე 89.).

ეპითეტების დონეზე ჰექტორი საკმაოდ ტრადიციულ გმირად წარმოგვიდგება. მის მიმართ გამოყენებულია შემდეგი ეპითეტები: ἀνδροφόνος, ἀτάλαντος Ἄρηι, βίησ ἀγαθός, δίφιλος, δῖος, θρασύς, θρασύς ἥσιος, ἰππόμενος, κορυθαίολος, κρατερὸς μῆστρα φόβιοι, μεγάλυμος, μέγας, ὄβριμος, πελώριος, ποιμήν λαῶν, Πριαμίδης, Πριαμίδης ἴσος Ἄρηι, Πριάμοιο πάντ, φαίδυμος, φλογὶ εἶκελος, χαλκοκορυστῆς. თუკი არ ჩავთვლით მისი წარმომავლობის აღმნიშვნელ ეპითეტს (პრიამოსის ძე), შეიძლება ითქვას, რომ მათგან არც ერთი არ არის ისეთი, რომელიც მხოლოდ ჰექტორთან შეიძლება იყოს გამოყენებული. თვით ერთ-ერთი მისთვის ყველაზე ჩვეული ეპითეტი – κορυθαίολος გვხვდება არესის მიმართაც.

ამდენად, ეპითეტების დონეზე ჰექტორის დახასიათება მთლიანად ჯდება ტრადიციული ფორმულა-ეპითეტების ფარგლებში. სამაგიეროდ, ჰექტორის შემთხვევაში ჰომეროსი იყენებს იმ პრინციპებს, რომლებზეც ზემოთ შევაჩერეთ ყურადღება.

რ. გორდეზიანის აზრით, ჰექტორის ხასიათის ძირითადი მაკორდინირებელი შტრიხია "სირცხვილის და პასუხისმგებლობის გრძნობა სამშობლოს წინაშე. მის არჩევანს ყოველთვის განაპირობებს სირცხვილი თანამოქალაქეთა მიმართ და მზადყოფნა, დაუზოგავად იბრძოლოს თავისი ქალაქის, სამშობლოს, ტროელი ქალებისა და კაცების დასაცავად" (22, 115.). მკვლევარი წარმოადგენს ყველა იმ პასაჟს, სადაც ხდება ჰექტორის ხასიათის ამ უმთავრესი თვისების რეალიზება. "მრცხვენია გრძელპეპლოსიანი ტროელი ქალების და კაცების" – ამბობს ჰექტორი VI სიმღერაში (442), როდესაც ანდრომაქეს ბრძოლის ველზე დაბრუნების შესახებ ესაუბრება. ის იგივე ფრაზას ფორმულის სახით იმეორებს XXII

სიმღერაშიც (105), რათა არ დაივიწყოს მოვალეობის გრძნობა თავისი ხალხის მიმართ და ამით აქილევსთან უთანასწორო ბრძოლის აუცილებლობა დაუმტკიცოს საკუთარ თავს.

ვფიქრობთ, ჰექტორის ხასიათის ამ ძირითად შტრიხს ავსებს მრავალრიცხოვანი დამატებითი შტრიხი, რომელიც მის სახეს განუმეორებლობას ანიჭებს.

VI სიმღერაში, როდესაც ჰექტორი ბრძოლის ველიდან ცოტა ხნით ბრუნდება ტროაში, საგანგებოდ ნახულობს ცოლ-შვილს. ჰექტორისა და ანდრომაქეს საუბარში ჩანს გმირის განსაკუთრებული სიყვარული თავისი ოჯახისადმი. მას ყველაზე მეტად საყვარელი მეუღლის ბედი აშფოთებს:

VI. 450-454.

მაგრამ მე მანუხებს არა იმდენად ტროელთა უბედურება,
არც თვით ჰეკაბესი და პრიამოსის, მბრძანებლის,
არც ძმების და დების, რომლებიც, კეთილშობილნი, ქალაქებში
ფერფლად იქცნენ საშინელი ადამიანებისგან,
რამდენადაც შენი...

შვილს კი მიეალერსება და მისი საქციელით გულაჩუყებული,
ზევსს შესთხოვს:

VI. 477-479.

ზევსო და სხვა ღმერთებო, ისეთივე გახადეთ
ჩემი შვილი, როგორიც მე ვარ, სახელგანთქმული ტროელი.
მიეცით სიკეთის ძალა და ილიონის უბადლოდ მართვის უნარი.

ცოლ-შვილის ბედი ჰექტორს არც ბრძოლის ველზე ასვენებს. ის თითქოს ნინასნარ ჭერეტს მთელ უბედურებას, რომელიც ქალებსა და ბავშვებს ელით დამარცხების შემთხვევაში. ჰექტორი მომაკვდავ პატროკლოსს ასე მიმართავს:

XVI. 830-833.

პატროკლეე, გეგონა, მართლა გაანადგურებდი ჩვენს ქალაქს,
ტროელთა ცოლებს, მოტაცებულებს, თავისუფლებას

წართმევი, ხომალდებით სამშობლო მიწისკენ
[წაიყვანდი], უგუნურო.

კიდე ერთი მნიშვნელოვანი თვისება, რასაც ჰექტორი ამჟღავ-
ნებს, არის ზოგ შემთხვევაში ემოციების ვერ მოთოკვა და ამის შე-
დეგად მცდარი გადანყვეტილების მიღება. როდესაც პულიდამასი
მას დროებით უკან დახვეას ურჩევს, ჰექტორი არ იღებს ყურად
ბრძნულ რჩევას, ბრძოლის დაუოკებელ სურვილს ემორჩილება
და, საბოლოოდ, აქილევსის პირისპირ აღმოჩენილი, ინანიებს კი-
დეც შეცდომას:

XXII. 101-104.

ის [პულიდამასი] მარნმუნებდა, ტროელები ქალაქს
შემეფარებინა
იმ დამლუპველ ღამეს, როდესაც აღსდგა საბრძოლველად კვლავ
ღვთიური აქილევსი.

მაგრამ მე არ დავუჯერე. თუმცა, ბევრად უმჯობესი იქნებოდა.

ჰექტორი ამჟღავნებს რეალიზმის გრძნობას. როდესაც პარი-
სი მენელაოსთან შერკინების სურვილს გამოთქვამს, ჰექტორი
სრულიად ლოგიკურად და ყველაზე ოპტიმალურად მიიჩნევს მის
წინადადებას და ცდილობს, მართლაც შედგეს ეს სამართლია-
ნი ორთაბრძოლა (III, 58 შმდ.), რადგან მოცემულ შემთხვევაში ეს
მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა.

ჰექტორი უმამაცესი მებრძოლია, მაგრამ მასაც აქვს ჩვეულებ-
რივი მოკვდავისთვის დამახასიათებელი შიში აშკარად აღმატებუ-
ლი ძალის წინაშე. აქილევსთან უთანასწორო ბრძოლის მომლოდი-
ნე ჰექტორს სწორედ ეს შიში იპყრობს, როდესაც იგი შეეცდება
გაქცევით უშველოს თავს.

XXII. 136-137.

ჰექტორმა, ეს რომ დაინახა, თრთოლვამ შეიპყრო. ველარ
შეძლო

იქ გაჩერება, დატოვა კოშკი ისევ, გაიქცა.

თუმცა, ჰექტორი აქვე ამჟღავნებს საოცარ ნებისყოფას, შიშს ძლევს (XXII, 248 შმდ.) და მზადაა, შეერკინოს მტერს.

ჰექტორი კეთილშობილია, მას შეუძლია, პატივისცემით განიმსჭვალოს მონინალმდეგის მიმართ. როდესაც ჰექტორისა და აიასის შერკინებისას საჭირო გახდება, მათ დროებით შეწყვიტონ ბრძოლა, ჰექტორი მიმართავს მტერს:

VII. 290-292.

ახლა შევწყვიტოთ ბრძოლა და ომი

დღეს. მოგვიანებით განვაახლოთ ბრძოლა, დაიმონის მიერ

ჩვენს გაყრამდე, ორთაგან ერთი რომ გავიმარჯვებთ!

და პატივისცემის ნიშნად, აიასს ძვირფას ხმალს გადასცემს.

ჰექტორს გააჩნია ღირსების მძაფრი შეგრძნება. მისთვის ისიც ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რა ბედი ენევა მეომრის ცხედარს ბრძოლის შემდეგ. XXII სიმღერაში, აქილევსთან შერკინებამდე, იგი მტერს პირობას აძლევს, რომ გამარჯვების შემთხვევაში მის გვამს არ შეურაცხყოფს და იგივეს ითხოვს აქილევსისგანაც:

XXII. 258-259.

მაგრამ მას შემდეგ, რაც აბჯარს აგყრი, დიდებულო აქილევსო, შენს გვამს აქაველთ მივცემ ისევ. შენც ასე ჰქმენი.

სწორედ ყველა ამ თვისების გამო ჰექტორი „ილიადის“ პერსონაჟთა შორის უკეთილშობილეს სახე-ხასიათად წარმოგვიდგება. ეს კი ლიტერატურის ისტორიაში, ალბათ, მონინალმდეგის მიმართ პატივისცემისა და აღტაცების გამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო შთამბეჭდავი მაგალითია.

პრიამოსი ტროელთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერსონაჟი და დრამატული სახეა (პრიამოსის სახესთან დაკავშირებითხ: 284, 906 შმდ; 140, 15a2, 49c, 82; 158.). მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი ხანდაზმულობის გამო უშუალოდ ბრძოლის ველზე არ ჩანს, მაინც ყველაფერში იგრძნობა, რომ ქალაქისთვის პრიამოსი უზენაესი მმართველი და ტროას არსებობის უდიდესი გარანტია. ტრო-

ელთა ხელმწიფეს ჰომეროსი აღჭურვავს ყველა იმ თვისებით, რომელიც გამოცდილ და გონიერ მეფეს უნდა გააჩნდეს, ამასთანავე მამას, რომელიც თავის შვილებზე ზრუნავს. პრიამოსი შვილების რაოდენობით "ილიადაში" გამორჩეული პერსონაჟია – მას მრავალი ცოლისგან 50 ძე და 12 ასული ჰყავს. შეიძლება ითქვას, რომ პოემაში პრიამოსი, ისევე, როგორც ჰექტორი, არ არის წარმოდგენილი მტრის პოზიციიდან. ჰომეროსი გვთავაზობს მის არაერთ ეპითეტს: ἀγκλῆος, ἀναξ, βασιλεύς, γέρας, δαίφρας, Δαρδανίδης, διοτρεφής βασιλεύς, εὐμμελίας, θεοειδής, θεόφις μήστρα ἀτάλαντος, Λαιομεδοντιάδης, μεγαλήταρ, μέγας. უფრო მეტიც, ტროა არაერთგზის იწოდება პრიამოსის ქალაქად: Πριάμοιο πόλις (ცხრაჯერ), ἄστυ Πριάμοιο (ცხრაჯერ). ტროას მეფე თავისი უკვე განსაზღვრული ტრაგიკული ბედით თანაგრძნობას და სიმპათიას იწვევს. ჰომეროსი საკმაოდ საინტერესო მაკოორდინირებელ შტრიხს გვთავაზობს, რომელიც პრიამოსის მიმართ მკითხველის კეთილგანწყობას ემსახურება. ეს შტრიხი მოკლედ ამგვარად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაზე უფრო დრამატულ მომენტებშიც კი საკუთარი ემოციების დაძლევა და სიტუაციის ადეკვატურად მოქმედება.

განვიხილოთ "ილიადის" ყველა პასაჟი, სადაც ვლინდება პრიამოსის უნარი – სიტყვით ან საქმით მოახდინოს არჩევანი.

პირველად ტროელთა მეფე მოქმედებაში ჩნდება "ილიადის" III სიმღერაში, ე.წ. ტიქოსკოპიის ეპიზოდში (145 შმდ.). ჰომეროსი აღწერს, თუ როგორ ბჭობენ უხუცესები.

ამ დროს გამოჩნდება ელენე, რომლის დანახვისთანავე უხუცესები აღიარებენ მის სილამაზეს, მაგრამ მაინც აღნიშნავენ, რომ უმჯობესია, ტროელთათვის ამდენი უბედურების მომტანი ქალი ისევ დაუბრუნდეს მენელაოსს.

ყოველივე ამის შემდეგ ყურადღებას იპყრობს პრიამოსის დამოკიდებულება ელენესადმი. აქ მეფე აშკარად ძლევს თავის ემოციებს, რომლებიც, სავსებით ბუნებრივია, უნდა ჰქონოდა სისხლისმღვრელი ომის უმთავრესი მიზეზის მიმართ. პრიამოსის მი-

მართვაში კვალიც კი არ არის ელენესადმი რაიმე გალიზიანებისა. პირიქით, ის მაქსიმალურად ალერსიანი და თავაზიანია:

III. 162-165.

„აქ, წინ მოდი, საყვარელო შვილო, დაჯექი ჩემთან
აქედან დაინახავ პირველ ქმარს და მის საყვარელ
ნათესავეებსაც,
შენ არ ხარ დამნაშავე, ღმერთები არიან დამნაშავენი,
რომლებმაც ზღვით მოგვაყენეს მრავალი უბედურების მომ-
ტანი აქაველები“.

პრიამოსი ელენეს იმ აქაველი მეზობლების შესახებ ეკითხება, რომლებმაც მისი ყურადღება მიიპყრეს. ხოლო ელენეს განმარტებები მოწინააღმდეგეების წინამძღოლებსა და მათ რაზმებთან დაკავშირებით მასში მრისხანებასა და გაბოროტებას კი არ იწვევს, არამედ აღფრთოვანებას და ერთგვარ “კეთილ” შურსაც კი; ასე მაგალითად, როდესაც პრიამოსი ელენეს ჰკითხავს აგამემნონზე, თუ ვინ არის იგი და მისგან პასუხს მიიღებს, ტროელთა მეფეს აღმოხდება:

III. 182-183.

„ო, ნეტარო ატრიდო, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულო,
იღბლიანო,
რომელიც უამრავ აქაველ ჭაბუკს წინამძღოლობ“.

როდესაც პარისი და მენელაოსი უნდა შეერკინონ ერთმანეთს და ტროელები და აქაველები ფიცის დადებას აპირებენ, პრიამოსს სთხოვენ, გამოვიდეს ბრძოლის ველზე და დაესწროს ამ პროცესს. შვილების და ტროას ბედით შეწუხებული მეფე წამითაც არ აყოვნებს და ანტენორთან ერთად გაემართება ბრძოლის ველისკენ. ტროელთა ხელმწიფეს მტრებიც კი პატივისცემით ეგებებიან:

III. 267-268.

მიეგებნენ მაშინვე ხალხთა მეუფე აგამემნონი
და ჭკუაუხვი ოდისევსი...

XXI სიმღერაში კარგად ჩანს, რამდენად განსხვავდება პრიამოსი თავისი სახელოვანი ძის – ჰექტორისგან სწორედ ემოციების დაძლევის თვალსაზრისით. აქილევსისგან თავზარდაცემულ და დარბეულ მებრძოლებს მეფე მოუწოდებს, ტროას შეაფარონ თავი და შემდეგ კარიბჭის დაკეტვის განკარგულებას გასცემს:

XXI. 534-536.

ხოლო მას შემდეგ, რაც გალავანში თავშეფარებულები
ამოისუნთქებენ,
დაუმატეთ მჭიდრო საგდულები...
მეშინია, საბედისწერო კაცმა ქალაქის კედელში არ
შემოაღწიოს.

XXII სიმღერაში ტროას კარიბჭესთან ბრძოლის ველზე ეულად დარჩენილ ჰექტორს იგი მოუწოდებს:

XXII. 56-59.

მობრუნდი უკან, შვილო ჩემო, გადაარჩინე
ტროელები და ნურც დიდებას დაუთმობ პელიდს,
ნუ, ნუ გასწირავ უძვირფასეს სიცოცხლეს შენსას.
ბოლოს, იზრუნე ჩემზედაც და მეც შემბრალე.

როგორც ვხედავთ, პრიამოსი აქაც საკმაოდ ადეკვატურია სიტუაციისა: მას არა აქვს ილუზია, რომ მისმა შვილმა შეიძლება სძლიოს აქილევსს, რადგან იცის, რომ აქილევსი ბევრად აღემატება ჰექტორს.

ჰექტორის დალუპვის შემდეგ ამავე სიმღერაში, სავსებით ბუნებრივია, რომ პრიამოსი სასონარკვეთილია და გლოვობს თავის შვილს, თუმცა მის სიტყვაში ჩნდება მინიშნება იმ გზაზე, რომელსაც შეუძლია მამას შვილის ცხედარი მაინც დაუბრუნოს, ეს არის აქილევსთან მისვლა და მისი გულის მოლბობის იმედი იმ მოტივით, რომ მასაც ჰყავს მოხუცი მამა:

XXII. 418-422.

შევევედრები იმ კაცს, მრავალი უბედურების მომტანს,
უპატიოსნოს,
იქნებ როგორმე ასაკს სცეს პატივი, ან თანამიგრძნოს
მოხუცს. ისიც ხომ ისეთივე მამისგან, პელებისგან იშვა,
რომელმაც შვა და გაზარდა ტროელთათვის უბედურების
მომტანად.

განსაკუთრებით კი მე მომაყენა მრავალი ტანჯვა.

პრიამოსის ხასიათის ჩვენს მიერ შენიშნული შტრიხი საკმაოდ
კარგად ვლინდება, როდესაც მას ირისი აუნყებს ღმერთის ნებას
– მივიდეს აქილევსთან გამოსასყიდით და შვილის გვამი გამოს-
თხოვოს დასაკრძალავად. პრიამოსი არ შეიძლება იყოს დარწმუნ-
ებული, რომ ამ შემთხვევაში უკედავები ტროას ახალ ვერაგობას
არ უმზადებენ და არ აპირებენ ტროელთა მეფის, ფაქტობრივად,
საკუთარი ნებით ჩაბარებას მოინააღმდეგისთვის. ამ თვალსაზ-
რისით ანგარიშგასანევია ჰეკატებს სიტყვებიც:

XXIV. 296-298.

ხოლო თუ თავის მაცნეს არ მოგცემს შორსმჭვრეტელი ზევსი,
მაშინ პირადად მე აღარ შეგიწყობ ხელს, (არ აღგაგზნებ)
არგიველთა ნავებთან მისვლაზე, განსაკუთრებითაც რომ
გსურდეს.

და მაინც, პრიამოსი სავსებით სწორად განსაზღვრავს იმას, თუ
რა უნდა გააკეთოს – იგი უნდა ენდოს ღმერთის დაპირებას და იმე-
დი ჰქონდეს აქილევსის სულგრძელობისა.

ვითარების სავსებით ადეკვატურია პრიამოსი გზად აქილევსის-
კენ, როდესაც იგი ერთობ რთული არჩევანის წინაშე დგება – ენ-
დოს თუ არა აქილევსის მსახურის სახით მოვლენილ ჰერმესს. ამ
შემთხვევაშიც პრიამოსი სწორი გზით მიჰყავს თავის ინტუიციას
და გამოცდილებას.

XXIV. 429-431.

ხოლო ახლა გამიძეხი, მიიღე ჩემგან ეს ლამაზი ფიალა,
დამიცავი, გამაცვილე ღმერთებთან ერთად,
სანამ პელიდის კარავს არ მივუახლოვდებით.

არაერთგზის აღნიშნულა, თუ რაოდენ დიდია პრიამოსის აქი-
ლევსისადმი მიმართული სიტყვის მხატვრული ღირსება. მნიშვნე-
ლოვანია, რომ პრიამოსი საოცრად ემოციურ მდგომარეობაშიც კი,
თავისი შვილების მკვლელის წინაშე აღმოჩენილი, ამბობს სიტყ-
ვებს, რომელთაც შეუძლიათ, გული აუჩუყონ მოსისხლე მტერს:

XXIV. 503-506.

ღმერთების გრცხვენოდეს/გერიდებოდეს, აქილევსო, მე კი
თანამიგრძნე,
გახსოვდეს მამაშენი. მე კი უფრო საბრალო ვარ,
გამოვცადე ის, რაც სხვა მინიერ მოკვდავს არ განუცდია –
შვილების მკვლელი კაცის ხელთა ბაგით შეხება.

შეიძლება ითქვას, რომ პრიამოსი "ილიადაში" ჰექტორის შემ-
დეგ ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი სახეა ტროელთაგან. მას
პოეტი სრულყოფილად წარმოადგენს. ეს გამოისახება არა მარტო
პარტიების მოცულობაში (პარტიების მოცულობოს შესახებ იხ.
ქვე, , 126-128გვ.), არამედ ხასიათის იმ მაკოორდინირებელ შტრიხ-
შიც, რომელიც შეიძლება მხოლოდ ბრძენი და კეთილშობილი მე-
ფისთვის იყოს დამახასიათებელი.

ენეასი შემდეგი ეპითეტებითაა წარმოდგენილი ეპოსში:
'Αγχισηδής, ἀναξ ἀνδρῶν, δαίφραυ, κειροσθμένος αἵθιοι χαικῶ.
μέστωρ φόβιοι, παῖς Ἀγχίσαιο, πόδας ταχὺς, Τρώων ἀγός, Τρώων
βουληφόρος, σῖός Ἀγχίσαιο. (ენეასის შესახებ იხ. 284, 179 შმდ;
140, 39გ1, 80ა; 222; ასევე 32.) მისი სახის ინდივიდუალიზაციასთან
დაკავშირებით ჰომეროლოგიაში გამოთქმულია ამგვარი აზრი:
"ენეასის სიმამაცე არასოდეს არ არის იმპულსური ხასიათის... მას-
ში თანაარსებობს მოკვდავისთვის დამახასიათებელი სიფრთხილე,

რომელიც მოტივირებულია მისი მოკვდავი წარმომავლობით, და მზადყოფნა, დაუპირისპირდეს ნებისმიერ მონინაალმდეგეს, რაც მოტივირებულია იმის შეგრძნებით, რომ თავადაც ქალღმერთის შვილია“. ამ ორივე თვისებას ამჟღავნებს ენეასი V სიმღერაში, იმ ეპიზოდში, საიდანაც აქტიურად ერთვება ბრძოლაში. ის წარმოუდგენელ სიმამაცეს იჩენს, როდესაც ათენას მხარდაჭერით თითქმის უძლეველად ქცეულ დიომედესს დაუპირისპირდება (V. 297 შმდ.), თუმცა მას გონიერება და სიფრთხილის გრძნობაც არ ღალატობს, როდესაც ორი უმამაცესი მეომრის – მენელაოსისა და ანტილოქოსის წინაშე აღმოჩნდება და იცის, რომ მათთან შებმა მარცხით დასრულდება (V. 571 შმდ.).

XX სიმღერაში კი, რომლის ძირითადი თემა აქილევისა და ენეასის შერკინებაა, ანქიზესის ძე თავდაპირველად არ აპირებს ესოდენ ძლიერ მონინაალმდეგესთან შებრძოლებას, საამისოდ მიზეზებიც აქვს:

XX. 97-98.

არ არსებობს აქილევის მომრევი ადამიანი, რომ შეებრძოლოს. მუდამ მასთანაა ღვთაება, რომელიც დალუპვისაგან იცავს.

თუმცა, იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ თუ მათ ღმერთისგან ერთნაირი მფარველობა ექნებოდათ, ის აქილევეს ღირსეულ მეტოქეობას გაუწევდა. საბოლოოდ კი გმირთან შებრძოლებას მაშინ გადაწყვეტს, როდესაც აპოლონი მის ღვთაებრივ წარმოშობას შეახსენებს და იმასაც აღნიშნავს, რომ აქილევესი უფრო დაბალი რანგის ქალღმერთის ძეა. ამ პასაჟში ენეასის სიფრთხილეს სძლევს საკუთარი უპირატესობის შეგრძნება. შერკინების სცენაში ენეასი წარმოგვიდგება, როგორც აქილევის თანასწორი მებრძოლი, რომელიც, მართალია, ვერ ძლევს მტერს, მაგრამ მკითხველში უდიდეს სიმპათიას იმსახურებს. ენეასი აქილევესს შებრძოლებამდე ვრცელი სიტყვით მიმართავს, სადაც დანერვილებით გადმოსცემს თავისი წინაპრების – დარდანოსისა და დარდანიდების ამბავს.

მთელი სიტყვა საკუთარი წარმოშობით გამოწვეული სიამაყითაა გაჯერებული.¹⁵ ენეასი ამბობს:

XX. 241.

ეს არის ჩემი წარმოშობა და ჯიში, რასაც ვაცხადებ.

ყოველივე ამისთვის შეიძლება, დაგვემატიბინა ის, რომ ენეასს ახასიათებს ე.წ. გენეალოგიური პასუხისმგებლობა. როგორც ცნობილია, "ილიადაში" აღნიშნულია, რომ დარდანოსის შთამომავალს, ენეასს, არ უწერია სიკვდილი, რადგან:

XX. 303-308.

რათა უშთამომავლოდ და უკვალოდ არ გაქრეს მოდგმა დარდანოსისა, რომელიც უყვარს კრონიდს მრავალ შვილთა შორის,

ვინც მოკვდავმა ქალებმა უშვეს.

ხოლო პრიამოსის შტო კი სძულს

ახლა ენეასი ტროელთა მმართველი (იქნება),

და შვილები მისი შვილებისა, მას შემდეგ დაბადებულნი.

ამიტომაც, არ არის შემთხვევითი, რომ ის გმირი, რომელთანაც უნდა იყოს დაკავშირებული ტროადის მომავალი, გარკვეული სიამაყით გადმოგვცემს ტროას მმართველთა გენეალოგიას.

პარისი ეპიკურ ტრადიციაში აშკარად უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ცენტრალური ტროელი პერსონაჟი (პარისის სახის შესახებ იხ: 284, 814 შმდ; 140, 10f 13, 38a4, 82; 306.). არის აზრი, რომ "ილიადაში" ჰომეროსმა გარკვეულწილად შეასუსტა მისი მნიშვნელობა, შესაძლოა, მის მიერ შექმნილი ჰექტორის სახის ინტენსიფიკაციის გზით (იხ: 77, 291 შმდ.). სავსებით ბუნებრივია, რომ მითის თხრობის ლოგიკიდან გამომდინარე, ელენეს მოტაცებაში ძირითადი პასუხისმგებლობის მატარებელ პარისს თავად ომის პროცესშიც პროტაგონისტის როლი უნდა შეესრულებინა. ჩვენ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ ჰომეროსმა შეგნებულად შეზღუდა პარისის ფუნ-

¹⁵ ეს სიტყვა გვაგონებს გლავკოსის სიტყვას (VI, 145-211).

ქცია საკუთრივ ომის პროცესში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, თავდაპირველად ის ეპითეტები, რომლებითაც “ილიადაში” პარისია შემკული. შეიძლება ითქვას, ამ მხრივ პარისი ერთობ მოკრძალებულად გამოიყურება: Δύσπαρι, σίδη Πριάμοιο. სახელ ალექსანდროსს კი ჰომეროსი შემდეგ ეპითეტებთან ერთად ახსენებს: Ἀλέξανδρος Βασιλεύς, Ἐλένης πόσις, θεοειδής.

ამასთან ერთად, ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ თავად ამ პერსონაჟს სახელები მართლაც გამორჩეული აქვს: თუკი მისი პირველი სახელი – ალექსანდროსი (Ἀλέξανδρος) ბერძნულია, ან ელინიზებული, ამკარაა, რომ ეპიკურ ტრადიციაში ეს მეტყველი სახელი მხოლოდ ღირსეული გმირისთვის შეიძლება ეწოდებინათ. რაც შეეხება მის მეორე სახელს – პარისი მიუხედავად იმისა, რომ მის ეტიმოლოგიაზე აზრთა სხვადასხვაობაა, მეტი მომხრე ჰყავს კრეჩმერის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც იგი მნიშვნელობასთან – “პირველი” უნდა ყოფილიყო დაკავშირებული (176.).

როგორც ცნობილია, პარის/ალექსანდრეს არც ერთი სახელი ჰომეროსის ეპოსსა და, საერთოდ, ბერძნულ ტრადიციაში, არ განეკუთვნება ორდინალურ სახელთა რიცხვს. ჰომეროსმა პარისის ტრადიციული სახის გადააზრებისას მისი ხასიათის საკმაოდ საინტერესო მაკოორდინირებელი შტრიხი წამოიწია წინ. რ. გორდუზიანის ვარაუდით, შენიშნულია, რომ მისი ხასიათის მაკოორდინირებელი შტრიხი არის “წინააღმდეგობა მის სურვილს თუ მოვალეობას შორის – გამოიჩინოს ვაჟკაცობა – და ამ მხრივ, მის რეალურ, საკმაოდ შეზღუდულ შესაძლებლობებს შორის. ეს იწვევს მის გაორებას, რაც კარგადაა გამოხატული “ილიადაში” (22, 118 შმდ.).

განვიხილოთ შესაბამისი პასაჟები. პარისი პირველად “ილიადაში” ჩნდება III სიმღერაში, როდესაც იგი გამოდის ბრძოლის ველზე და აპირებს, შეებას მენელაოსს. ამ პასაჟში კარგად ჩანს, რომ მას სურვილი აქვს, წერტილი დაუსვას ტროას ომის მსვლელობას:

III. 16-20.

ტროელთა მენინავეებში იბრძოდა ღმერთისდარი

ალექსანდროსი,

მხრებზე ვეფხის ტყავი და მორკალული მშვილდისარი ჰქონდა. მახვილიც (ეპყრა) ორი სპილენძის იარაღით აღჭურვილი, ყველა არგიველის გამოწვევას იღებდა, მრავალ საუკეთესო მტერს შესაბრძოლებლად იწვევდა სახელისმომხვეჭ ბრძოლაში. თუმცა, პარისის გადანყვეტილების სიმტკიცე უმალ იწყებს განელებას, როგორც კი იგი მასთან დასაპირისპირებლად წამოსულ მენელაოსს მოკრავს თვალს:

III. 30-32.

მაგრამ შენიშნა თუ არა ღმერთისდარმა ალექსანდროსმა (მტრის) წინა რიგებში ბრწყინვალე მებრძოლები, შიშმა სძლია მის ძვირფას სულს, თანამებრძოლთა უკან, ხალხისკენ დაიხია, სიკვდილს გაექცა.

მას შემდეგ, რაც ჰექტორი შეარცხვენს ძმას და საკმაოდ ზუსტად ახასიათებს მას, პარისი კვლავ მოინდომებს, სისრულეში მოიყვანოს თავისი გადანყვეტილება. მაგრამ როდესაც ყოვლად უიმედო მდგომარეობაში აღმოჩენილს აფროდიტე იხსნის და ელენესთან გადაიყვანს, პარისი არ მალავს თავის “კმაყოფილებას”.

ამის შემდეგ პარისი ერთვება მოქმედებაში VI სიმღერაში, როდესაც ჰექტორი მას სახლში უქმად მყოფს ნახავს. ჰექტორი კვლავ შეარცხვენს პარისს და ომში ჩართვისკენ მოუწოდებს. პარისიც ალეგზნება ბრძოლის სურვილით და გამარჯვების იმედიც მიეცემა:

VI. 337-339.

ახლა მეუღლემ ტკბილი სიტყვებით მირჩია,
ჩავება ბრძოლაში. და მეც მგონია, ასე
უკეთესიც იქნება – ცვალებადია გამარჯვება კაცთათვის.

როგორც ვხედავთ, ეპიკურ ტრადიციაში არსებული სავარაუდო პროტაგონისტიდან ჰომეროსმა პარისი ჩამოაქვეითა გმირამდე, რომელშიც ვაჟკაცობის გამოვლენის სურვილი და ამის რეალური შესაძლებლობა არ შეესაბამება ერთმანეთს. სწორედ ამიტომ პარისის მიმართ მკითხველი არც გადაჭარბებულ აღფრთოვანებას განიცდის და არც საგანგებო ანტიპათიით იმსჭვალება.

ანდრომაქე “ილიადის” ერთ-ერთი ყველაზე უფრო შთამბეჭდავი სახეა. (ანდრომაქეს სახის შესახებ იხ: 284, 274 შმდ; 140, 22a2, 34a6β, 37a1, 66; 286.). მისი ეპითეტებია: *θυγάτηρ μεγαλήτορος* *Ἡετίωνος*, *λευκάλευος*. ეს გასაგებიცაა, რადგან მას აკისრია საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია პოემის პირველ ნაწილში – წარმოგვიდგეს, როგორც ქალი, რომელსაც ჰექტორის გარეშე ცხოვრებაზე ფიქრიც კი ზარავს, ხოლო ჰექტორის დალუპვის შემდეგ თავი დაგვამახსოვროს გულისმომკვლელი დატირებებით.

რისმაც გორდებიანი ანდრომაქეს სახეს განიხილავს ელენესა და პენელოპესთან მიმართებაში და ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში ჰომეროსისთვის ამოსავალი არის ცოლის დამოკიდებულების ხასიათი საკუთარი ქმრისადმი.(იხ: 22, 120.).

ვფიქრობთ, რომ ანდრომაქეს ყველა სიტყვაში დომინანტური თემა არის ჰექტორი და მისი ტრაგიკული აღსასრული, რომლის შემდეგაც მას და მის შვილს საზარელი ბედი ელით. ამ თვალსაზრისით, ანდრომაქეს ცნობილი სიტყვა VI სიმღერაში კულმინაციას წარმოადგენს:

VI. 429-432.

ჰექტორ, შენა ხარ ჩემი მამა და ჩემი დედა,
შენ ძმაც ხარ ჩემთვის, ყოვლისშემძლე მეუღლევ ჩემო,
ახლა იქნება შემობრალო და დარჩე კოშკში,
ბავშვს ნუ დატოვებ დაობლებულს, ქალს – დაქვრივებულს.

ანდრომაქეს სიტყვის მთელი სტრუქტურა და ეს ფრაზები, ფაქტობრივად, იმის აშკარა მაგალითია, რომ ანდრომაქეს ცხოვრებას აქვს აზრი იმდენად, რამდენადაც არსებობს ჰექტორი. საყურადღებოა აგრეთვე ის სიტყვები, რომლებსაც ანდრომაქე წარმოთქვამს ჰექტორის დალუპვის შემდეგ:

XXIV. 743-745.

არც სასიკვდილო სარეცლიდან არ გამომიწოდე ხელი,
არც რამე სიტყვა მითხარი, რომელიც მუდამ
მემახსოვრებოდა, დილით და ღამით, ცრემლმორეულის.

ეს სიტყვები იმის მანიშნებელია, რომ ანდრომაქესთვის ყველაზე დიდი უბედურებაა ის, რომ სიკვდილის წინ ჰექტორმა არ უთხრა სიტყვა, რომელიც მას მთელი ცხოვრება ემახსოვრებოდა.

ანდრომაქე ჰექტორის სიკვდილის შემდეგ მხოლოდ უდიდეს უბედურებას ელის, რომელსაც მას და მის ერთადერთ ძეს – ასტიანაქსს უმზადებს ბედი:

XXII. 484-486.

ბავშვს კი, ჯერ მხოლოდ ჩვილს,
რომელიც ვშვით, მე და შენ, უბედურებმა, არც შენ
ჰყავხარ, ჰექტორ, გადამრჩენი, და სიკვდილის შემდეგ არც
შენ გყავს ის.

ანდრომაქესთვის უჰექტოროდ არათუ საკუთარი ოჯახის, არამედ ტროას არსებობაც კი წარმოუდგენელია:

XXIV. 728-731.

...ხოლო მანამდე ქალაქი ამ აკროპოლისიდან
დაინგრევა. რადგან დაილუპა იმედი, ვინც თვითონ
აჩერებდა, იცავდა ერთგულ ცოლებს და ჩვილებს,
რომლებსაც სულ მალე ნაიყვანენ ღრმა ხომალდებით.

ამდენად, ანდრომაქეს სახე იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე ერთგული და მოყვარული ცოლი. ანდრომაქე წარმოგვიდგება ქალად, რომელსაც თავისი ცხოვრების აზრი მთლიანად გაიგივებული აქვს საკუთარი მეუღლის სიცოცხლესთან.

სარპედონი. შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლაში ჩართულ ტროელ გმირთა შორის თავისი წარმომავლობით ყველას აღემატება (სარპედონის შესახებ იხ: 284, 973 შმდ; 140, 59b, 63b1, 80b, 82, 321.), რადგან ის თავად ზევსის ძეა. ამასთანავე, "ილიადის" მიხედვით, მისი ქვეყანა – ლიკია აშკარად გამოირჩევა მოკავშირეთა შორის თავისი მნიშვნელობით. შესაბამისად, ასეთივე მნიშვნელოვანია თავად ლიკიის მმართველობაც. სარპედონს შემდეგი ეპითეტებით ამკობს პოეტი: ἀναξ, ἀνὴρ ἄριστος, ἀντίθεος, ἀντίθεος

χαλκοκορυστής, ἄρχος Λυκίας, δῖος, Δῖος υἱός, Λυκίας ἄγός, Λυκίας
βουληφόρος.

სარპედონი რამდენჯერმე ჩნდება “ილიადაში” და აქვე ასრუ-
ლებს სიცოცხლეს.

ეს სახე საკმაოდ საინტერესოა, რადგან, ვფიქრობთ, სარპედო-
ნისთვის მაკოორდინირებელი შტრიხი არის ე.წ. „ლიკიური თვით-
შეგნება“; მის თითქმის ყველა სიტყვაში თავს იჩენს პასუხისმგებ-
ლობა სწორედ თავისი ქვეყნისა და ლიკიელების წინაშე. ერთ-ერთი
ბრძოლის დაწყების წინ სარპედონი ასე მიმართავს გლავკოსს:

XII. 315-318.

ახლა საჭიროა, პირველად მოსულ ლიკიელებთან ერთად
ფიცხელ ომში ჩართვა, ბრძოლის გაჩაღება,
რათა მტკიცებაჯრიან ლიკიელთაგან ვინმემ თქვას ასე:
ლიკიელებს ხომ სამარცხვინო მეფეები არ გვმართავენ.

ის, რომ სარპედონისთვის სწორედ ლიკიური თვითშეგნებაა მთა-
ვარი, აშკარად ჩანს მის თავმდაბლობაშიც – იგი არსად არ უსვამს
ხაზს თავის წარმომავლობას, მის სიტყვებში არაფერია ნათქვამი
არც მამაზე – ზევსზე და არც დედაზე – ეოსზე. მას ყურადღება
ლიკიელთა დამოკიდებულებაზე გადააქვს.

XII. 310-312.

გლავკოს! მე და შენ რატომ ვართ განსაკუთრებით
პატივცემულნი
ლხინზე, საუკეთესო ნაჭრებით და სავსე ფიალებით (გვიმას-
პინძლდებიან)
ლიკიაში. გვიყურებენ, როგორც ღმერთთა სწორთ.
მიუხედავად იმისა, რომ სარპედონი ზევსის ძეა, მას გაცნობიე-
რებული აქვს თავისი მოკვდავობა:

XII. 326-328.

ასე რომ, მაინც უბედურება გვინერია, სიკვდილი
ათასგვარი, რომელიც გარდაუვალია მოკვდავთათვის, ვერც
გაექცევა.

ნავიდეთ, ან სახელი მოვიპოვოთ, ან არაფერი!

ძალზე საყურადღებოა სარპედონის მიმართვა გლავკოსისადმი აღსასრულის წინ. ის არ ნაღვლობს საკუთარ უბედურებაზე, მომაკვდავი, წარბსაც არ იხრის. ის მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ გლავკოსმა და ლიკიელებმა ღირსეულად წარმართონ ბრძოლა.

XVI. 495-496.

პირველ რიგში, ლიკიელთა წინამძღოლები დააჩქარე,
ყველას ჩამოუარე, (აღანთე), სარპედონისთვის იბრძოლონ.

თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ სარპედონი ანატოლიურ სახელს ატარებს, სრული საფუძველი გვაქვს, დაეუშვათ, რომ ეს გმირი ეპიკურ ტრადიციაში ადრიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი. ჰომეროსმა ის უმთავრეს ტროელ ფიგურათა შორის მოაქცია. განსაკუთრებით საყურადღებოა თავად ზევსის განწყობა საკუთარი შვილისადმი და ის ადგილი პოემაში, რომელიც სარპედონის ღვთაებრივ გადასვენებას ეთმობა. ზევსი თვით აპოლონს ავალებს, სარპედონის შეურაცხყოფილი გვამი გამოარიდოს ბრძოლის ველს, განბანოს და სიკვდილს და ძილს მშობლიურ ლიკიაში წაასვენებინოს:

XVI. 674-675.

იქ საზეიმოდ დაკრძალავენ ახლო ნათესავები, პატივს მიაგებენ
ყორღანით და საფლავის ქვით. ასეთი პატივი შეეფერება
მოკლულს.

როგორც ჩანს, ტრადიციული ინფორმაციისა და გმირთა ინდივიდუალიზაციის საკუთარი პრინციპების გამოყენებით ჰომეროსმა შექმნა პერსონაჟი, რომელიც თავისი ხასიათის შტრიხებით და ტრაგიკული ბედით ერთ-ერთ ყველაზე უფრო დასამახსოვრებელ ტროელ სახედ შეიძლება მივიჩნიოთ.

პულიდამასი ტროელ პერსონაჟთა შორის უთუოდ გამოირჩევა (პულიდამასის სახის შესახებ იხ: 284, 901შმდ; 140, 28ა1.

36b2, 66; 237.) – მას აქვს ბერძნული მეტყველი სახელი (πολυ და δαμασ—δάμστυμι) და აშკარად ძალზე გამოკვეთილი მისია – ეს არის თავისიანებისთვის ღმერთის ნების განცხადება ან ბრძნული რჩევის მიცემა. შესაბამისად, პულიდამასში ერთმანეთთანაა შეზავებული ირაციონალური და რაციონალური. პულიდამასს შემდეგი ეპითეტებით წარმოგვიდგენს ჰომეროსი: ἀγυστῆ Παρθίνῃο, ἀμύμασ, ἀμαμητόσ, ἄναξ, ἐγχεσπαιλοσ Παρθίνῃσ, Παρθίνῃσ ἀγαπήσαρ, πεπυσμῆνοσ Παρθίνῃσ.

თუკი გათვითვალისწინებთ, რომ “ილიადაში” იგი ძალზე ხშირად გვხვდება ჰექტორთან ერთად და გადამწყვეტ მომენტებში სწორ რჩევას აძლევს მას, შეიძლება დავუშვათ, რომ მისი მისია არის ემოციური ჰექტორის მოქმედებათა კორექცია საქმის ინტერესებიდან გამომდინარე. რაც მთავარია, პულიდამასის პირით ყოველთვის ჭეშმარიტება ღალადებს. შესაბამისად, ამ გმირის მაკორდინირებელ შტრიხად შეიძლება მივიჩნიოთ საკუთარი გადანწყვეტილების სისწორის რწმენა, რაც ეფუძნება არა ქედმაღლობას და საკუთარ თავში დაჯერებულობას, არამედ ნათელხილვის (ღვთის ნების შეცნობის) უნარს და მისი თანამოძმეებისთვის (უპირველეს ყოვლისა, ჰექტორისთვის) რაციონალური რჩევის სახით მიწოდების უდრეკ გადანწყვეტილებას. ამიტომაც პულიდამასი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ტროელთა მხედართმთავარი განსხვავებული აზრისაა, არ ერიდება საკუთარი რჩევის კატეგორიულად მიცემას. “ილიადის” პირველსავე პასაჟში, რომელიც პულიდამასს ეთმობა, სწორედ ეს უნარი ვლინდება. ჰექტორს სურს, რომ ტროელთა ლაშქარმა აქაველთა ბანაკში შესაღწევად თავი განიროს და ბასრი სარებით გარშემორტყმული თხრილი ცხენებით გადალახოს, პულიდამასი ედავება ჰექტორს და საკმაოდ ლოგიკურად უხსნის მას, თუ რატომ არ ღირს ამ რისკზე წასვლა (XII, 60 შმდ.). იმავე სიმღერის მეორე ეპიზოდში ჩანს პულიდამასის წინასწარმეტყველური უნარი, როდესაც ის ღმერთისგან მოვლენილ სასწაულს უხსნის ჰექტორს და ტროელებს:

XII.223-226.

ასევე ჩვენც, თუ აქაველთა კოშკებს და კედელს
დავანგრევთ, უდიდესი ძალით აღჭურვილნი, დაიხევენ უკან
აქაველები,

უნესრიგოდ დავბრუნდებით ნავებიდან ამ გზით.

მრავალი ტროელი გადარჩება.

ამ შემთხვევაში ჰექტორი ირწმუნებს მის სიტყვას.

XVIII სიმღერაში, როდესაც პულიდამასი ტროელებს უკან და-
ხევას ურჩევს, ჰექტორი არ დაუჯერებს მას და მოგვიანებით, აქი-
ლევსთან პირისპირ აღმოჩენილი, საშინლად ინანებს კიდეც (XXII,
100 შმდ.). პულიდამასის “მარადიული სისწორის” საუკეთესო შე-
ფასებად შეიძლება მივიჩნიოთ ტრაგიკულ სიტუაციაში ჩავარდნი-
ლი ჰექტორის სიტყვები

XXII. 99-102.

ვაიმე, თუკი შევაფარებ თავს კვლავ გალავანს,
პულიდამასი ბრალს პირველი დამდებს, შემარცხვენს,
ის, ვინც მირჩია, შევძლოლოდი ქალაქში ტროელთ
იმ საზარ ლამეს, პელიდი რომ ომს დაუბრუნდა.

პულიდამასმა თვითონაც კარგად იცის, რა ნიჭითაცაა დაჯილ-
დოებული და ამას ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე აღნიშნავს
კიდეც. ის ჰექტორს მიმართავს:

XIII. 727-729.

რადგან ღმერთმა მოგცა [ცოდნა] საბრძოლო საქმის,
შენ კი გსურს, ბჭობაც სხვებზე უკეთ შეგეძლოს
მაგრამ ერთნაირად ყველაფრის მიღწევა არავის ძალუძს.

ხოლო თვით ჰომეროსი პულიდამასის ძალზე ლაკონურ, მაგრამ
საოცრად ტევად დახასიათებას გვაძლევს:

XVIII. 250-252.

...რადგან ის ხედავდა შორ მომავალსაც და წარსულსაც.
ჰექტორის ახლო მეგობარი, [რომელიც] იშვა იმავე ლამეს,

მაგრამ ერთი სიტყვით, მეორე კი იარაღით იმარჯვებდა.

გლავკოსი ტროელების მოკავშირეთა შორის ერთ-ერთი დასამახსოვრებელი სახეა (გლავკოკსის სახის შესახებ იხ: 284, 385 შმდ; 140, 11d6, 51a1, 67a4; 298.). მისი ეპითეტები საკმაოდ მწირია: Ἰππολόχοιο παῖς, Ἀσκάς ἀγὼς ἀνδρῆς. ჰომეროსი არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ მას ტროადან მშობლიურ ლიკიაში დაბრუნება არ უნერია, რასაც ჩვენ სხვა ბერძენ ავტორთაგან ვიტყობთ. სამაგიეროდ, ჰომეროსი წარმოგვიდგენს გლავკოსის საკმაოდ საინტერესო ხასიათს, რომელსაც საკუთარი ვაჟკაცობა და წარმომავლობა აძლევს მონინაალმდეგისა თუ თანამებრძოლისათვის ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო მომენტში სათქმელის მთელი პირდაპირობით თქმის შესაძლებლობას.

მართალია, “ილიადაში” გლავკოსის მონაწილეობა არ არის იმდენად ინტენსიური, რომ მასზე, როგორც გამოკვეთილი მაკოორდინირებული შტრიხის მქონე პერსონაჟზე ვიმსჯელოთ, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ პოემაში აქცენტირებულია გლავკოსის რამდენიმე თვისება, რომელიც, როგორც შეიძლება ვივარაუდოთ, მისი წარმომავლობის განსაკუთრებულობის შეგრძნებითაა განპირობებული.

ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი ეპიზოდი მთელ პოემაში არის გლავკოსის შეხვედრა წარმატებებით ფრთაშესხმულ დიომედესთან, VI სიმღერაში. მონინაალმდეგის თავდაჯერებულ და მუქარით აღსავსე მიმართვაზე გლავკოსი პასუხობს სიტყვით, რომელიც ჰომეროლოგთა ერთსულოვანი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა “ილიადაში”. დ. ლომანმა დამაჯერებლად გვიჩვენა ამ სიტყვის ერთობ საინტერესო სტრუქტურა (200, 45შმდ.). ეს არის “ილიადაში” წარმოთქმული ერთ-ერთი ყველაზე გრძელი სიტყვა, რომელიც თავის თავში წრიული კომპოზიციის რამდენიმე კომპონენტს შეიცავს. შეიძლება ითქვას, რომ გლავკოსი ამ სიტყვით წარმოგვიდგება ბრძენ გმირად, რადგან ჰომეროსი სწორედ

მას ათქმევინებს სიტყვებს, რომლებიც შემდეგ მთელ ანტიკურობაში სენტენციალ იქცა:

VI. 146-149.

როგორც ფოთოლთა წარმოქმნა, კაცთა მოდგმაც ხომ ასეა – ფოთლებს ნიაფი მიწაზე რომ მიმოაბნევს აქა-იქ, გაზაფხულისთვის ტყე მაინც შეიმოსება სიმწვანით ადამიანიც ასეა – ვინ იბადება, ვინ კვდება.

რაც მთავარია, ამ სიტყვაში გლავკოსი ამჟღავნებს არა მარტო თავისი გენეალოგიის ჩინებულად ცოდნას, არამედ იმის სრულ რწმენასაც, რომ მას აქვს საფუძველი, იამაყოს თავისი წარმომავლობით და ამ მხრივ იგი არავის დაუდებს ტოლს, მათ შორის, დიომედესაც.

პოეტმა იმგვარად ააგებინა ეს სიტყვა გლავკოსს, რომ მისი სახის წარმოსაჩენად და გარკვეულად, გლავკოსის განსაკუთრებულობის საჩვენებლად მხოლოდ ეს სიტყვაც საკმარისი იქნებოდა. გლავკოსს არ აკრთობს დიომედესთან შეხვედრა და იგი თავის სიტყვაში ახერხებს, გადმოსცეს წინაპრების წარმომავლობისა და მათი ლიკიაში გადმოსახლების მთელი ისტორია. ეს უკანასკნელი კი რამდენიმე ნაწილისგან შედგება:

პირველი ნაწილი, რომელშიც მოთხრობილია წინაპრების ამბავი ეფირეში, მოიცავს 152-170 სტრიქონებს. აქ ვიღებთ ინფორმაციას თავად ბელეროფონის წინაპრების შესახებ.

VI. 154-156.

სიზიფოსმა შვა გლავკოსი, ხოლო მამაცი გლავკოსის სახელოვანი პირმშოა ბელეროფონი, რომელსაც დიდმა ღმერთებმა ზრდილობა და სილამაზე უბოძეს.

მეორე ნაწილი კი ბელეროფონის ლიკიურ თავგადასავალს და მის შთამომავლებს შეეხება. იგი შეიცავს ბელეროფონის თავგადასავალს უკვე საკუთრივ ლიკიაში და ინფორმაციას მის ლიკიელ შთამომავალთა, ასევე სამი თაობის შესახებ:

VI. 196-199.

დიდ ბელეროფონს გაუჩნდა სახელოვანი შვილები:
ვაჟები – ისანდროსი და ჰიპოლოქოსი. ასულმა,
ლამაზმა ლაოდამიამ ღრუბელთმპყრობელი ზევსისგან
შვა სარპედონი ღვთისადარი, სპილენძისაბჯაროსანი.

VI. 206.

მე ძე ვარ ჰიპოლოქოსის, ვამაყო მისი შვილობით.

ყოველივე ამის შემდეგ გლავკოსი იმდენად ლაკონურად, მხო-
ლოდ ერთი წინადადებით ამჟღავნებს თავის გენეალოგიურ სიამა-
ყეს, რომ მონინაალმდეგეშიც კი აღფრთოვანებას იწვევს:

VI. 211.

ეს არის ჩემი ცნობილი, სახელოვანი გვარ-ტომი.

სწორედ ამ ეპიზოდთანაა დაკავშირებული “ილიადის” ერთა-
დერთი სცენა, სადაც ომში დაპირისპირებული ორი პერსონაჟი
ერთმანეთს უმეგობრდება, რის ნიშნადაც აბჯარს გაცვლიან. რაც
მთავარია, ისინი ერთმანეთთან პიროვნულ ზავს დებენ, ანუ, იმის
გარანტიას იძლევიან, რომ ბრძოლის ველზე არ დაუპირისპირდე-
ბიან და არ მოკლავენ ერთმანეთს.

თავისთავად, მთელი ეს სცენა, შეიძლება ითქვას, უნიკალურია
“ილიადაში” თავისი საბოლოო შედეგით და საკმაოდ კარგ საფუძ-
ველს ქმნის გლავკოსის სახის მკითხველისა თუ მსმენელის მახ-
სოვრობაში დასარჩენად. მართალია, თავის მომდევნო სიტყვებში
გლავკოსი აღარაფერს ამბობს საკუთარი გენეალოგიის შესახებ,
მაგრამ ყველგან იგრძნობა, რომ მას თავისი ვაჟკაცობა და საკუ-
თარი გენეალოგიური სიამაყე აძლევს უფლებას:

ა) იყოს თავისი მომაკედავი თანამებრძოლის – სარპედონის
ძირითადი იმედი. სარპედონი სიკვდილის წინ სწორედ გლავკოსს
სთხოვს, მისი გულისთვის იბრძოლოს შეუპოვრად და სხვებიც
ალაგზნოს საომრად:

XVI. 492-493.

გლავკოს, საყვარელო, კაცთა შორის საუკეთესო მებრძოლო,
შენ გმართებს ახლა განსაკუთრებით,
შუბშემართულმა, ალაგზნო სხვები და უყოყმანოდ დაიწყო
ბრძოლა.

ბ) დაჭრილიც კი ფიქრობდეს არა მხოლოდ თავის გადარჩენაზე,
არამედ იმაზე, თუ როგორ მოახერხებს ბრძოლაში ჩართვას. რო-
დესაც სარპედონის დანაბარების აღსრულებაში იარა უშლის ხელს,
გლავკოსი ღმერთს შესთხოვს:

XVI. 523-525.

„ხოლო შენ შეგთხოვ, უფალო, ამ მძიმე ჭრილობის გამ-
რთელებას,
დამიცხრე ტანჯვა, მომეცი ძალა, რათა ჩემიანები
დავარწმუნო, ლიკიელები საბრძოლველად ავანთო“.

გ) თავად ჰექტორსაც კი უთხრას ყველაზე უფრო მწარე და
დამამცირებელი სიტყვები, რომელთა მსგავსსაც პრიამოსის ძეს
ვერცერთი თანამოდმე ვერ აკადრებს. ეს მაშინ ხდება, როდესაც
გლავკოსი უკმაყოფილოა იმით, რომ ჰექტორმა ვერ მოახერხა სარ-
პედონის გვამის აქაველთაგან დახსნა, ის სასტიკად საყვედურობს:

XVII. 142.

ჰექტორ, გარეგნულად საუკეთესოვ, ბრძოლის ბევრი არაფერი
გაგეგება.

ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუკი სარპედონთან წინა
პლანზე იწევს ეთნიკური თვითშეგნებით გამონეული სიამაყე, ამ
შემთხვევაში საქმე გვაქვს გენეალოგიური აღმატებულობის შეგ-
რძნებით გამონეულ სიამაყესთან.

ლიკაონს ჰომეროსი საკმაოდ ცალსახად წარმოგვიდგენს
(ლიკაონის შესახებ ვრცლად იხ: 284, 721შმდ; 140, 60c2, 81; 240.).
მას ერთადერთი ეპითეტი აქვს: $\mu\lambda\omicron\varsigma \delta\epsilon \Pi\rho\acute{\alpha}\mu\omicron\iota\omicron$. ასეთ დროს ძნე-

ლია, გამოვყოთ გმირის ხასიათის მაკოორდინირებელი შტრიხი. აქ შეიძლება უფრო იმაზე ვიმსჯელოთ, თუ რა დომინანტური თვისება აქვს გმირს ექსტრემალურ ვითარებაში. პრიამოსისა და ლაოთოეს ვაჟი, მიუხედავად იმისა, რომ “ილიადაში” არ ასრულებს მნიშვნელოვან როლს, XXI სიმღერაში საკმაოდ დიდი პარტიით წარმოგვიდგება. აქ პოეტი კარგად იყენებს პერსონაჟის წარსულში თავსგადამხდარი ამბის მოყოლის ხერხს და გვატყობინებს, თუ როგორ ჩაიგდო იგი აქილეესმა ტყვედ, შემდეგ როგორ გაყიდა და როგორ მოახერხა ლიკაონმა მამისეულ სახლში დაბრუნება.

ჰომეროსი საოცრად უბადრუკად წარმოგვიდგენს მდინარიდან ამოსულ შიშველ, უიარალო ლიკაონს, რომელსაც აქილეესი უკვე მეორედ ხვდება. ყოველივე, რაც შემდეგ ხდება და თავად ლიკაონის სიტყვებიც შესაძლებლობას გვაძლევს, პერსონაჟის ძირითად თვისებად მივიჩნიოთ საცოდავობა და მშიშრობა. მას ყველაზე მეტად ეშინია სიკვდილის:

XXI. 64-66.

...ის კი მიუახლოვდა, გაოგნებული,
მუხლებზე შეხება უნდოდა, მთელი შეგნებით სურდა
გაქცევა ბოროტი და ბნელი სიკვდილისაგან.

თუმცა, გამეხებული აქილეესი მას არ ინდობს. შესაძლოა, ეს ეპიზოდი ჰომეროსს, ერთი მხრივ, პოემის სიუჟეტში ერთგვარი ტრაგიკომიკური სურათის ჩასასმელად დასჭირდა, ხოლო მეორე მხრივ, სიკვდილის მიმართ პერსონაჟთა ორგვარ დამოკიდებულებას შორის კონტრასტის წარმოსაჩენად. ერთია ლიკაონისა – მხდალი და უბადრუკი გმირის, რომელიც შიშით ხვდება სიკვდილს, ხოლო მეორე – ქემმარიტი გმირის – აქილეესის, რომელიც სიკვდილს მშვიდად და „ფილოსოფიურად“ აღიქვამს.

ჰეკაბე ეპოსში ეპითეტების გარეშეა წარმოდგენილი. (ჰეკაბეს სახის შესახებ ვრცლად იხ: 284, 451შმდ; 140, 22ა1, 50c1, 2, 66; 250).
– დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მთელი ანტიკური ტრა-

დიციისათვის ჰეკაბეს სახის მხატვრული დამუშავებისას უმთავრესი პარადიგმა ჰომეროსის ეპოსი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ჰეკაბეს მონანილეობა პოემაში არ გამოირჩევა განსაკუთრებული ინტენსივობით. და მაინც, ჰომეროსმა სულ რამდენიმე სიტყვაში, რომელსაც ჰეკაბე წარმოსთქვამს “ილიადაში”, შეძლო, პრიამოსის მეუღლე ტროას უბედურების ერთგვარ სიმბოლოდ ექცია. მას, პრიამოსის, ჰექტორის და ბევრი სხვა პერსონაჟისგან განსხვავებით, არ ემუქრება სიკვდილი, მაგრამ მისი სასჯელი ბევრად უფრო მეტია – ჰეკაბეს მოუხდება საკუთარი თვალით იხილოს ყველა მისი უახლოესი ადამიანის დაღუპვა. მიუხედავად იმისა, რომ “ილიადაში” მნიშვნელოვან ტროელ ფიგურათაგან მისი მხოლოდ ერთი უახლოესი ადამიანი ჰექტორი იღუპება, ჰეკაბეს ყოველი სიტყვა არის შიში კიდევ უფრო უარესი უბედურების წინაშე:

ჰეკაბე წინასწარ გრძნობს მოსალოდნელ საშინელებას და ცოტა ხნით ქალაქში შემობრუნებულ ჰექტორს მიმართავს:

VI. 254-256.

შვილო, შენ რა, დატოვე ბრძოლა, უშიშარო, და მოხვედი?
მართლაც, განსაკუთებით გვავიწროებენ საზიზღარი აქა-
ველთა ძეგბი,
ქალაქთან ახლოს.

ხოლო როდესაც ჰექტორი სკეის კარიბჭესთან ელოდა აქილევესს და მასთან უთანასწორო ორთაბრძოლისთვის ემზადებოდა, ჰეკაბე ასე მოსთქვამდა:

XXII. 86-89.

...ხოლო თუ შენ მოგკლავს, მე ხომ ვერ
დაგიტირებ სარეცელზე, საყვარელ მემკვიდრეს, რომელიც
თვითონ გშობე
ვერც მდიდარმზითვიანი ცოლი. ჩვენგან ძლიერ შორს.
არგიველთა ნავებთან დაგგლეჯენ სწრაფი ძაღლები.

ჰეკაბე განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს, როდესაც პრიამოსი ჰექტორის ცხედრის გამოსათხოვად მიდის აქილევესთან. მას

უარესის შიში აქვს და ეჭვი ეპარება, რომ აქილევისგან პრიამოსი უვნებელი დაბრუნდება ტროაში. ამიტომაც მეუღლეს ურჩევს, ზევსს სთხოვოს, რომ მისი აქაველთა ბანაკში წასვლაზე დასტურის ნიშნად ფრინველი მოუვლინოს. ჰეკაბე ეუბნება პრიამოსს:

XXIV. 296-298.

ხოლო თუ თავის მაცნეს არ მოგცემს შორსმჭვრეტელი ზევსი, პირადად მე, მაშინ, აღარ აღგაგზნებ / აღარ შეგიწყობ ხელს არგიველთა ნავებთან მისასვლელად, ძალიანაც რომ გსურდეს.

უარესი უბედურების მომლოდინე ჰეკაბესთვის სავსებით ბუნებრივია გრძნობა, რომელიც მას აქვს აქაველთა მიმართ. და, თუმცა, ჰეკაბეს თავისი პარტიების მოცულობის გამო ვერ მივიჩნევთ მკაფიოდ გამოხატულ ინდივიდუალიზებულ სახედ, შეიძლება ითქვას, რომ ჰომეროსმა მისგან მაინც შექმნა ტროას უბედურების სახე-სიმბოლო. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ ევრიპიდეს "ტროელი ქალები", "ჰეკაბე" და სხვა ტრაგედიები გაცილებით შორსაა წასული, რადგან ძალზე რელიეფურად და სრულყოფილად წარმოგვიჩენს პრიამოსის მეუღლის უბედურებას, მაინც იგრძნობა, რომ ევრიპიდე ჰეკაბეს სახის წარმოდგენისას მჭიდრო დაფებითაა დაკავშირებული ჰომეროსთან.

ბრისეისი პარტიების მოცულობით არ გამოირჩევა.(ბრისეისი სახის შესახებ ვრცლად იხ: 284, 367შმდ, 140, 56a2, 58b1, 89a, 51.). მას ორი ეპითეტიტ ამკობს პოეტი: ἥσκιμος, καλλιπάρης. და, მაინც, იგი ჰომეროსის ქალ პერსონაჟთა შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს. ჩვენი აზრით, ჰომეროსმა ამ ფიგურის ექსპონირებისას საკმაოდ საინტერესო გზა მონახა – მთელ პოემაში ბრისეისი წარმოგვიდგება ე.წ. მდუმარე პერსონაჟად, ანუ ფიგურად, რომელსაც არ აქვს თავისი დრამატული პარტია. ამ პრინციპს ჰომეროსი მხოლოდ ერთხელ არღვევს. ბრისეისი პატროკლოსის გვამის დატირებით, რასაც მისი გარეგნობის აღმწერი რამდენიმე სტრიქონი უძღვის წინ, ვფიქრობთ, ნამდვილად

შეიძლება მივაკუთვნოთ გამოკვეთილად ინდივიდუალიზებულ პერსონაჟთა რიცხვს.

თუკი “ილიადაში” ძირითადი მოტივის – აქილევსის რისხვის განვითარების ლოგიკას დავუკვირდებით, სრულიად აშკარაა, რომ თვითონ აქილევსისთვის განრისხების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ბრისეისია. არ არის შემთხვევითი, რომ ეს სახელი “ილიადაში” პირველი სიმღერის იმ ნაწილში ჩნდება, სადაც აგამემნონი ჩამოუთვლის აქილევსს, თუ რის წართმევას უპირებს მას ქრისეისის დაბრუნების საკომპენსაციოდ. აქ აგამემნონი ძირითად ყურადღებას ლამაზლანცება ბრისეისზე ამახვილებს:

I. 184.

...მე კი მიმყავს ბრისეისი, ლამაზლანცება.

ამით აგამემნონი ხაზს უსვამს სწორედ იმას, რაც აქილევსისთვის ყველაზე უფრო მტკივნეული იქნება. მართალია, აქილევსი ამბობს:

I. 298-299.

მე კი ქალის გულისთვის არ შეგებრძოლები
არც შენ და არც სხვას...

მაგრამ მასთან „კონფისკაციისათვის“ მისულ მაცნეებს იგი არაფერს ერჩის და პატროკლოსს მოუწოდებს, გადასცეს მათ ბრისეისი.

I. 337-338.

მიდი, პატროკლე, ღვთიურო, გამოიყვანე ქალი
და მაგ ორს მიეცი ნასაყვანად...

აქილევსი აქვე აღნიშნავს, რომ ამისათვის აგამემნონი და აქაველები პასუხს აგებენ.

მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი, რომ აქილევსისთვის აღმაშფოთებელი იყო არა ბრისეისის დაკარგვა, არამედ მისთვის განძის წართმევის ფაქტი; თუმცა, ჩვენი აზრით, ამ ვარაუდს აბათილებს “ილიადის” შესაბამისი პასაჟების ანალიზი. საინტერესოა, რომ

ბრისეისის თემა თან გასდევს აქილევსის რისხვის “განვითარების” თითქმის ყველა უმთავრეს ეტაპს. აქილევსის და თეტიისის შეხვედრის დროს გმირი საგანგებოდ გამოყოფს ბრისეისის მოტივს, რომელიც მისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია:

I. 391-392.

წელან კარავში მოვიდნენ მაცნეები და წაიყვანეს
ბრისეს ასული, რომელიც აქაველთა ძეებმა მომცეს.

მეორე სიმღერაში სრულიად აშკარად არის ნათქვამი, რომ ბრძოლისგან განმდგარი აქილევსი მრისხანებს ბრისეისის გამო:

II. 688-689.

იქ კი, ნავებთან, დარჩა ღვთიური სწრაფფეხა აქილევსი,
განრისხებული ლამაზკულულა ბრისეისის გამო.

მაშინ, როდესაც აგამემნონი საბოლოოდ აღიარებს თავის დანაშაულს და გადანყვეტს აქილევსის შემორიგებას, იგი ხაზგასმით აღნიშნავს:

IX. 131-134.

ყველაფერს მივცემ, მათ შორის, ვინც წართმეულია –
ქალს, ბრისეისს. მერე კი წმინდა ფიცს ვდებ,
არ შევხებვიარ მის სარეცელს, არც სასიყვარულო ურთი-
ერთობა მქონია,
როგორც ადამიანების ჩვეულებაა, კაცთა და ქალთა.

საყურადღებოა, რომ აგამემნონი იგივეს იმეორებს, როდესაც აქილევსს ბრისეისსა და სხვა დანაპირებს გადასცემს (XIX, 261-263).

და ბოლოს, XXIV სიმღერაში, სადაც სრულდება აქილევსის მონანილეობა პოემაში, არის ამგვარი პასაჟი:

XXIV. 675-676.

ხოლო აქილევსმა დაიძინა კარგად გამართულ კარავში,
ლამაზლანვება ბრისეისი კი გვერდით მიუწვა.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს პასაჟი იმდენად უადგილოდაა ჩართული პრიამოსის და აქილევსის ცნობილი სცენის შემდეგ, რომ, ალბათ, შედარებით გვიანდელი ხანის ჩამატებას წარმოადგენს. მაგრამ “ილიადის” ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი პოემის სტრუქტურის ორგანული ნაწილია (77, 38მმდ.).

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში ბრისეისის ფუნქცია საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ რამდენადაც მას არ აქვს დრამატული პარტია, შეუძლებელია თავად ბრისეისის ინდივიდუალიზაციის პრინციპზე საუბარი. თუმცა, ჰომეროსს არ რჩება ეს ასპექტი და “ილიადის” კომპოზიციაში ნახულობს ადგილს, სადაც ახდენს ბრისეისის მოკლე, მაგრამ საკმაოდ ტევად ექსპონირებას დრამატული პარტიის მეშვეობით. ეს პარტია მოიცავს XIX სიმღერის 287-300 სტრიქონებს, სადაც ბრისეისი წარმოდგენილია პატროკლეს დატირების სცენაში. მის სიტყვებს წინ უძღვის ბრისეისის სილამაზის ძალზე მოკლე და საინტერესო აღწერა, რაც გარკვეულად ამართლებს აქილევსის მისდამი ლტოლვას. ავტორი მას თავად აფროდიტეს ადარებს:

XIX. 282-285.

მერე კი ბრისეისი, ოქროვანი აფროდიტეს დარი,
როცა იხილა პატროკლე, ბასრი იარალით აჩეხილი,
მასზე დამხობილი, ხმამალლა მოსთქვამდა, ხელით იკანრავდა
მკერდს, ნაზ ყელს და მშვენიერ სახეს.

ამ შედარებას ჰომეროსი არცთუ ხშირად გამოიყენებს – მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სურს მოკვდავი ქალის უმაღლესი მშვენიერება აღნიშნოს.

რაც შეეხება ბრისეისის სიტყვას, ის მრავალმხრივ იპყრობს ყურადღებას. ჯერ ერთი, აქ გადმოცემულია, თუ როგორ დააქციეს აქაველებმა, კერძოდ კი აქილევსმა, მისი ქალაქი და ოჯახი:

XIX. 293-295.

[მყავდა] სამი ძმა, საყვარელი, ერთმა დედამ გვშვა,
იმ დამლუპველმა დღემ ყველა შეინირა.

არცერთი აღარ დამრჩა, როცა სწრაფმა აქილევსმა ჩემი
მეუღლე

მოკლა, ღვთაებრივი ქალაქი მინეტორი კი დაანგრია.

მაგრამ, ამასთანავე, აქ სრულიად ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ბრიესისის ოცნება აქილევსის ცოლად გახდომაა. ამის ყველაზე მნიშვნელოვან გარანტიად კი ქალს სწორედ პატროკლე მიაჩნდა:

XIX. 297-300.

მაგრამ შენ მარნმუნებდი, ღვთიური აქილევსის
კანონიერი ცოლი გინდოდა გავემხდარიყავი, ნავებით ნაგეყვანე,
ფთიაში ქორნილი გაგემართა მირმიდონელებთან ერთად.
გაცხარებით დაგტირი დალუპულს, სამუდამოდ უიმედო.

ამგვარად, ჰომეროსმა ლიტერატურის ისტორიაში პირველად წარმოგვიდგინა უმშვენიერესი ქალის სახე, რომელსაც შეუძლია შეიყვაროს მისი საოცარ უბედურებაში ჩამგდები ადამიანი და იოცნებოს ამ კაცის ცოლობაზე. ვფიქრობთ, ეს საკმაოდ არაორდინალური სახე სწორედ ამ შტრიხით არის ინდივიდუალური.

რასაკვირველია, ჩვენს მიერ განხილული სახეებით არ ამოინურება ის ტროელი პერსონაჟები, რომლებიც “ილიადიდან” გვამახსოვრდებიან, მაგრამ, განხილული მაგალითებიც ნათელს ხდის, რომ ჰომეროსს შეუძლია გმირთა ინდივიდუალიზაცია მათთან დაკავშირებული პარტიების მოცულობისა და ინფორმაციის ყველა დონეზე.

მართალია, მკაფიოდ ჩამოყალიბებული ინდივიდუალიზებული სახეები მასთან ტროელთა შორის მხოლოდ რამდენიმეა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ “ილიადაში”, მათ შორის ჩვენს მიერ განხილულ გმირებშიც, საკმაოდ თვალსაჩინოა გმირის რაღაც ერთი ან რამდენიმე შტრიხით ინდივიდუალიზების, ან მისი გარკვეული მოვლენის სიმბოლოდ ქცევის ტენდენციები.

სწორედ ამით არის გამოწვეული ის, რომ ჩვენს მიერ განხილულმა ყველა ფიგურამ და ჰომეროსის კიდევ მრავალმა ტროელ-

მა პერსონაჟმა წარმატებით გააგრძელა არსებობა ჯერ ანტიკურ, შემდეგ კი მსოფლიო მხატვრულ კულტურაში.

თუკი მოვინდომებთ ჰომეროსის ინდივიდუალიზაციის პრინციპების მისადაგებას თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში ჩამოყალიბებული ხასიათის თეორიებთან, ვნახავთ, რომ ჰომეროსის შემოფარგვლა ვერც ერთი თეორიის ჩარჩოებით ვერ მოხერხდება. მისი პერსონაჟები, სულ ერთია, არიან ისინი განთქმული გმირები, ჩვეულებრივი ადამიანები თუ სუსტი ქალები, ვერ მოექცევიან რომელიღაც ერთი ტიპის გმირის საზღვრებში. შესაბამისად, საკმაოდ ძნელია თითოეული ამ პერსონაჟის იმ ხარისხით გამორჩეულობის საიდუმლოს ამოხსნა, რომლითაც მათ მოიპოვეს უკვდავება. ჩვენ ვნახეთ, რომ თითოეული ცნობილი პერსონაჟი ჰომეროსთან ხშირად მრავალრიცხოვანი ეპითეტით არის წარმოდგენილი. ვერ ვიტყვით, რომ ეს ეპითეტები არ ასრულებენ თავიანთ როლს გმირის ინდივიდუალიზაციაში, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ ტრადიციული პოეზიისთვის ჩვეული დახასიათების ხერხების გამოყენებით.

იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს მთავარ ტროელ გმირებთან დაკავშირებული ეპითეტების გამოყენების როლი და თავისებურება ჰომეროსის ეპოსში, წარმოვადგენთ თითოეული ამ გმირის ეპითეტების ერთიან ნუსხას. იმ ეპითეტებს, რომლებიჩ მთელ ჰომეროსის ეპოსში მხოლოდ რომელიმე კონკრეტული გმირის მიმართ გამოიყენება, ვარსკვლავით აღვნიშნავთ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტი ეპითეტი ჰექტორის მიმართაა გამოყენებული. აქედან მხოლოდ სამი შეიძლება მივიჩნიოთ ჰექტორის „ინდივიდუალურ“ ეპითეტად, ანუ ისინი სხვა გმირებთან დაკავშირებით არ არიან გამოყენებული. თუმცა ადვილი შესამჩნევია, რომ არც ერთი მათგანი არ შეიცავს გმირის ინდივიდუალობის განმსაზღვრელ სემანტიკას. პრიამოსის 13 ეპითეტიდან ვერც ერთს ვერ ჩავთვლით მხოლოდ მის კუთვნილ ეპითეტად, რადგან ისინი სხვა გმირებთან მიმართებაშიც გვხვდება. ენეასის 11 ეპითეტიდან მხოლოდ სამი შეიძლება მივაკუთვნოთ ე.წ. ინდივიდუალურ ეპითეტთა კატეგორიას. მათგან ორის თვითმყოფადობა განისაზღვრება მხოლოდ მამის სახელით, ხოლო მესამე შეიცავს ორ ტრადიციულ კომპონენტს და მის ინდივიდუალობას მხოლოდ მათი გაერთიანება განაპირობებს. პარისის შემთხვევაში მის მიმართ გამოყენებული 5 ეპითეტიდან ერთი, ნეგატიური მნიშვნელობის შემცველი Δύσραρι აშკარად შეიძლება ჩავთვალოთ ინდივიდუალურ ეპითეტად, ხოლო მეორე მის, როგორც ელენეს ამჟამინდელი ქმრის სტატუსზე მიუთითებს. სარპედონის 9 ეპითეტიდან მხოლოდ სამია ინდივიდუალური. მათგან ორი აფიქსირებს იმას, რომ ის ლიკიელთა წინამძღოლია, ხოლო მესამე ეპითეტი ტრადიციული ელემენტებისგან შედგენილ ფორმულებს წარმოადგენს. პულიდამასის 7 ეპითეტიდან ხუთი შეიძლება ჩავთვალოთ ინდივიდუალურად, რომელთაგან ოთხის თვითმყოფადობას მამის სახელი განსაზღვრავს. მხოლოდ ერთი შეიძლება მივიჩნიოთ მისი, როგორც წინასწარმეტყველის როლის განმსაზღვრელად პოემაში. გლავკოსის ორი ეპითეტიდან ერთია ინდივიდუალური და ისიც მამის სახელის გამოყენების გამო. რაც შეეხება ლიკაონს, მას არ აქვს ინდივიდუალური ეპითეტი.

საკმაოდ მწირია პოემაში წარმოდგენილი ტროელი ქალების ეპითეტები. ჰეკაბეს საერთოდ არ აქვს ეპითეტი. ანდრომაქესთან გამოყენებული ორი ეპითეტიდან ერთი შეიძლება მივიჩნიოთ ინდივიდუალურად მამის სახელის გამოყენების გამო, ხოლო ბრისეისის

ორი ეპითეტიდან არც ერთი არ არის მისი ინდივიდუალური მახასიათებელი.

ამდენად, ილიადაში" ყველაზე უფრო აქტიურად მოქმედი ტროელი გამირებიდან, რომელთა ინდივიდუალობა მკითხველისთვის აშკარად დასამახსოვრებელია, ეპითეტების დონეზე ვერც ერთი მახასიათებელი ვერ ჩაითვლება გამირის ინდივიდუალური ხასიათის გამოკვეთისათვის აუცილებელ მეტნაკლებად მნიშვნელოვან ელემენტად. და მაინც, შეიძლება აღინიშნოს, რომ პოეტისთვის არ არის მეორეხარისხოვანი ამ ეპითეტების გამოყენებაში ერთგვარი რეგულაციის კანონზომიერებების შემუშავება. საკმარისია დავუკვირდეთ ნუსხას, რომ შევნიშნავთ ერთ თავისებურებას – ჩვენს მიერ განხილული 11 მთავარი პერსონაჟის ეპითეტების საერთო რაოდენობა არის 83. აქედან ერთი და იგივე ეპითეტი ამ პერსონაჟების ფარგლებში მხოლოდ 4 შემთხვევაში მეორდება: ἄναξ(პრიამოსის, სარპედონის და პულიდამასის ეპითეტი), δῖος(ეკუთვნის ჰექტორს და სარპედონს), θεοειδής(გვხვდება პრიამოსთან და პარისტან). μῆγας(ჰექტორის და პრიამოსის საერთო ეპითეტი). ეს შეიძლება მიუთითებდეს პოეტის სურვილზე – მთავარ ტროელ გამირებს ეპითეტების დონეზეც შეუნარჩუნოს ინდივიდუალობა, ოღონდ არა იმდენად ეპითეტის სემანტიკით, რამდენადაც მათი გამოყენების სიხშირით ამა თუ იმ გამირის მიმართ და სურვილით – ერთი გამირი მეორისგან განსხვავებული იყოს ეპითეტთა ერთობლიობით.

სწორედ ამიტომ ჩვენ მივიჩნევთ, რომ გამირთა ინდივიდუალიზაციის ჰომეროსისეული პრინციპის განმსაზღვრელი არის ის მაკოორდინირებელი შტრიხები, რომლებზედაც ზემოთ უკვე ვაშახვილეთ ყურადღება.

ტროას ჰომეროსისეული აღქმა არქეოლოგიურ და გეოგრაფიულ კონტექსტში

თუკი წინა თავებში ძირითადი ყურადღება მივაპყართ იმას, თუ როგორ აღიქვამს ჰომეროსი ტროადელებსა და მათ მოკავშირეებს, ანუ წინა პლანზე წამოვწიეთ თავად პერსონაჟები, ამ თავში გვინდა შევეხოთ ტროას აღქმის სხვა ასპექტს, კერძოდ, თავად ქალაქის იერს, მის არქიტექტურას და შემოგარენს. ეს ორი ასპექტი, ვფიქრობთ, რამდენადმე განსხვავებულია ერთმანეთისგან. პირველ შემთხვევაში ჰომეროსს პოეტური ფანტაზიის გაქანების განუსაზღვრელი შესაძლებლობა ჰქონდა, რამდენადაც თითქმის მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული ტროელთა და მოკავშირეთა საზოგადოების და ინდივიდუალურ პერსონაჟთა წარმოჩენა. მეორე შემთხვევაში კი იგი შეზღუდული იქნებოდა იმ რეალობით, რაც ტროას ადგილმდებარეობასთან, მის თუნდაც ნანგრევების სახით შემორჩენილი ხედის აღქმასთან, შემოგარენთან და ა.შ. იქნებოდა დაკავშირებული. რა თქმა უნდა, ეს იმ შემთხვევაში, თუკი თავად ტროას არ მივიჩნევთ ფანტასტიკურ, მთლიანად პოეტური წარმოსახვით შექმნილ ქალაქად. თუმცა, ვფიქრობ, ამგვარი დაშვება არ უნდა იყოს ქეშმარიტებასთან ახლოს, რადგან ტროაში და ტროას გარშემო ჰომეროსი ისეთ ორიენტირებზე მიგვითითებს, რომელთაც დრო ვერ წარეცხავდა და რომელნიც დღემდე შეუძლია იხილოს ტროადაში მოხვედრილმა ადამიანმა.¹⁶

შლიმანის გათხრების შემდეგ ტროადაში ჩატარებულმა არაერთმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გარკვეული წარმოდგენა შექმნა იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ჰისარლიკის მაღლობზე განლაგებული ქალაქი ბრინჯაოს ხანაში. ამ ქალაქს არქეოლოგთა უმრავლესობა ტროად მიიჩნევს. თუმცა, არიან ისეთებიც, რომელთაც ამგვარ იდენტიფიკაციაში ეჭვი შეაქვთ. მაგრამ არც ისინი არ უარყოფენ იმას, რომ ჰომეროსის ტროა სადღაც ანატოლიის ამ ფარგლებში მოიაზრებოდა.

¹⁶ ბრინჯაოს ხანის ტროას რეკონსტრუქციის ცდა წარმოდგენილია: 41.

ჩვენ შევეცდებით, შევაპირისპიროთ ჰომეროსის მონაცემები გეოგრაფიულ და არქეოლოგიურ მონაცემებთან. რა თქმა უნდა, ამ ტიპის სამუშაო ბევრჯერ ჩატარებულა. თუმცა, ჩვენი ამოცანა მაინც განსხვავებულია. ამჯერად გვაინტერესებს არა იმდენად ის სიზუსტე, რომლითაც ჰომეროსს შეეძლო გადმოეცა მის თვალსაწიერში მოხვედრილი ქალაქის თუ მისი ნანგრევების სურათი, არამედ პოეტური განზოგადების ის ხარისხი, რომლითაც მან ამ ქალაქს, როგორც მარადიულ სიმბოლოს, უკვდავება მიანიჭა და ჩვეულებრივი თუ მეტ-ნაკლებად წარმატებული დასავლეთ-ანატოლიური ქალაქიდან მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ქალაქად აქცია.

შევეცადოთ, ეს საკითხი განვიხილოთ სამი ძირითადი ასპექტის გათვალისწინებით: ტროას ეპითეტები, როგორც მისი თვალსაწიერო მახასიათებლები, თავად ტროას, როგორც ურბანული ცენტრის კვაზიარქიტექტურული აღწერა და ის გეოგრაფიული კონტექსტი, რომელშიც არის მოქცეული ტროა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰომეროსთან პრიამოსის ქალაქი ორი სახელითაა წარმოდგენილი: ტროა და ილიონი. ამას ემატება ამგვარი აღნიშვნა: Ἄστυ Πριάμοιο და Πριάμοιο πόλις. შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის ორივე სახელწოდება ეპითეტთა სიუხვით გამოირჩევა.

მანფრედ კორფმანი მ. ბოურაზე დაყრდნობით ტროა/ილიონის ეპითეტების ამგვარ კლასიფიკაციას გვთავაზობს (171, 72შმდ.):

1) ეპითეტები, რომლებიც ტროა/ილიონის გარდა, სხვა დასახლებული პუნქტების მიმართაც გამოიყენება:

ἰρέη – წმინდა (21x)

εὔρεϊα – ვრცელი (9x)

ἐρατεινή – საყვარელი (1x)

ἐριβῶλαξ – ძალზე ნაყოფიერი (4x)

ἐκτίμενος – კეთილმოწყობილი (3x)

ἐρίβωλος – ძალზე ნაყოფიერი (2x)

2) ეპითეტები, რომლებიც მხოლოდ ილიონის მიმართ გამოიყენება და ძალზე იშვიათად – სხვა ქალაქებისთვის:

εὐραγῦα – ლამაზქუჩიანი (8x)

αἰπεινὴ – მაღალზე აღმართული (7x)

εὖ ναϊόμενος – მჭიდროდ დასახლებული (6x)

ἦνεμέσση – ქართმოსილი (6x)

εὐτείχεος – მყარკედლიანი (4x)

ἰκίπυλος – მაღალკარიბჭიანი (2x)

3) ეპითეტები, რომლებიც ექსკლუზიურად ტროა/ილიონს ეკუთვნის:

εὐπᾶλος – ცხენებით მდიდარი (22x)

ἄστυ μέγα – დიდი ქალაქი (8x)

ἔνδητος – კარგად, მყარად ნაშენი (8x)

εὐπυργος – მაღალკოშკიანი, ლამაზკოშკიანი (1x)

ὀφραῖσση – ბორცვიანი (1x)

ტროა ხშირად იწოდება პრიამოსის ქალაქად. Πριάμοιο πόλις „ილიადაში“ ექვსჯერ გვხვდება (II. 373; IV. 18, 290; XII. 11, 15; XIII. 14), ხოლო Πριάμοιο πόλιν – სამჯერ (I. 19; XVIII. 288. XXII. 165). მათი პოზიცია სტრიქონში არ არის განსაზღვრული.

„ილიადაში“ ცხრაჯერ მოიხსენიება ტროა, როგორც ἄστυ Πριάμοιο. Ἄστυ μέγα Πριάμοιο პოემაში შვიდჯერ გვხვდება (II. 332; VII. 296; IX. 135, 278; XVI. 448; XVII. 160. XXI. 309). ამ ფორმულას სტრიქონში მუდამ შუა პოზიცია უჭირავს. ასევე გვხვდება ფრაზა ἄστυ πέρι Πριάμοιο (XXII. 173, 230) ის ყოველთვის სტრიქონის დასაწყისში დგას.

ტროა/ილიონი იხსენიება ასევე ფორმულით Τρᾶσσι πόλιν (IV. 4; VIII. 52; IX. 412; XI. 82; XIV. 251; XX. 60).

ზემოთდასახელებულ ეპითეტთა ერთი ნაწილი ხშირად განსაზღვრავს πόλις-საც. იგულისხმება, რომ ამ დროს πόλις ტროა/ილიონს ნიშნავს. ეს ეპითეტებია: εὐραγῦα, εὐκτίμενος, εὖ ναϊόμενος. Εὐραγῦα + πόλις გვხვდება შვიდჯერ (II. 12, 29, 66, 329; XIV.

88; XVI. 708. XXI. 584). Ἐκτίμενος πτολίεθρον გვხვდება ხუთჯერ (II. 501, 505, 546, 569; IV. 33; VIII. 288). Ἐνναίμενος + πόλις ასევე ხუთჯერაა ნახსენები პოემაში (III. 400; IV. 815; V. 489, 688; IX. 149).

მეცნიერებაში შენიშნულია, რომ ილიონთან დაკავშირებული ზოგიერთი სტრიქონი შეიძლება გვაჩვენებდეს იმგვარ სტრუქტურას, რომელიც თავისი წარმოშობით მიკენური ეპოქის პერიოდად აღის და შეიძლება მივიჩნიოთ სწორედ იმ დროის ეპიკურ ტრადიციაში დამკვიდრებულ ფორმულებად. ამგვარი დასკვნის საფუძველს ვესტს ის აძლევს, რომ სტრიქონის დასაწყისში ილიონი ნათესაობითში – Ἰλίον – გვაჩვენებს ამგვარ მეტრულ სტრუქტურას: – – –, რაც თავისთავად არღვევს დაქტილური ჰექსამეტრის პრინციპს. (მიმოხილვის შდრ. 192, 288მდ; 225; 301.). მაგრამ თუკი დავუშვებთ, რომ ამ შემთხვევაში ჰომეროსი არეკლავს ამ სახელის მიკენური ნათესაობითის ფორმას, მაშინ შეიძლება შემდეგი ვარაუდის გამოთქმა: ამ ადგილას უძველეს ეპიკურ ტრადიციაში უნდა ყოფილიყო Ἰλίον ფორმა. ამ შემთხვევაში სტრიქონი გაიმართებოდა. ამგვარი მაგალითები, როგორც ფიქრობენ, სხვაც შეიძლება დაიძებნოს. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად არ არის არსებითი ამ მიმართულებით ყურადღების გამახვილება. ჩვენ უფრო გვიანტერესებს, როგორ გამოიყურება ილიონი/ტროა ეპითეტების კონტექსტში.

თუკი ტროას ეპითეტებს დავაკვირდებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა მახასიათებელი პოზიტიურია, არც ერთი არ მიგვანიშნებს არც მტრულ ქალაქზე და არც მის ტრაგიკულ ბედზე. ეპითეტები ტროას სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენენ:

1. ეპითეტები ἱρός და ἑσκληίης – წარმოგვიდგენენ ილიონს, როგორც წმინდა და დიდებულ ქალაქს. ეპითეტი „წმინდა“ სხვა ქალაქების მიმართაც გამოიყენება, მაგრამ ის ილიონსა და ტროასთან დაკავშირებით ეპოსში ოცდაორჯერ გვხვდება, რაც აშკარა ხაზგასმავა იმისა, რომ ტროა/ილიონი, ავტორის აზრით, ყველაზე მეტად იმსახურებს ამ ეპითეტს. ἱρός + Ἰλίον/ς ფორმულას მრავ-

ვალჯერ გამოყენებით მკითხველის მეხსიერებაში ილიონი/ტროა, პირველ რიგში, რჩება, როგორც წმინდა ქალაქი.

2. ეპითეტები ἡσμέρις, αἰπεινός, ἰσχυρὸς და εὐρείη ტროა/ილიონის მდებარეობას აღნიშნავენ და მიგვითითებენ, რომ ბორცვზე, მაღლობზე აღმართული ქალაქი დიდ ტერიტორიას იკავებდა და განსაკუთრებული ქარიანობით გამოირჩეოდა. (მიმოხილვისათვის შდრ. 248, 85შმდ.). ყველა ეს ეპითეტი, ფაქტობრივად, ავსებს ერთმანეთს და მათი აბსოლუტურად ზუსტი მიმართება ტროა/ილიონთან ეჭვს არ იწვევს. საგანგებო ყურადღების ღირსია ეპითეტი ἡσμέρις, რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება და აშკარა მინიშნებაა იმაზე, რომ ქარს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალაქისათვის, რაზეც ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება საუბარი.

3. ეპითეტები εὐτείχεος, εὖ ναίμενος, εὐκτίμενος, εὐραγῦια, εὐπαργος და ἰπίπυλος ტროა/ილიონის კეთილმონყობაზე მიგვანიშნებენ. საინტერესოა, რომ სწორედ ქალაქის არქიტექტონიკას უკავშირდება ეპითეტთა დიდი ნაწილი. მათი მიხედვით, ტროა/ილიონს გარს ერტყა მყარი გალავანი, რომელიც საიმედოდ იცავდა ქალაქს; გალავანში ჩაშენებული იყო კოშკი/კოშკები. ტროა/ილიონს ჰქონდა უზარმაზარი კარიბჭე, მისი ქუჩები მჭიდროდ იყო დასახლებული და, როგორც ჩანს, არც კეთილმონყობა აკლდა იმდროინდელი საზომებით. ამ ეპითეტების კონტექსტში ტროა წარმოგვიდგება, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული ქალაქი არქიტექტურული თვალსაზრისით მაშინდელ მსოფლიოში.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ტროა/ილიონის მიმართ გამოყენებული არც ერთი ეპითეტი, მიუხედავად იმისა, „ილიონადაში“ გვხვდება, სადაც უშუალოდ ტროას ომის მიმდინარეობაა გადმოცემული, თუ „ოდისეაში“, რომელიც უკვე ტროას დანგრევის შემდგომ მოვლენებს გადმოგვცემს, არსად არ აღჭურავს ტროას ნეგატიური ფუნქციით, არც აქაველთა, არც ღმერთთა მხრიდან. პირიქით, ჰომეროსმა ეპითეტების დონეზე ტროას როგორც წმინდა, მშვენიერ და მდიდარ ქალაქს, „სტაბილური სტატუსი“ შეუნარ-

ჩუნა. ამასთან ერთად, იგი არაერთგზის მიგვანიშნებს „ილიადაში“ იმაზე, რომ ტროა დაინგრევა, ხოლო „ოდისეაში“ – როგორ მოხდა ტროას დანგრევა.

ამ მხრივ, ყველაზე საყურადღებოა ჰექტორის სახე, რომლის ინტენსიფიკაციაც პოემაში უკვე VI სიმღერიდან იწყება. როგორც რ. გორდეზიანი აღნიშნავს (77, 35.), „ჰექტორი ხდება ტროას დაუმორჩილებლობის სიმბოლო და, შეიძლება ითქვას, აქაველთა ბრძოლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, რადგან „ილიადის“ მკითხველისა თუ მსმენელისთვის ჰექტორის დალუპვა ტროას დაცემასთან იგიველება.“

კულმანის მიერ სისტემატიზებულმა და ქრონოლოგიურად დალაგებულმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ „ილიადაში“ არსებობს ენ. Anteihiaca, ანუ ის, რაც პოემაში აღწერილ ამბებამდე მოხდა. რაც შეეხება Postiliaca-ს, ანუ იმას, რაც „ილიადაში“ გადმოცემული მოქმედებების შემდეგ უნდა მომხდარიყო, მის შესახებ ცნობები საკმაოდ მწირია. „ილიადაში“ Postiliaca-ს შესახებ გვაქვს მხოლოდ რამდენიმე ინფორმაცია: აქილევსს სკეის კარიბჭესთან პარისი განგმირავს აპოლონის დახმარებით (XXII. 356-360); ტროას აქაველები ათენას რჩევით აიღებენ (XV. 70-71); აქაველებს გაახსენდებათ ლემნოსზე დატოვებული ფილოქტეტესი (II. 721-725); ენეასის შთამომავლები იმეფებენ ტროადაში (XX. 307), პრიამოსი და მისი მოდგმა კი არ გადარჩება (XX. 306); ანდრომაქეს სიტყვებიდან ვიგებთ, რა ელის ასტიანაქსს (VI. 408, 454, XXIV. 725); ხოლო ტროას მომავალი დაცემის შესახებ არაერთხელაა მითითებული „ილიადაში“ (188.).

„ოდისეაში“ კი მოთხრობილია იავარქმნილი ტროადან წამოსული აქაველი გმირების დაბრუნებების შესახებ. შემთხვევითი არ არის, რომ პოემაში ხშირად გამოიყენება *ἄστρος* – დაბრუნება და მისგან ნაწარმოები ტერმინები.

რით უნდა აეხსნათ ესოდენ თვალშისაცემი განსხვავება ტროა/ილიონთან დაკავშირებული ეპითეტების ცალსახად პოზიტიურ შინაარსსა და ჰომეროსის ინფორმაციას შორის, რომელიც აქაველთა

მიერ ტროას უმონყალოდ დანგრევას შეეხება? ჩვენი აზრით, ეს გარემოება შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას: ეპითეტების დონეზე ჰომეროსი მისდევს ტრადიციას, რომელიც წარმოგვიდგენს ტროას – ძლევამოსილ და დიდებულ ქალაქს. როგორც ჩანს, ეს ტრადიცია იმდენად მყარი იყო, რომ ეპიკურმა პოეზიამ არ ჩათვალა საჭიროდ, შეემუშავებინა ტროას ღირსების შემლახველი ეპითეტები ან დამაკნინებელი მახასიათებლები. რაც შეეხება თავად ტროას ომს, იმ მასშტაბებით, ხანგრძლივობითა და შედეგებით, როგორც ამას ჰომეროსი გადმოგვცემს, აქ, უნდა ვიფიქროთ, გაცილებით უფრო დიდია პოეტური ფანტაზიის ხვედრითი წილი. ამ საკითხზე მომდევნო თავში უფრო დანვრილებით გვექნება მსჯელობა.

როგორც ვნახეთ, ეპითეტების დონეზე ტროა წარმოგვიდგება დიდ, ლამაზ და ერთობ კეთილმონყობილ ანატოლიურ ქალაქად. მაგრამ ჰომეროსი არ კმაყოფილდება ამ ქალაქის აღნაგობაზე მხოლოდ ეპითეტების საშუალებით ინფორმაციის მონოდებით. მართალია, მას „ილიადის“ სიუჟეტი არ აძლევს შესაძლებლობას, ხშირად გადაიტანოს აუდიტორიის მზერა თავად ქალაქის ხედებსა და ქალაქურ ცხოვრებაზე, მაგრამ პოემაში მაინც შეიძლება საინტერესო ინფორმაციის მოძიება ქალაქის არქიტექტურული იერის შესახებ. ვფიქრობთ, გარკვეული თვალსაზრისით, ამ მხრივ შეიძლება პარადიგმატული იყოს აქილევსის ფარზე გამოსხატული მშვიდობიანი ქალაქის ცხოვრებაც. ეს ქალაქი, ერთი მხრივ, წარმოადგენს ზოგადად ბედნიერი, მშვიდობიანი ქალაქის განზოგადებულ ხატს, მეორეს მხრივ კი, შესაძლოა, გარკვეული სახით მიგვანიშნებდეს იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ტროა მშვიდობიანობის პერიოდში.(იხ. 229, 352შმდ.).

როდესაც ტროას ჰომეროსისეულ აღქმაზე ვმსჯელობთ, საინტერესოა იმის გარკვევა, გვთავაზობს თუ არა ჰომეროსი, ზოგადი მინიშნებების გარდა, ტროასა და მის შემოგარენში რაღაც გარკვეულ არქიტექტურულ ორიენტირებს. ამ მხრივ იგი მაინცდამაინც არ გვანებივრებს ინფორმაციის სიუხვით.(205, 81შმდ.). თავად ქალაქში აქცენტირებულია სამი სასახლე: პრიამოსის, პარისის და

ჰექტორის. როგორც ჩანს, ყველაზე უფრო დიდი მეფის სასახლე უნდა ყოფილიყო, რადგან იგი შედგებოდა მრავალრიცხოვანი $\theta\acute{\mu}\lambda\alpha\mu\omicron\varsigma$ -ისაგან. ჰომეროსი აღწერა მას და ერთგვარ კომპლექსად წარმოგვიდგენს:

VI. 242-250

ხოლო [ჰექტორი] პრიამოსის ულამაზეს სასახლესთან მივიდა, თლილი ქვებით ნაშენი ტერასებით. ამას გარდა, ორმოცდაათი თლილი ქვის ოთახი იყო, გვერდიგვერდ მიწყობილი. იქ პრიამოსის შვილები იძინებდნენ კანონიერ ცოლებთან ერთად. ქალიშვილებისთვის კი მოპირდაპირედ, ეზოში, ზემო სართულზე, თლილი ქვის თორმეტი ოთახი იყო გვერდიგვერდ მიწყობილი. იქ პრიამოსის სიძეებს ეძინათ პატივცემულ ცოლებთან ერთად.

ამ პასაჟში პრიამოსის სასახლე აღინიშნება ტერმინით $\theta\acute{\mu}\mu\omicron\varsigma$, რაც მთლიანად ნაგებობას უნდა ნიშნავდეს; შემდეგ ჰომეროსი ამ ნაგებობაში ცალკე გამოყოფს 50 $\theta\acute{\mu}\lambda\alpha\mu\omicron\varsigma$ -ს ანუ ბინას, ოთახს ვაჟებისათვის, ხოლო მათ მოპირდაპირედ კიდევ 12 ოთახს ქალებისათვის. ყოველივე ამის გათვალისწინებით, პრიამოსის სასახლე გრანდიოზული ნაგებობა იყო. რა თქმა უნდა, სავარაუდოა, რომ სასახლე მხოლოდ შვილებისთვის განკუთვნილი ოთახებით არ შემოიფარგლებოდა, მასში იქნებოდა თავად მეფისა და მისი მეუღლის, აგრეთვე, სხვადასხვა ცერემონიებისთვის განკუთვნილი ოთახებიც. ამ შემთხვევაში პრიამოსის სასახლე ჰომეროსის წარმოსახვაში მართლაც საოცრად მასშტაბური ნაგებობა უნდა ყოფილიყო.

გარდა ამისა, ჰომეროსი საგანგებოდ გამოყოფს პარისის სასახლეს, რომელიც აშკარად გამოირჩევა თავისი სინატიფით. ფაქტობრივად, ეს ერთ-ერთი უნიკალური შემთხვევაა, როდესაც პოეტი გადმოგვცემს სასახლის აგების დეტალებსაც:

VI.313-317

ჰექტორი ალექსანდროსის ლამაზ სახლთან მივიდა,
რაც მას აუგეს კაცებმა, რომლებიც საუკეთესო
მშენებლები იყვნენ ბორცვიან ტროაში.
რომლებმაც შექმნეს მოსასვენებელიც, სახლიც და ეზოც
პრიაშოსის და ჰექტორის სახლთან ახლოს, ქალაქის
აკროპოლისში.

მესამეა ჰექტორის სასახლე, რომელიც არ არის დახასიათებული არც სიდიდის, არც მშვენიერების პარამეტრით. უბრალოდ, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აქ ცხოვრობდა ჰექტორი ოჯახთან და მომსახურე პერსონალთან ერთად:

VI. 374-376

ჰექტორს კი დახვდა სახლში უზადო მეუღლე,
ზღურბლთან იყო მისული, მოსამსახურე ქალთა შორის
ამბობდა...

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ნაგებობები ჰომეროსის წარმოსახვაში ქმნის სამეფო რეზიდენციას.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ტროა VI-სა და ტროა VII-ს გათხრების შემდეგ ნამდვილად აღმოჩნდა ტროაში ნაგებობები, რომელთაც სასახლეები შეიძლება ვუნოდოთ, აშკარაა, რომ ამ ქალაქში მართლაც უნდა ყოფილიყო მმართველის, ან წარჩინებულ პირთა რეზიდენციები. თუმცა, ვფიქრობთ, არქეოლოგიურად არ დასტურდება იმ მასშტაბის კომპლექსის არსებობა, რომელზეც „ილიადა“ მიგვანიშნებს. შესაბამისად, თავად სასახლის ტიპის ნაგებობები ტროაში რეალურად იყო, მაგრამ, რასაკვირველია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ სწორედ ამ სასახლეების ნანგრევები უნდა ყოფილიყო ჰომეროსის აღწერილობისათვის ერთგვარი პროტოტიპი. ასეთი სასახლეები ხომ ნებისმიერი დიდი ანატოლიური ქალაქის აუცილებელი არქიტექტურული ელემენტი იქნებოდა; ვფიქრობთ, რომ პრიაშოსისა და მისი ვაყების საცხოვრებელი კომპლექსის აღწერისას ჰომეროსი თუ ბერძნული ტრადიცია ისევ

და ისევ პოეტური წარმოსახვის შედეგს გვთავაზობს და აქ ძნელია რალაც რეალური ნაგებობის აღწერის შემთხვევა დავინახოთ.

ქალაქში არსებულ მნიშვნელოვან ნაგებობათაგან პოემაში მოხსენიებულია სამი ტაძარი. მათ შორის აშკარად გამოირჩევა ათენას ტაძარი, სადაც მიდის ჰეკაბე ტროელი ქალების თანხლებით, რათა გამარჯვება შესთხოვოს ღმერთს:

VI. 297-298

ისინი (ქალები) მიუახლოვდნენ ათენას ტაძარს აკროპოლისში, მათ კარი გაუღო ლამაზლანვება თეანომ.

ძნელი სათქმელია, ამ შემთხვევაში ეს ტაძარი ჰომეროსის წარმოსახვის, ბერძნული ეპიკური ტრადიციის ნაყოფია, თუ რეალურად არსებული ტაძრის ანარეკლი.¹⁷

ფიქრობენ, რომ „ილიადის“ XVI. 514 შმდ. ეპიზოდში გვაქვს მინიშნება აპოლონის ტაძარზეც, რადგან, აპოლონისადმი ლოცვის აღვლენა სადღაც მისი ტაძრის ახლოს უნდა მომხდარიყო (205, 81 შმდ.):

XVI. 513-515

[გლავკოსმა] მავედრებელმა ასე უთხრა შორსმსროლელ
აპოლონს:

„ისმინე, უფალო, რომელიც ფართო ლიკიის მხარეს ხარ,
თუ ტროაში...“

შესაძლოა, ზევსის ტაძარი იგულისხმებოდეს „ილიადის“ XXIV. 305 შმდ. ეპიზოდში, სადაც პრიამოსი საგანგებო რიტუალს ატარებს და ევედრება ღმერთს (იხ.იქვე):

XXIV. 308-309

მამაო ზევსო, იდადან მფარველო, სახელოვანო და უდიდესო,
შვილის მკვლელ აქილევსთან მიმიყვანე.

¹⁷ ძნელი სათქმელია, ელინისტური ეპოქის ათენას ტაძარი ილიონში აგრძელებს თუ არა უფრო ათენას ამ ქალაქში თავყვანისცემის ტრადიციებს. იხ. 221.

მართალია, „ილიადაში“ არაფერია ნათქვამი ტროას მკვიდრი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების შესახებ, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ქალაქი კარგად დასახლებულია, გულისხმობს, რომ ასეთი სახლები მრავლად უნდა ყოფილიყო.

ტროას არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობებად, რომელთაც ჰომეროსი წარმოგვიდგენს, შეიძლება მივიჩნიოთ მისი კარიბჭეები. უპირველეს ყოვლისა, სკეის კარიბჭე, რომელიც, ჰომეროსის მიხედვით, საკმაოდ დიდი და მყარია და მიმართულია ბრძოლის ველისკენ:

III.145.

[ელენე] მალე მივიდა, სადაც სკეის კარიბჭე იყო.

VI. 392-393

[ჰექტორმა] როცა ქალაქი გაიარა და მიაღწია კარიბჭეს სკეის, აპირებდა ვაკეზე გასვლას.

დიდი ხნის განმავლობაში „ილიადის“ ინფორმაციის არქეოლოგიურ მონაცემებთან შეპირისპირებისას ამ კარიბჭეს ეძებდნენ აკროპოლისში, რომელიც უკანასკნელ ექსპედიციამდე ტროას გალავნად ითვლებოდა. ამჟამად აშკარაა, რომ თუკი არსებობდა დიდი ქალაქის გალავანი, მას უთუოდ ექნებოდა კარიბჭე, ისევე, როგორც უნდა ჰქონოდა ნებისმიერი ქალაქის გალავანს. მაგრამ ჰომეროსისთვის ამ კარიბჭეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და, შეიძლება ითქვას, იგი მას გამორჩეულად წარმოგვიდგენდა. მისი საიმედოდ დაკეტვა, არსებითად, მტრისთვის ტროას შეუვალობას მოასწავებდა. როდესაც XXI სიმღერის ბოლოს პრიამოსი ხედავს, რომ აქილევსი ტროელებსა და მათ მოკავშირეებს უმონყალოდ ჟღერს, ბრძანებას გასცემს – გახსნან კარიბჭე, შემოუშვან ქალაქში ტროელთა ლაშქარი და შემდეგ ისევ საიმედოდ დაკეტონ იგი:

XXI. 531-535

გახსნილი გეჭიროთ ხელთ ჭიშკარი, სანამ ხალხი,

გამოქცეული, შემოვა ქალაქში. აქილევსი სწრაფად ახლოვდება.

მაგრამ როგორც კი ამოისუნთქავენ თავშეფარებულები,
დაადეთ მჭიდრო, მყარი საგდული.

ამდენად, ჰომეროსმა ქალაქის კარიბჭე გარკვეულ პოეტურ სიმ-
ბოლოდ აქცია და მას ბევრად მეტი მნიშვნელობა მიანიჭა, ვიდრე
ეს ქალაქის ჩვეულებრივ შესასვლელს უნდა ჰქონოდა.

საკამათოა ის, თუ რა იგულისხმებოდა მეორე, ე.წ. დარდანოსის
კარიბჭეში, რომელიც „ილიადაში“ სულ სამჯერაა მოხსენიებული:

V. 788-789

[ჰერა – აქაველებს] ოდესღაც ტროელები დარდანოსის კა-
რიბჭის წინ ვერ
მიდიოდნენ, რადგან ეშინოდათ უმძიმესი იარაღის.

XXII. 194-195

[ჰექტორმა] რამდენჯერაც მოსინჯა დარდანოსის კარიბჭეში
შევარდნა, კოშკით დამშვენებულში,

XXII. 411-413

ბორცვზე აგებული ილიონი თითქოს ნელ ცეცხლზე იწვოდა
ზემოდან

ხალხი ძლივს აკავებდა გამხეცებულ მოხუცს,
გასვლა უნდოდა დარდანოსის კარიბჭიდან.

ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ ეს იგივე სკეის კარიბჭეა, თუმ-
ცა უკანასკნელ ხანებში მანშპრეგერმა საკმაოდ დამაჯერებლად
გვაჩვენა, რომ ამ შემთხვევაში ჰომეროსი უნდა გულისხმობდეს
ქალაქის მეორე გასასვლელს, რომელიც ბრძოლის ველისკენ არ
იყო ორიენტირებული (203.).

რა თქმა უნდა, ტროას ერთ-ერთი უმთავრესი არქიტექტურული
ნაგებობა არის გალავანი, რომელიც აუღებელია აქაველთა ლაშ-
ქრისათვის. ჰომეროსი ამ გალავნის აგების ამბავს ერთგვარ მი-
თოლოგიურ გარსში ხვევს, რითაც ახდენს იმის მოტივაციას, თუ
რატომ არის იგი შეუვალი. მითის მიხედვით, მისი დიდი ნაწილი
თვით ღმერთებმა – პოსეიდონმა და აპოლონმა ააგეს, რაც მას საკ-
რალურ მნიშვნელობას ანიჭებდა, მის მიერ გამაგრებულ ქალაქს კი

აულებელს ხდიდა (იხ. ზემოთ, ზოგიერთი ახალი დაკვირვებისთვის ჩრდილოეთის კედელთან დაკავშირებით შდრ. 33; 146.).

გალავანი ქალაქის საიმედო მცველი იყო, თუმცა, როგორც ჩანს, უნდა ყოფილიყო ერთი მონაკვეთი, საიდანაც მტერს უფრო ადვილად შეეძლო ქალაქში შემოღწევა. ანდრომაქე ბრძოლის ველზე მიმავალ ჰექტორს ურჩევს:

VI. 433-435

ჯარი ლეღებთან დააყენე, იქ, საიდანაც
უფრო ადვილად შემოაღწევს მტერი კედლიდან.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ჰომეროსმა „ილიადაში“ (და, შესაძლოა, ეს ასე იყო გარკვეულწილად ჰომეროსამდელ ტრადიციაშიც) ერთის მხრივ, რაღაც კონკრეტული მინიშნებებით გალავანთან დაკავშირებით, ხოლო, მეორეს მხრივ, მის მშენებლობაში ირაციონალური მომენტის ჩართვით, შექმნა უნიკალური არქიტექტურული სიმბოლო, რომელიც შემდგომი ეპოქის ყველა „მტკიცე გალავანისთვის“ მხატვრულ კულტურაში თუ რეალურ ისტორიაში ერთგვარ პარადიგმას წარმოადგენდა.

ტროას არქიტექტურულ ნაგებობათაგან საგანგებოდაა აქცენტირებული კოშკები. ჰომეროსი მიგვითითებს კოშკზე, რომელიც გალავანთან ახლოს უნდა მდგარიყო, ან სულაც ჩაშენებული ყოფილიყო კედელში. როდესაც ანდრომაქე გაიგებს აქაველთა იერიშის შესახებ და კოშკთან უნდა მისვლა, გალავნისკენ იღებს გეზს:

VI.386-388

[ანდრომაქე] დიდი ილიონის კოშკში წავიდა, რადგან გაიგო
ტროელთა ტანჯვა აქაველთა უდიდესი ძალისგან.

ამ ეპიზოდთან იმასაც ვიგებთ, რომ ბრძოლის ველი ყველაზე უკეთ კოშკიდან ჩანს. ელენეც, როცა პარისისა და მენელაოსის შერკინების ხილვა სურს, სწორედ მას მიაშურებს (III, 140 შმდ.). ჰომეროსი აღნიშნავს, რომ კოშკში, სადაც ელენე მიდის, ტროელი უხუცესები არიან შეკრებილი. ისინიც ბრძოლას ადევნებენ თვალს. აქ პრიაიმოსსა და ელენეს შორის გაიმართება საუბარი, რომელიც

კიდევ ერთხელ მონიშნავს, რომ ეს ის ადგილია, საიდანაც ყველაზე უკეთ ჩანს ბრძოლის ველი (III, 162 შმდ.).

რამდენადაც ტროას ქვედა, ანუ მთელი ქალაქი დღეს აღარ არსებობს, ამჟამად ძნელია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად ადეკვატური იყო ჰომეროსის აღწერილობა სწორედ ამ ქალაქის არქიტექტურასა და კოშკებზე. (შდრ. 205.).

რაც შეეხება ტროას სიდიდეს და ტივადობას, ამის შესახებ საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია გვაქვს „ილიადაში“. აგამემნონი ჯარის გამოსაცდელად წარმოთქმულ სიტყვაში ხაზს უსვამს, რომ, შესაძლოა, თავად ტროელთა ლაშქარი აქაველთათვის არ ჩაითვალოს მრავალრიცხოვნად, მაგრამ მოკავშირეებთან ერთად მტრის ძალა იმდენად დიდია, რომ, შესაძლოა, მათთან აღარც ჰქონდეს აზრი ბრძოლის გაგრძელებას (II, 110 შმდ.).

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ამას ამბობს თითქმის 100.000-იანი არმიის მთავარსარდალი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჰომეროსისათვის ტროელთა ძალები რაოდენობრივად ბევრად არ ჩამოუვარდებოდნენ აქაველთა ლაშქარს. ე.ი. ჰომეროსის მიხედვით, ტროას მაცხოვრებლებთან ერთად ქალაქის გალავანში მეტ-ნაკლებად თავისუფლად შეიძლებოდა განთავსებულიყო მრავალათასიანი ტროელთა და მოკავშირეთა ჯარი. საყურადღებოა, რომ II სიმღერაში ირისი ჰექტორს პრიამოსის ძის, პოლიტესის სახით გამოეცხადება და ეუბნება:

II. 803-806

დიდი პრიამოსის ქალაქში უამრავი მოკავშირეა,
სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები მრავალი ქვეყნიდან
თითოეულ მათგანს მიუჩინე კაცი სამართავად,
რათა წარუძღვეს ფალანგებად დაწყობილ მებრძოლებს.

ეს კი გულისხმობს, რომ ტროელთა მრავალეთნიკური და მრავალენოვანი ძალები არამარტო ტროას გალავანს აფარებდნენ თავს, არამედ თავად ქალაქშიც შეიძლებოდა მათი რაზმებად მონყოფა. რა თქმა უნდა, აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ აქილევსის

ბრძოლაში ჩართვის შემდეგ, მართალია, მნიშვნელოვნად შეთხე-
ლებული, მაგრამ ტროელთა და მათ მოკავშირეთა ძალები მთლი-
ანად აფარებენ თავს ქალაქს:

XXI. 606-610

ამ დროს შეშინებული ტროელები შევიდნენ ხმაურით
ქალაქში, კმაყოფილნი. პოლისი აივსო დევნილებით.
ვერ ბედავდნენ, გასცდენოდნენ ქალაქს და კედელს,
დახვედროდნენ ერთმანეთს და გაეგოთ, ვინ გადარჩა,
ვინ მოკვდა ბრძოლაში.

თავისთავად, ისმის კითხვა: სად ათევდნენ ღამეს ტროას მო-
კავშირეები? ამაზე, ფაქტობრივად, ერთადერთი მინიშნება გვაქვს:
VIII სიმღერაში აღწერილია, თუ რაოდენ მრავლადაა კოცონი თავად
ტროაში ღია ცის ქვეშ, რომელსაც ირგვლივ ბევრი ხალხი შემოს-
ხდომია:

VIII. 556-559

ნავებისა და ქსანთოსის ნაკადებს შორის ამდენი
ტროელის დანთებული კოცონი ჩანდა, ილიონის ნინ.
ათასი იყო ვაკეზე კოცონი, ხოლო თითოეულ
კოცონთან იყო ორმოცდაათი (მებრძოლი), ცეცხლისგან
სახეალანძული.

შესაბამისად, ჰომეროსის წარმოსახვაში, ქალაქში არის სივრცე,
სადაც შეიძლება, 50.000 მებრძოლი ათევდეს ღამეს. აქ გასათვა-
ლისწინებელია ერთი გარემოება: VIII სიმღერაში ეს მებრძოლები
ომის განახლების ვითარებაში იმყოფებიან. შესაბამისად, საბრძო-
ლო მზადყოფნაში არიან. აქ არ იგულისხმება, რომ ტროელთა მო-
კავშირეები ზამთარ-ზაფხულ, ცხრა წლის მანძილზე, ღამეს ღია
ცის ქვეშ ათევდნენ. თუმცა, შეიძლება, ამ ფაქტში იმის დამამტკი-
ცებელი არგუმენტი დავინახოთ, რომ სინამდვილეში ომი ბევრად
ნაკლებ ხანს გრძელდებოდა, ხოლო მისი დროში განელვდა პოეტური
ფანტაზიის ნაყოფი იყო.

ამდენად, ჰომეროსის მიხედვით, ტროა თავისი დროისათვის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია. მით უფრო, რომ მას, თუკი ეპიკურ ტრადიციას დაეუფერებთ, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შეუძლია შეიფაროს ამდენი ხალხი.

თავისთავად, ამ მონაცემში არ არის არაფერი ისეთი, რაც არ შეიძლებოდა ნებისმიერი დიდი ანატოლიური ქალაქის ფარგლებში მომხდარიყო. რაც შეეხება შლიმანის მიერ გათხრილ ტროას, დიდი ხნის მანძილზე ტროას ომისა და ამ ქალაქის ჰომეროსის „ილიონთან“ გაიგივების მონინაალმდეგეთა თვალსაზრისით, ჰომეროსისა და არქეოლოგიურ მონაცემებს შორის აშკარა წინააღმდეგობა იყო. ჯერ შლიმან-დორპფელდის, შემდეგ, ბლეგენის ექსპედიციების მიერ შესწავლილი ქალაქი სულ 16.000 კვადრატულ მეტრს მოიცავდა და გამორიცხულია, რომ ამ ფართობს ამდენი ხალხი დაეცია. უფრო მეტიც, ამ მოცულობის ქალაქი აშკარად ვერ ჩაითვლებოდა დიდ, მნიშვნელოვან ქალაქად და, საუკეთესო შემთხვევაში, მისთვის საკმაოდ მოკრძალებული, პროვინციული რეზიდენციის სტატუსი შეიძლებოდა მიგვენიჭებინა. მას შემდეგ, რაც უკანასკნელმა ექსპედიციამ ჯერ მანფრედ კორფმანის, შემდგომ ერნსტ პერნიკას ხელმძღვანელობით ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები, გამოიჩინა, რომ ადრე აღმოჩენილი ტროა, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთგვარ აკროპოლისად უნდა განვიხილოთ. საკუთრივ ქალაქი კი მის ძირას უნდა ყოფილიყო გაშლილი. ტროა მოიცავდა არა 16.000 არამედ 40.000 კვადრატულ მეტრს. ამ შემთხვევაში კი ქალაქი, სულ ცოტა, 10.000 კაცს დაიტევდა (მიმოხილვისთვის იხ. 40; ასევე 248.).

და მაინც, აქაც წამოიჭრება კითხვა – დაიტევდა კი თავად ეს დიდი ტროა ამდენად მრავალრიცხოვან ლაშქარს და იქნებოდა თუ არა მისთვის ქალაქში ცხოვრების პირობები? მართალია, უკვე კლასიკური ეპოქიდან ჩვენ გვაქვს იმის კარგი მაგალითი, რომ ერთ ქალაქში, ათენში, შეიძლებოდა თავი მოეყარა მთელი ატიკის მოსახლეობას და თავი გაეტანა დიდი ხნის განმავლობაში (მხედველობაში გვაქვს პელოპონესოსის ომის მსვლელობა), მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ ათენს მაშინ შეეძლო ესარგებლა ზღვიით და

ფლოტის საშუალებით მოემარაგებინა მის კედლებს შეფარებული დიდძალი მოსახლეობა. რაც შეეხება ტროას, მას, თუკი შლიმანის ქალაქი ნამდვილად არის ჰომეროსის ტროა, რა ახლოსაც არ უნდა ყოფილიყო მის გალავანთან იმ დროისათვის ზღვა, საეჭვოა, რომ ასეთივე წარმატებით გამოეყენებინა საზღვაო კარი. მით უმეტეს, რომ ჰომეროსი საერთოდ არაფერს გვაუწყებს ტროელთა მიერ საზღვაო ფლოტის რაიმე სახით გამოყენების შესახებ. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავუშვათ, რომ ტროას მასშტაბები და მისი შესაძლებლობები, ესოდენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეეფარებინა მებრძოლთა მრავალათასიანი რაზმები, ეპიკოს პოეტთა, ან, უფრო მოსალოდნელია, თავად ჰომეროსის პოეტური წარმოსახვის ნაყოფს წარმოადგენდა. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვითონ ჰომეროსმა ზედმინევნით იცოდა გმირთა ეპოქის ტროას მასშტაბები და ხელოვნურად გაზარდა ისინი. უფრო საფიქრებელია, რომ მან შექმნა იმ ქალაქის ხატი, რომელსაც შეეძლო, ცხრა წლის მანძილზე გაეძლო აქაველთა შემოტევებისათვის. ანუ, ქცეულიყო უშუალო ბრძოლის გზით აუღებელი ქალაქის სიმბოლოდ.

ასევე, საკმაოდ მწირია ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ხდება ქალაქის გარეთ, ბრძოლის ველზე, ვგულისხმობთ სხვადასხვა ხასიათის ნაგებობებს. „ილიადაში“ სრულიად ნათლადაა მინიშნებული, რომ აქაველთა მრავალრიცხოვანი ხომალდი სანაპირო ზოლშია და ისინი ნაპირზე არიან გამაგრებულნი. რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ხომალდების წინ აქაველთა რაზმებს აქვთ ბანაკები და ისინი კარებში არიან განთავსებულნი.

აქილევსი ასე მიმართავს აგამემნონს:

II. 226-227.

შენი კარვები სავსეა სპილენძით, მრავალი ქალი, რჩეული, არის შენს კარავში.

XXIV. 447.

პელიდის მაღალ კარავსაც მალე მიაღწიეს.

საინტერესოა „ილიადის“ მონაცემები ბრძოლის ველზე არსებული აქაველთა ე.წ. „დამცავი კედლის“ შესახებ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჰომეროსის მიერ აღწერილი აქაველთა კედლის მსგავსი გალავანი ჰქონდათ ტროელებსაც. ამ კედლის შესახებ ჰომეროსი პოემის სხვადასხვა სიმღერაში გვაუწყებს. ჯერ ავტორი გვიამბობს ამ სიმაგრის აგების ამბავს:

VII. 435-441

ერთი საერთო ყორღანი აუგეს

ბრძოლის ველიდან გამოყვანილებს, მასთან კედელი აღმართეს და მაღალი კოშკები, ნავების და საკუთარი თავის დასაცავად.

მათ კარგად შეკრული, მტკიცე კარიბჭეები გაუკეთეს,

რათა მათი ცხენებისთვის გზა ყოფილიყო.

გარედან მის ირგვლივ ღრმა თხრილი ამოთხარეს,

ფართო და დიდი, სადაც სარები ჩაარჭვეს.

შექტორი კი აქაველთა სიმაგრის შესახებ ამბობს:

VIII. 177-180

უგუნურები, რომლებმაც ეს კედელი აღმართეს,

არაფრის მაქნისი, სუსტი. ვერ შეაჩერებს ჩემს რისხვას.

ამოთხრილ სანგარს ადვილად გადაეველებიან ცხენები.

ჰომეროსი აღწერს ბრძოლას ხომალდებთან, როდესაც ტროელები აქაველთა კედლის სიმაგრეს შეარყევენ:

XII. 257-262

[ტროელები] აქაველთა დიდი კედლის დანგრევას ლამობდნენ, კოშკებს ქონგურები ჩამოუშალეს, გაანადგურეს სიმაგრის თალი,

გარეთა სვეტები ამოაგდეს, რომლებიც აქაველებმა

პირველად მიწაში ჩასვეს კოშკების გასამაგრებლად.

ხოლო საბოლოოდ, ეპოსში აქაველთა ამ სიმაგრის სრული განადგურებაცაა გადმოცემული. ის ღმერთთა ნებით აღიგვება პირისაგან მიწისა:

XII. 24-29

ყველა მდინარის პირი ერთი მხრივ მიმართა აპოლონმა ფოი-ბოსმა.

დღის მანძილზე იყო დინება

მიშვებული გალავანზე, ძეს ზევსიც

შეუერთდა, რათა სწრაფად დაეფარა ზღვით ღვთიური კედელი.

თვით მინისმრყეველს ხელით სამკაპი ეპყრა,

ყველაფერს ძირფესვიანად ტალღებს უგზავნიდა.

აქაველთა კედლის აგების ამბავი ასევე მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჰომეროსისთვის ტროას ომი წარმოადგენს დროში საკმაოდ განვლილ მოვლენას, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ გალავნის აშენების იდეა მხოლოდ მეათე წელს წარმოქმნილიყო.

დიდი ხნის განმავლობაში საკმაოდ მძაფრ დისკუსიას იწვევდა ჰომეროსთან მოხსენიებული თხრილები. რამდენადაც ბოლო ექსპედიციამდე არც ტროას გალავნის გარეთ აგებული კედლების და არც თხრილების კვალი არ იყო აღმოჩენილი, რამდენადმე გაუგებარი რჩებოდა, რა ფაქტობრივ ვითარებას განაზოგადებდა ჰომეროსი. „ილიადაში“ ეს თხრილი არის მოწინააღმდეგის დაბრკოლების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება. ჰომეროსი დანვრილებით აგვიწერს მას.

XII. 54-57

[თხრილს] მაღალი ნაპირები ერტყა ირგვლივ,

ორივე მხრიდან. ზემოდან კი ბასრი სარები

იყო მჭიდროდ მიწყობილი, რომლებიც აქაველებმა ჩაარჭვეს

ხშირი და მაღალი, მტრისგან თავდასაცავად.

მეორეგან ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ აკავენს თხრილი მეომრებს: (XVI. 370-371) აქაველთა მიერ თავდაცვის მიზნით გაჭრილ თხრილს კიდევ ბევრგან ახსენებს ჰომეროსი.

როგორც ვხედავთ, ჰომეროსის მონაცემები ტროას გარეგნული სახისა და არქიტექტურის შესახებ საკმაოდ ზოგადია და, მართალია, პოეტი შესანიშნავად ახერხებს დიდებული და ბრწყინვალე

ქალაქის ხატის შექმნას, მაგრამ ამას აღწევს მინიმალური ე.წ. არქიტექტურული ორიენტირების საშუალებით.

ის, რაც ტროას შემთხვევაში ჰომეროსს აქვს გადმოცემული, წმინდა არქიტექტურული თვალსაზრისით, ნაკლებად წარმოადგენს რომელიღაც კონკრეტული ქალაქის სახეს და, შეიძლება, ბორცვის გარშემო გაშენებული ნებისმიერი ანატოლიური ქალაქის აღწერისთვის გამოდგეს. მით უმეტეს, რომ ჰომეროსი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ტროა თავიდან ბოლომდე დაინვა და დაინგრა, ხოლო ქალაქის გარეთ მდებარე საბრძოლო ნაგებობების კვალი, როგორც ვთქვით, მდინარეებმა წარეცხეს.

და მაინც, შეიძლება ითქვას, რომ უახლესმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ტროაში და მის შემოგარენში დაადასტურეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი:

1) ტროა საკმაოდ დიდ ფართობს მოიცავდა და მას უნდა ჰქონოდა როგორც აკროპოლისის ნაგებობები, ასევე თავად ქალაქში არსებული ნაგებობები და, ბუნებრივია, დიდი გალავანიც. ეს ქალაქი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 350 ათას მ²-ზე უნდა ყოფილიყო გადაჭიმული. დაახლ. 10 ათასი მოსახლისთვის საკმარის ფართობზე აქ დამატებით კიდევ 50.000 მოლაშქრის განთავსება, რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია. თუმცა, გალავანს მაინც შეაფარებდა თავს მოლაშქრეთა საკმაოდ შთამბეჭდავი ოდენობა (205).

2) აკროპოლისის, ანუ შლიმანის გათხრილი ტროას ფარგლებში მართლაც არის ნაგებობები, რომელთაც სარეზიდენციო შენობების სტატუსი შეიძლება ჰქონოდა; მაგრამ ეს სავსებით ბუნებრივია ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქისთვის, როგორც ტროა იყო. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით აქ არ გამოვლენილა ჰომეროსთან აღწერილი პრიამოსის სასახლის მოცულობის შენობა (166, 63შმდ.).

3) რაც შეეხება ქალაქის გარეთ მდებარე ჰომეროსთან აღწერილ საბრძოლო ნაგებობებს, ყურადღებას იქცევს, რომ სავარაუდოდ ქვედა ქალაქის გალავნის გარეთ მართლაც აღმოჩნდა თხრილები

და გარკვეული კვალი ე.ნ. სასიმაგრო ნაგებობების, მათ შორის, ხის კედლებისაც. (მიმოხილვისათვის შდრ. 40, 228; იხ. აგრეთვე: 136.).

შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ არქიტექტურული თვალსაზრისით, ჰომეროსთან გადმოცემული სურათი ნაკლებად იძლევა ქალაქის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იმ ქალაქთან, რომელიც აღმოჩნდა, თუმცა, არც გამორიცხავს ამგვარ გაიგივებას.

ვფიქრობთ, რომ ჰომეროსი თავის ეპოსში სწორედ ამ ქალაქს გულისხმობს, თუმცა მას, რა თქმა უნდა, სვამს თავისი პოეტური ფანტაზიით შექმნილი ხანგრძლივი და გრანდიოზული ომის კონტექსტში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჰომეროსისეული ტროასა და ტროადის იდენტიფიკაციის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო წყაროა პოეტის ე.ნ. გეოგრაფიული ინფორმაცია, ანუ მისი მინიშნებები იმაზე, თუ რა მდებარეობს ტროას გარშემო. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ პოეტი საკმაოდ კონკრეტულია და იგი თითქმის არ გვისახელებს ისეთს არაფერს, რისი რეალური გეოგრაფიული გაიგივებაც არ ხერხდება.

ამჟამად, ჩვენი მიზანი არ არის „ილიადაში“ წარმოდგენილი ტროადის გეოგრაფიის სრული განხილვა. ნაწილობრივ ამ საკითხზე გვეკონდა მსჯელობა, როდესაც ყურადღება შევაჩერეთ ტროელთა მოკავშირეებზე და იმ მხარეებზე თუ ქვეყნებზე, საიდანაც ისინი მოვიდნენ. ამჯერად გვაინტერესებს მხოლოდ ზოგიერთი გეოგრაფიული ორიენტირი, რომელიც ჰომეროსთანაა წარმოდგენილი და მიგვანიშნებს იმაზე, რომ პოეტის თვალსაწიერში მოხვედრილი ტროადა გეოგრაფიული თვალსაზრისით რეალობაა. თუკი შეიძლება დავა იმაზე, ისტორიულად მართლაც მოხდა თუ არა ტროას ომი, რამდენად ადეკვატურია ჰომეროსი, როდესაც ტროელებსა და მათ მოკავშირეებს ჩამოგვითვლის, ან რამდენად ზუსტად აღწერს იგი ქალაქის არქიტექტონიკას, თითქმის არ ინვეს დავას ის, რომ ჰომეროსი „ილიადაში“ მოქმედებას სწორედ მცირე აზიის ჩრდილოდასავლეთით მდებარე იმ რეგიონში ავითარებს, რომელიც მთელ

ანტიკურ ტრადიციებში ტროადის სახელით იყო ცნობილი (ანტიკური ეპოქის ტროას შესახებ შდრ. 220.).

რამდენად შესაბამისია რეალობასთან ჰომეროსის ცნობები წმინდა ვიზუალური თვალსაზრისით? „ილიადაში“ გვაქვს შემთხვევები, სადაც პოეტი ცდილობს, ტროადის თითქმის მთელი პანორამა გადაგვიშალოს თვალწინ, რომელსაც პოეტი თითქოს ზემოდან დაჰყურებს. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ადგილები და პასაჟები, რომლებიც ცალკეულ ორიენტირებს წარმოგვიდგენდნენ ფართო პლანით.

მეცნიერებაში უკვე ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ „ილიადის“ XIII სიმღერის დასაწყისი საინტერესოდ აგვიწერს იმ ხედებს, რაც, ერთის მხრივ, ტროას აღმოსავლეთით მდებარე იდას მთიანეთიდან შეიძლება ჩანდეს, ხოლო, მეორეს მხრივ, ტროას ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სამოთრაკეს მთის მაღალი მწვერვალიდან. XIII სიმღერის საწყის სტრიქონებში აღწერილია, თუ, ერთის მხრივ, რას ხედავს იდას მთაზე მყოფი ზევსი, რომლის მზერა სცილდება ტროადას და ჩრდილო-დასავლეთისკენაა მიმართული; მეორეს მხრივ პოსეიდონი, რომელიც სამოსის (იგივე სამოთრაკე) მწვერვალზეა და ტროასკენ იყურება:

XIII. 1-15

ზევსმა ტროელები და ჰექტორი ნავებს მიუახლოვა,
რომ მათ ხომალდებთან ძალისხმევა და უბედურება ჰქონოდათ
მუდამ. თვითონ კი მეორე მხარეს მიაბრუნა ორივე თვალი
შორს, ჯერ ცხენმრავალ თრაკიელთა მიწისკენ,
მერე ხელჩართული ბრძოლისმოყვარე მისიელების და სახელ-
განთქმული,

ომისმოყვარე ჰიპემოლგების,
ბოლოს კი აბიების, სამართლიანი ხალხისკენ.
ტროასკენ სრულიად არ მიუმართავს მზერა,
რადგან არ ეგონა, რომ უკვდავთაგან ვინმე მისი სურვილის
წინააღმდეგ
ტროელების ან დანაელების დასახმარებლად მივიდოდა,

მაგრამ არცთუ უყურადღებოდ იმზირებოდა მბრძანებელი
მინისმრყეველი,

გაკვირვებული მტრობით და ბრძოლით,
მაღალი სამოსის უმაღლესი მწვერვალიდან [უყურებდა]
თრაკიას. იქიდან ხედავდა მთელ იდას,
პრიამოსის ქალაქს და აქაველთა ნავებს.

არ არის სადავო ის, რომ იდას მთიდან მართლაც შეიძლება ჩან-
დეს თრაკიის სანაპირო. ამჟამად ჩვენ არ ვეხებით ჰომეროსის მიერ
ამ პასაჟში მოხსენიებულ ტომებს. მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ
მიზეღელები, ჰიპემოლგები და აბიები მართლაც თრაკიელი ნომადი
ტომები უნდა ყოფილიყვნენ.

თუკი იდას მთიდან ზევსის თვალსაწიერში მოხვედრილი არეა-
ლი ეჭვს არ იწვევს, სამაგიეროდ, დიდი ხნის განმავლობაში არ იყო
თანხმობა იმის თაობაზე, მართლაც შეეძლო თუ არა პოსეიდონს
სამოთრაკეს მწვერვალიდან დაენახა ის, თუ რა ხდებოდა ტროას-
თან. საქმე ისაა, რომ სამოთრაკესა და ტროადის სანაპიროს შორის
არის მაღალმთიანი კუნძული იმბროსი, რომელსაც, თითქოს, უნ-
და დაეფარა ხედი ტროასაკენ. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ექსპერი-
მენტულად შემოწმდა ჰომეროსის ზემოთმოყვანილი ცნობა, ნათე-
ლი გახდა, რომ სამოთრაკეს 1600 მეტრზე მეტი სიმაღლის მქონე
მწვერვალი იმდენად აღემატება იმბროსის მთიანეთს, რომ იქიდან
მართლაც ჩანს ტროადის მთელი სანაპირო. (202, 45 შმდ.). ამდენად,
შეიძლება ითქვას, რომ ის, რასაც მოტანილ პასაჟში ხედავენ ღმერ-
თები, ჩვეულებრივ, მოკვდავ ადამიანებსაც შეეძლოთ თავისუფ-
ლად ეხილათ. რასაკვირველია, ისმის კითხვა: რით უნდა ავხსნათ,
რომ ჰომეროსი ესოდენ ზუსტად ასახავს არა მარტო გეოგრაფიულ
რეალობას, არამედ იმასაც, თუ რა შეიძლება ორი ერთმანეთის სა-
პირისპიროდ მდებარე მთის მწვერვალიდან ჩანდეს ვეებერთელა
სივრცეზე. სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში „ილიადაში“ აისახა
პოეტის თანამედროვეთა ხანგრძლივი დაკვირვება იმაზე, თუ რო-
გორია მხედველობის არე ყველაზე მაღალი ნერტილებიდან.

იდას მთასთან დაკავშირებით ჰომეროსი კიდევე უფრო გვიზუსტებს ინფორმაციას, როდესაც მის ერთ-ერთ უმშვენიერეს და უმაღლეს მწვერვალად გარგარონს წარმოგვიდგენს. ზევსის ცდუნების სცენაში წარმოდგენილია, თუ როგორ იხილავს კრონიდი ჰერას სწორედ ამ მთაზე და აუნერელი ვნება აღინთება:

XIV. 292-296

ჰერა კი სწრაფად გაემართა გარგარონისკენ,
იქვე, იდაზე იყო ზევსი, ღრუბელთმქუფურავი,
ცოლს თვალი მოჰკრა, აუთრთოლა სული ეროსმა,
როგორც ჰერასთან პირველტრფობამ დათენთა ტკბილად,
მშობლებისაგან მალულად რომ დანებდნენ ვნებას.

გარგარონი „ილიადაში“ კიდევე ორჯერ გვხვდება:

VIII. 47-48

[ზევსმა] მიაღწია უხეწყაროიან იდას, ცხოველთა დედას,
გარგარონს, სადაც სამფლობელო და კეთილსურნელოვანი ბომონი იყო მისი.

XV. 152-153

[აპოლონი და ირისი] მივიდნენ წყარომრავალ იდაზე, ცხოველთა დედასთან.

ნახეს შორსმხედველი კრონიდი გარგარონის მწვერვალზე.

ჰომეროსმა საკმაოდ დეტალურად აგვიწერა, თუ რა ხდება ბრძოლის ველზე ზღვის მხარეს, სადაც აქაველები არიან განლაგებულნი. ამ შემთხვევაში აშკარად იგულისხმება ეგეოსის ზღვა. ტროადასთან და, როგორც ჩანს, ტროას ფუნქციასთანაც მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ჰელესპონტოსი, რაც „ილიადაში“ მისი ხსენების სიხშირითაა დადასტურებული. ჰელესპონტოსი ოთხჯერ გვხვდება ეპოსში:

XV. 232-233

[ზევსი – აპოლონს] გაულვივე დიდი რისხვა [ჰექტორს], სანამ
გაქცეულ
აქაველებს ნავებთან და ჰელესპონტოსთან არ მიიყვანს.

XVIII. 150.

[აქაველები] გაიქცნენ ნავებისკენ და ჰელესპონტოსთან მი-
აღნიეს.

XXIV. 346.

[ჰერმესი] მალე ტროასთან, ჰელესპონტოსთან მივიდა.

XXIV. 545-546

[აქილევსი – პრიამოსს] ფრიგიაში და უკიდევანო ჰელეს-
პონტოსში
ბრწყინავდაო, ამბობენ შენი და შენი ძეების სიმდიდრე, მო-
ხუცო.

ტროადის გარშემო მდებარე კუნძულებიც საკმაოდ მნიშვნელო-
ვან გეოგრაფიულ ორიენტირებად წარმოგვიდგებიან „ილიადაში“,
რადგან აშკარაა, რომ ისინი ტროადასთან მჭიდრო კავშირში იყ-
ვნენ. ჰომეროსი ახსენებს სამოთრაკეს (სამოსს), იმბროსს, ტენე-
დოსს, ლესბოსს და ლემნოსს. მაგ:

XIII. 11-12

[ზევსი] მაღალი სამოსის უმაღლესი მწვერვალიდან
[უყურებდა]

თრაკიას.

აქილევსი კი ასე მიმართავს პრიამოსს:

XXIV. 543-546

შენც, მოხუცო, გამიგია, რომ აყვავებული, მდიდარი იყავი
რამდენი ლესბოსზე, მაკარიის მხარეში,
ფრიგიაში და უსაზღვრო ჰელესპონტოსში
შენი და შენი შვილების სიმდიდრე, მოხუცო, ბრწყინავდაო,
ამბობენ.

XIV-230-231.

[ჰერა] ათონის მთიდან აქაფებულ ზღვამდე დაეშვა
და მიაღწია ლემნოსს, ღვთიურ თოასის ქალაქს.

შეიძლება ითქვას, რომ გეოგრაფიულ ორიენტირთა შორის ყველაზე უფრო ინტენსიურადაა ჩართული პომის სტრუქტურაში ტროას მიდამოების მდინარეები – ქსანთოსი, იგივე სკამანდროსი და სიმოეისი. როგორც ჩანს, ქსანთოსის სათავეები ლიკიაში იყო:

II. 876-877

სარპედონს და გლავკოსს მოყვებოდნენ უზადო ლიკიელები, შორი ლიკიიდან, ქსანთოსი რომ მოედინება.

VI. 172-173

[ბელეროფონმა] რომ მიაღწია ქსანთოსს და ვრცელმინდვრე-
ბიან ლიკიას,
სტუმართმოყვარე ხელმწიფემ დიდი პატივით მიიღო.

მდინარე ქსანთოსთან/სკამანდროსთან ერთად მოიხსენიება მდინარე სიმოეისი:

VI. 3-4

ერთმანეთს უმიზნებდნენ სპილენძის შუბებს
სიმოეისის და ქსანთოსის დინებას შორის.

როგორც ჩანს, ტროადის ეს ორი მდინარე ერთმანეთს უერთდებოდა:

V. 773-774

[ცხენები] ტროას მიაღწევენ, მდინარე რომ დის,
სადაც სიმოეისს სკამანდროსი უერთდება.

თითქმის მთელი XXI სიმღერის მანძილზე ბრძოლაში აქტიურადაა ჩართული პერსონიფიცირებული მდინარე ქსანთოსი/სკამანდროსი, როდესაც ის აქილევსის წინააღმდეგ აღსდგება და მდინარე სიმოეისსაც შესთხოვს დახმარებას (XXI. 130 შმდ.). ჰერას ჰეფესტოს მოშველიება დასჭირდა, რომ გამძვინვარებული მდინარე დაეცხრო (XXI. 382. შმდ.)

„ილიადის“ ერთ ეპიზოდში, როდესაც აქაველთა სიმაგრის დანგრევა სურთ ღმერთებს, ბჭობაა გამართული, თუ როგორ მიმართონ კედლის დასანგრევად ყველა მდინარე, რომელიც იდას მთი-

დან იღებს სათავეს და ზღვაში ჩაედინება. აქ ჩამოთვლილია: პეტაპოროსი, კარესოსი, რესოსი, როდიოსი, აისეპოსი, გრენიკოსი, სკამანდროსი და სიმოეისი (XII, 16 შმდ.). (ტროადის ჰიდროლოგიისათვის შდრ. 304.).

ამდენად, როგორც ვხედავთ, პრიამოსის ქალაქის ჰომეროსისეულ აღქმაში საკმაოდ მკაფიოდ იკვეთება ინფორმაციის სამი წყარო. შეიძლება ითქვას, რომ ეპითეტების დონეზე დომინანტური არის ტრადიცია, რადგან, სავსებით ბუნებრივია, ჰომეროსის ეპითეტები ადეკვატური მხოლოდ იმ ქალაქის მიმართ იქნებოდა, რომელიც დანგრევამდე არსებობდა. რაც შეეხება თავად ქალაქის ვიზუალურ აღქმას, ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, უფრო მეტია პოეტური წარმოსახვის კვალი; თუმცა, როგორც ჩანს, აქაც არცთუ უმნიშვნელო იყო ტრადიციის როლი და ჰომეროსის ან მისი უშუალო წყაროს ქალაქის ნანგრევებზე ვიზუალური დაკვირვების შედეგი.

ყველაზე უფრო ადეკვატური რეალობასთან ჰომეროსი არის ტროადის გეოგრაფიული კონტექსტის გადმოცემისას. ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რამდენად უკავშირებდა ტრადიცია მასთან დასახელებულ თითოეულ პუნქტს, ჰომეროსის ძირითადი ორიენტირები სრული რეალობაა და მათი დასახელება, სავარაუდოა, თავად პოეტის ან მისი უშუალო წყაროს ემპირიული ცოდნის ნაყოფი იყო.

ტროას ომი და ისტორია

ნინა თავებში შესაძლებლობა გვექონდა, გვემსჯელა იმის თაობაზე, რომ ჰომეროსთან მოცემული ტროასა და ტროადასთან დაკავშირებული გეოგრაფიული ინფორმაცია გარკვეულწილად ადეკვატურია რეალობისა. მიუხედავად იმისა, პოემამი დასახელებული ზოგიერთი ხალხი თუ დასახლება ნამდვილად იყო თუ არა გვიანბრინჯაოს ხანის მცირე აზიაში, ნათელია ის, რომ ჰომეროსამდელ ტრადიციაში ისინი აშკარად ანატოლიასთან იყვნენ დაკავშირებულნი. ასევე, მეცნიერებაში იქით იხრებიან, რომ ჰომეროსთან წარმოდგენილი ეგეიდისა და საბერძნეთის სურათიც უფრო ჰომეროსამდელი, შესაძლოა, სულაც მიკენური ეპოქის შესაბამისია, ვიდრე გეომეტრიული ეპოქისა (მიმოხილვისთვის შდრ. 134.). მაგრამ, რამდენად რეალურიც არ უნდა იყოს ჰომეროსის მონაცემები ეთნოგეოგრაფიული თუ გეოგრაფიული თვალსაზრისით, ეს ჯერ კიდევ არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ასევე რეალურად მივიჩნიოთ ტროას ომი.

ტროას ომის ისტორიული რეალობის თაობაზე მეცნიერებაში უკვე კარგა ხანია, მიმდინარეობს დავა ორი უკიდურესი პოზიციის მომხრეებს შორის (მიმოხილვისთვის იხ. 145, 94; 214; 215; 193.):

ა) ტროას ომი საერთოდ არ მომხდარა.

ბ) ტროას ომი ისტორიული ფაქტია და მას ზუსტად აღწერს ჰომეროსი (საკითხის მიმოხილვისთვის შდრ: 77, 161 შმდ; 40; 326; 327.).

ამასთან დაკავშირებით არსებობს მრავალრიცხოვანი თვალსაზრისი, რომელთა მიმოხილვა შორს წაგვიყვანს. უკანასკნელ ხანებში გამოითქვა ვარაუდი, რომ ჰომეროსი ტროას ომით ერთგვარად აჯამებს იმ სხვადასხვა ლაშქრობას, რომელიც ე.წ. გმირთა ეპოქაში შეიძლება მართლაც განეხორციელებინათ ბერძნებს ტროას წინააღმდეგ (75.).

რამდენადაც ჩვენი მიზანია, ერთის მხრივ, იმის განხილვა, თუ როგორ ასახავს ჰომეროსი ტროას ომს, და მეორეს მხრივ, იმისა, თუ რა არის ამ შემთხვევაში მისი ე.წ. „ისტორიული“ იმპულსი,

თავდაპირველად გაეიხსენოთ, რა კონკრეტულ მონაცემებს გვთავაზობს ჰომეროსი ამ ომის შესახებ:

1) ჰომეროსის მიხედვით, ტროასთან ომი ცხრა წელიწადი გრძელდებოდა და ტროას დანგრევა მხოლოდ მეათე წელს მოხერხდა (II, 284 შმდ. XII, 15).

2) ტროას ომის მიზეზი იყო ელენეს მოტაცება (II, 161-162; III, 156-157) ომი დამთავრდა ქალაქის აღებითა და დანგრევით, ელენეს დაბრუნებით, მოსახლეობის დიდი ნაწილის ამონყვევით ან მონად ქცევით; მაგრამ, ჰომეროსის მიხედვით, აქაველები არ რჩებიან ტროაში. ამდენად, მათი ომი არის არა დაპყრობითი, რომლის შედეგადაც აგამემნონის წინამძღოლობით წამოსულმა ლაშქარმა უნდა შემოიერთოს ტროა, არამედ მას აქვს დამსჯელი ომის სახე (IX, 19 შმდ., XXI, 374 შმდ., I, 158 შმდ., II, 354 შმდ. და სხვა).

3) მართალია, პრიამოსის შთამომავლობა და ტროელთა ეს დინასტიური ხაზი ომის მსხვერპლი გახდა, მაგრამ ტროადაში აგრძელებენ მეუფებას ენეასი და მისი შთამომავლები (XX, 303 შმდ.).

4) ტროას ომში მონაწილეობისათვის საბერძნეთიდან წამოვიდა აქაველთა 1186 ხომალდი. თუკი II სიმღერის ხომალდთა კატალოგს გავითვალისწინებთ, კერძოდ, ბეოტიელთა ხომალდების რაოდენობას და იმ მებრძოლთა რიცხვს, რომელიც თითოეულ გემზე იჯდა (120 მებრძოლი), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თითოეულ აქეურ ხომალდზე საშუალოდ სულ ცოტა, 100 კაცი მაინც უნდა ყოფილიყო. თუმცა, შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ თითოეულ ხომალდზე მსხდომი მეომრების მხოლოდ ერთხელ მოცემული რაოდენობა იმის მანიშნებელია, რომ მებრძოლთა ეს ციფრი განსაზღვრულია სხვა ხომალდებისთვისაც. შესაბამისად, თუკი სტანდარტულად მივიჩნევთ ბეოტიელთა ხომალდების ტევადობას, აქაველების 43 წინამძღოლს, ხომალდთა კატალოგის მიხედვით, ტროადაში 142.320 მებრძოლი უნდა წამოეყვანა. ხოლო თუ ხომალდთა რაოდენობას მებრძოლთა საშუალო ოდენობაზე გავთვლით, მაშინ მებრძოლთა რიცხვი დაახლ. 120.000 მაინც გამოდის.

საყურადღებოა, რომ თუკიდიდესი ტროას ომის მასშტაბებზე მსჯელობისას არსებითად ჰომეროსის კატალოგის მონაცემებს ეყრდნობა, როდესაც ამბობს, რომ აქაველთა ლაშქარი დაახლ. 100.000-მდე მებრძოლს შეიცავდა.(17.).

5) საკმაოდ შთამბეჭდავია ტროელებისა და მათი მოკავშირეების რაოდენობა, თუმცა, ის მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება აქაველთა ლაშქარს. „ილიადა“ იძლევა საშუალებას, ვივარაუდოთ, რომ ტროელთა მხარეს, სულ ცოტა, 50.000 კაცი მაინც იბრძოდა (VIII, 556-559).

6) კატალოგის მიხედვით, ტროას ომში მონაწილეობს საბერძნეთის 29 რეგიონი. ისტორიულად ელინთა კუთვნილი ტერიტორიებიდან გამოტოვებულია მხოლოდ ეგეოსის ზღვის რამდენიმე კუნძული: კიკლადები, ჩრდილოეთ სპორადები, სამოთრაკე, ლემნოსი, ლესბოსი, ქიოსი, პათმოსი.(შდრ 196, 145.). ამ კუნძულების მოსახლეობა არ ფიგურირებს არც ტროელებსა და მათ მოკავშირეებს შორის. თუმცა, „ილიადის“ ზოგიერთი ადგილი იმაზე მიგვანიშნებს, რომ აღნიშნულ კუნძულებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ტროასა და ტროადასთან.

რაც შეეხება ტროელებსა და მათ მოკავშირეებს, მათზე ზემოთ გვქონდა დანვრილებით მსჯელობა. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ კატალოგში ჩამოთვლილია 16 რაზმი რეგიონების მიხედვით (II, 816 შმდ.).

7) „ილიადის“ მიხედვით, ტროა პრიამოსამდე რამდენჯერმე დაინგრა და იგი კვლავ ააშენეს. ერთხელ პოსეიდონის ნებით – გეოლოგიური კატასტროფით, მეორედ – გამძვინვარებული ჰერაკლეს მიერ.

8) აღსანიშნავია, რომ თავად ანტიკური ე.წ. მითოლოგიური ქრონოლოგია ტროას ომის სულ სხვადასხვა თარიღებს გვაძლევს. ეს თარიღები მერყეობენ ძვ.წ. 1334-1136 წლებს შორის. რა თქმა უნდა, ეს მერყეობა, ერთის მხრივ, შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ სხვადასხვა ავტორი ქრონოლოგიის სხვადასხვა პრინციპს მიმართავს, ანუ თაობათა ხანგრძლივობის განსაზღვრისას

განსხვავებაა კრიტერიუმებში. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ არის გამორიცხული, რომ ეს მერყეობა, გარკვეულწილად, ტროაში სხვადასხვა დროს მომხდარ ომებს არეკლავდეს.

იმ მონაცემებზე, რომლებიც ტროას ომთან დაკავშირებით ჰომეროსთან დასტურდება, შეიძლება შემდეგი კითხვები თუ საკითხები წამოიჭრას:

1) რამდენადაა შესაძლებელი, რომ მრავალი ათასი კაცი ათი წლის განმავლობაში ყოფილიყო ტროასთან დაბანაკებული და ბრძოლები გაგრძელებულიყო ესოდენ დიდი ხნის განმავლობაში?

როგორც ვთქვით, ჰომეროსის მიხედვით წლების განმავლობაში ტროასა და მის გარეთ კონცენტრირებული იყო ერთმანეთს დაპირისპირებული მხარეების დაახლოებით 200.000 მეზობელი. როგორც ლ. გორდუზიანი შენიშნავს, ბრინჯაოს ხანის ანატოლიაში ამგვარი გაბმული, ხანგრძლივი ომების წარმოების პრეცედენტი არ არსებობს. რასაკვირველია, სავსებით შესაძლებელია, რომ ორ მხარეს შორის დაპირისპირება ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაგრძელებულიყო, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ომი წარმოადგენდა პერიოდული შეტაკებების, ბრძოლების ერთობლიობას და არა რაღაც ერთ, გაბმულ ომს. (მიმოხილვისთვის შდრ. 75.). რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია, რომ მეზობლთა ამ რაოდენობას ამდენი წლის განმავლობაში გაეძლო ტროადის საკმაოდ შეზღუდული ტერიტორიის ფარგლებში.

თუკი ჰომეროსი ამ შემთხვევაში რაღაც ისტორიულ რეალობას არეკლავს, ეს შეიძლება იყოს ან ერთი, დროში ბევრად უფრო შეზღუდული ომის ჰიპერბოლიზებული ტრანსფორმაცია პოეტურ ტრადიციაში, ან ორ მხარეს შორის არსებული ხანგრძლივი დაპირისპირების ასახვა, რომელიც პერიოდულად წარმოებული ომების სახით უნდა წარმოვიდგინოთ. ჩვენ ამ ორივე შესაძლებლობის თანაარსებობის დაშვებისაკენ ვიხრებით, რაზეც ყურადღებას უფრო დეტალურად ქვემოთ შევაჩერებთ.

2) თავად ტროას ომის მოტივი, რომელიც ჰომეროსთანაა წარმოდგენილი და შემდეგ მთელი ბერძნული ტრადიციის მიერ გაზი-

არებული – ელენეს მოტაცება – შეიძლება მივიჩნიოთ პოეტური ფანტაზიის ნაყოფად, ან რალაც რეალური ისტორიული ფაქტის ანარეკლად. როგორც ცნობილია, ჰეროდოტოსი ბერძენ-სპარსელთა ომების მიზეზებზე საუბრისას საგანგებოდ აჩერებს ყურადღებას ელადისა და აზიის ისტორიაში ქალთა მოტაცების მომენტზე.

რა თქმა უნდა, აქედან გამომდინარე, ომის დაწყების ერთ-ერთ მოტივად შეიძლება მართლაც მივიჩნიოთ მსგავსი მოვლენა, რადგან არაფრით არ დასტურდება, რომ ბერძენთა სავარაუდო ლაშქრობა ტროადაში მხოლოდ შორს მიმავალი გეოპოლიტიკური ინტერესებით იყო განპირობებული, კერძოდ, შავი ზღვის შესასვლელზე კონტროლის დანესების სურვილით. ამ შემთხვევაში მოსალოდნელი იქნებოდა, რომ ბერძენები ტროადის რეგიონში ომის შემდეგ დარჩენილიყვნენ და აქ თავიანთთვის პლაცდარმი შეექმნათ, როგორც ეს მათ ეოლიის კოლონიზაციისას გააკეთეს. არც ჰომეროსი და არც არქეოლოგიური მონაცემები გვიანბრინჯაოს ხანაში ტროადაში ბერძენთა ამგვარი პლაცდარმის არსებობაზე არ მიგვითითებენ.

სავსებით ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ომს არ ჰქონდა მხოლოდ დამსჯელი ხასიათი, თუმცა, გვიანბრინჯაოს ხანის ტროას არც ერთ შრეში არ ჩანს აქ მიკენელთა ხანგრძლივად ბინადრობის კვალი. ჰომეროსის მონაცემებიც და ძველალმოსავლური წყაროებიც ტროასა და მიკენურ საბერძენთს შორის არაერთგვაროვანი ურთიერთობების შესაძლებლობაზე მიგვანიშნებენ. თავად ის ფაქტი, რომ მითოპოეტური ტრადიციის თანახმად პარისს მენელაოსის რეზიდენციიდან მიჰყავს ელენე, ვფიქრობთ, ამგვარი ურთიერთობების არეკვლად შეიძლება წარმოვიდგინოთ. იგივე შეიძლება ვთქვათ ჰერაკლესა და ლაომედონის შესახებ არსებულ მითოლოგიურ ინფორმაციაზეც.

რაც შეეხება ხეთურ დოკუმენტებს, აქ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკმაოდ ადრე ჩნდება Ahhiyawa (დაახლ. ძვ.წ. 1500 წლისათვის). ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ თუკი ხეთებსა და აქაველებს შორის მრავალსაუკუნოვანი, ძირითადად მეგობრული ურ-

თიერთობები შეიძლება არსებულებო, არ არის გამორიცხული, რომ ასეთივე ურთიერთობები შეიძლება ჰქონოდათ აქიავასა და ეგვიდასთან უფრო ახლოს მდებარე ტროას თუ ტროადას.

ძველ სამყაროში ნებისმიერი ომის შედეგი ნგრევასა და სისხლისღვრასთან ერთად იყო მშვიდობიანი მოსახლეობის მონად ქცევა და მათი თან წაყვანა საკუთარი ინტერესების სამსახურში ჩასაყენებლად. როგორც ლევან გორდუზიანის დაკვირვება გვაჩვენებს (75), მიკენურ სამყაროში ძვ.წ. XIII ს-ის II ნახევრისთვის საგრძნობია მცირე აზიიდან წამოყვანილი მსახური ქალების დიდი რაოდენობა. ამ დასკვნას B ხაზოვანი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე აკეთებს მკვლევარი, რაც საშუალებას აძლევს, დაუშვას, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევარში შეიძლება მართლაც ენარმოებიანთ აქაველებს მნიშვნელოვანი საომარი ოპერაცია, ან ოპერაციები, რომლებსაც შედეგად მოჰყვა აქედან წაყვანილი მონა ქალების რაოდენობის ზრდა. ყურადღებას იმსახურებს ის, რომ ხეთურ დოკუმენტებში სწორედ XIII საუკუნის ბოლოს (მხედველობაში გვაქვს თუთხალიას IV-ის უსტარი – ძვ.წ. 1250-1220 წლები) ხათის ტოლ მეფეებად მოხსენიებულნი არიან ეგვიპტის, ასირიისა და Ahhiyawa-ს მბრძანებლები. ამდენად მაღალი სტატუსი, ვფიქრობთ, აქიავას მეფეს შეეძლო მხოლოდ მას შემდეგ მიეღო, რაც რაღაც მოვლენა Ahhiyawa-ს პოზიციებს არა მარტო ეგვიდაში, არამედ მცირე აზიაშიც მნიშვნელოვანს გახდიდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მოვლენა სწორედ Ahhiyawa-ს მიერ ჩატარებული რაღაც საბრძოლო ოპერაცია, თუ ოპერაციები უნდა ყოფილიყო მცირე აზიაში. ყველაზე უფრო ლოგიკური იქნებოდა, დაგვეშვა, რომ აქიავას უმთავრესი საბრძოლო აქტივობა ანატოლიაში სადღაც ძვ.წ. XIII ს-ის II ნახევარში სწორედ ის ომი უნდა ყოფილიყო, რომელიც ტროას ომის მითოპოეტური ტრადიციის წარმოქმნისათვის იმპულსის მიმცემი გახდა.

ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ისმის კითხვა: არქეოლოგების მიერ გამოვლენილ ტროას რომელ ფენასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ეს ომი. როგორც არქეოლოგიურმა გათხრებმა გვაჩვენ-

ნეს, მიკენური ეპოქის საბერძნეთს შეიძლება ურთიერთობა ჰქონოდა ტროა VI-სა და ტროა VIIa-სთან. ტროა VI დანგრეული ჩანს სადღაც ძვ.წ. XIII ს-ის დასაწყისში ან შუა პერიოდში, ხოლო ტროა VIIa, რომელსაც კორფმანი უკანასკნელ ხანებში ტროა VII-ს უწოდებს (იმდენად აგრძელებს ეს ფენა ტროა VI-ს ტრადიციებს) – 1180 წლისათვის. ტროა VI-ს დანგრევაში არ არის გამოკვეთილი საბრძოლო ოპერაციების კვალი და მიაჩნიათ, რომ აქ უფრო გეოლოგიურ კატასტროფასთან გვექონდა საქმე. (მიმოხილვისათვის იხ. 241, 190.). შახერმეირი იმასაც ფიქრობდა, რომ პოსეიდონისაგან ლაომედონისადმი მოვლენილი სასჯელი მინისძვრის მითოპოეტურ ასახვად შეიძლება მივიჩნიოთ. ტროა VI ხომ სწორედ მინისძვრის შედეგად დაინგრა (220, ასევე 221, 114 შმდ.). რაც შეეხება ტროა VII-ს, ანუ ტროა VIIa-ს, მის განადგურებაში უკვე აშკარად ჩანს საბრძოლო ოპერაციის კვალი (75. იქვე ლიტერატურა.). რა თქმა უნდა, ტროა VI-ს დანგრევა შეიძლება უკავშირდებოდეს გეოლოგიურ კატასტროფასაც და გარკვეულ საბრძოლო ოპერაციასაც. ამ მხრივ მეცნიერებაში უკვე მიაქციეს ყურადღება იმას, რომ თავად ტროა აქაველებმა აიღეს არა გარედან შეტევით, არამედ ხის ცხენით, ანუ ეშმაკობის გზით. არ არის გამორიცხული, რომ ტროა VI-ს დაცემა მომხდარიყო მართლაც მოხერხებულად განხორციელებული ოპერაციის საშუალებით და მას არ მოჰყოლოდა ქალაქის ცეცხლით მოსპობა.

რაც შეეხება ტროა VI-ის მომდევნო შრეს, მართალია, იგი საბრძოლო ოპერაციის შედეგად ჩანს დანგრეული, მაგრამ მოსალოდნელია, რომ 1200-1180 წლისათვის ტროაზე შეტევა განეხორციელებინათ არა აქაველებს, არამედ ე.წ. ზღვის ხალხებს (ზღვის ხალხთა შესახებ იხ. 193. ასევე 315, 11, 333 შმდ.), ან თრაკიულ ტომებს (თრაკიელთა ანატოლიაში გადმოსახლების შესახებ შდრ. 27; 25.), რომელთა გადაადგილება ევროპიდან ანატოლიაში სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო. როგორც არქეოლოგია გვაჩვენებს, ტროა VII-ს, ანუ ტროა VIIa-ს დანგრევას მართლაც მოჰყვა კულტურის მკვეთრი ცვლილება. ვარაუდობენ, რომ ტროა VIIb-დან

მოყოლებული, XI ს-ის ჩათვლით ტროადაში აშკარად თრაკიული ტომები იყვნენ დამკვიდრებულნი.¹⁸ ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჰომეროსის ცნობა ენეასისა და მის შთამომავალთა მეუფების შესახებ ტროადაში ომის შემდეგ. თუკი გავიხსენებთ, რომ ენეასის სახელში მეცნიერები თრაკიულ ძირებს ხედავენ, მაშინ დაახლოებით ამგვარი სურათი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: აქაველთა მნიშვნელოვანი საბრძოლო ოპერაციის შედეგად ტროა დამარცხდა, თუმცა გამარჯვებულნი აღარ დარჩენილან ტროადაში და ქალაქში მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცა, კვლავ აღედგინა ცხოვრება. 1200 ან 1180 წლისთვის ზღვის ხალხთა, ან თრაკიულ ტომთა შემოტევის მძლავრმა ტალღამ დაანგრია ტროა და აქ მოხდა მოსახლეობის სერიოზული ჩანაცვლება. ქალაქის ამ შრემ კიდევ საკმაო ხანს გააგრძელა არსებობა. შემდეგ კი ეს ქალაქიც უკაცურდება და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, დაახლ. ძვ.წ. 700 წლამდე, ტროადაში დასახლება არ განახლებულა. ძვ.წ. 700 წლიდან კი აქ უკვე იწყება ეოლიელ ბერძენთა აქტივობა და ტროა თანდათანობით ბერძნული ხდება. ბუნებრივია, პოეტს, რომელიც ძვ.წ. VIII-VII ს-ში მოღვაწეობდა, ან მის ინფორმატორს, ამ ადგილას დახვდებოდა ძველი ქალაქის საკმაოდ შთამბეჭდავი ნანგრევები, რომლებიც არა მხოლოდ ნგრევის, არამედ ცეცხლის კვალსაც აჩვენებდა.

რა თქმა უნდა, მაშინდელი ბერძენი ბევრად უფრო სრულ წარმოდგენას შეიქმნიდა ძველ, დიდებულ ქალაქზე, ვიდრე ნებისმიერი ჩვენგანი დღეს, თუნდაც არქეოლოგიური გათხრების შემდეგ. ტრადიციით გადმოცემული ტროას მრავალი ეპითეტი მის თვალში ნანგრევების სახით ფაქტობრივ შესატყვისობას ჰპოვებდა, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ იმ დროისათვის სრულიად გამქრალიყო თლილი ქვებით ოსტატურად ნაგები კედლებისა და შენობების კვალი. შესაბამისად, მითოპოეტურ ტრადიციაში არსებული დიდებული ქალაქის აქაველთა მიერ დანგრევა და ტროელთა მონად

¹⁸ ის, რომ ძვ. წ. აღ-ის XI ს-ში ტროაში ჯერ კიდევ საკმაოდ ინტენსიური საქალაქო ცხოვრება მიმდინარეობდა, დასტურდება ტროას ძვ.წ. XI ს-ის შრეში იეროგლიფური ხეთური წარწერიანი საბეჭდავის აღმოჩენა. დანვრილებით იხ.: 85; 86.

ქცევა თუ ამოჟღერება, ტროადში აქაველთა არდარჩენა და აქ ადგილობრივი დინასტიის გაგრძელება, ტროას ცეცხლით გადანვა და დანგრევა შეიძლებოდა მდიდარი ეპიკური ტრადიციით ნასაზრდოვებ გენიალურ პოეტს გაეერთიანებინა ტროას ომის გრანდიოზულ სურათად.

3) რაოდენ გადაჭარბებულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს ინფორმაცია აქაველთა ლაშქრის მასშტაბების შესახებ, სავარაუდოა, რომ ბერძნებს XIII საუკუნეში მართლაც უნდა მოემოქმედნათ რაღაც ისეთი, რაც, ერთის მხრივ, თაობებს სიამაყის გრძნობით ალავსებდა და, მეორეს მხრივ, ხეთებს მისცემდა საფუძველს, XIII საუკუნისთვის აქაველთა მეფე თავისი და აღმოსავლეთის სახელმწიფოთა მეფეების თანასწორად მიეჩნია. თუკი გავითვალისწინებთ, რომ XIII საუკუნის მინურულიისთვის მიკენის სიძლიერე უკვე თითქმის მთლიანად განქარვებულია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქეურ საბერძნეთს ასეთი მასშტაბური საბრძოლო ოპერაციის ჩატარება (რა თქმა უნდა, არა ათი წლის განმავლობაში გაბმულის) შეეძლო მხოლოდ ძვ.წ. XIII ს-ში, ანუ მაშინ, როდესაც მიკენი განსაკუთრებით ძლიერი იყო. როგორც მრავალმა მეცნიერმა მიაქცია ყურადღება, ჰეროდოტოსი სრულიად გარკვევით გვაუწყებს, რომ ტროას ომის შემდეგ ეს რეგიონი შიმშილობამ მოიცვა, რასაც სავალალო შედეგები მოჰყვა (8, VII, 171.).

საინტერესოა, რომ მეცნიერები ზღვის ხალხების თავგანწირული შემოსევის მოვლენასაც XIII-XII საუკუნეების მიჯნაზე სწორედ საშინელ შიმშილობასთან აკავშირებენ ეგეიდა-ანატოლიაში (31).

4) რა თქმა უნდა, ყურადღებას იქცევს ცნობები ტროელთა და მათ მოკავშირეთა რაოდენობის შესახებ. ჯერ შევეხოთ ტროელთა და მათ მოკავშირეთა ლაშქრის მასშტაბებს. სავსებით ბუნებრივად ისმის კითხვა: რამდენად დასაშვებია, დასავლეთ ანატოლიაში რომელიმე კოალიციას მოეხერხებინა 50.000 მეგრძოლის შეკრება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰომეროსთან წარმოდგენილი კოალიცია ყველაზე მეტად ამშუვას კავშირთან ნახულობს პარალელს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ხეთთა მეფის – თუთხალიას

II-ის, ან თუთხალის IV-ის მიერ აშშუვას წინააღმდეგ ჩატარებული საბრძოლო ოპერაციის შედეგად, ხეთთა ცნობით, მათ მრავალი ტყვე წამოიყვანეს. ამან შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ აშშუვას კოალიცია საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო და მას მართლაც შეეძლო მრავალრიცხოვანი ჯარის დაპირისპირება მონინააღმდეგისათვის. რაც შეეხება ტროელთა მოკავშირეების შემადგენლობას იმ სახით, როგორც ის ჰომეროსთანაა წარმოდგენილი, ამ ნუსხაში თრაკიულ-ფრიგიული ტომების მოხსენიების გამო შეიძლება ითქვას შემდეგი: ძვ. წ. VIII საუკუნის ბერძენს, ბუნებრივია, ანატოლიაში დახვდებოდნენ თრაკიული და ფრიგიული ტომები, რადგან ისინი II ათასწლეულის მინურულიდან აქ იწყებენ შემოსვლას. ზღვის ხალხების შემოსევის შემდეგ გეომეტრიული პერიოდის დასასრულამდე ძნელი წარმოსადგენია, რომ ტროადის მკვიდრთ რაღაც დიდი საბრძოლო კოალიცია შეექმნათ. ეს, ფაქტობრივად, მხოლოდ ფრიგიელებს შეეძლოთ, რომელთა ძლიერებაზე ჩვენამდე წყაროებმა მოიტანეს ინფორმაცია (მიმოხილვისთვის შდრ: 323, 9, 965 შმდ. იქვე ლიტერატურა.). ამ შემთხვევაშიც, როგორც ჩანს, ისევე, როგორც სხვა მომენტებში, უნდა დავინახოთ ძველი მონაცემების ახლით ჩანაცვლების ფაქტი. სავსებით შესაძლებელია, რომ ტრადიციას შემოენახა ინფორმაცია გმირთა ეპოქის აქაველთა საბრძოლო ექსპედიციის დროს მათი მონინააღმდეგეების შემადგენლობის შესახებ ანატოლიაში. სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო აშშუვას (Aššuwa) კავშირი. ბერძნულ მითოპოეტურ ტრადიციაში, ან მის წყაროში ამ კოალიციის ზოგიერთი ძველი წევრის სახელწოდება ამოაგდო იმ თრაკიულ-ფრიგიული ტომების სახელწოდებებმა, რომელთაც XII საუკუნიდან დაიკავეს ანატოლიის შესაბამისი ტერიტორიები.

ბ) ტროას ომთან დაკავშირებული ჰომეროსის გეოგრაფიის შესახებ ბევრი დაწერილა (ტროას ადგილის შესახებ მცირე აზიის ძვ. წ. აღ II ათასწლეულის ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტში შდრ 254.). მიუხედავად იმისა, რამდენად დავეთანხმებით თეზისს, რომ აქაველთა სამყაროს ჰომეროსის მიერ წარმოდგენილი სურათი უფრო XIII საუკუნის მიკენური საბერძნეთის შესაბამისია, ვიდრე

ბნელი წლების, ან გეომეტრიული ეპოქის ელადისა, ერთი სავსებით აშკარაა: ამ მასშტაბის აქაველთა გაერთიანება შეიძლებოდა შექმნილიყო მხოლოდდამხოლოდ მიკენურ ეპოქაში. მიკენური ეპოქის შემდეგ, კლასიკურ ეპოქამდე ან ალექსანდრე მაკედონელამდე, ელინთა ამგვარი ერთიანობა ყოველად გამორიცხულია.

საყურადღებოა ისიც, რომ ჰომეროსის, კერძოდ, ხომალდთა კატალოგის მიხედვით, ბერძნებს ფეხი არ აქვთ მოკიდებული იმ მრავალ კუნძულზე, რომელზეც ისინი შემდგომ დამკვიდრდებიან. როგორც ფიქრობენ, ეს ფაქტიც მიკენურ ეპოქას ეხმიანება. რაც მთავარია, ვ. ბურიდან მოყოლებული, (44; შდრ. აგრ.: 134.). არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ ჰომეროსთან მოხსენიებულ აქაველთა ლაშქარში მონაწილე თითქმის ყველა დასახლებას აქვს ე.წ. არქეოლოგიურად დადასტურებული მიკენური წარსული. ამასთან, კატალოგში ზოგი ისეთი დასახლებაა მოხსენიებული, რომელსაც აქვს მხოლოდ მიკენური წარსული და რომელსაც არ იცნობს პოსტმიკენური ტრადიცია (მიმოხილვისთვის შდრ. 21.).

რასაკვირველია, ჰომეროსის „ეთნოგრაფიულ“ მონაცემებს ვერ ექნებოდა აბსოლუტურად ზუსტი მიმართება მიკენურ სამყაროსთან და მასში, ბუნებრივია, შეიძლებოდა გაპარულიყო პოსტმიკენური ვითარების ამსახველი რამდენიმე მომენტი. მაგრამ, როგორც არაერთგზის აღუნიშნავთ, ასეთ „გამონაკლისთა“ ოდენობა ერთობ მოკრძალებულია. სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება ის, რომ ელადის ჰომეროსთან წარმოდგენილი სურათი ბევრად უფრო ახლოსაა მიკენურ რეალობასთან, ვიდრე ტროადისა – ბრინჯაოს ხანის ანატოლიურთან. მცირე აზიაში, ჰომეროსის მიხედვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისეთი ტომები ჩანან, რომლებიც XII ს-მდე არ უნდა ყოფილიყვნენ ანატოლიაში. ამის პარალელურად, ჰომეროსს მთლიანად გამორჩა მხედველობიდან მცირე აზიის ისეთი მძლავრი იმპერია, როგორიც ხეთთა სახელმწიფო იყო. ამ უკანასკნელს კი, თავად ხეთთა ინფორმაციით, მჭიდრო ურთიერთობები უნდა ჰქონოდა აქეურ საბერძნეთთან. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ელინურ ტრადიციას ისტორიული რეალობის გაცილებით უფრო

ადეკვატური ინფორმაცია ექნებოდა შემონახული გმირთა ეპოქის ელადის შესახებ, ვიდრე ანატოლიისა.

7) როგორც არქეოლოგიური გათხრები გვიჩვენებს, ტროას (იგულისხმება ტროა VI და VII) ისტორია სავსე იყო ბრძოლებით. ტროა VI-ს, თუკი ჩვენ მის ნაწილად მივიჩნევთ ტროა VIIa-ს, ანუ ტროა VII-ს, განსაკუთრებულად დრამატული პერიოდი უნდა ჰქონოდა XIII საუკუნეში. ამ პერიოდში ის ორგზის დაინგრა, აღარაფერს ვამბობთ ე.წ. „მცირე კატასტროფების“ შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ არის გამორიცხული, რომ ქალაქის პირველ ნგრევასთან კავშირი აქედურ ექსპედიციასაც ჰქონოდა. ხოლო მისი რამდენიმეგზის ნგრევის მითოპოეტურ ტრადიციაში შემონახული ინფორმაცია, შეიძლება, იმ დიდ თუ მცირე ბრძოლებს მოიცავდა, რაც ტროელებს ქალაქის დანგრევის, თუ მის გარეშეც შეიძლებოდა ჰქონოდათ როგორც აქაველებთან, ასევე ჩრდილოეთიდან თუ აღმოსავლეთიდან შემოჭრილ სხვადასხვა ტომებთან. პოეტურ ფანტაზიაში, როგორც ჩანს, ამ ომების მთელი სიმრავლე განზოგადდა ერთ დიდ ომად, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლებოდა მართლაც ჰქონოდა კავშირი XIII საუკუნეში ქალაქთან გამართულ აქაველთა და ტროელთა რაღაც მნიშვნელოვან შერკინებასთან.

8) როგორც ცნობილია, ე.წ. მითოლოგიურ ქრონოლოგიაში, რომლის საფუძველზეც ძველი ბერძნები ათარილებდნენ გმირთა ეპოქაში მომხდარ მოვლენებს, გვაქვს გარკვეული განსხვავებები სხვადასხვა მოვლენის დროის განსაზღვრაში. შესაბამისად, არგონავტების ლაშქრობის, დანაიდების ეგვიპტიდან გადმოსვლის, თებეს მოვლენების სხვადასხვა თარიღები შეიძლება შემოგვთავაზოს ბერძნულმა ტრადიციამ (უფრო ადრინდელი, ან უფრო გვიანდელი).

და მაინც, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ყველაზე მეტი მრავალფეროვნება შეინიშნება ტროას ომის დათარიღებაში.¹⁹ რასაკ-

¹⁹ ყველაზე გვიანდელ თარიღს გვთავაზობდა ეფოროსი (ძვ.წ. 1135 წ.) სოსიბოსი ომს 1172 წლით ათარიღებდა. ერასტოსთენესი 1184 ან 1183 წელს მიიჩნევდა, პლატონი 1193, პაროსის მარმარილო 1209-1208, დიკეარქოსი - 1212, პეროდოტოსი - 1250, ერეტესი - 1291, ხოლო დიერისი გვთავაზობდა

ვირველია, ეს, ერთის მხრივ, შეიძლება, იმით აიხსნას, რომ ტრო-
ას ომი, როგორც მოვლენა, გმირთა ეპოქაში მომხდარ ამბავთაგან
ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ
ტროას ომის თარიღთა საკმაოდ დიდი სიმრავლე ბერძნულ ტრადი-
ციაში გარკვეულად ეხმიანება იმას, რომ ისინი ზოგ შემთხვევაში
არეკლავენ ტროასთან გამართულ სხვადასხვა ბრძოლას. ასე მაგა-
ლითად, ტროას ომის ადრეული თარიღები (ძვ.წ. XIV ს.). შეიძლება
ეხმიანებოდეს ტროადის „ისტორიას“ ძვ.წ. XIV საუკუნეში, რომე-
ლიც, როგორც ჩანს, ხასიათდებოდა ხეთების იმპერიასა და აქეურ
სამყაროსთან ინტენსიური ურთიერთობებით. ჰეროდოტოსის თა-
რილი აშკარად მიემართება ტროა VI-ს დანგრევის ეპოქას, ხოლო
ომის XII საუკუნით დამთარილებელთა მონაცემები, ალბათ, უფრო
მეტად არეკლავს ზღვის ხალხების შემოსევებით გამოწვეულ სი-
ტუაციას.

ამგვარად, ჰომეროსის ეპოსის მიმართება ისტორიასთან, კერ-
ძოდ, ტროას ომის რეალურობასთან, სხვადასხვაგვარი ინტერპრე-
ტაციის შესაძლებლობას იძლევა. ჩვენი აზრით, ნათელია მხოლოდ
ის, რომ ჰომეროსმა ასახა მოვლენა, რომელიც, საფიქრებელია,
მართლაც უნდა მომხდარიყო გმირთა ეპოქაში. თუმცა, იგი არ
უნდა ყოფილიყო ისეთი მნიშვნელოვანი, რომ დიდი გავლენა მო-
ეხდინა მისი თანამედროვე ხმელთაშუაზღვისპირეთის უძლიერესი
სახელმწიფოების განვითარებაზე. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ
საკუთრივ ტროას ომი პირდაპირ არ ასახულა არც ხეთურ და არც
ეგვიპტურ წყაროებში, მისი აშკარა კვალი არ ჩანს არც მიკენურ
დოკუმენტებში. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ ომს, იქნებ
მართლაც ჰქონოდა მასშტაბური ხასიათი, მაგრამ მისი მიზანი
იყო უპირატესად „ანგარიშის გასწორება“ მონინალმდეგესთან და
არა შორსმიმავალი გეოპოლიტიკური ამოცანები. მითოპოეტურმა
ტრადიციამ შემოინახა და განავითარა ინფორმაცია ამ მოვლენის
შესახებ და, აქედან გამომდინარე, მოახდინა საერთოდ ტროასთან
დაკავშირებული ამბების ერთგვარი სინთეზირება. აქაველების-

თვის ეს მოვლენა, როგორც ჩანს, საამაყო იყო იმიტომ, რომ მათ საკმაოდ ძლიერ მონინააღმდეგეს „საკუთარ მოედანზე“ მიაყენეს დარტყმა, შესაძლოა, მართლაც რაღაც გარკვეული ინციდენტის-თვის.

ჰომეროსმა შეძლო ამ მითოპოეტური ინფორმაციის იმდენად მაღალმხატვრული და ოსტატური განზოგადება, რომ ტროას ომი, არსებითად, როგორც მეცნიერებაში აღნიშნავენ, აქცია იმდროინ-დელი სამყაროსთვის პირველ მსოფლიო ომად, რომლიდანაც და-საბამს იღებს წარმოდგენა ევროპისა და აზიის სამხედრო დაპი-რისპირებაზე. შესაბამისად, ჰომეროსი თავად გვევლინება ტროას ომის ახალი ისტორიის შემქმნელად და, ამდენად, სავსებით გასა-გებია, რომ იგი ხდება მთელი შემდგომი ტრადიციისათვის ამ ომის შესახებ ძირითადი წყარო. ზემოთ ჩვენ, ვაჩვენეთ, თუ რა საშუა-ლებებით ახერხებს პოეტი მიანიჭოს ამ ომს ის მნიშვნელობა და მასშტაბები, რომელმაც იგი კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად ექცია (დანვრილებით იხ. 327.).

დასკვნა

ჰომეროლოგიაში უკვე დიდი ხანია შენიშნულია, რომ „ილიადასა“ და „ოდისეაში“ აშკარად იგრძნობა პოეტის ლტოლვა სისტემური აზროვნებისაკენ, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, პოემაში წარმოდგენილი ყველა ფენომენი, მნიშვნელოვანი თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი, ასახოს საოცარი სისრულით. რასაკვირველია, ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, ომში დაპირისპირებულ მხარეებს – აქაველებსა და ტროელებს. თუკი აქაველთა შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ჰომეროსის ძირითადი წყარო მდიდარი ბერძნული მითოპოეტური ტრადიცია იყო, ტროელთა და მათ მოკავშირეთა შემთხვევაში ეს წყარო ბევრად უფრო მწირი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ჰომეროსის ეპოსის მკითხველს არ უჩნდება რაიმე უკმარობის გრძნობა ტროელთა შესახებ პოემებში მოცემულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. ამას კი ჰომეროსი აღწევს ეპიკური ტრადიციიდან მიღებული უხვი მონაცემებისა და საკუთარი ფანტაზიით აღქმული ტროას ხატის ოსტატური შეზავებით. სწორედ ამიტომ, მისი თხრობა, განსაკუთრებით „ილიადაში“, არსად არ გადადის იმ ზღვარს, რომლის შემდეგაც გადმოცემული ამბავი ზღაპრულად, დაუჯერებლად გვეჩვენება. „ილიადა“ იღებს თითქმის ისტორიული მატრიანეს ხასიათს. ნაშრომში შევეცადეთ, შეგვესწავლა და წარმოგვეჩინა ზოგიერთი ის ძირითადი მეთოდი თუ პრინციპი, რომელთა გამოყენებითაც ჰომეროსი აღწევს მსგავს ეფექტს:

ა) ტროას შესახებ თავისი ინფორმაციისთვის სანდოობის მისანიჭებლად ჰომეროსი მიმართავს „დოკუმენტურობისათვის საჭირო“ ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას. იგი „ილიადაში“ გადმოცემული ყველაზე უფრო ვრცელი – ტროას მმართველთა ექვსსაფეხურიანი გენეალოგიის საშუალებით, არსებითად, წარმოდგენას გვიქმნის ქალაქის მითოპოეტურ ისტორიაზე. როგორც ამ მონაცემთა ძველალმოსავლურ წყაროებში დადასტურებულ ფაქტებთან შეპირისპირება გვიჩვენებს, ჰომეროსი ამ შემთხვევაში გარკვეულწილად ეხმიანება ისტორიულ რეალობას.

ბ) ყველაზე რთული პოეტიკისთვის იყო, ტროელებისა და მათი მოკავშირეების სახით აქაველებისთვის შეექმნა თანასწორი ძალა არა მარტო კვალიტატური, არამედ კვანტიტატური თვალსაზრისითაც. ჰომეროსი, ერთის მხრივ, ტროელთა კატალოგის, მეორეს მხრივ, მთელ პოემაში გაფანტული ინფორმაციის საშუალებით ახერხებს აქაველთა და ტროელთა შორის ბალანსის შენარჩუნებას. ამასთან, ტროელთა და მათ მოკავშირეთა ჩამოთვლისას იგი არსად არ ღალატობს ცნობილი რეალობების წარმოდგენის პრინციპს. მასთან დაკავშირებული ყველა პუნქტი და ყველა ქვეყანა ისტორიულად რეალურია. როგორც ჩანს, ასევე რეალურია ტროელთა და მათ მოკავშირეთა შესახებ მოცემული ინფორმაცია ეთნიკური და გეოგრაფიული თვალსაზრისით.

გ) პოეტი მეტწილად თავის მიერ შექმნილი, პოემის სიუჟეტში ჩართული ფიგურების საშუალებით მასშტაბურად და მრავალმხრივად წარმოგვიდგენს ტროელთა საზოგადოებას. „ილიადაში“ ტროელთა და მოკავშირეთა 350 ფიგურაა ჩართული პირდაპირ თუ ირიბად. ამ პერსონაჟთა 310 სახელიდან 216 ბერძნული წარმოშობისაა და ე.წ. „მეტყველ სახელებს“ განეკუთვნება. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ტროელ ფიგურათა დიდი უმრავლესობა პოეტური ფანტაზიის წყალობითაა შექმნილი. ამ გზით ჰომეროსი „აყალიბებს“ ტროელთა საზოგადოების შთამბეჭდავ სურათს.

დ) ტროელთა ღირსეულად წარმოსაჩენად ჰომეროსი გამოკვეთს ძირითად ტროელ ფიგურათა სახეებს. როგორც ანალიზმა აჩვენა, პოეტი არ მიმართავს მონინალმდგის დაკინების ხერხს და პოემაში ყველა მთავარი ტროელი პერსონაჟი წარმოდგენილია ინდივიდუალიზაციის პრინციპთა სრულად გამოყენებით. სწორედ ამის შედეგად, ტროელთა საზოგადოების ე.წ. „ცნობილი სახეები“ მეტწილად გვხიბლავენ თავიანთი კეთილშობილებითა და ვაჟკაცობით.

ჰომეროსთან გამოიყოფა ტროელ გმირთა ორი ჯგუფი: მოქმედებაში ჩართული და მოქმედებაში არჩართული პერსონაჟების. პირველი მათგანი პოემაში მონაწილეობის ინტენსივობისა და პერ-

სონაჟთა როლის მნიშვნელოვნების მიხედვით შეიძლება დაიყოს 7, მეორე კი – 4 ქვეჯგუფად. ჰომეროსი ოსტატურად ახდენს ტროელ გამირთა რანჟირებას მათთან დაკავშირებული პარტიების მოცულობით პოემაში. ეს კი სავსებით შეესაბამება ამა თუ იმ გამირის პოეტის მიერ დეკლარირებულ როლს „ილიადაში“.

ე) ტროელთა საზოგადოების დიფერენცირებულობის წარმოსაჩენად ჰომეროსი „ილიადაში“ ე.წ. საბრძოლო და მშვიდობიან სცენათა შორის მოცულობით წონასწორობას ინარჩუნებს. საბრძოლო სცენებს დაახლ. 10.000 სტრიქონი ეთმობა, ხოლო მშვიდობიანს დაახლ. 7.000. ეს საშუალებას ქმნის, ტროელთა საზოგადოება წარმოგვიდგეს ორ ერთმანეთის საპირისპირო კონტექსტში. თუმცა, რა თქმა უნდა, როგორც ერთის, ასევე მეორის საერთო ფონი არის ომი.

ვ) ტროას ხატის სრულფასოვანი შექმნისათვის პოეტი უხვად გვთავაზობს გეოგრაფიულ ორიენტირებს და მრავლად წარმოგვიდგენს ე.წ. არქიტექტურულ მინიშნებებსაც. ტროას გეოგრაფიული კონტექსტი სავსებით რეალურია. ასევე რეალურია პოეტის ინფორმაცია ქალაქის უმთავრეს არქიტექტურულ ოდენობათა შესახებ. ტროაში მიმდინარე გათხრები გვიჩვენებს, რომ ჰომეროსს ბევრ შემთხვევაში ეხმიანება თანამედროვე არქეოლოგთა მონაცემები. ეს, ერთის მხრივ, შეიძლება გამონვეული იყოს იმ ვიზუალური ინფორმაციით, რაც გეომეტრიული ეპოქის ბერძენს ტროას ნანგრევების ხილვისას უნდა მიეღო, მეორეს მხრივ, გამირთა ეპოქის ქალაქის შესახებ არსებული ინფორმაციის ოსტატური განზოგადებით.

ზ) ორ უკიდურეს აზრს შორის, რომელიც დღეს ჩამოყალიბდა ჰომეროლოგიაში (1. ტროას ომი მთლიანად პოეტური ფანტაზიის ნაყოფია. 2. ჰომეროსი ზუსტად აღწერს ისტორიულად რეალური ტროას ომის მოვლენებს), გამართლებულად მიგვაჩნია ე.წ. შუალედური პოზიცია, რომლის თანახმადაც „ილიადაში“, ერთის მხრივ, გადმოცემულია ძვ.წ. XIII ს-ში აქაველთა და ტროელთა შორის მომხდარი რეალური სამხედრო დაპირისპირება, მეორეს მხრივ კი –

განზოგადებულია მრავალი ომი, რომელიც ტროასთან გამართეს აქვეყლებმა თუ „ზღვის ხალხებმა“ სხვადასხვა დროს.

ამგვარად, ტროას ჰომეროსისეული აღქმა არ არის მხოლოდ რალაც ისტორიული თუ პოეტური ფანტაზიის წყალობით შექმნილი მოვლენის მითოპოეტური წარმოსახვა. ჰომეროსი, თავისი ეპიკური კონცეფციის შესაბამისად, ქმნის გრანდიოზულ პოეტურ სისტემას, რომლის თითოეული შემადგენელი ელემენტი, დაწყებული ცალკეული პერსონაჟიდან, დამთავრებული თავად ასასახი მოვლენით, ამ სისტემის ორგანული და ურთიერთდაკავშირებული ნაწილებია. მიუხედავად იმისა, როგორ გადაწყდება „ილიადაში“ გადმოცემულ მოვლენათა ისტორიულობის საკითხი, ჰომეროსისეული ტროა და ტროას ომი ჩვენს წარმოდგენაში მუდამ დარჩება, როგორც კაცობრიობის თავგადასავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფურცელი, როგორც სიმბოლო ბრწყინვალე ქალაქთა ბედის, გამარჯვებისა და დამარცხების მუდმივი ცვალებადობისა ისტორიაში.

ანტიკური ავტორები

1. Alcman, D.L., Page, Poetae melici Graeci, Oxford, 1962.
2. Apollodorus, Bibliotheca, ed. Wagner R., Leipzig, 1894.
3. Diodorus of Sicilly, The library of history, London, 2001.
